გ. ჭ ი ვ ა ძ ე

ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში

ლექციების კურსი

I

სტალინის სახელობის
თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1959

თავი I

ძირითადი ლიტერატურული წყაროების მოკლე მიმოხილვა

გაიუს იულიუს ცეზარი (კეისარი). „ჩვენი მიზანია — განვიხილოთ ფეოდალიზმის გენეზისის საკითხი დასავლეთ ევროპაში მომხდარ უდიდეს სოციალურ ცვლილებათა ასპექტში. ცნობილია, რომ ვიდრე მოხდებოდა ახალი ფეოდალური საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბება, მისი ეკონომიური საფუძვლები დიდი ხნით ადრე იქმნებოდა, ერთი მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში, ხოლო მეორე მხრივ, ძველი გერმანელი ტომების გვაროვნულ-თემურ წყობილებაში. მაშასადამე, საკითხის შესწავლისათვის საჭიროა გავიცნოთ ისეთი წყაროები, რომელნიც მიეკუთვნებიან გაცილებით უფრო ადრინდელ პერიოდს, ვიდრე უშუალოდ ფეოდალიზმის საბოლოო ჩამოყალიბების ხანას.

წყაროების მიმოხილვისას ჩვენს ყურადღებას, პირველყოვლისა, იპყრობს იულიუს კეისრის, ანუ ცეზარის შრომები[1], რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მონათმფლობელური საზოგადოების ისტორიისათვის და განსაკუთრებით კი ძველი გერმანული ტომების ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის.

ამ ანტიკური მწერლის სრული სახელწოდებაა — გაიუს იულიუსი. ცეზარის პატივსაცემად რომაელებმა კვინტილიუსის თვეს შეუცვალეს სახელი და იულიუსი, ანუ ივლისი უწოდეს. რაც შეეხება სიტყვა „ცეზარს“, თავდაპირველად იგი გვარს ნიშნავდა. იმპერატორ ადრიანეს დროს „ცეზარი“ მემკვიდრის ტიტული იყო, ხოლო იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს „ცეზარი“, ანუ „კეისარი“ მეფის ტიტულიც გახდა.

---

[1] ანტიკური მწერლების შესახებ იხ. Древние германцы, გამოც. 1937 წ. ა. დ. უდალცოვის რედაქტორობით.

გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე ცეზარი დაიბადა 100 წ. (ჩვენს ერამდე), გარდაიცვალა 44 წელს ჩვენს ერამდე. იგი ცნობილი პატრიციანულ იულიუსების გვარს ეკუთვნის.

როგორც ცნობილია, ცეზარი ინიციატორი გახდა „ტრიუმვირატის" ჩამოყალიბებისა, იგი დიქტატორი იყო 48—44 წლამდე, 58—52 წ. კი დაინიშნა გალიის მმართველად ანუ პროკონსულად. გალიაში ცეზარი დაინიშნა მას შემდეგ, როცა მან რომის სენატის დავალებით, დიდი ხნის ბრძოლის შედეგად, გალია დაიმორჩილა და რომის პროვინციად აქცია. ამ ბრძოლების დროს მან დაწერა შვიდი „წიგნი", სათაურით — „გალებთან ომის შესახებ" (კომენტარიი დე ბელო გალიკო). ამ შრომის შედგენის შესახებ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულება. პირველის მიხედვით, შრომა იწერებოდა სხვადასხვა დროს ცეზარის მიერ სენატში წარდგენილ მოხსენებათა მიხედვით ჩატარებული ბრძოლების შესახებ და ამ მოხსენებათა გამოქვეყნებაც ხდებოდა სხვადასხვა დროს (შულცი). მეორე შეხედულების მიხედვით, მართალია, მოხსენებები გალიაში ცეზარის მიერ ჩატარებული ბრძოლების შესახებ სენატს გაეგზავნა სხვადასხვა დროს, მაგრამ მათი გამოქვეყნება მოხდა ერთობლივად 52, ან 51 წელს ცეზარის გალიიდან დაბრუნების შემდეგ.

თუ რომელი ამ შეხედულებათაგანი შეეფერება სინამდვილეს, ამას მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მთავარია ის, რომ ორივე ამ შეხედულების მიმდევრები თანხმდებიან იმაში, რომ აღნიშნული შრომა შედგენილია ცეზარის საკუთარი დაკვირვებებისა და მოვლენათა ჯეროვანი ანალიზის შედეგად. მაშასადამე, შრომაში ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრება, ან მოცემული ცნობები გალების შესახებ ძირითადად ასახავს ობიექტურ სურათს.

ამგვარად, ცეზარის „დე ბელო გალიკო" პირველადსა და სანდო წყაროს წარმოადგენს. მასში მოცემული ცნობები და დებულებები ზუსტია და არ იწვევს ეჭვს. დოფშისა და მისი მიმდევრების არასინდისიერი დამოკიდებულება ცეზარის შრომისადმი ისტორიის გაყალბებას წარმოადგენს, ხოლო „დე ბელო გალიკოს" კრიტიკა მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ცეზარის შრომას არ გააჩნდეს რაიმე უარყოფითი მხარე. ადგენდა რა თავის შრომას, ავტორი დიდაქტიკურ მიზნებსაც ისახავდა. ცეზარი კარგად ამჩნევდა რომის მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის პროცესს, მონათმფლობელების გახრწნილ ყოფაცხოვრებას და

სხვ. ამიტომ გასაგებია, რომ ავტორი ცდილობდა მკითხველთათვის გერმანელთა ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი მხარე იდეალურად წარმოედგინა. გარდა ამისა ისიც უნდა ითქვას, რომ ლათინური ტერმინოლოგია, რომელიც განეკუთვნებოდა მონათმფლობელურ კლასობრივ საზოგადოებას, ყოველთვის ვერ იქნებოდა ზუსტი ამსახველი გვაროვნული წყობილების ზოგიერთი მოვლენისა.

ცეზარის ცნობები ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრებაზე ძირითადად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ეთნოგრაფიული, სოციალური და ეკონომიური ხასიათის ცნობები, რომელნიც გადმოცემულია მეოთხე წიგნის პირველ, მეორე და მესამე თავებში და მეექვსე წიგნის 21-ე, 22-ე, 23-ე, და 24-ე თავებში. დანარჩენ წიგნებსა და თავებში ავტორი აგვიწერს ბრძოლების მსვლელობას სვევებთან, ტენქტერებთან, სუგამბრებთან და სხვ. მაშასადამე, აქ მოცემულია უმთავრესად ძველ გერმანელთა ტომების ბრძოლის ხერხები, საომარი ტექნიკა და სხვა.

სტრაბონი. ჩვენი საგნის შესწავლისათვის არანაკლები მნიშვნელობის ცნობებს ვპოულობთ სტრაბონის შრომებში. სტრაბონი ცხოვრობდა 64, ან 63 წლიდან (ჩვენს ერამდე) 19 წლამდე (ჩვენ წ. ა-მდე). იგი დაიბადა ცნობილსა და მდიდარ ბერძნულ ოჯახში. მისი სამშობლო იყო ქ. ამაზია, რომელიც მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროზე მდებარეობდა. სტრაბონმა მიიღო სათანადო განათლება. იგი ზედმიწევნით ეცნობოდა თავის დროის გამოჩენილი ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და გეოგრაფების შრომებს. მან იმოგზაურა მცირე აზიაში, ეგვიპტეში, სირიაში, საბერძნეთში და იტალიაში. ამ ადგილებში მოგზაურობისას პირადად ეცნობოდა სხვადასხვა ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას.

მთელ რიგ დაკვირვებათა და ზედმიწევნითი შესწავლის შედეგად სტრაბონმა დაწერა თავისი შრომა — „გეოგრაფია", რომელიც შედგება 17 წიგნისაგან. ამ ნაშრომმა თითქმის უკლებლივ, მოაღწია ჩვენს დრომდე. ეს შრომა თარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე. მიშჩენკომ ბერძნულიდან გადმოთარგმნა ეს შრომა — „Страбон, География в 17 книгах", რომელიც გამოიცა 1879 წ. „გეოგრაფიის" პირველ ორ წიგნში გადმოცემულია ავტორის საკუთარი შეხედულებანი გეოგრაფიულ საკითხებზე. აქედან ვგებულობთ, რომ სტრაბონის შეხედულებით მიწის ფორმა ბირთვისებურია, რომლის ერთი მეოთხედი წარმოადგენს ხმელეთს (იგი იწყება ესპანეთიდან და თავდება ინდოეთით), ხოლო დანარჩენი, ზღვაა. დედამიწა დგას. მასზე მოძრაობს ცა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

„გეოგრაფიის“ მესამე წიგნიდან იწყება ევროპული ქვეყნების: ესპანეთის, იტალიის, გალიის, საბერძნეთის, მაკედონიის, თრაკიის და შავი ზღვის სანაპიროების აღწერა. შემდეგ წიგნებში კი აღწერილია სპარსეთი, აზია და ინდოეთი, რომელთაც პოჰყვება ცნობები ეგვიპტისა, ჩრდილო აფრიკისა და სხვათა შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტრაბონის ცნობებს საქართველოს, კავკასიის, ევროპისა და აზიური სკვითების შესახებ.

სტრაბონის ცნობები ძველი გერმანელი ტომების შესახებ მოცემულია შრომის სხვადასხვა ადგილებში. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს მეოთხე წიგნი, სადაც ლაპარაკია კელტების შეზობლად მცხოვრებ გერმანელებზე და მეშვიდე წიგნის პირველი თავები, რომლებშიაც აღწერილია მდინარე დუნაის ჩრდილოეთით მდებარე მიწები.

სტრაბონი თავის შრომაში ეხება მის წინამორბედ მკვლევართა შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე და აკრიტიკებს მათ. „გეოგრაფიის“ ავტორი თავისი შრომის შედგენაში, ეტყობა, უმთავრესად ემყარება თავის საკუთარ დაკვირვებებსა და ბერძნულ წყაროებს.

გაიუს ველეუს პატერკულუსი. ძველ გერმანელ ტომთა ყოფაცხოვრებაზე და აგრეთვე რომის იმპერიის პოლიტიკურ ვითარებაზე ცნობებს გვაწვდის გაიუს ველეუს პატერკულუსი, რომელიც დაიბადა 19 წელს ჩვენს ერამდე და გარდაიცვალა 32 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით.

გაიუს ველეუს პატერკულუსი ცნობილი რომაელი სარდალია, იმპერატორ ტიბერიუსის დროს იგი ცხენოსანთა რაზმების უფროსი იყო. პატერკულუსი არაერთხელ იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ბრძოლაში. რომაელთა ლაშქრობას გერმანიაში და პანონიაში იგი პირადად ხელმძღვანელობდა. ამგვარად, პატერკულუსი თვითონ იყო იმის მოწმე, თუ რა ვითარებაში იმყოფებოდნენ მისი დროინდელი გერმანელები[1].

პატერკულუსმა შეადგინა შრომა რომის ისტორიაზე — დაწყებული ტროადის ომით და დამთავრებული ჩვენი წელთაღრიცხვის 30 წლით. ეს შრომა მოიცავს ორ წიგნს. უნდა ითქვას, რომ პატერკულუსის შრომა უმთავრესად კომპილატური ხასიათის მატარებელია. იგი ძირითადად გადმოგვცემს სხვა მოღვაწეთა მიერ შედგენილ ცნობებს, თუმცა გზადაგზა ამ შრომაში ვხედებით ისეთ ცნობებსაც, რომელნიც სხვა ავტორებს არ მოეპოვებათ.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XVI, ч. I, стр. 378

ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს პატერკულუსის შრომის ის თავები, რომელნიც ეხებიან ავგუსტუსის დროინდელ ომებს გერმანელებთან მდინარე დუნაიზე და რაინზე. ამ ბრძოლებში, როგორც აღვნიშნეთ, შრომის ავტორი პირადად ღებულობდა მონაწილეობას.

გაიუს პლინიუს უფროსი. როცა ვეხებით ანტიკური წყაროების მონაცემებს, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ გაიუს პლინიუს უფროსის (Gaius Plinius Sekundus) შრომებს. გამოჩენილი რომაელი გეოგრაფი პლინიუსი ცხოვრობდა 23 წლიდან (ან 21 წლ.) 79 წლამდე ჩვენი წელთაღრიცხვით. მან თავისი შრომა — „ბუნების ისტორია" („Naturalis Historia") დაამთავრა დაახლოებით 77 წელს. ეს შრომა შედგებოდა 37 წიგნისაგან.

პლინიუსის შრომიდან ჩანს, რომ ავტორი ცდილობს მოახდინოს ერთგვარი შეჯამება ანტიკურ მეცნიერებათა ისეთი დარგებისა, როგორიცაა: ასტრონომია, ჰიდროგრაფია, ანტროპოლოგია, ზოოლოგია და მინერალოგია. ნაშრომის შედგენისას ეტყობა, რომ ავტორი ემყარება როგორც ბერძნულ (თეოფრასტეს, პოსიდონიუსის და სხვ. შრომებს), ისე რომაულ წყაროებს (კატონის, ვარონის და სხვათა შრომები). ამასთან, რა თქმა უნდა, შრომაში მას გამოყენებული აქვს საკუთარი დაკვირვებანიც[1].

ამ დაკვირვებათა გამოყენებით პლინიუს უფროსი გვაწვდის ცნობებს ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრების შესახებ. როგორც ირკვევა, მაშინ გერმანელები ცხოვრობდნენ ზემო და ქვემო გერმანიაში და თანამედროვე აღმოსავლეთ ფრისლანდიაში.

პლინიუს უფროსის სხვა შრომები გრამატიკაში, რიტორიკაში და ისტორიაში („ანალები" და „Bella Germaniae"), რომელთაც იხსენიებს ტაციტუსი თავის ნაწარმოებებში, დაკარგულია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ დაკარგვას არა ნაკლებ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ პლინიუს უფროსი მოულოდნელად დაიღუპა. ხომალდი, რომელშიაც პლინიუს უფროსი იმყოფებოდა, 79 წელს განადგურდა ვულკან ვეზუვის ამოხეთქვის დროს. გაიუს პლინიუსის ტრაგიკულად დაღუპვას აგვიწერს პლინიუს უმცროსი, რომელიც ამ კატასტროფის მოწმე იყო.

ტაციტუსი. იმ ლიტერატურულ წყაროთა შორის, რომელნიც ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენენ, ტაციტუსის ნაწარმოებებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი ერთ-ერთი უდიდესი რომაელი ისტორიკოსია. ცხოვრობდა

---

[1] პლინიუსის შესახებ იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XVI, ч. I стр. 378.

დაახლოებით 55 წლიდან 117 წლამდე ჩვენი წელთაღრიცხვით. მან დაწერა რიგი შრომებისა, რომელთაგან აღსანიშნავია „გერმანია". ვარაუდობენ, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს დაახლოებით 98 წელს. ამ შრომაში ყველაზე უფრო ვრცლად და სრულყოფილადაა წარმოდგენილი ძველი გერმანელი ტომების იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება.

ცნობები გერმანელებზე ტაციტუსს მოცემული აქვს აგრეთვე „ანალებში", რომელიც მოიცავს რომის ისტორიას, დაწყებული ავგუსტუსის გარდაცვალებიდან (14 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით), ვიდრე 69 წლის პირველ იანვრამდე. ეს შრომა შედგენილი უნდა იყოს დაახლოებით 116 წელს. მაგრამ „ანალებიდან" ჩვენამდე სრული სახით მოღწეულია I, II, III და IV წიგნი. მეხუთე და მეექვსე წიგნებს, რომელნიც აგრეთვე შემორჩენილია, აკლიათ საწყისები. რაც შეეხება XI — XVI წიგნებს, ისინი ზოგ ადგილებში დაზიანებულია.

ტაციტუსი ცნობებს გერმანელების შესახებ გვაწვდის აგრეთვე თავის შრომაში, რომელსაც „ისტორიები" ეწოდება. ეს შრომა არსებითად „ანალების" გაგრძელებაა, ვინაიდან იგი იწყება 69 წლიდან, რითაც „ანალები" მთავრდება და თავდება 96 წლის ჩათვლით. „ისტორიები" შედგებოდა 14 წიგნისაგან. აქედან ჩვენამდე სრული სახით მოღწეულია I, II, III და IV წიგნი. შემონახულია აგრეთვე V წიგნის ნახევარი. უნდა აღინიშნოს, რომ ტაციტუსის მიერ თავის შრომებში მოცემული სხვადასხვა ცნობა ძირითადად სინამდვილეს შეეფერება და ამიტომ სანდოცაა. წყაროები, რომელთაც ავტორი იყენებდა თავისი „გერმანიის" შედგენაში, აღებული იყო უმთავრესად პლინიუს უფროსისა და ტიტე ლივიუსის შრომებიდან, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ მათი ობიექტურობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. გარდა ამისა, გერმანელთა შესახებ ცნობების შედგენაში ტაციტუსს გამოუყენებია რომაელი სარდლების მოხსენებანი სენატში, გერმანიაში მყოფი მხედრებისა და ვაჭრების ნაამბობი და თავისი პირადი საუბარი გერმანელ ტყვეებთან.

ამგვარად, სხვადასხვა წყაროთა ურთიერთდაპირისპირებით, ტაციტუსს დაუდგენია საერთო სურათი გერმანელთა ყოფა-ცხოვრებისა და გადმოუცია ის უფრო კონკრეტულად. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას გამოუყენებია აგრიპას რუკა.

პლუტარქე. ძველი გერმანელი ტომების კიმვრებისა და ტევტონების შესახებ საკმაო ცნობებს ვპოულობთ პლუტარქეს ნაშრომში. პლუტარქე დაიბადა მდიდარ ბერძნულ ოჯახში 46 წელს და ცხოვრობდა 120 წლამდე. წარმოშობით ის ბეოტიის ქ. ხერონეადან

იყო. მან მიიღო თავის დროისათვის უმაღლესი განათლება და ეწეოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. გადმოცემათა მიხედვით, პლუტარქე სარგებლობდა საკმაო ავტორიტეტით როგორც სამშობლოში, ისე რომში, სადაც ის ხშირად მოგზაურობდა. პლუტარქმა იმოგზაურა ეგვიპტეში ამ ქვეყნის შესწავლის მიზნით.

პლუტარქეს მიერ შედგენილი ისტორიული ხასიათის შრომებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა „პარალელურმა ბიოგრაფიებმა", რომელიც შეიცავს 46 პიროვნების ბიოგრაფიას. ამ შრომაში ავტორი ახდენს ბერძნული და რომაული ყოფა-ცხოვრების დაპირისპირებას. მათში არსებული იგივეობის აღნიშვნისას, პლუტარქე გვაცნობს მათ სხვაობასაც.

პლუტარქეს დროს შრომების ასეთი სტილით წერა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. „პარალელური ბიოგრაფიების" ავტორი უპირისპირებდა რა რომაელ მოღვაწეებს ბერძნული წარმოშობის მქონე პირებს, ცდილობდა ფილოსოფიური მსჯელობით პიროვნებათა თვისებების განზოგადების მოხდენას. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში ფაქტებისადმი კრიტიკული მიდგომა შეუძლებელი გახდებოდა. მიუხედავად ამისა, პლუტარქეს აღნიშნული ნაწარმოები მაინც არაა ინტერესს მოკლებული, მით უფრო, რომ „პარალელურ ბიოგრაფიებში" მოცემული მარიუს გაიუსის ბრძოლები კიმვრებთან და ტევტონებთან დასტურდება სხვა წყაროებითაც.

ლუციუს ანეუს ფლორუსი. ლუციუს ანეუს ფლორუსი, რომლის დაბადებისა და გარდაცვალების წლები დღემდე ცნობილი არაა, თავის შრომაში — „რომის მოკლე ისტორია" ისე აღწერს მარიუსის ხელმძღვანელობით რომაელების ბრძოლას კიმვრებთან და ტევტონებთან, როგორც პლუტარქე. სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ფლორუსს ტიტე ლივიუსის შრომებიც გამოუყენებია. „რომის ისტორია" დაწერილი უნდა იყოს იმპერატორ ადრიანეს ხანაში, დაახლოებით 117 და 138 წლების შუალედში.

აპიანე. ჩვენი საგნის შესწავლაში ლიტერატურულ წყაროთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი რომის შესანიშნავი ისტორიკოსის აპიანეს შრომებს. აპიანე დაიბადა ქ. ალექსანდრიაში პირველი საუკუნის ბოლოს და ცხოვრობდა 170 წლამდე. მას უხდებოდა მოღვაწეობა იმპერატორების: ტრაიანეს, ადრიანეს და ანტონინეს ხანაში. მეცნიერების დარგში კვლევა-ძიებასთან ერთად ის პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. პირველ ხანებში იგი მოღვაწეობდა რომში, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში იქნა დანიშ-

ნული პროკურატორად. აპიანე ზედმიწევნით კარგად იცნობდა რომის პოლიტიკურ ვითარებას.

აპიანეს თავისი შრომა — „რომის ისტორია“ დაწერა ბერძნულ ენაზე დაახლოებით 160 წლისათვის. შრომა შედგებოდა 24 წიგნისაგან. სამწუხაროდ, ამ შრომას მთლიანი სახით ჩვენამდე არ მოულწევია. მთლიანი სახით შემონარჩუნებულია მხოლოდ XI, XII, XIII, XIV, XV, XVI და XVII წიგნები. მერვე წიგნიდან დარჩენილია პირველი ნახევარი. I, II, III, IV და V წიგნების ცალკე ამონაწერები ნოგვეპოვება. კერძოდ, მეოთხე წიგნი, რომელიც გალიის აღწერას მიეძღვნა, შენოკლებულ თხრობას წარმოადგენს.

აპიანეს შრომებიდან შემონახულია მდიდარი ცნობები ლიგილიელების, სირიელების, იბერიელების, მიტრიდატეს, ჰანიბალის და ბაკედონელების ბრძოლების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ცნობები იმ სამოქალაქო ომების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რომში. მარქსი აპიანეს შრომას სამოქალაქო ომების შესახებ „დიდად მნიშვნელოვან“ წიგნად თვლის, და მარქსაც, შრომის ავტორი სამოქალაქო ომების მიზეზებს, სხვებისაგან განსხვავებით, მატერიალური საფუძვლებით ხსნის. აპიანეს შრომა — „სამოქალაქო ომები“, ბერძნულიდან რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ა. ჟებელევასა და ო. კრიუგერის რედაქტორობით 1935 წ.

დიონ კასიუსი. როგორც რომის იმპერიის ვითარების, ისე ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრების შესახებ საკმაო ცნობებს გვაწვდის თავის შრომებში დიონ კასიუსი.

კასიუს დიონ კოკეიანე ცხოვრობდა დაახლოებით 150 — 230 წლამდე. იგი დაიბადა მდიდარ ოჯახში. მისი სამშობლო იყო ქ. ნიკეია — მცირე აზიაში. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ორჯერ იქნა არჩეული კონსულად და სენატორად. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ისტორიული მეცნიერების დარგში.

კასიუსმა დაწერა „რომის ისტორია“, რომელიც იწყება იტალიაში ენეოსის მოსვლის ამბებიდან და გრძელდება 229 წლამდე. ამ „ისტორიის“ შედგენა დიდი ხნით გრძელდებოდა. მარტო მასალების დაგროვებას ავტორმა ათი წელი მოანდომა, ხოლო შრომის ლიტერატურულ გაფორმებას კი 12 წელი. ირკვევა, რომ „რომის ისტორია“ 80 წიგნისაგან შედგებოდა. აქედან ჩვენამდე მთლიანი სახით შემონახულა 36-დან 44-ე წიგნი, ხოლო სხვა წიგნებიდან შენარჩუნებული ცალკეული ნაწილები და ამონაწერები.

ორმოცდამეოთხე წიგნში დიონ კასიუსი აგვიწერს ნერონ კლავდიუს დრუზის, იმპერატორ ტიბერიუსის უმცროსი ძმის ბრძოლებს გერმანელებთან (30 — 9 წწ.). ავტორის სტილი გამოირჩევა თავისი რიტორული ხასიათითა და მჭერმეტყველებით, რის გამო კასიუსი სცილდება ობიექტურობას. ამასთანავე შრომაში შესამჩნევია ტენდენცია გარემოებისა და მოვლენათა ახსნისა ღვთაებრივი ძალით. გარდა ამისა, რატომღაც, ავტორი მდინარე რაინს იქით მცხოვრებ გერმანელებს კელტებად თვლის.

ამიანე მარცელინე. რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით ამიანე მარცელინეს შრომებზე. ამიანე მარცელინე, წარმოშობით ბერძენი, დაიბადა დაახლოებით 330 წელს ქ. ანტიოქიაში (სირია) და გარდაიცვალა მეოთხე საუკუნის ბოლოს ქ. რომში. ამიანე მარცელინე 353 — 363 წლებში მონაწილეობას იღებდა იმ ბრძოლებში, რომელთაც რომაელები იულიანეს ინიციატივით აწარმოებდნენ სპარსეთთან და აგრეთვე ჩრდილო იტალიასა და გალიაში.

ამიანე მარცელინე, სამხედრო ოპერაციებიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ ცხოვრობდა ქ. ანტიოქიაში, ხოლო შემდეგ გადავიდა რომში; იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა რომაული ლიტერატურა და ლათინურ ენაზე დაწერა „რომის ისტორია“ 31 წიგნად. აღნიშნული შრომა, როგორც ჩანს, გაგრძელება უნდა ყოფილიყო ტაციტუსის „ანალებისა“ და „ისტორიისა“, რადგან იგი იწყება 96 წლიდან, ე. ი. ნერვას მმართველობიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მარცელინეს „რომის ისტორიიდან“ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 18 წიგნმა (დაწყებული 14-დან 31-მდე). ამ წიგნებში გადმოცემულია მხოლოდ ის ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 25 წლის მანძილზე (353 — 378 წწ). ეს პერიოდი უმთავრესად მოიცავს: კონსტანცი მეორის მმართველობას 361 წლამდე, განდგომილ იულიანეს მმართველობას 363 წლამდე, ვალენტინიანე პირველის მმართველობას 375 წლამდე და ვალენტისას 378 წლამდე. ამას მოყვება ვალენტინიანე მეორისა (375 — 383 წწ). და გრაციანეს (375 — 383 წწ.) მმართველობა.

ამიანე მარცელინეს შრომის ნაკლოვან მხარეს შემდეგი წარმოადგენს: სტილის ღვარძნილობა და რიტორულობა, ბერძნული სინტაქსის უარყოფითი გავლენა ლათინურ წინადადებათა კონსტრუქციაზე, რაც ხანდახან მთლიანად გაუგებარს ხდის შრომის ცალკეულ ადგილებს, ავტორის მიერ ხშირად განყენებულ მსჯელობათა გადმოცემა, ისეთი ანეგდოტური ამბების მოყოლა, რომელთაც საგანთან არა აქვთ რაიმე კავშირი და სხვა.

მიუხედავად ამ უარყოფითი მხარეებისა, მარცელინეს „რომის ისტორია“ მაინც არაა მნიშვნელობას მოკლებული. უფრო მეტიც — მის მიერ მოწოდებული ცნობები რომაელებისა და ძველი გერმანელი ტომების ურთიერთთან დამოკიდებულების საკითხებზე მეოთხე საუკუნეში, ზედმიწევნით სწორი და სანდონი არიან. ავტორი აქ დეტალურად მოგვითხრობს იმ ბრძოლების შესახებ. რომელთაც რომაელები აწარმოებდნენ ალემანებთან, ფრანკებთან, ბურგუნდიელებთან, გუთებთან და სხვა გერმანელ ტომებთან.

ყველა ეს ომი ამიანეს აწერილი აქვს ობიექტურად და ზუსტად. ამგვარად, მიუხედავად ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი მხარეებისა, მარცელინეს შრომა, ძირითადში, მისაღები და სანდო რჩება. ავტორის მიერ ომების მსვლელობათა სწორი და ობიექტური გადმოცემა ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ როგორც ნათქვამი იყო, იგი პირადად მონაწილეობდა ამ ომებში.

გარდა ამისა მარცელინეს შრომის ღირებულება იზრდება სხვა თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ მეორე, მესამე და მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის ცნობები ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრებაზე ძალიან ნაკლებად მოგვეპოვება და ისიც გაბნეულია ნაწილ-ნაწილად სხვადასხვა წყაროებში, მარცელინეს შრომა კი ამ ხარვეზს, ასე თუ ისე, ავსებს.

„ბარბაროსთა სამართლები“, კაპიტულარები და სხვ. ძველი გერმანელი ტომების შემდეგი დროის ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის საჭიროა დოკუმენტალური წყაროების გაცნობა. ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროებად უნდა ჩაითვალოს ეგრეთწოდებული ბარბაროსთა სამართლები. მათგან ყველაზე უფრო ადრინდელად ვესტგუთებისა და ოსტგუთების სამართალი უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორიული თვალსაზრისით უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება სალიკური და რიპუარული სამართალი შემდეგი გარემოების გამო: I — ვესტგუთებისა და ოსტგუთების სამართალს დიდი გავლენა ემჩნევა რომაული კანონმდებლობისა, რის გამოც ვესტგუთებისა და ოსტგუთების ყოფა-ცხოვრება ამ სამართლებში არაა წარმოდგენილი ხალასი სახით და II — როგორც ვესტგუთების, ისე ოსტგუთების სამართალი არ შემორჩენილა მთლიანი სახით და ისინი უფრო ფრაგმენტული ხასიათისანი არიან. რაც შეეხება სალიკურსა და რიპუარულ სამართალს, ისინი არავითარ გარეგან გავლენაში არ არიან მოქცეულნი და ამავე დროს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მთლიანობა.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით სალიკური სამართალი უფრო ადრინდელი წარმოშობისაა. დადგენილია, რომ სამართლის შედ-

გენა უნდა მომხდარიყო მეროვინგთა დინასტიის პირველი წარმომადგენლის ხლოდვიგის დროს (481 — 511 წწ.)[1]. ამ სამართლის სახელწოდება პირდაპირ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იგი ფრანკების სალიკურ ტომებს მიეკუთვნებოდა. სალიკური ფრანკები, როგორც მათი სახელწოდებიდან ჩანს, ზღვისპირეთში ცხოვრობდნენ ბდინარე რაინის ზემო წელში, ხოლო რიპუარის ფრანკები ბინადრობდნენ სალიკების მეზობლად სამხრეთით.

როგორც აღვნიშნეთ, სალიკური სამართალი მოკლებულია რაიმე რომაულ გავლენას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ იგი დაწერილი იყო ლათინურ ენაზე და მასში გვხვდება რომაული ფულის ნიშნის სახელწოდებანი: „დენარი“ და „სოლიდი“. მიუხედავად იმისა, რომ სალიკური სამართალი შედგენილია V საუკ. ბოლოსა და VI საუკ. დასაწყისში, მასში მოცემულია ის ადათებიც, რომელნიც შეესაბამებოდნენ ფრანკების ყოფა-ცხოვრების უფრო ადრინდელ პერიოდსაც.

სალიკური სამართალი მეტ-ნაკლებად ასახავს ფრანკების ყოფა-ცხოვრების თითქმის ყოველ მხარეს. აქ მოცემულია იმდროინდელი მიწათმოქმედება, მესაქონლეობის ცალკეული დარგები, ფრანკების სოციალური დიფერენციაცია, ცალკეული სოციალური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა, სხვადასხვა სახის დანაშაულობანი და სასჯელები, სასამართლო პროცესები და ახლად ჩამოყალიბებულ სამეფოს მოხელეთა მოვალეობანი და ასე შემდეგ...

მიუხედავად იმისა, რომ სალიკურ სამართალში უფრო მეტად ლაპარაკია სისხლის დანაშაულთა საქმეებზე, მისი ცალკეული მუხლების ანალიზით შესაძლებელი ხდება დადგენა იმისა, თუ როგორ ხდებოდა კერძო საკუთრების თანდათანობითი წარმოშობა, კლასების ჩამოყალიბება და საერთოდ გვაროვნული წყობილების შეცვლა კლასობრივი საზოგადოებით, რითაც უნდა აიხსნას ფრანკებში „სამართლის“ წარმოშობაც.

რიპუარების სამართალი უფრო გვიანდელი წარმოშობისაა და რამდენადაც რიპუართა ფრანკები ჯერ კიდევ მეროვინგების დინასტიის დამაარსებლის ხლოდვიგის დროს დაპყრობილნი და გაერთიანებულნი იქნენ ფრანკთა მონარქიაში, იმდენად მან განიცადა სალიკური სამართლის გავლენა. მიუხედავად ამისა, რიპუართა სამართალი არამც თუ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, არამედ ის

---

[1] ხლოდვიგს მეროვინგთა დინასტიის პირველ წარმომადგენლად ვთვლით იმის გამო, რომ ხლოდვიგი იყო ფრანკთა მონარქიის საფუძვლის ჩამდგმელი და უკანასკნელი არჩევითი მეფე ფრანკებში.

ავსებს სალიკური სამართლის ცნობებს საერთოდ ფრანკების ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ფრანკების ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეში არანაკლები მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს ხილდებერტ პირველისა და ხლოტარ პირველის კაპიტულარიებს, რომელთა ძირითადი ტექსტები დაკარგულია, ხოლო მათი გადაწერილი ასლები მიეკუთვნება მეცხრე საუკუნის დასაწყისს.

ლიტერატურული წყაროებიდან შეიძლება დავასახელოთ: მარის (ავენტის ეპისკოპოსის) ცნობები გალიის შესახებ, გრიგოლ ტურელის (დაიბადა 540 წ. გალიაში) შრომები „ისტორიის 10 წიგნი“, ვენანცი ფორტუნატის ლექსები და სხვა.

თავი II

„გერმანისტული“ და „რომანისტული“ სკოლების შეხედულებანი ფეოდალიზმის გენეზისის საკითხზე და მათი კრიტიკა

რომანტიზმი. [დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საკითხი შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ რთულსა და ამავე დროს ძველ საკითხს წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნის შუალედიდან დაწყებული ამ საკითხის თეორიულ გადაწყვეტაში ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა „გერმანისტებისა“ და „რომანისტების“ სკოლის სახით] ამ მიმდინარეობათა საბოლოო ჩამოყალიბება-გაფორმებას წინ უძღოდა ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ცხარე დავა დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისისა და მისი რაობის საკითხებზე. ამიტომ ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ ამ სკოლათა შეხედულებების გარკვევას, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ თავისი მსვლელობითა და შედეგებით მაშინდელ ევროპაში ორგვარი რეაქცია გამოიწვია. პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ რევოლუციამ ვერ გაამართლა „განმანათლებელთა“ იმედები ძმობის, ერთობისა და თავისუფლების შესახებ; ადამიანთა განთავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების ნაცვლად გაამეფა უფრო ულმობელი ექსპლუატაცია, საზოგადოების მცირე ნაწილში უფრო გაზარდა ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისა, ხოლო ფართო მასებში გაამწვავა პაუპერიზმი, რის გამოც საჭირო გახდა ზრუნვა, მომავალში შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ზემოაღნიშნული რეაქციის მეორე მხარე გულისხმობდა მოვლენათა შემდეგ გაგებას: 1789 წლის რევოლუციამ დაარღვია ადამიანთა ნორმალური ყოფა-ცხოვრება, გამოიწვია არეულ-დარეულობა,

წარმოქმნა იაკობინელთა დიქტატურა, რის შედეგადაც გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომები. ამ ომებს მოჰყვა უდიდესი მსხვერპლი „კანონიერი გვირგვინოსანი“ მეფეების განადგურებითა და სამეფო ტახტების გაპარტახებით.

1789 წლის რევოლუციის ამგვარი რეაქციის შედეგი იყო ის, რომ რომანტიზმის მიმდევართა ერთი ნაწილი, რომელიც უტოპიური გზებით ცდილობდა ადამიანთა უკეთესი საზოგადოებრივი ფორმის შექმნას, ხსნას ხედავდა მომავალში და პროგრესულად იყო განწყობილი, ხოლო რომანტიზმის რეაქციონური მიმდინარეობა უბრუნდებოდა წარსულს და ამ წარსულის იდეალიზაციას ახდენდა. ბარონი გარდენბერგი ცდილობდა გაეტარებინა ისტორიულ მოვლენათა დაპირისპირება. იგი ერთი მეორეს უპირისპირებდა რელიგიასა და კულტურას, შუა საუკუნეებსა და ახალ ხანას, და მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანთა კეთილდღეობისათვის გაცილებით უკეთესნი არიან პირველნი, ვიდრე მეორენი.

ანალოგიურ შეხედულებათა მატარებელნი იყვნენ რომანტიზმის შემდეგი წარმომადგენლები: ტიკი, შლეგელი, ფილიპსი და სხვ. შლეგელი (1772-1829), თავისი დროისათვის ცნობილი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, საზოგადოებას მოუწოდებდა „წესრიგისაკენ“ და ეს „წესრიგი“ კი, მისი აზრით, უნდა ვეძიოთ ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელშიაც თითქოს გაბატონებული იყო „რაინდული თავაზიანი მოპყრობა“ და „კეთილსინდისიერი—არისტოკრატიული“ მორალი. შლეგელი მის თანადროულ საზოგადოებაში არსებულ უბედურებათა მიზეზად სთვლიდა იმას, რომ თითქოს ადამიანებმა დაივიწყეს სათნოება, ქრისტიანული სარწმუნოება, რითაც შელახეს კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი.

შლეგელის აზრით, ადამიანთა ნამდვილი ისტორია იწყება მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებით (1-111 საუკუნეები). ამ ისტორიის განვითარების შემდგომ საფეხურს ქრისტიანობის საბოლოო გაბატონება წარმოადგენს (IV-IX საუკუნეები). შლეგელის თქმით, ეს ის ეპოქა იყო, როცა ადამიანთა ცხოვრება და მათი მდგომარეობა იდეალური შეიქმნა. ადამიანებმა ეს სიკეთე და თავისუფლება თითქოს XVI საუკუნემდე შეინარჩუნეს. შემდეგში იწყება აბსოლუტიზმი, ბატონდება ტირანია. ამ გარემოებამ შეჰბოჭა ადამიანთა თავისუფალი მოქმედება, ხოლო ამას მოჰყვა სისხლისმღვრელი რევოლუციები.

ამგვარად, რეაქციონულ რომანტიზმს საერთოდ ახასიათებდა: წარსულისადმი ლტოლვა და მისი იდეალიზაცია, შუა საუკუნეების უფრო მაღლა დაყენება თანადროულობაზე, კათოლიკური ეკლესიის

ავტორიტეტის განმტკიცებით ბრძოლა დეიზმისა და საერთოდ ათეიზმის წინააღმდეგ, უკიდურესი შოვინიზმი და, რაც მთავარია, ადამიანთა საზოგადოების რევოლუციური განვითარების უარყოფა და ამ საქმეში მთლიანად ევოლუციური თეორიის აღიარება.

ამ მხრივ არანაკლებ რეაქციული შეხედულების მატარებელი იყო შატობრიანი, რომელიც 1797 წელს გამოცემულ თავის ნაწარმოებებში ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ყველა რევოლუციამ თავის სიმკაცრით თითქოს ნგრევისა და განადგურების მეტი კაცობრიობას არაფერი მოუტანა.

ფიუსტელ დე კულანჟი რომანტიზმის მიმდევარი და ეგრეთწოდებული რომანისტული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფიუსტელ დე კულანჟი (1830-1889), რომელიც ახალგაზრდობისას სწავლობდა „ნორმალურ სკოლაში", უფრო მეტად გაჰყვა ევოლუციურ თეორიას და სასტიკად ილაშქრებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც კი დადებით მნიშვნელობას მიანიჭებდა რევოლუციებს. სხვანაირად „ნორმალური სკოლის" მოწაფისათვის ეს წარმოუდგენელი იქნებოდა, ვინაიდან ამ „სკოლაში" გაბატონებული იყო ჯაბშუშობის იეზუიტური აღზრდის სისტემა და ყოველგვარი პროგრესული აზროვნება მასში იჩქმალებოდა. ამ სკოლაში ლექციებს კითხულობდნენ პარიზის კომუნის მოსისხლე მტრები ვაშერო და გიზო.

„რომანისტული სკოლისა" და ფიუსტელ დე კულანჟის შეხედულებით რადგან ფეოდალიზმის ყველა დამახასიათებელი ნიშანი ანტიკურობაში მოიპოვებოდა, ამიტომ შუა საუკუნეები რომაული კულტურის უბრალო ევოლუციურ გაგრძელებას წარმოადგენს და, მაშასადამე. ფეოდალიზმის გენეზისი უარყოფს ყოველგვარ რევოლუციურ ნახტომს და მთლიანად ევოლუციის საფუძველს ემყარება. ფიუსტელის აზრით, კერძო საკუთრება არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მარადიულია. ამიტომ პირველყოფილი კომუნიზმი მხოლოდ ადამიანთა გონების შემოქმედების ნაყოფია და იგი ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. ყოველივე აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ სოციალისტური მოძღვრება მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს, რის გამოც ის დაგმობილ უნდა იქნეს.

ამგვარად, ფიუსტელ დე კულანჟი და „რომანისტების" სკოლის სხვა წარმომადგენელნი წმინდა იდეალისტურ-რეაქციონურ თვალთახედვის საფუძველზე დგანან; ფიუსტელის აზრით, ფეოდალიზმი წარმოიშვა ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებათა დაშლის ნიადაგზე. მაშასადაძე, კაცობრიობის ისტორიაში ფეოდალალიზმი მხოლოდ

და მხოლოდ პოლიტიკურ (და არა ეკონომიურ!) მოვლენას წარმოადგენს.

ფიუსტელის მიხედვით, ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში ძველ გერმანელ ტომებს თითქოს არავითარი წვლილი არ შეუტანიათ, ვინაიდან მათ მაშინ არ გააჩნდათ ცენტრალური სამეფო ხელისუფლება. გარდა ამისა, ძველი გერმანელი ტომების ეკონომიკა თითქოს პრინციპულად არ განსხვავდებოდა რომაული ეკონომიკისაგან, რადგან გერმანელებშიაც არსებობდა კერძო საკუთრება ისევე, როგორც რომში. მისი აზრით, თუ რაიმე განსხვავება არსებობდა რომსა და გერმანელებს შორის, ეს მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათის მატარებელი იყო. ძველი გერმანელი ტომები რომაელებისაგან განსხვავდებოდნენ საერთო ჩამორჩენილობითა და ველურობით. ამგვარად, ფიუსტელი ცწვავედ ილაშქრებდა „გერმანისტების" სკოლისა და გერმანელ ნაციონალისტების წინააღმდეგ, რის გამოც გერმანელმა ისტორიკოსებმა ის რევანშის მომხრედ აღიარეს, მით უფრო, რომ პრუსიის ომში დამარცხების შემდეგ, საფრანგეთში რევანშიზმის იდეა დიდი ხნის განმავლობაში ფეხმოკიდებული იყო საფრანგეთის გაბატონებული კლასის ზოგიერთ ფენაში.

ფიუსტელ დე კულანჟი და მისი მიმდევრები დიდხანს აწარმოებდნენ მწვავე კამათს „გერმანისტული" სკოლის წინააღმდეგ საერთოდ, და კერძოდ, ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში. „რომანისტული" სკოლა ამ მიმდინარეობას სწორედ იმიტომ ეწოდებოდა, რომ „გერმანისტული" სკოლის საწინააღმდეგოდ, ფეოდალიზმის წარმოქმნას ის რომაული კულტურით ხსნიდა. თავის მოღვაწეობის უკანასკნელ ხანებში, ფიუსტელი იძულებული გახდა, რომ დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საფუძვლად რომაული და გერმანული ელემენტების „სინთეზი" ეღიარებინა, ოღონდ ისეთი „სინთეზი", რომელიც მიჩნეული იქნებოდა გამომდინარე ევოლუციური განვითარების პროცესებიდან.

„გერმანისტების სკოლა". როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, ისტორიკოსთა ის პლეადა, რომელიც ფეოდალიზმის გენეზისის საფუძვლად ძველი გერმანელი ტომების რომის იმპერიაში შემოჭრას აღიარებდა და რომელიც სთვლიდა, რომ ძველი გერმანელი ტომების თავისებური სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება გადაიქცა საფუძვლად ევროპაში ფეოდალიზმის დამყარებისათვის, შეადგენდა „გერმანისტების" სკოლას. ეს სკოლა საბოლოოდ XIX საუკუნის შუალედში გაფორმდა. ამ სკოლის ცნობილი წარმომადგენელნი იყვნენ: გრიმი, ეიხგორნი და მაურერი.

მიუხედავად ამ სკოლათა სხვადასხვაობისა, როგორც „რომანისტები“, ისე „გერმანისტები“ თავიანთ საქმიანობაში თითქმის ერთი და იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ. მეთოდოლოგიურ სფეროში ეს იყო ევოლუციური თეორია, ხოლო სოციალურში—შოვინისტური მოტივები. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა გათვალისწინებული განსვენებულ პროფ. გ. ნათაძეს. როცა ის წერდა: „ეს ორი მიმართულება (ლაპარაკია „რომანისტებზე“ და „გერმანისტებზე“) ყოველთვის მკაფიოდ და მკაცრად არ არის გამიჯნული, ზოგიერთი მათგანი ძირითადად ერთს ეკუთვნის და დეტალებში კი—მეორეს“ [1].

გერმანელ მკვლევართა შორის ეროვნული მოტივების გაძლიერება, რასაც მოჰყვა მათი შოვინიზმში გადაზრდა, ხდებოდა გერმანიის დაქუცმაცებული სამეფოების გაერთიანების პროცესთან პარალელურად ჯერ კიდევ ვენის კონგრესის გადაწყვეტილებათა შედეგად ჩატარდა გერმანიის ერთგვარი გაერთიანება, რის გამოც ნაცვლად 300 სამეფოსი, დარჩა—30. ამის შემდეგ გერმანიაში უფრო მეტად გაძლიერდა შოვინიზმისაკენ მისწრაფება. რაკი იმ დროისათვის გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ საფრანგეთი გამოდიოდა, ამიტომ გერმანიის ბურჟუაზიის ერთ-ერთი იდეოლოგიანი, იმ მიზნით, რომ საფრანგეთთან გერმანიას მთლიანად გაეწყვიტა კავშირი. დაჟინებით მოითხოვდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ხელოვნურად გაეშენებინათ გაუვალი ტყე. რომლშიაც გამრავლებული იქნებოდა საშინელი მხეცები.

როგორც ცნობილია, გერმანიის გაერთიანების საკითხში, მაშინ ერთი მეორეს ექიშპებოდნენ პრუსია და ავსტრია. ამისდა მიხედვით, გერმანიის ბურჟუაზიაშიც თავი იჩინა ორგვარმა დაჯგუფებამ: „დიდი გერმანიისა“ და „მცირე გერმანიის“ მომხრეებმა. 1848 წლის რევოლუციის წინ, ორივე ეს დაჯგუფება მეტად გააქტიურდა. გერმანელი ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები—ისტორიკოსების, ფილოლოგებისა და იურისტების სახით აწყობდნენ სხვადასხვა თათბირებსა და კრებებს.

ფრანკფურტში 1846 წელს, ხოლო ლუბეკში 1847 წელს იაკობ გრიმის მეთაურობით „გერმანისტებმა“ ყრილობა მოიწვიეს. არსებითად ეს იყო მზადება ფრანკფურტის პარლამენტისათვის, რომელიც თითქოს მიზნად ისახავდა გერმანიის გაერთიანებას და რომელშიაც მონაწილეობა მიიღო „გერმანისტების“ პროფესორობამ. ისიც ცნობილია, რომ ამ პარლამენტში ლაყბობის მეტი არაფერი

---

[1] უნივერსიტეტის „შრომები“, XXVI, სერია II, გვ. 160, გამოც. 1944 წ.

გაკეთებულა, რის გამოც ფრანკფურტის პარლამენტს ენგელსმა „დედაბრების ყრილობა“ უწოდა. ფრანკფურტის პარლამენტის დათხოვნის შემდეგ „გერმანისტებმა“ კვლავ განაგრძეს თავიანთი საქმიანობა.

გეორგ მაურერი. ასეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფონზე თავისი პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობით მალე ცნობილი გახდა გეორგ ლუდვიგ მაურერი (1790-1872). პასტორის შვილი, მაურერი, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სავინისა და გრიმის მიმდევართა შორის აღმოჩნდა. განათლებული იურისტი კარგა ხნის განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე იმყოფებოდა სასამართლოს ხაზით, ხოლო 1830 წელს ახლად წარმოქმნილმა საბერძნეთმა იგი თავის კონსტიტუციის შესადგენად მიიწვია. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო გახდა საბერძნეთის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. მაურერმა საბერძნეთზე დასწერა გამოკვლევანი, რომელიც გამოიცა 1835 წ. სამ ტომად.

1848 წლის რევოლუციის წინ მაურერი დაინიშნა ბავარიის პირველ მინისტრად, ხოლო რევოლუციის შემდეგ მან პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი მიანება და მთლიანად სამეცნიერო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. ამ ხაზით მის მიზანდასახულებას წარმოადგენდა—დაესაბუთებინა გერმანელების „თავისებურებანი“, რითაც თითქოს ისინი რადიკალურად განსხვავდებოდნენ სხვა ხალხებისაგან და ის, რომ ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში გერმანელთა მეშვეობით დაიწყო.

თავის მიზანდასახულობის გადაწყვეტისათვის მაურერმა დიდი რაოდენობით თავი მოუყარა ისტორიულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს, რომელთა საფუძვლიანი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დაწერა თავისი შრომები. გერმანული მარკის (თემის) წყობილებას, სოფელსა და ქალაქს მან მიუძღვნა თორმეტ ტომიანი გამოკვლევა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ეგრეთწოდებულ მარკის თეორიას.

ამ თეორიის მიხედვით ძველი გერმანელები „დამპყრობელი და მოხეტიალე“ ხალხები იყვნენ, რომლებმაც სხვებისაგან განსხვავებით, არ იცოდნენ კერძო საკუთრება; ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისას, ისინი სახლდებოდნენ გვარებისა და თემების მიხედვით. გვარებისა და თემების წევრთა შორის დაცული იყო ეკონომიური თანაბრობა ოჯახებზე მიწების ხელახალი და თანაბარი გადანაწილებით. ამის შედეგი იყო ის, რომ იმდროინდელ გერმანელებში არ ჰქონდა ადგილი სოციალურ დიფერენციაციას. მათში არ არსებობდა კლასები.

უფრო გვიან რომაელთა გავლენით მათში შემოიჭრა კერძო საკუთრება, გაჩნდნენ მსხვილი მიწათმფლობელნი, რომელთაც მოისურვეს თავისუფალი თემების დამორჩილება, „მაურერი ამბობდა, რომ გერმანული მარკა ანუ ჩვენებურად თემი, ოდესღაც სრულყოფილ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგში, დაწყებული ფრანკთა მონარქიის დაარსებიდან, მსხვილი მემამულეების განვითარების გავლენით, თავისუფალი მარკა თანდათან ისპობა. მსხვილმა მემამულეებმა ხელში ჩაიგდეს ჯერ ის ადგილმამული, რომელიც თემს არ ჰქონდა გამოყენებული, ხოლო შემდეგ თვით თემის ადგილმამულის დატაცებას მიჰყვეს ხელი და თემი დაიმორჩილეს. თემი არ მოსპობილა, მაგრამ მოისპო მისი თავისუფლება. იგი გადაიქცა მსხვილი მემამულის (განსაკუთრებით მეფეების, გრაფების და სხვ.) განკარგულების აღმასრულებელ ორგანოდ“ [1]. მიუხედავად ამისა, მაურერის აზრით, დიდი ხნით შემონარჩუნებულ ამ თემებს, მაინც შერჩათ ის მნიშვნელობა, რომ ისინი ასე თუ ისე იცავდნენ თავისი წევრების უფლებებს.

„მარკის თეორია“ მაურერს აგებული აქვს მთლიანად ევოლუციურ საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თითქოს ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში მხოლოდ თანდათანობითი განვითარების შედეგი იყო. მაურერი ისე, როგორც ფიუსტელ დე კულანჟიც, ილაშქრებდა საერთოდ რევოლუციების წინააღმდეგ და თემების მოსპობასა და მსხვილი ფეოდალური საკუთრების განვითარებას იგი ხსნიდა უმტკივნეულო, ბუნებრივი, ყოველივე ძალადობის გარეშე მყოფი პროცესით.

[მაურერის აზრით, ყველა სოციალური რევოლუცია გამოწვეულია ადამიანთა თავისუფლების აღკვეცითა და მათი დუხჭირი ცხოვრებით.] საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგანაც რევოლუციები ხშირი იყო იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში, გერმანიისაგან განსხვავებით დიდი ხნით არ შემორჩენილა თავისუფლებათა დამცველი ორგანიზაციები მარკისა და სხვათა სახით. რომ ადამიანებმა მომავალში თავიდან აიცდინონ რევოლუციები, ამისათვის საჭიროა, შუა საუკუნეების წესებისა და თემური ორგანიზაციის აღდგენა.

[ამგვარად, მაურერი რომანტიზმის წარმომადგენელი იყო და გარდა იმისა, რომ იგი იწონებდა შუა საუკუნეების ზნეჩვეულებებს, აღვიებდა ნაციონალიზმსაც, აწერდა რა გერმანელ ხალხს რაღაც ზებუნებრივ თვისებებს ფეოდალიზმის წარმოქმნის საქმეში] ამიტომ იყო, რომ ფაშისტური იდეოლოგიის წინამორბედნი

---

[1] უნივერსიტეტის „შრომები“ XXVI, სერია ბ, გვ. 160.

ალფონს დოფში და სხვ. ასე ხშირად მიმართავდნენ მაურერის „თეორიას“.

მარქსისტული შეხედულება ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში. მაურერმა „მარკის თეორიის“ შექმნით საკმაოდ მეცნიერულად დაასაბუთა გერმანელებში გვაროვნულ-თემური წყობილების არსებობა. ობიექტურად ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გერმანელთა გვაროვნული წყობილებისათვის უცხო იყო კერძო საკუთრება, კლასები და სახელმწიფოც კი, მაგრამ მისი მიზანდასახულება—ყველა ზემოთქმულით განესხვავებინა გერმანელები სხვა ხალხებისაგან და ფეოდალიზმის „გენეზისი“ მთლიანად აეხსნა მხოლოდ გერმანელების „ინიციატივით“, ვერ იქნა გადაწყვეტილი. „ევროპა—წერს ენგელსი—გაახალგაზრდაეა არა მათმა სპეციფიკურმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ უბრალოდ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წყობილებამ“ [1].

როგორც ენგელსი აღნიშნავს, გვაროვნული წყობილება სულაც არ იყო მარტო გერმანელების ეროვნული თავისებურება. მაურერის გამოკვლევებს მალე მოჰყვა ინგლისელი მკვლევარის ჰენრი სომნერ მენის (1822-1888) შრომათა გამოქვეყნება, სადაც თვალსაჩინოდ იყო დამტკიცებული გვაროვნული წყობილების არსებობა ინგლისში, უფრო სწორად—ბრიტანეთში და ინდოეთში. ცნობილმა მკვლევარმა ჰაქსტჰაუზენმა რუსეთში მოგზაურობის დროს (1843, 1844) აღმოაჩინა გვაროვნული თემის ნაშთი „Мир“, ხოლო სამხრეთის სლავებში ეგრეთწოდებული „Сербская задруга“.

მაქსიმე კოვალევსკიმ თავის შრომებში დაწვრილებით გადმოგვცა ამბიერკავკასიის ხალხების წარსული ყოფა-ცხოვრება და გაგვაცნო მათში ძველად არსებული გვაროვნული წყობილების არსი. ბოლოს ყველაფერი ეს დააგვირგვინა მორგანის (1818-1881) გამოკვლევებმა.

ყველაფერმა ამან უფრო მეტად გააძლიერა მარქსისტული თვალსაზრისი ადამიანთა განვითარების შესახებ. გვაროვნული წყობილების არსებობამ სხვადასხვა ხალხებში თვალსაჩინოდ დაადასტურა ის, რომ კერძო საკუთრება, კლასები, სახელმწიფო და სხვა სულაც არ წარმოადგენენ მარადიულ მოვლენას, როგორც ამას ამტკიცებდნენ (და დღესაც ცდილობენ დაამტკიცონ) ბურჟუაზიული აპოლოგეტები.

როცა მარქსისტული შეხედულება პირველყოფილ უკლასო საზოგადოების შესახებ უფრო განმტკიცდა მაურერის, კოვალევსკის, მორგანის, ინამა შტერნეგის და სხვათა გამოკვლევებით, უფრო

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 307.

მეტად გაძლიერდა მაურერისა და მის მსგავს მკვლევართა კრიტიკა, ახლა უკვე რეაქციონერ მკვლევარების მხრით. ჯერ კიდევ 1901 წელს ვიტიხმა გაიალაშქრა თემური წყობილების არსებობის წინააღმდეგ. ამას მოჰყვნენ: კარო, ზოლიგერი, ბელოვი და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარქსიზმის კლასიკოსები ამ ბურჟუაზიულ მეცნიერულ მემკვიდრეობასაც (ფიუსტელ დე კულანჟის, მაურერის, კოვალევსკის, მორგანის და სხვ. ნაშრომები) კრიტიკულად მიუდგნენ. ამ მეცნიერული მემკვიდრეობის კრიტიკულად გადამუშავების შემდეგ მარქსმა და ენგელსმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულება დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში. ნათთვის აშკარა გახდა, რომ ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა დასავლეთ ევროპაში თავის სათავეებს ღებულობს როგორც მონათმფლობელური საზოგადოებიდან, ისე გერმანელების, ~~სლავების და სხვა ხალხების~~ თემური წყობილებიდან. ორივე წყობილების ელემენტების სინთეზის შედეგია დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამყარო. მაგრამ პრინციპული განსხვავებით ფიუსტელ დე კულანჟის „სინთეზისაგან“ და მაურერის ევოლუციური თეორიისაგან, მარქსიზმი ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოქმნის ბებია ქალად სთვლის იმ გრანდიოზულ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდა რომის იმპერიაში.

უდიდესი რევოლუციური მოძრაობა გალიაში, რომელიც ცნობილია ბაგაუდების აჯანყების სახელწოდებით, მონებისა და კოლონების ფართო მოძრაობა ჩრდილოეთ აფრიკაში, რომელიც ცნობილია აგონისტიკოსების მოძრაობის სახელწოდებით, რომის იმპერიის ცალკე პროვინციათა გამათავისუფლებელი მოძრაობანი და ბოლოს ბარბაროსთა ტომების მასობრივი შემოჭრა რომის იმპერიის საზღვრებში,—აი, ყველაფერი ის, რამაც ბოლო მოუღო მონათმფლობელობას და გაუკაფა გზა ფეოდალიზმის წარმოქმნას.

კერძოდ, გერმანელების გვაროვნული წყობილების—ბარბაროსობის როლის შესახებ მონათმფლობელობის ახალი ურთიერთობით შეცვლის საქმეში, ენგელსი წერდა: „ყოველივე ის, რაც გერმანელებმა რომაელთა სამყაროს ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი დაამყნეს,—ეს იყო ბარბაროსობა. ნართლაც, მხოლოდ ბარბაროსებს შესწევდათ უნარი, რომ დაღუპვისაკენ დაქანებული ცივილიზაციის მიხრწნილი ქვეყნიერება გაეახალგაზრდავებინათ. და ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური, რომელსაც გერმანელებმა მიაღწიეს და რომელზედაც ისინი ავიდნენ ხალხთა გადასახლების წინ, სწორედ

რომ ყველაზე ხელსაყრელი იყო ამ პროცესისათვის. აქით აიხსნება ყველაფერი“ [1].

მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ ბარბაროსობის როლის შესახებ, ახალ – ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის საქმეში ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბარბაროსთა ტომები სავსებით გარეგან ძალას როდი წარმოადგენდნენ იმპერიისათვის. ჩვენ ქვემოთ ნათლად დავინახავთ იმას, რომ დიდი ხნით ადრე მათმა შემოკრამ იმპერიის საზღვრებს შიგნით ისინი დიადი გარდაქმნების შინაგან ძალად აქცია.

როგორც ენგელსი აღნიშნავდა, ხალხთა დიდი გადასახლების წინ, ძველმა გერმანელმა ტომებმა მიაღწიეს ბარბაროსობის განვითარების უმაღლეს საფეხურს. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ გვაროვნული წყობილება მათში უკვე ირღვეოდა და მის ნაცვლად კლასობრივი საზოგადოება უნდა შექმნილიყო. მაგრამ როგორი იქნებოდა ეს კლასობრივი საზოგადოება მონათმფლობელური თუ ფეოდალური? სხვა პირობებში შეიძლება იგი მონათმფლობელური ყოფილიყო, ხოლო რადგან გერმანელების გვაროვნული წყობილების რღვევა დაემთხვა მონათმფლობელური საზოგადოების მოსპობის პროცესს და ბარბაროსთა საერთო მოძრაობა გადაენასკვა რომის იმპერიაში მონებისა და კოლონების აჯანყებას, ამიტომ გერმანელმა ტომებმა გამოტოვეს განვითარების მონათმფლობელური საფეხური და „საერთო ფერხულში“ აღმოჩნდნენ ფეოდალიზმის გენეზისის წამომწყებად.

ამგვარად, ვიმეორებთ, რომ ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა დასავლეთ ევროპაში თავის საწყისებს ღებულობს, ერთი მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის პროცესებიდან და მეორე მხრივ ძველ გერმანელთა ტომების გვაროვნული წყობილების ვითარებიდან. ყოველივე ამის გამო, საჭიროა რომ ჩვენც ცალ-ცალკე განვიხილოთ ამ ორი საფუძვლის ისტორიული ბედ-იღბალი. საკითხის შესწავლა უნდა დავიწყოთ რომის იმპერიის უკანასკნელი პერიოდის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებიდან, რადგან მაშინ ხდებოდა ფეოდალური ელემენტების ჩასახვა მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 368.

თავი III

მონათმფლობელური საზოგადოების რღვევა და ფეოდალური ელემენტების ჩასახვა მის წიაღში

ლატიფუნდიალური მეურნეობა. რომის ექსპანსია, რომელიც იტალიის ტერიტორიაზე დაიწყო, მალე გავრცელდა მთელი აპენინის ნახევარკუნძულზე და შემდეგ მოედვა მეზობელ მხარეებსაც. ამ განუწყვეტელმა ექსპანსიამ თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალს პირველი საუკუნის (ჩვენს ერამდე) შუალედში მიაღწია. აღნიშნულ დროისათვის რომს დაპყრობილი ჰქონდა: იტალია. გალია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგვიპტე და საერთოდ ახლო აღმოსავლეთი მთლიანად. ჩრდილო აფრიკა, ესპანეთი და სხვა.

რა თქმა უნდა, რომის მიერ დაპყრობილი პროვინციები, ეკონომიური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით ერთ საფეხურზე არ იმყოფებოდა. ბევრი მათგანი ამ მხრივ რომზე მაღლა იდგა და ამიტომ დამპყრობლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მათ შინაგან ყოფა-ცხოვრებაში უშუალო ჩარევისათვის. რადგან რომს გადაწყვეტილი ჰქონდა პროვინციებიდან, რაც შეიძლებოდა მეტი სიმდიდრის ამოქაჩვა, ამიტომ დაპყრობილ ქვეყნებს იგი აწერდა მძიმე ხარკებს და უამრავ გადასახადებს.

პროვინციებიდან სიმდიდრის უფრო სწრაფად ამოქაჩვის მიზნით რომის სახელმწიფო აპარატი წინასწარ ახდენდა ამ ქვეყნებიდან ხარკებისა და გადასახადების აკრეფის უფლებათა გაყიდვას. ამ უფლებათა შესყიდვის მიზნით იქმნებოდა სპეციალური ორგანიზაციები, რომელნიც ისტორიოგრაფიაში ცნობილნი გახდნენ „პუბლიკანების კომპანიების“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციებში მონაწილეობდნენ მხოლოდ „მხედრები“. მონათმფლობელური საზოგა-

დოების ერთ პრივილეგიურ ფენას „მხედრებს“ უწოდებდნენ. უძველეს ხანაში მხედრებს მიაკუთვნებდნენ იმ პირებს, რომელთაც უმაღლესი ცენზი გააჩნდათ (100000 „ასი“) და 18 ცენტურიაში გაერთიანებულნი შეადგენდნენ ცხენოსანთა რაზმებს. მონათმფლობელობის განვითარებასთან ერთად ისინი ჩამოყალიბდნენ ცალკე სოციალურ ფენად—წოდებად. შემდეგში ეკონომიურ და პოლიტიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით გადაიქცნენ ვაჭარ-მევახშე არისტოკრატიად. მხედრები უმოწყალოდ ახდენდნენ დაპყრობილი მოსახლეობის ძარცვას. გადასახადებისა და ხარკების აკრეფის საქმეში სახელმწიფოს მხრით არ არსებობდა არავითარი კონტროლი, რის გამოც „მხედრები“ ერთი ათად ინაზღაურებდნენ მათ მიერ რომის სახელმწიფოსადმი წინასწარ გაღებულ თანხებს.

პროვინციების გაღატაკებულ მოსახლეობას, რომელსაც აღარ ძალუძდა გადასახადების გაღება, პუბლიკანელები მონებად აქცევდნენ და მიერეკებოდნენ ბაზრებზე გასასყიდად. თუ რამდენად დიდი რაოდენობა მონებისა იყიდებოდა მაშინ რომის იმპერიის ბაზრებზე, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მარტო კუნძულ დელოსის ბაზრებზე ყოველწლიურად გასაყიდად გაჰყავდათ არა ნაკლებ 10.000 მონისა.

რომის იმპერიაში მონური შრომის ფართო გამოყენება, რასაკვირველია, შეუძლებელი გახდებოდა, თუ შიგნით არ ექნებოდა მას სათანადო ეკონომიური პირობები. ამ პირობათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ადგილს მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობა იკავებდა, რომელიც რომის ექსპანსიასთან ერთად იწყებდა გაბატონებას მთელს იტალიაში.

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ მოკლედ შევჩერდებით იმ ძირითადი მიზეზების განმარტებაზე, რომელთაც ხელი შეუწყვეს იტალიაში მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება, რომ რომაელთა გაუთავებელი ომები იწვევდნენ იტალიის უშუალო მწარმოებელთა (გლეხობის) მოწყვეტას სოფლის მეურნეობისაგან. რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, სულ უფრო და უფრო თავს იჩენდა გლეხურ წვრილ მეურნეობაში მუშახელის სიმცირე. დადასტურებულია, რომ იტალიაში ცოცხალი სამუშაო ძალის შემცირებამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო მეორე პუნიკური ომის შედეგად.

მუშახელის უდიდეს შემცირებასთან დაკავშირებით იტალიის წვრილი გლეხური მეურნეობა დარჩა მოხუცების, ქალების და ბავშვების ანაბარად. ბუნებრივია, რომ ასეთი ძალის გამოყენებას მეურნეობაში არ შეეძლო ეფექტური შედეგის გამოღება. მიწა სულ

უფრო და უფრო იფიტებოდა და იტალიის წვრილი გლეხური მეურნეობა დეგრადაციის გზას ადგა. რადგან მეურნეობა საკმაო შემოსავალს აღარ იძლეოდა, ამიტომ იტალიაში აქა-იქ დარჩენილი მუშახელის ჯანსაღი ნაწილიც სტოვებდა სოფელს და მიეშურებოდა იტალიის ქალაქებში, სადაც ავსებდა ლუმპენპროლეტარიატის რიგებს.

ყველაფერ ამას ემატებოდა ისიც, რომ პროვინციებიდან და პირველ რიგში კი, ეგვიპტიდან, დამპყრობლებს იტალიაში შემოჰქონდათ უამრავი ხორბალი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია. რაც მუქთად ხელში ჩაგდებული, ძალიან დაბალ ფასებში იყიდებოდა ბაზრებზე. ასე დაიწყო ის სასტიკი კონკურენცია, რომელიც გაიმართა შემოზიდულ პროდუქციასა და იტალიის ნაწარმს შორის.

იტალიის წვრილი გლეხური მეურნეობის წინაშე დადგა დილემა: ან უნდა მომხდარიყო გლეხური მეურნეობის ინტენსიურ მეურნეობად გარდაქმნა, რასთანაც აუცილებლად დაკავშირებული იყო დამატებითი სახსრების დაბანდება მეურნეობაში, ან არა და ეს წვრილი გლეხური მეურნეობა უნდა განადგურებულიყო. იტალიის გლეხობის ეკონომიური გაჭირვების გამო პირველი ყოვლად შეუძლებელი გახდა. გლეხობამ იწყო თავისი მეურნეობის მოშლა და მიწების გაყიდვა მსხვილ მიწათმფლობელებზე.

შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა უფრო მეტად გაუკაფეს გზა მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდას იტალიაში. მაგრამ მსხვილი მიწათმფლობელები მიწების კონცენტრაციას აბდენდნენ არა მარტო გლეხების მიწების შესყიდვით იაფ ფასებში, არამედ უშუალო იალდატანების გამოყენებითაც. ამგვარად, ერთ და იმავე დროს ვითარდებოდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესი: ერთი მხრივ ნადგურდებოდა წვრილი გლეხური მეურნეობა, ხოლო მეორე მხრივ იქმნებოდა მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობა.

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდამ იტალიაში, მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს ერამდე, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამ დროისათვის იტალიის გლეხობის პაუპერიზაციამ წარმოქმნა მიწათმფლობელური სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საშიშროება. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ტიბერიუს გრაკხის (163-132) და გაიუს გრაკხის (153-121) მიწის რეფორმები, რომელთაც მოკლე ხნით შეაჩერეს იტალიაში მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა. მაგრამ გრაკხების საბოლოო დამარცხებამ მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა კვლავ წინ წასწია.

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობა თავდაპირველად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან ეს მსხვილი მეურნეობა ნიადაგის უკეთ დამუშავების მეტი შესაძლებლობის შემცველი იყო და გარდა ამისა, მასში ხდებოდა მონების შრომის კოოპერირება. მარქსი მიუთითებდა, რომ ჯერ კიდევ შრომის უბრალო კოოპერაცია შეიცავს დიდ ეკონომიურ სარგებლიანობას და მთელ რიგ უპირატესობებს: 1. უშუალო მწარმოებელთა გაერთიანების შემთხვევაში მათი ინდივიდუალური უნარი გაწონასწორდება, 2. მათი ურთიერთ კონტაქტი იწვევს შეჯიბრებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასაც, 3. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება ახალი წარმოებითი ძალა, რომელიც თავისი არსით არის მასობრივი წარმოებითი ძალა, 4. ხდება სამუშაო ძალის ეკონომია და ამასთან წარმოების ვადა იკვეცება, 5. შრომის სივრცეული სფერო ფართოვდება, რაც აუცილებელია რიგ შრომატევად სამუშაოთა შესრულების დროს, 6. უზრუნველყოფილი ხდება შესაძლებლობა იმისა, რომ უფრო ვიწრო ფართობზე ამოქმედდეს შრომის დიდი მასა და ასე შემდეგ...

მონების დიდი ნაწილი თავიდანვე ჩაება ლატიფუნდიალურ მეურნეობაში. რაც დრო გადიოდა, მონური შრომა დევნიდა თავისუფალ შრომას წარმოების მთელ რიგ სხვა დარგებიდანაც. იგი გავრცელდა სამთომადნო წარმოებაში, ტრანსპორტზე და სხვ. ამ მხრივ საქმე იქამდეც მივიდა, რომ საოჯახო მეურნეობაშიაც მონობა ფართოდ იქნა გამოყენებული. ზოგიერთ მონათმფლობელის ოჯახში პირველი საუკუნისათვის ჩვენს ერამდე ხელზე მოსამსახურედ რამდენიმე ასეული მონა მუშაობდა.

მაგრამ თუ მონური შრომა და მასზე დამყარებული ლატიფუნდიალური მეურნეობა თავდაპირველად პროგრესული იყო, თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე, შეცვლილ ისტორიულ პირობებში, იგი რეგრესულ მოვლენად ხდებოდა. რაც ხანი გადიოდა, მონური შრომა წინააღმდეგობაში ექცეოდა შექმნილ ახალ ვითარებასთან. ვინაიდან მონა, თავისი მდგომარეობის გამო არ იყო დაინტერესებული წარმოებითი ძალების შემდგომი განვითარებით, ამიტომ იგი აღარ ცდილობდა თავისი შრომა უფრო მეტად ნაყოფიერი გაეხადა.

მონათმფლობელები წარმოების ყველა დარგში მაქსიმალურად ცდილობდნენ ექსპლუატაციის ნორმა გაეზარდათ. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და რომაელი მწერალი კატონი (234-149) თავის შრომაში — „მიწათმოქმედება“ ურჩევდა მონათმფლობელებს მაქსიმალურად ემუშავებინათ მონები ახალგაზრდა ასაკში და არ მორი-

ებოდნენ მონის საშუალო სიცოცხლის სწრაფად შემცირებას. კატონი ამ შემთხვევაში გამოდიოდა იმ თვალსაზრისიდან, რომ ცოცხალი სამუშაო ძალა ახალგაზრდობის პერიოდში უფრო ნაყოფიერი იყო.

მონური შრომის უმოწყალო ექსპლუატაციამ ხელი შეუწყო მონების მოძრაობის ზრდას თითქმის მთელს იმპერიაში. მონების აჯანყებებმა მოიცვეს იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები. სირიელი მონა ევნოსის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა ქ. ენაში 137 წელს, რომელმაც 132 წლამდე გასტანა (ჩვენ წელთაღრიცხვამდე). ამავე ხანებში კლემონის ხელმძღვანელობით აჯანყებამ მოიცვა კუნძულ სიცილიის დანარჩენი ნაწილიც, რომელიც რომის იმპერიის სისტემაში, თავისი ეკონომიური მნიშვნელობით მოწინავე ადგილს იკავებდა. 101 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე სიცილიაში კიდევ მოხდა მონების მეორე გრანდიოზული აჯანყება სალვიუსისა და ათენეონის ხელმძღვანელობით და ბოლოს, როგორც ცნობილია, მონათმფლობელური სამყარო მძლავრად შეარყია 74 წელს სპარტაკის აჯანყებამ მაგრამ რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ამ აჯანყებებმა ვერ შესძლეს შეცვლა არსებული მონათმფლობელური საწარმოო ურთიერთობისა ახალი საზოგადოებრივი წყობილებით.

რადგან შეიარაღებული ბრძოლით მონებმა ვერ მიაღწიეს თავის განთავისუფლებას, ამიტომ მათ შესცვალეს ბრძოლის ფორმები. მათ აგრძნობინეს მონათმფლობელურ სამყაროს, რომ ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ „მოლაპარაკე იარაღს“ და იწყეს იმ სამუშაო იარაღების განადგურება, რომლითაც ისინი წარმოებაში ჰქმნიდნენ საარსებო დოვლათს. ეს იყო თავისებური „ლუდიტური“ მოძრაობა, ოღონდ სხვა დროს ჩატარებული და მოქცეული სრულებით სხვა ისტორიულ პირობებში, ვიდრე მას ადგილი ჰქონდა ინგლისში 1811-1813 წლებში. მონების ამგვარმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მონათმფლობელური წარმოების წესს არა მარტო საწარმოო საშუალებათა პირდაპირი განადგურებით, არამედ იმითაც, რომ მან აიძულა მონათმფლობელების გაბატონებული კლასი ამის საპასუხოდ უფრო რეაქციონური ღონისძიებების მიღებაზე გადასულიყო. წარმოების მეპატრონეებმა შედარებით ნაზი საწარმოო საშუალებანი შესცვალეს უფრო ტლანქი და უხეში სამუშაო იარაღებით. ახლა ასწლიან მუხისაგან გაკეთებულ სახნისებს, მონები ადვილად ვეღარ დაამსხვრევდნენ და თუ ეს მაინც მოხდებოდა, იარაღების მეპატრონე დიდად არ დაზარალდებოდა,

რადგან მუხა თავისთავად იაფი იყო და ყოველთვის შეიძლებოდა განადგურებულ სამუშაო იარაღის ხელახლად აღდგენა.

მაგრამ ტლანქი და უხეში სამუშაო იარაღის წარმოებაში გამოყენება აღარ იძლეოდა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდას. ასეთ პირობებში მონური შრომა ვეღარ ახდენდა წარმოების ხარჯების ანაზღაურებას. ცნობილი რომაელი მწერალი და აგრონომი კოლუმელა თავის შრომაში „სოფლის ძეურნეობის შესახებ" (De re rustica)[1] ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მონებს უდიდესი ზიანი მოაქვთ სოფლის მეურნეობაში"-ო.

ამგვარად, „ანტიურმა მონობამ თავისი თავი ამოსწურა. არც მსხვილი მეურნეობა სოფლად, არც მანუფაქტურა ქალაქში აღარ არაზღაურებდა დახარჯულ შრომასა და თანხებს, მათი ნაწარმოები აღარ საღდებოდა"[2]. თავის მხრივ, ჯერ კიდევ პლინიუსი შრომაში—„ბუნებრივი ისტორია", იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ლატიფუნდიებმა დაღუპეს იტალია და პროვინციები"-ო.

ლატიფუნდიალური მეურნეობიდან კოლონატზე გადასვლა. საჭირო იყო შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა—მონური შრომის ისეთნაირად გამოყენება, როცა ნაკლები რაოდენობით მონების გამოყენება შესაძლებელს გახდიდა უფრო ფართო წამოწყების გაძღოლას. მთელ რიგ შემთხვევებში ლატიფუნდიების პატრონებმა, ნაკლები სამუშაო ძალის გამოყენების ძიზნით, თავიანთი ლატიფუნდიები საძოვარ მინდვრებად გადააქციეს და მიჰყვეს ხელი მესაქონლეობას. მაგრამ, რაკი ამ ღონისძიებამაც საქმე საბოლოოდ ვერ გამოასწორა, ამიტომ დაწყებული მეორე საუკუნიდან (ჩვენი წელთაღრიცხვით) ლატიფუნდიების უმრავლესობა „პარცელებად" იქნა დანაწილებული. ეს პარცელები დროებითი იჯარით (ხუთი წლის ვადით) გაიცემოდა დასამუშავებლად „განთავისუფლებულ" მონებზე და სევა უშუალო მწარმოებლებზე. მეურნეობის ეს ახალი დამუშავების წესი ეგრეთ წოდებულ კოლონატურ სისტემას წარმოადგენდა, ხოლო მეურნეობის ამ სისტემაში ჩაბმულ უშუალო მწარმოებელს კოლონი ეწოდებოდა.

მეურნეობის კოლონატურ სისტემას ის უპირატესობა ენიჭებოდა, რომ უშუალო მწარმოებელი—კოლონი შედარებით მონასთან, რომელიც მთლიანად მოკლებული იყო წარმოებით საშუალებებს და თვითონ იყო გადაქცეული მონათმფლობელის სრულ საკუთრებად—უფრო მეტად იყო დაინტერესებული შრომის ნაყოფიერებით.

---

[1] იგი პირველად გამოიცა ვენეციაში 1472 წ. სათაურით—„Bei rusticae".

[2] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 152, გამოც. 1938 წ.

კოლონს გააჩნდა თავისთვის წარმოებითი საშუალებანი (გარდა მიწისა), მას ჰქონდა ოჯახის შექმნის უფლება და ბოლოს—მას გააჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ ემუშავნა მეურნეობის, ან წარმოების იმ დარგში, რომელშიც იგი უფრო მეტ სარგებლობას დაინახავდა (იხ. „Вестник истории мировой культуры", 1957 г., т. 2, стр. 129).

ამგვარად, მეორე საუკუნეში ფართოდ წარმოებდა მონების ექსპლუატაციის ფორმების შეცვლა. მონათმფლობელი მონას აძლევდა „თავისუფლებას"—სადაც სურდა წასულიყო და იქ ემუშავნა, ოღონდ იმ პირობით, რომ მონა თავისი წლიური შემოსავლიდან გარკვეულ წილს გაიღებდა თავისი პატრონის სასარგებლოდ. ყველაფერ ამის შედეგად მონების დიდი ნაწილი კოლონებად გადაიქცა, ხოლო სხვა „განთავისუფლებული" მონები ავსებდნენ მასწავლებელთა, ექიმთა და სხვა „თავისუფალ პროფესიათა" რიგებს. მეორე საუკუნეში ქ. რომის ეს სპეციალობანი უმთავრესად მონათა ხელში იმყოფებოდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიწა კოლონებს იჯარით ეძლეოდათ ხუთი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე თავისუფლად ითვლებოდა. კოლონს შეეძლო ახალი ხელშეკრულება დაედო მიწათმფლობელთან და დარჩენილიყო ძველ ადგილზე, ან არა და სხვაგან წასულიყო ახალი ხელშეკრულების დასადებად, რადგან მეორე საუკუნისათვის რომის იმპერიაში უკვე მწვავედ შეიგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, პოლიტიკურად შესუსტებული რომი იძულებული გახდა „კაცთმოყვარეობა" გამოეცხადებინა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომი შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა, მდინარე რაინიდან დუნაიმდე რომაელებმა გააშენეს სიმაგრეთა ხაზი, რომელსაც „Himes Romanus"-ი ეწოდებოდა. რომაელების მხრივ ექსპანსიური პოლიტიკის შენელებას მოჰყვა შედეგად ის, რომ ტყვეთა დიდი რაოდენობა მათ აღარ უვარდებოდათ ხელში და, მაშასადამე, მონათა რაოდენობამაც საგრძნობლად იკლო. ამიტომ მემამულეები ერთგვარად ხელს უწყობდნენ თავიანთ მიწებზე ახლად დასახლებულ კოლონებს მეურნეობის მოწყობის საქმეში. ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ კოლონი სხვაგან არ წასულიყო და მიწა დაუმუშავებელი არ დარჩენილიყო.

მემამულეთათვის, მუშახელის მიწაზე მიმაგრების მიზნით უფრო სანდო საშუალებას უშუალო მწარმოებელთა დაკაბალება წარმოადგენდა. მოუსავლიან წლებში მემამულენი სესხად აძლევდნენ კო-

ლონებს სათესლე მასალას, პირუტყვს, საკვებს და ასე შემდეგ. იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ, თუ კოლონს ვალი არ ექნებოდა გადახდილი, მას უფლება არ ჰქონდა მისთვის მიცემულ მიწის ნაკვეთზე უარი ეთქვა და სხვაგან წასულიყო ახალი მიწის ნაკვეთის მისაღებად. მემამულეთა ასეთი ღონისძიება ერთხანს მართლაც ეფექტური აღმოჩნდა მუშახელის შემონარჩუნების საქმეში, მაგრამ ის მაინც საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მომხდარიყო კოლონების მასობრივი მიმაგრება მიწაზე. ასეთ შემთხვევაში საჭირო [illegible] [illegible]ებული კლასის ისეთი მძლავრი იარაღის გამოყენება, როგორც იყო სახელმწიფოებრივი აპარატი. მონათმფლობელური კლასის ინტერესების გათვალისწინებით, უკვე 332 წელს იმპერატორმა კონსტანტინე პირველმა გამოსცა კანონი, რომლითაც კოლონები მიწაზე მიმაგრებულად იყვნენ აღიარებულნი.

ამ კანონის მიხედვით ყველა გაქცეული კოლონი უნდა მოენახათ და უკან უნდა დაებრუნებინათ ძველ ადგილსამყოფოში სამუშაოდ. ამასთან გაქცეული კოლონი სასტიკად უნდა დასჯილიყო, რომ კანონს უფრო მეტი ეფექტურობა მინიჭებოდა; გამოცხადებული იყო აგრეთვე თავისებური სასჯელის დადება იმ მონათმფლობელზეც, რომელიც გაქცეულ (სხვის) კოლონს შეიხიზნებდა და თავის მიწას გადასცემდა დასამუშავებლად.

აღნიშნული კანონი მხოლოდ დასაწყისი იყო კოლონების მიწაზე მიმაგრების საკითხში, რომელიც უფრო განმტკიცდა 371 წელს გამოცემულ საიმპერატორო ბრძანებულებით. ამ ბრძანებულების მიხედვით რომის იმპერიაში ამიერიდან მიწების ყიდვა-გაყიდვა და საერთოდ გასხვისება არ უნდა მომხდარიყო მათზე დასახლებულ კოლონების გარეშე. უფრო მეტიც, ამ ბრძანებულებით არა მარტო კოლონები ცხადდებოდნენ მიწაზე მიმაგრებულად, არამედ მათი შთამომავალნიც.

ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, რომ მიწაზე მიმაგრებულთაგან წარმოშობილი შთამომაელობა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი მედეგი იქნებოდა კოლონის თავისუფალ პირთან შეუღლებისა, უნდა გაჰხდარიყო მიწაზე მიმაგრებული. ბრძანებულებაში გათვალისწინებული იყო ისიც—თუ კოლონის ოჯახში ასლად დაბადებულ ბავშვს სხვაგან წაიყვანდნენ და იქ ის 40 წელიწადს დაჰყოფდა, მაინც უნდა დაებრუნებინათ ძველ ადგილას როგორც კოლონი.

ამგვარად, ოდესღაც თავისუფლად მყოფი კოლონები, ახლა საბოლოოდ მიმაგრებულნი აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი აღარ წარმოადგენდნენ მონებს, ვინაიდან მათ მკვლელობაზე ერთ-

ვარი პასუხისმგებლობა მყარდებოდა და გარდა ამისა, მონისაგან განსხვავებით, კოლონს თავისი ოჯახი და მეურნეობა გააჩნდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, კოლონი არც თავისუფალი მწარმოებელი იყო. „აქ რომის მსოფლიო გამოუვალ ჩიხში[1] მოექცა: მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა, თავისუფალი ადამიანების შრომა ზნეობრივად უარყოფილი იყო. პირველს ამიერიდან აღარ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი ფორმა დარჩენილიყო, მეორეს ჯერ არ შეეძლო ასეთი ფორმა გამხდარიყო. აქ მხოლოდ ყოველმხრივს რევოლუციას შეეძლო საქმის შველა“[2].

თავისთავად იბადება კითხვა—თუ კოლონი მონა არ იყო და არც თავისუფალ მწარმოებელს არ წარმოადგენდა, მაშინ რომელ სოციალურ ფენას უნდა მივაკუთვნოთ ის? ენგელსი ამ კითხვას შემდეგით უპასუხებს—კოლონობა იყო გარდამავალი საფეხური მონობიდან ყმობისაკენ; და მართლაც, რამდენადაც ცნობილია, ფეოდალური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა წარმომადგენლის—ყმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი მიმაგრებულია მიწაზე. მართალია, კოლონის მთლიანი გაიგივება შუა საუკუნეების ყმასთან არ იქნება სწორი, მაგრამ კოლონის სახით მოცემულია მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში ფეოდალური ელემენტების ჩასახვა და, ამიტომაა კოლონობა მონობიდან ყმობისაკენ გარდამავალი.

ეკონომიური კრიზისი. ფეოდალიზმის ელემენტების ჩასახვა მონათმფლობელობის წიაღში სხვა მიმართულებებითაც ხდებოდა. ამაზე დეტალურად უფრო ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მეურნეობის კოლონატურ სისტემაზე გადაყვანამ, თუმცა დროებით შეაჩერა რომის ეკონომიკის დეგრადაცია, მაგრამ მესამე საუკუნეში რომში დაიწყო საყოველთაო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო და დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა.

სხვათა შორის, ტეადელფიის პაპირუსებიც იტყობინებიან, რომ ეგვიპტეში მოიშალა ირიგაცია, მოუსავლიანი წლების რაოდენობამ იმატა, გაცარიელდა და გაპარტახდა ცალკეული მეურნეობანი, ეგვიპტის მოსახლეობა შემცირდა. თანახმად ამ ცნობებისა, ეკონო-

---

[1] საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის უნდა ყოფილიყო გავრცელებული შემდეგი ლათინური გამოთქმა: circulus vitiosus (ციოკულუს ვიციოხუს), რაც ნიშნავს ჯადოქრულ გამოუვალ წრეს.

[2] ფ ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 152.

მიურმა კრიზისმა ეგვიპტეში მეექვსე საუკუნემდე გასტანა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს მეტ-ნაკლები სიმძაფრით[1].

ვაჭრობა და საერთოდ აღებ-მიცემა რომის იმპერიაში ადრეევე ადგა დაქვეითების გზას. მართალია, მეორე საუკუნეში რომი ჯერ კიდევ აწარმოებდა გაცხოველებულ ვაჭრობას სხვადასხვა ქვეყნებთან (რომაელმა ვაჭრებმა მიაღწიეს ინდოეთს, ხოლო 180 წელს ჩინეთის სამხრეთ ნაწილებშიაც შევიდნენ), მაგრამ ეს ვაჭრობა მეტწილად პასიური ბალანსით ვითარდებოდა. რომიდან გატანილი საქონლის ღირებულება გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონლისა.

ასეთი პასიური ბალანსით, ვაჭრობას შედეგად მოჰყვა ის, რომ რომიდან თანდათან გაიზიდა ოქრო-ვერცხლის მარაგი. რომის იმპერიაში საგრძნობლად შემცირდა ფულის ნიშანი. ბუნებრივია, რომ საქონლის ბრუნვის საშუალების შესუსტებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო ვაჭრობის შეფერხებაც. საქმის გართულების თავიდან აცილების მიზნით რომის იმპერატორებმა უკანასკნელ ღონისძიებასაც კი მიმართეს სამეფო საჭურჭლიდან გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა ჭურჭლეულობა, ადნობდნენ მას და სჭრიდნენ ფულის ნიშნებს. როცა ამ ღონისძიებამ ვერ გამოიღო სათანადო შედეგი, მაშინ იმპერატორებმა მიმართეს ფულის ნიშნის გაყალბებას.

ეს გარემოება უარყოფითი და მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების ზოგიერთი ფენებისათვის და, განსაკუთრებით კი, ფულის მჭრელთათვის (Монетарии). ამ ფენების უკმაყოფილებას მესამე საუკუნის 70-იან წლების ნახევარში მოჰყვა მძლავრი აჯანყება რომში. თუ რამდენად საშიში იყო ეს აჯანყება არსებული ხელისუფლებისათვის, ჩანს იქიდან, რომ მთავრობა იძულებული გახდა მის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა გამოეყენებინა და რაც მთავარია, აჯანყებულებთან ბრძოლის დროს მოკლული იქნა შვიდი ათასამდე ჯარისკაცი.

რომის იმპერიაში ვაჭრობისა და აღებ-მიცემის საქმე თანდათან უარესდებოდა. ამ გარემოების ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ეკონომიური კრიზისი იყო, მაგრამ ვაჭრობის შეფერხების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოებასაც, რომ იმპერიის დასავლეთ ნაწილში ძალიან გახშირდა ბარბაროსთა ტომების თავდასხმები და ბრძოლები. სავაჭრო ქარავნებზე თავდასხმების გახშირება, ვაჭრების ამოხოცვა და სხვა დიდად აფერხებდა აღებ-მიცემობის საქმიანობას.

---

[1] იხ. „Вестник древней истории", ტ. 1, გვ. 3, გამოც. 1953 წ.

ვაჭრობის დაქვეითებისა და ფულის ნიშნების უაღრესად შემცირების გამო შეუძლებელი გახდა ფულადი რენტის არსებობა. სხვადასხვა გადასახადების აკრეფას, ხელფასების გაცემას და სხვ. ახლა მთავრობა ახდენდა ნატურის სახით. რომის ბიუროკრატიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის თანამშრომელთა ხელფასის ანაზღაურებისათვის საჭირო იყო პროდუქტების უდიდესი მარაგის შენოზიდვა. ამიერიდან ქალაქი რომი გადაიქცა მსოფლიოში უდიდეს საწყობად.

ასე გაბატონდა რომის იმპერიაში ნატურალური, თავისებურად კარჩაკეტილი მეურნეობა, რაც მომავალი ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ნატურალური მეურნეობის გაბატონება ხელს უწყობდა ფეოდალური ელემენტების ჩასაბუდავად და მათ შემდგომ განვითარებას დრომოჭმული მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში.

ეკონომიური კრიზისის გაძლიერება მთელი თავისი სიმძიმით, პირველყოველისა მშრომელ მოსახლეობას აწვებოდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ველარ ახერხებდა გაზრდილი გადასახადების გაღებას. ფინანსიურ კრიზისთან დაკავშირებით მთავრობა ცდილობდა მოხელეთა რიცხვის შემცირებას. გადასახადების აკრეფა მოსახლეობაში კურიალებს დაეკალათ. ირკვეოდა, რომ გადასახადების სრულად აკრეფა მოსახლეობიდან სულ უფრო და უფრო დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა მოსახლეობის მხრით. იმპერატორ დიოკლეტიანეს ბრძანებულებათა მიხედვით, იმ კურიალს, რომელიც ვერ მოახერხებდა მისთვის საფისკოდ განკუთვნილ მოსახლეობიდან გადასახადების სრულიად აკრეფას, თავისი ქონებიდან უნდა შეევსო დანაკლისი.

გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში კურიალობა აღარ იქნებოდა ხელსაყრელი და, მართლაც, ბევრი კურიალთაგანი ცდილობდა, რომ ის შემდეგში კურიალად აღარ აერჩიათ. იყო შემთხვევები, როდესაც კურიალები სავსებით თავს ანებებდნენ ქალაქებს და სხვაგან გადადიოდნენ საცხოვრებლად. იმპერატორმა არკადიმ, ზემოხსენებულთან დაკავშირებით 396 წელს გასცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც კურიალობა მუდმივ წოდებად იქცეოდა და მიმაგრებულად ცხადდებოდა.

სახელმწიფოებრივი აპარატის ეკონომიური მდგომარეობა ფინანსიურ კრიზისთან დაკავშირებით, გამწვავდა, ამასთან გაძნელდა რომის შეიარაღებული ძალების საჭურველითა და სხვ. მომარაგება. საჭირო გახდა იმ ხელოსანთა მიმაგრება წარმოებაზე, რომელნიც სამხედრო სახელოსნოებში მუშაობდნენ. მაგრამ ასეთი ღონისძიე-

ბის გატარება ცალკეულ ხელოსნებზე რთულდებოდა და ამიტომ მთავრობამ საქმის გაადვილების მიზნით ლეგალიზაცია მოახდინა ხელოსანთა კავშირებისა, რომელთაც „კოლეგიები“ ეწოდებოდათ და რომელნიც ძველად იკრძალებოდნენ იმის გამო, რომ ხელისუფლება მათში „მოწინააღმდეგეებს“ ხედავდა. ლეგალიზებული „კოლეგიები“ ახლა მთავრობამ მიმაგრებულად გამოაცხადა. ასევე მიმაგრებული აღმოჩნდნენ ეგრეთ წოდებული ნავკრარიები. ნავკრარიები რომში ხომალდებისა და ნავების მეპატრონეებს ერქვათ. როდესაც ქ. რომში უამრავი პროდუქტების შემოზიდვისათვის სახელმწიფოს საკმაო ტრანსპორტი არ აღმოაჩნდა ნავკრარიებს დაევალათ: ჯერ უფასოდ შემოეზიდნათ სურსათ-სანოვაგე, ხოლო როცა ამ სახელმწიფო დავალებას შეასრულებდნენ, შეეძლოთ თავისუფლად თავიანთი საქმე ეწარმოებინათ.

ფეოდალური ელემენტების ჩასახვა მონათმფლობელობის წიაღში სხვა მიმართულებითაც წარმოებდა. რომის იმპერიაში ბარბაროსთა ხშირი შემოსევები, დარბევები და ანარქიულობა, რომაელი მოხელეების ძალმომრეობა და მექრთამეობა, ყოველივე ეს გზას უკაფავდა კერძოობით მფარველობას, ეგრეთწოდებულ „პატრონატს“.

„პროვინციების მდგომარეობა—წერს ენგელსი—უკეთესი როდი იყო. ყველაზე მეტი ცნობა გალიიდან გვაქვს. კოლონებს გარდა აქ თავისუფალი წვრილი გლეხობაც არსებობდა. იგი ხშირად ძლიერი ადამიანის მფარველობას, პატრონობას ეძებდა, რათა თავისი თავი უზრუნველეყო მოხელეებისა, მსაჯულებისა და მევახშეების ძალმომრეობისაგან; ამას სჩადიოდნენ არა მარტო განცალკევებული გლეხის ოჯახები, არამედ მთელი თემები, ისე რომ მეოთხე საუკუნეში იმპერატორები რამდენჯერმე იძულებულნი გახდნენ აეკრძალათ მფარველობის ძიება“ [1].

იმპერატორი თეოდოსი (378-395) იმ ეგვიპტელი კოლონების შესახებ, რომელთაც თავი შეაფარეს რომელიმე მსხვილ მიწათმფლობელთან, ან სარდალთან, ბრძანებდა, რომ ისინი უკან დაებრუნებინათ, ხოლო მფარველობის აღმომჩენი პასუხისგებაში მიეცათ.

იგივე თეოდოსი პრეტორიის პრეფექტს ევტიხიანეს უბრძანებდა, რომ ის, ვინც გაბედავდა სოფლის მცხოვრებთათვის პატრონობის გაწევას, რა თანამდებობის პირიც არ უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ უნდა დაეჯარიმებინა ორმოცი გირვანქა ოქროთი.

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 153.

იმპერატორ თეოდოსის სხვა ბრძანებულებებში ამავე დანაშაულისათვის, მფარველობის მაძიებლისათვისაც და ამ მფარველობის გამწევისათვისაც უნდა ჩამოერთმიათ: პირველისათვის უძრავი, ხოლო მეორისათვის მოძრავი ქონება მთლიანად.

რომის სახელმწიფოებრივი აპარატი იბრძოდა პატრონატის წინააღმდეგ არა იმიტომ, რომ იგი შეგნებულად ხედავდა მასში ახალი ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერებას, არამედ იმიტომ, რომ პატრონატის გავრცელება მისთვის პრაქტიკულად არახელსაყრელი იყო. ჯერ ერთი, რომ მფარველობაში შესული გლეხი სახელმწიფოს აღარ აძლევდა გადასახადს და მეორეც, მასებსა და სახელმწიფოებრივ აპარატს შორის იქმნებოდა გარდაუვალი კედელი მფარველთა სახით. ხელისუფლება ჰკარგავდა თავის გავლენას გლეხობაზე, ხოლო კერძო მფარველის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერდებოდა.

პოლიტიკური კრიზისი. მიუხედავად ხელისუფლების მიერ მიღებული მკაცრი ღონისძიებებისა, რომის იმპერიაში მაინც ვრცელდებოდა პატრონატი, ძლიერდებოდნენ პოლიტიკურად ცალკეული მსხვილი მიწათმფლობელები, რის გამოც სახელმწიფო აპარატი ველარ ახერხებდა ქვეყნის მართვას ძველი მეთოდებით. რადგან ხელისუფალთა ახალი ღონისძიებანიც უშედეგოდ მთავრდებოდა, ამიტომ იქმნებოდა პოლიტიკური კრიზისიც.

ეს პოლიტიკური კრიზისი ადრევე რომის ეკონომიურ კრიზისს დაემთხვა და ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. დაწყებული 235 წლიდან 284 წლამდე 26 იმპერატორი გამოიცვალა. აღსანიშნავია ის, რომ მათგან მხოლოდ ერთი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. შედარებით უფრო სტაბილური მდგომარეობა დამყარდა იმპერატორ დიოკლეტიანესა (284-305) და იმპერატორ კონსტანტინეს (323-337) მმართველობის ხანაში.

ამ უკანასკნელებმა შესძლეს ისეთი რეფორმების გატარება, რომელთაც დროებით ხელი შეუწყვეს რომის პოლიტიკურ განმტკიცებას, რადგან ამ რეფორმებს ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ რომის პოლიტიკურ სიტუაციის განმტკიცებაში, ზედმეტი არ იქნებოდა მოკლედ ყურადღების შეჩერება დიოკლეტიანეს მიერ ჩატარებულ რეფორმებზე.

ამ რეფორმათა გატარების შედეგად, მართვა-გამგეობის თვალსაზრისით, რომის იმპერია დაიყო ოთხ პრეფექტურად: I-აღმოსავლეთის, სადაც შედიოდა აზია, ეგვიპტე და თრაკია, II-ილირიის, სადაც შედიოდა მაკედონია და საბერძნეთი, III-იტალიის, სადაც შედიოდა საკუთრივ იტალია, ბალკანეთის ჩრდილო-დასავლეთი

ნაწილი და აფრიკა და IV-გალიის, სადაც შედიოდა საკუთრივ გალია, ბრიტანეთი და მავრიტანია.

თავის მხრივ თვითეული პრეფექტურა 12 დიოცეზისაგან შედგებოდა. თვითეული დიოცეზი კი მოიცავდა რამდენიმე ეგრეთ წოდებულ პროვინციას. ამგვარად, სამმართველო ადმინისტრატიული ერთეულები უაღრესად დაქუცმაცებული აღმოჩნდა. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ რეფორმის მნიშვნელობა, საჭიროა ზოგადად მაინც შევეხოთ იმ მიზეზებს, რომელნიც საფუძვლად დაედო დიოკლეტიანეს ამ ღონისძიებას.

ეს ღონისძიება პირველყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილების ეკონომიური განვითარება სხვადასხვა ვითარებაში მოექცა. იმ დროს, როცა იმპერიის დასავლეთ ნაწილში ნატურალური მეურნეობა გაბატონდა. მის აღმოსავლეთ ნაწილში (შემდეგში ბიზანტიის იმპერია) აღებ-მიცემობა და ვაჭრობა ჯერ კიდევ გაცხოველებული იყო და, მაშასადამე, ერთნაირი წესებითა და ერთნაირი მიდგომით ამ ნაწილების მართვა შეუძლებელი იყო.

ერთნაირი მმართვა-გამგებლობის გატარება რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში არც სამხედრო და სტრატეგიული თვალსაზრისით იქნებოდა გამართლებული. რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი ისეთ ხშირ თავდასხმებსა და რბევას არ განიცდიდა ბარბაროსთა ტომებისაგან, როგორც დასავლეთი ნაწილი. მაშასადამე, თუ დასავლეთ ნაწილში სამხედრო წესების შემოღება აუცილებელი იყო თავდაცვის მიზნით, აღმოსავლეთი ამას, მაინცდამაინც—არ მოითხოვდა.

არანაკლებ გამართლებას პოულობდა დიოკლეტიანეს რეფორმა პოლიტიკური თვალსაზრისითაც. რომის იმპერიაში დაწყებული იყო, ერთი მხრივ—ფართო მასების მოძრაობა, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეული სარდლებისა და მსხვილი თანამდებობის მქონე პირთა განდგომა. რომის იმპერიის მართვა-გამგებლობის დაქუცმაცება და წვრილი ადმინისტრატიული ერთეულების ჩამოყალიბება, ამ მიმართულებით ერთგვარ უშიშროებას ჰქმნიდა, რადგან პატარა ადმინისტრატიული ერთეულის ხელმძღვანელი, კიდეც რომ აჯანყებულიყო, ვერაფერს გახდებოდა.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, მოხდა გარდაქმნა თვით სახელმწიფო აპარატის მართველი ორგანოებისა, ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული მუდმივი საბჭო—consistorium principis, რომელიც სისტემატურად იხილავდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საკითხებს და ოპერატიულად ერეოდა მმართვა-გამგებლობის საქმეში.

ამასთან სახელმწიფოებრივ აპარატში პირველად ჩამოყალიბდა თავისებური სამინისტრო და ბიუროკრატიაც გაიზარდა.

სასახლეში შემოიღეს ბრწყინვალე მორთულობა და სხვადასხვა ცერემონიები. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა იმპერატორების მიმართ ღვთაებრივი შთაბეჭდილების შექმნას, რასაც იმპერატორების ავტორიტეტი უნდა გაეზარდა მოსახლეობაში. გარდა ამისა. ხელისუფლებისადმი მასების უფრო მეტად დამორჩილების მიზნით იმპერატორებმა ახლა მიზანშეწონილად ჩათვალეს ხალხის მორალური და სულიერი მართველობაც თვითონ აეღოთ ხელში—გამხდარიყვნენ რელიგიის მესაჭენიც.

ქრისტიანული მოძრაობა რომის იმპერიაში. მესამე საუკუნის ნეორე ნახევარში რომის იმპერიაში პოლითეიზმი იყო გაბატონებული. სხვადასხვა წარმართულ რელიგიასთან ერთად თანდათან ქრისტიანობაც ფეხს იკიდებდა. ასეთ ვითარებაში იმპერატორი ვერ გახდებოდა რელიგიის მესვეურად, თუ არ მოხდებოდა პოლითეიზმის მოსპობა და რომელიმე ერთი რელიგიის საბოლოო გაბატონება.

იმპერატორი დიოკლეტიანე შეეცადა შეექმნა მთლიანი წარმართული რელიგია და მისი საჭეები ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით მან დაიწყო ქრისტიანული მოძრაობის სასტიკი დევნა. ქრისტიანული სარწმნოების მიმდევართა დევნა იწყება ნერონის დროს, მაგრამ მაშინ ის, ისეთი მკაცრი და მასობრივი არ იყო,როგორც დიოკლეტიანეს ხანაში. რაკი ქრისტიანობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც შევჩერდეთ ქრისტიანობის წარმოშობისა და მისი რაობის ზოგიერთ საკითხზე.

როგორც ენგელსი აღნიშნავს. ქრისტიანული თემები ჩამოყალიბდნენ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილის ქალაქებში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის პირველ ნახევარში. პირველ საუკუნეში დაწყებული ეს ქრისტიანული მოძრაობა სწრაფად გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მონათმფლობელობა იყო. თავდაპირველად ქრისტიანობა მონების რელიგიას წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა მონების აჯანყებანი და მონებმა ვერ მიაღწიეს თავის განთავისუფლებას, მათი ხსნის იმედი ამქვეყნიურობიდან ცაში იქნა გადატანილი.

მონებში გავრცელდა რწმენა იმისა, რომ მალე ქვეყნიერებას ციდან მესია მოევლინება, რომელიც ამ ქვეყანაში ჩაგრულთ იხსნის დუხჭირ მდგომარეობიდან, ხოლო მონათმფლობელურ სახელმწიფოს ბოლოს მოუღებს. შემდეგდროინდელმა ქრისტიანობამ ეს მეორე დებულება სრულებით მოხსნა, ქრისტე კი. წარმოადგინა

ისეთ მესიად, რომელიც ქვეყნიერებას მოევლინა თითქოს ჩადენილ ცოდვების გამოსასყიდად.

რომ ქრისტიანობა თავდაპირველად მონების რელიგიას წარმოადგენდა, ეს ჩანს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი ემბლემიდან. ჯვრის გარეშე ქრისტიანობა წარმოუდგენელია. საფიქრებელია, რომ ქრისტეს ჯვარცმა სპარტაკის აჯანყების მარცხის შედეგთა ანარეკლი უნდა იყოს. ცნობილია, რომ სპარტაკის აჯანყების ჩახშობისას ასეულობით მონა ჯვარს აცვეს. ქალაქ რომიდან დაწყებული, ათეული კილომეტრების მანძილზე მონებით გაკრული ჯვრები იყო აღმართული.

ადრინდელი ქრისტიანობა ყველას თანასწორად აცხადებდა, გმობდა სიმდიდრეს, მოითხოვდა დახმარების აღმოჩენას ღარიბებისათვის და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობას მონების გარდა მიემხრენ ღარიბ-ღატაკნი და თითქმის ყველა ჩაგრული ფენები რომის იმპერიაში.

წირვა-ლოცვისათვის ქრისტიანები თემების მიხედვით ერთად იყრიდნენ თავს. ლოცვის შემდეგ იმართებოდა საერთო ტრაპეზა. ქრისტიანული თემები ღარიბებს ეხმარებოდნენ სამუშაოს მონახვაში და აწვდიდნენ მათ მატერიალურ დახმარებასაც. ღარიბთა დამხმარე ფონდის გადიდებისათვის ზოგიერთი მორწმუნე ქრისტიანულ თემს გადასცემდა ხოლმე თავის ქონებას და სახლსაც კი.

პირვანდელი ქრისტიანული თემები, რომელნიც მეორე საუკუნის დასაწყისს რომის იმპერიის მთელ რიგ ადგილებში მოქმედებდნენ, დემოკრატიული პრინციპების მატარებელნი იყვნენ. მათ არ ჰქონდათ იერარქიული სტრუქტურა. თვითეული თემი თავისთვის დამოუკიდებლად მოქმედებდა. მღვდლობა ჯერ კიდევ არ იყო პროფესიად გადაქცეული. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ თემის ყველა წევრი თანაბარ უფლებებში იმყოფებოდა.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანული თემები თავისაკენ იზიდავდნენ ყველა იმათ, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ არსებული წყობილებით; მაგრამ უკმაყოფილოთა რიცხვი რომის იმპერიაში თანდათან უფრო მატულობდა. თუ ადრე უკმაყოფილონი იყვნენ მონები, კოლონები და უშუალო მწარმოებელთა სხვა ფენები, შემდეგში ოპოზიციურ დამოკიდებულებაში ხელისუფლების მიმართ აღმოჩნდნენ საშუალო ფენები და ზოგიერთ შემთხვევებში კი, მსხვილი მიწათმფლობელნიც; ცხადია, რომ ყველა ესენიც უნდა გამხდარიყვნენ ქრისტიანულ თემების წევრებად.

ამგვარად, მეორე საუკუნეში ქრისტიანული თემების სოციალური შემადგენლობა შეიცვალა. თემების სოციალური შემადგენლობის შეცვლამ, პირველ რიგში, გამოიწვია ქრისტიანული მოძღვრების რადიკალური გადასინჯვა. უკვე მეორე საუკუნის მეორე ნახევარში, ქრისტიანობის ზომიერ ნაწილს წამყვანი როლი დაეკისრა. ახლა უკვე დავიწყებულ იქნა ღარიბობა, ბრძოლა ბოროტობის წინააღმდეგ, თანაბრობა და სხვა. უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ქადაგებას მოთმინებაზე, ბატონებისადმი დამორჩილებაზე, უსიტყვოდ დავალების შესრულებაზე. რაც შეეხება მონების განთავისუფლებას მათთვის კეთილცხოვრების შექმნას და სხვა, ყოველივე ეს გადატანილ იქნა მხოლოდ საიქიო ცხოვრებაში.

შეიცვალა ქრისტიანული თემებმის სტრუქტურაც. გაჩნდნენ მუდმივი, პროფესიონალური დიაკვნები, მღვდლები, ეპისკოპოსები, რომლებიც ახლა არსებითად განსხვავდებოდნენ მრევლისაგან და ერთი მეორისადმი იერარქიულ მორჩილებაში იმყოფებოდნენ. ამასთან ერთად თანდათან ჰქრებოდა ქრისტიანული თემის დამოუკიდებლობაც. ქალაქ რომში არსებული ქრისტიანული თემი თავისი ეპისკოპოსით პირველობას ჩემულობდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ რომის ეპისკოპოსი (შემდეგში პაპი) აღიარებულ იქნა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურად.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. დიოკლეტიანეს ბრძოლამ ქრისტიანობის წინააღმდეგ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. 305 წელს დიოკლეტიანე „თავისი სურვილით“ გადადგა. ხელისუფლების სათავეში მოექცნენ დიოკლეტიანეს თანამმართველები, რომელთა შორისაც დაიწყო ბრძოლები. ბრძოლებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ სარდლები: კონსტანტინე და ლიციინიუსი. რომში ერთდროულად ორი იმპერატორი გამოცხადდა. 313 წელს მათ მიერ მილანოში გამოქვეყნებულ იქნა ედიქტი, რომლითაც ქრისტიანობა იმპერიაში ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული.

რამდენიმე წლის შემდეგ რომში კვლავ დაიწყო აშლილობა. ამხანად უკვე ერთი მეორეს პირველობისათვის ებრძოდნენ კონსტანტინე და ლიციინიუსი. ლიციინიუსი ამ ბრძოლაში დამარცხდა და მთელი ძალაუფლება კონსტანტინეს ხელში აღმოჩნდა. 325 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც ქრისტიანულმა ეკლესიამ დამატებითი პრივილეგიები მიიღო. იგი განთავისუფლდა ყოველგვარი გადასახადებისაგან და გარდა ამისა მას მიეცა უფლება მამულების ქონებისა. ამგვარად, ამიერიდან კათოლიკური ეკლესია თვითონ გახდა მონების, კოლო-

ნების და სხვ. ექსპლუატატორი. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებას ქრისტიანთა დაბალ ფენებში დიდი უკმაყოფილება უნდა გამოეწვია. სამაგიეროდ ქრისტიანული ეკლესია გადაიქცა იმპერატორისა და საერთოდ გაბატონებული კლასის დასაყრდენ ბაზად.

იმპერატორ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, 337 წელს კვლავ გაჩაღდა ბრძოლები იმპერატორის მემკვიდრეობის ხელში ჩასავდებად. ბოლოს ხელისუფლების სათავეში გავიდა იულიანე (361-363), რომელიც იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მასების უკმაყოფილებისათვის. მან გაატარა ზოგიერთი ღონისძიებანი წვრილმიწათმოქმედთა და ხელოსნების მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. გარდა ამისა იულიანემ უარჰყო ქრისტიანობა და შეეცადა წარმართობის აღდგენას. გაიცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას უკან დაებრუნებინა ქონება, რომელიც ადრევე წარმართობას ეკუთვნოდა. ქრისტიანული სარწმუნოების მქონე სასულიერო წოდებას აეკრძალა სკოლებში მსწავლებლობა და სხვა.

მაგრამ იულიანეს წინააღმდეგ გაილაშქრა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც ამ დროისათვის საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. ეკლესიამ იულიანე შერისხა და მისი ღონისძიებანი უკანონოდ გამოაცხადა. ეს ბრძოლა საბოლოოდ დამთავრდა იმით, რომ სპარსელებთან ბრძოლაში იულიანე დაიღუპა, ხოლო მის მიერ წამოწყებულმა საქმეებმა ვერ ჰპოვეს შემდეგი განვითარება.

იულიანეს შემდეგ, რომში იმპერატორებად გამოცხადდნენ ქრისტიანული სარწმუნოების მქონე სარდლები: ვალენტინიანე და ვალენტი. მათ ქრისტიანულ ეკლესიას კვლავ აღუდგინეს პრივილეგიური მდგომარეობა. ამიერიდან მშრომელ მოსახლეობას კვლავ ავიწროებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ არა მარტო მონათმფლობელები და მათი სახელმწიფოებრივი აპარატი, არამედ ქრისტიანული ეკლესიაც. ამას მოჰყვა დაბალი ფენების გამოსვლები ერთდროულად, როგორც მონათმფლობელისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, ისე ქრისტიანული გაბატონებული ეკლესიის წინააღმდეგაც.

განხეთქილება ქრისტიანულ ეკლესიებში. მასების უკმაყოფილებამ თვით ქრისტიანულ ეკლესიაში გამოიწვია განხეთქილება. მეოთხე საუკუნეში შიგნით ქრისტიანობაში გაჩნდა სხვადასხვა სახის ოპოზიციური მიმდინარეობანი ეგრეთ წოდებული „ერესების“, ანუ „მწვალებლობის“ სახით.

ეგრეთ წოდებული ორთოდოქსალურ ქრისტიანულ ეკლესიას პირველად ბრძოლის ჩატარება მოუხდა ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში

მონტანელების მიმდინარეობასთან, რომელიც მოითხოვდა პირვანდელ ქრისტიანობისაკენ დაბრუნებას, „აპოკალიპსის“[1] შიხედვით ქრისტიანულ თემების სათავეში არა ეპისკოპოსების, არამედ „წინასწარმეტყველების“ ყოლას. მონტანელები უარყოფდნენ განსხვავების გატარებას ნრევლსა და სამღვდელოებას შორის. ოფიციალურ ეკლესიასთან მათი განხეთქილების ძირითადი საბაბი კი, იმაში მდგომარეობდა, რომ მათ სწადდათ მესიის მალე მოსვლა და წარმართთა დასჯა, ხოლო ოფიციალური ეკლესია მესიის მოსვლას ჰქადაგობდა შორეულ მომავალში[2].

მონტანელების ერესი წარმოიქმნა მეორე საუკუნეში სწორედ მაშინ, როცა ყალიბდებოდა მომავალი ოფიციალური ეკლესია. ამ ერესის დამაარსებლად თვლიდნენ მონტანს და ორ ქალს: პრისკუს (პრისკოლუსს) და მაქსიმილუსს. ამ ერეტიკულმა მოძრაობამ ერთ-ხანს დიდი გასაქანი ჰპოვა. მონტანელების მოძრაობა გავრცელდა ჯერ მცირე აზიაში, ხოლო შემდეგ, იტალიაში, გალიაში, აფრიკაში და რომის იმპერიის სხვა მხარეებშიც. მიუხედავად ამისა, ბრძოლაში მაინც ოფიციალური ეკლესია გამოვიდა გამარჯვებული.

მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა ეკლესიამ მოიპოვა მთელი რიგი პრივილეგიებისა და გადაიქცა ნამდვილ ექსპლუატატორად, ერეტიკულ მიმდინარეობანიც უფრო გახშირდა და მწვავე ხასიათი მიიღო. მეოთხე საუკუნის დასაწყისში დაიწყო ეგრეთწოდებული არიოზობა. ეს სახელწოდება მოძრაობამ მიიღო ალექსანდრიელი მღვდლის არიოზესაგან, რომლის დაბადების წელი უცნობია. არიოზი გარდაიცვალა 336 წელს. არიოზი უარყოფდა „სამების მთლიანობას“, მოითხოვდა დემოკრატიული წესების შენარჩუნებას ეკლესიაში და ამასთან აკრიტიკებდა ოფიციალურ ეკლესიას. ხელისუფლებამ არიოზი გააძევა ალექსანდრიიდან, მაგრამ არიოზობა მაინც გავრცელდა ხელოსნებში და ვაჭრებში.

325 წელს ნიკეის საეკლესიო კრებაზე არიოზობა გამოცხადდა „მწვალებლობად“, ამავე კრებაზე ქრისტიანულმა ეკლესიამ მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა და თუ მანამდე (313 წ-ის შემდეგ) იგი დანარჩენი რელიგიების თანაბარ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, ამიერიდან სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა. დაიწყო არიოზობის სასტიკი დევნა და რომის იმპერიაში არიოზობა მოისპო. მაგრამ შემდეგში არიოზობის გავრცელება დაიწყო ძველ

---

[1] „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთი წიგნი, რომელიც შეიცავდა მისტიკურ „წინასწარმეტყველებას“ „მსოფლიოს დასასრულის“ შესახებ.

[2] А. Б. Ранович, Раннее христианство, Вопросы истории религии и атеизма. გვ 269. გამოც. 1950 წ.

გერმანელ ტომებში. ულფილას მეოხებით არიოზობა მიიღეს კერძოდ ვესტგუთებმა და ოსტგუთებმა.

შემდეგი არანაკლები მნიშვნელობის მქონე ოპოზიციურ მიმდინარეობას ნესტორიანელობა წარმოადგენდა. ამ მიმართულებამ სახელწოდება მიიღო კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნესტორისაგან. რომელიც უარჰყოფდა ქრისტეს ღვთაებრივ არსს. ანტიკური ფილოსოფიის გავლენით ნესტორი დავას აწარმოებდა ორთოდოქსალურ ქრისტიანობასთან ზოგიერთ სხვა დოგმატურ საკითხებზედაც. ნესტორიანელობა გავრცელდა უფრო სირიაში, მესოპოტამიაში, ერაყში და სხვა. 431 წელს ეფესში ოფიციალურმა ეკლესიამ ნესტორიანელობა „ერესად" აღიარა.

ასეთივე ოპოზიციურ მიმდინარეობას ქრისტიანულ რელიგიაში წარმოადგენდა დონატიზმი, რომელზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შეეჩერდებით. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ყველა ეს ოპოზიციური ხასიათის მიმდინარეობანი არსებითად წარმოადგენენ დაბალი ფენების ბრძოლას გახვეულს რელიგიურ სამოსელში გაბატონებული მონათმფლობელური კლასისა და ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ.

თავი IV

აბორიგენების მოძრაობა აფრიკაში

აფრიკის პროვინციის სოციალურ-ეკონომიური ვითარება. რომის იმპერიაში დაწყებულ საყოველთაო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრს აფრიკა წარმოადგენდა. ამ მხარეში წამოწყებული მასობრივი რევოლუციური მოძრაობა მთელი მეოთხე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ეს მოძრაობა ხან ღებულობდა აგრარულ ხასიათს, ხან გლეხთა ომებში გამოვლინდებოდა, ხან ინასკვებოდა რელიგიურ მოძრაობაში, ხან კი, პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ღებულობდა. ვიდრე გადავიდოდეთ ამ მოძრაობის მსვლელობის განხილვაზე, საჭირო იქნება ზოგადად მაინც შეეხოთ იმ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, რომლის ფონზეც გაიშალა ეს დიადი მოძრაობა.

რომის იმპერიის სისტემაში აფრიკის პროვინცია, სხვებთან შედარებით, უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობის მქონე იყო. სოფლის მეურნეობის პროდუქცია რომში. ყველაზე უფრო მეტად, აქედან შემოდიოდა. ტყუილად კი არ უწოდებდნენ მაშინ ეგვიპტეს „რომის პურის ბელელს". მაგრამ რომაელები აფრიკიდან განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ არა მარტო ხორბალს, არამედ ისეთ ძვირფას სურსათსანოვაგეს, როგორიც იყო ზეთის ხილი, ზეთი და სხვა.

მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა აფრიკაში მანამდეც დაწყებული იყო, სანამ რომი მას დაიპყრობდა. რომაელების მიერ აფრიკის დაპყრობის შემდეგ, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა უფრო სწრაფად წავიდა წინ. პეტრონიუსის „სატირიკონის" მიხედვით, იტალიაში მისულმა ევმოლპემ ხმა გაავრცელა იმის შესახებ, რომ მისი სიმდიდრე თავმოყრილია აფრიკაში, რომ მას იქ უამრავი მამულები გააჩნია, რომლებშიაც ათასობით მონა მუშაობს. პლინიუს უფროსი, როცა ლაპარაკობდა ლატიფუნდიების დამღუპველო-

ბის შესახებ, აღნიშნავდა, რომ აფრიკის ნახევარს ექვსი მემამულე ჰფლობდა, რომელნიც ნერონმა სიკვდილით დასაჯაო.

აფრიკის საუკეთესო მიწები მიკუთვნებული ჰქონდათ არა მარტო კერძო მიწათმფლობელებს. რომის საიმპერატორო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილო-აფრიკაში მდებარეობდა. წყაროებიდან ჩანს, რომ რომის იმპერიაში სოფლის მეურნეობაში კოლონატური სისტემის შემოღება აფრიკიდან იწყება. მეორე საუკუნის იმპერატორთა სხვადასხვა ბრძანებულებებიდან ირკვევა, რომ საიმპერატორო მეურნეობათა მოწესრიგება ხდებოდა პირველყოველისა აფრიკის მამულებში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აფრიკაში მყოფი კოლონების უმრავლესობა ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნოდა, თუმცა წყაროებში ლაპარაკია აგრეთვე რომაული წარმოშობის კოლონებზეც. როგორც აღვნიშნეთ კოლონატურმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მეორე საუკუნეში ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით მესამე საუკუნის დასაწყისამდე აფრიკის მონების მნიშვნელოვანი რაოდენობა კოლონებად იყო გადაქცეული.

რომის საყოველთაო ეკონომიური კრიზისი 238 წლის შემდეგ დაიწყო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ ამ კრიზისმა ყველაზე უფრო მწვავე და გაჭიანურებული ხასიათი ეგვიპტეში მიიღო. აქ საირიგაციო სისტემის მოშლამ უდიდესი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას. ამის შედეგად და კიდევ იმიტომ, რომ აფრიკის მოსახლეობაზე გადასახადები გაიზარდა, მოსახლეობა სტოვებდა დასახლებულ ადგილებს და დიდი რაოდენობით ნუმიდიაში და მავრიტანიაში გარბოდა. იმპერატორების ბრძანებულებებმა კოლონების მიწაზე მიმაგრების შესახებ ეფექტური შედეგი ვერ გამოიღო.

აფრიკის მოსახლეობის დაბალ ფენებში იზრდებოდა უკმაყოფილება რომის ბატონობის მიმართაც. მთელ რიგ ადგილებში ეწყობოდა გამოსვლები. ყველა უკმაყოფილო ელემენტმა თავიანთი იდეოლოგები მონახეს იმ ქრისტიანულ წრეში, რომელიც ოპოზიციურად იყო განწყობილი რომის ოფიციალურ ეკლესიასთან.

ქრისტიანულმა მოძრაობამ აფრიკაში მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ამ დროს აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანები იყვნენ. მხოლოდ აქა-იქ ძველ რელიგიას ინარჩუნებდნენ მუნიციპალური არისტოკრატიის წარმომადგენელნი.

მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ ქრისტიანობა იმპერიაში ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა აფრიკის ქრისტიანულ ეკლესია-

შიც განხეთქილებამ იჩინა თავი. ეკლესიების ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა რომს, ხოლო მეორე ნაწილი არ ცნობდა მას. ოპოზიციური მიმართულების წამომწყები იყო კართაგენის ეპისკოპოსი დონატი, რომელიც მოღალატეებად აცხადებდა ყველა იმათ, ვინც გადადიოდა ოფიციალური ეკლესიის მხარეზე.

დონატისტები. დონატი და დონატისტები მოითხოვდნენ აფრიკისათვის დამოუკიდებელ ეკლესიას. ამ ნიადაგზე მწვავე ბრძოლები გაჩაღდა დონატიზმსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის. თუ რამდენად მიუღებელი იყო კათოლიციზმი დონატიზმისათვის, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როდესაც ვინმე მოისურვებდა კათოლიკობიდან გადასვლას დონატისტურ ეკლესიაში, ის აუცილებლად ხელახლა უნდა მონათლულიყო.

დონატისტები თავდაპირველად პირდაპირ არ ილაშქრებდნენ რომის ბატონობის წინააღმდეგ და კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ სახელმწიფო არ ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში. როგორც ქვევით დავინახავთ, აფრიკაში დაწყებულმა მასობრივმა მოძრაობამ დონატიზმი უფრო მარცხნივ გადახარა. დონატისტების სეპარატისტულ მოქმედებას თავის მხრივ საფუძვლად ედო შემდეგი გარემოება.

მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის აფრიკა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად რომანიზებული. მიუხედავად დამპყრობლების ყველა ცდისა აფრიკაში ადგილობრივი ენა, წესები და ჩვეულებანი შეურყევლად რჩებოდნენ. ეს გარემოება კი მეტად უწყობდა ხელს რომისაგან დამოუკიდებლობის მოთხოვნას და საერთოდ გამათავისუფლებელ მოძრაობებს.

დონატისტები საბოლოოდ გამათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში აღმოჩნდნენ და ბუნებრივია, რომ ამიერიდან ისინი რომისათვის უფრო საშიშნი გახდნენ მით უფრო, რომ რაც დრო გადიოდა, დონატისტური მოძრაობა აფრიკაში უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭდა. იმპერატორმა კონსტანცემ აფრიკაში ორ მებრძოლ საეკლესიო დაჯგუფებათა „შესარიგებლად“ გააგზავნა პაველ და მაკარი. ირკვევა, რომ მათ მიცემული ჰქონდათ საიდუმლო დავალება დონატისტების მოსყიდვისა. როგორც საქმის მსვლელობამ ცხადჰყო პაველსა და მაკარის მისია სრული მარცხით დამთავრდა.

პაველსა და მაკარის უკან გაბრუნების შემდეგ დონატისტურმა მოძრაობამ აფრიკაში უფრო ფართო გასაქანი მიიღო. ამასთან ერთად დონატისტურ მოძრაობას მხარი დაუჭირა უფრო რადიკალურმა მოძრაობამ აგონისტიკოსების სახით.

აგონისტიკოსები. აგონისტიკოსებს კათოლიკური ეკლესია და გაბატონებული კლასი „ცირკუმცელიონებს“ უწოდებდა, რაც მოხე-

ტიალეებს, მაწანწალებს ნიშნავს. ეს სახელწოდება IV — V საუკუნეების საეკლესიო მწერლობიდან გადმოტანილ იქნა ახალი ეკლესიის მწერლობაშიც, ხოლო შემდეგ იგი სიამოვნებით გადაიღო ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ.

გიბონის აზრით, აგონისტიკოსების ჩაბმა დონატისტურ მოძრაობაში დონატის და მის მიმდევართა შემარცხვენელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან წმინდა საეკლესიო მოძრაობას შეუერთდა ნაძირალების ხროვა. ამგვარად, გიბონი აგონისტიკოსებს ზიზღით იხსენიებს როგორც გაბატონებული კლასის (ბურჟუაზიის) წარმომადგენელი.

ასევე არანაკლები ზიზღით იხსენიებს აგონისტიკოსებს ზეეკი, რომელიც მათ სთვლის მხეცებად და შეუგნებლებად. თავის მხრივ ბურჟუაზიული მკვლევარი მონსო აცხადებს, რომ უპარტიო ისტორიკოსის შეხედულებით დონატის ეკლესიას ისე არავინ უფუქებს სახელს, როგორც მისივე მქიდრო კავშირი ფანატიკოსების ურდოებთან, აფრიკანულ ჟაკერიასთანო.

ბურჟუაზიის აპოლოგეტების ეს აბდა-უბდა და ცილისმწამებლური შეფასებანი მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს, ამიტომ ცირკუმცელიონებს ჩვენ ვუწოდებთ მათ ნამდვილ სახელს „აგონისტიკოსებს“, რაც ბერძნულად მებრძოლებს ნიშნავს.

წყაროებიდან ჩანს, რომ აგონისტიკურ მოძრაობაში ძირითადად ჩაბმული იყვნენ: მიწის მუშა მონები, კოლონები, ხელოსნები, ის თავისუფალი გლეხები, რომელნიც დაყმევების პროცესში იმყოფებოდნენ, დავალიანებული პირები და სხვა. აღსანიშნავია ის, რომ დავალიანებულ პირთა შორის გვხვდებიან აგრეთვე სამღვდელოების დაბალი ფენის ცალკეული წარმომადგენლებიც.

წარმოშობის თვალსაზრისით აგონისტიკოსების შემადგენლობის უმრავლესობა ბერბერები იყო. ისინი ცხოვრობდნენ უმთავრესად თანამედროვე ცენტრალურსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტუნისში, ალჟირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ტრიპოლის ყველა ოლქში.

აგონისტიკური მოძრაობა პირველყოვლისა მიმართული იყო მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ. წყაროების მიხედვით, ჩანს, რომ გლეხებს მიწათმფლობელების ვალი ჰქონდათ. რადგან იგივე მიწათმფლობელები იყვნენ მევახშეებად, ამიტომ ეს მოძრაობა მიმართული იყო მევახშეობის წინააღმდეგაც. ამგვარად, ეს ბრძოლა ნამდვილი კლასობრივი ბრძოლა იყო. მაგრამ ეს კლასობრივი ბრძოლა იხლართებოდა გამათავისუფლებელ მოძრაობაშიც, ვინაიდან ექსპლოატატორთა კლასის — მიწათმფლობელების, უდიდესი ნაწილი რომაელები იყვნენ. ამიტომაც აგონისტიკოსები ბრძო-

ლას აშარმოებდნენ არა მარტო მიწათმფლობელთა წინააღმდეგ, არამედ რომაელი მოხელეების წინააღმდეგაც საერთოდ.

აგონისტიკოსების ბელადებად მაშინ (340 წ.) ყოფილან აქსიდო და ფაზირი. მათი მეთაურობით აჯანყებულნი არბევდნენ მემამულეთა სახლკარს და ცეცხლს აძლევდნენ მათ ქონებას. წყაროებში ნათქვამია, რომ აჯანყებულნი მემამულეებს უგზავნიდნენ წერილებს, რომლითაც წინადადებას აძლევდნენ გაეთავისუფლებინათ მონები და კოლონები; გაცემული სესხის მიღებაზე მემამულეებს უარი უნდა ეთქვათ და გადასახადები აღარ აეკრიფათ. აღსანიშნავია ის, რომ ამ წერილებში ზემოაღნიშნულ წინადადებათა შესრულების დროც კი იყო აღნიშნული. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ მემამულე არ შეასრულებდა აჯანყებულთა მოთხოვნას, უმალვე თავს ესხმოდნენ მას. სადაც კი შესაძლებლობა გაჩნდებოდა, აჯანყებულნი დაუყოვნებლივ უცვლიდნენ „როლებს“ მიწათმფლობელებსა და მონებს. მიწათმფლობელებს ძალით ამუშავებდნენ ხორბლის დაფქვაზე და სხვა შავ სამუშაოებზე. ერთ-ერთ ცნობაში ნათქვამია, რომ აჯანყებულნი დახვდნენ ორ მონათმფლობელს, რომელთაც ურემში მონები შეებათ და ტვირთს ეზიდებოდნენ. აჯანყებულებმა მონები ურემზე დასვეს, ხოლო მონათმფლობელები შეაბეს და გზას გაუყენესო.

მოძრაობის ჩახშობა. მონათმფლობელთა ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა აგონისტიკოსებს. მოძრაობის ჩასახშობად აფრიკაში გადმოჰყავდათ უამრავი შეიარაღებული ნაწილები. რომაულ ლეგიონებსა და აჯანყებულთა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა ოქტავასთან დაახლოებით 340 წელს. ეს ბრძოლა აჯანყებულთა მარცხით დამთავრდა. აჯანყების მონაწილეთა უმრავლესობა სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ აგონისტიკოსების მოძრაობა ამით არ დამთავრებულა. რომაელებს მას შემდეგ კიდევ არაერთხელ დასჭირდათ ბრძოლის წარმოება. ყველაზე უფრო დიდ შეჯახებას რომაელებსა და აჯანყებულთა შორის ადგილი ჰქონდა 347 წელს ქალაქ ბაგაიასთან. ეს იყო გადამწყვეტი ბრძოლა, რომელმაც რომაელებს წარმატება მოუპოვა.

აგონისტიკური მოძრაობის მარცხის მიზეზი აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ ისინი დაქსაქსულად და ხშირ შემთხვევაში სტიქიურად მოქმედებდნენ, მეორე იმით, რომ ამ მოძრაობაში ჩაბმული დონატისტები ცდილობდნენ მოძრაობის გამოყენებას კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ეს გარემოება ჩქმალავდა მოძრაობის მთავარ ამოცანას, რის გამოც აგონისტიკურ მოძრაობას ეცლებოდა ენთუზიაზმი და სიმძაფრე.

კათოლიკურ ეკლესიასთან ბრძოლაში დონატიზმმა ერთგვარი წარმატება მოიპოვა. იმპერატორი იულიანე იძულებული გახდა აეკრძალა დონატისტების დევნა და ნება დართო უკანასკნელთ გაეხსნათ თავიანთი ეკლესიები, თავისუფლად ეწარმოებინათ წირვა ლოცვა. ამ შემთხვევაში ეტყობა იულიანემ გადაწყვიტა დონატისტების მეშვეობით შეესუსტებინა რომის კათოლიკური ეკლესია, რომელთანაც მას უკმაყოფილება ჰქონდა.

იულიანეს დამოკიდებულებით გათამამებულმა დონატისტებმა ფართოდ გაშალეს რელიგიური ბრძოლები კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ისინი არბევდნენ და ძალით იკავებდნენ კათოლიკების ტაძრებს, სამლოცველოებს და სხვ. ქალაქ ტიპოსში ეკლესიიდან დონატისტებმა ძალით განდევნეს კათოლიკები და ეკლესია თავის საკუთრებად გამოაცხადეს. ყველაფერს, რაც კი კათოლიკური ეკლესიის წესებს მიეკუთვნებოდა, დონატისტები დევნიდნენ: ზიარებას ძაღლებს აძლევდნენ საჭმელად, ნელსაცხებლების ჭურჭლებს ფანჯრებიდან ისროდნენ, ამტვრევდნენ და სწვავდნენ საკურთხევლებს, ახლად დაკავებული კათოლიკური ეკლესიის კედლებს მარილიანი წყლით რეცხავდნენ და სხვ.

როგორც ზევით აღვნიშნავდით, იმპერატორ იულიანეს მმართველობა გაგრძელდა მხოლოდ ორ წელს. ამის შემდეგ ვალენტინიანე პირველმა დონატისტებთან დამოკიდებულება შესცვალა. ვალენტინიანეს ასეთი საქციელი აიხსნებოდა არა მარტო კათოლიკური ქრისტიანობის მხარდაჭერით. საქმე ისაა, რომ დონატისტებთან სულ უფრო და უფრო თავს იყრიდნენ ისეთი ელემენტები, რომელნიც მოითხოვდნენ რომისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის გარდა, რომის საერთო ბატონობისაგან განთავისუფლებასაც.

აფრიკაში თავი იჩინა ფართო გამათავისუფლებელმა მოძრაობამ. მავრიტანიის ერთ-ერთი მთავარი—ფირმი, რომლის სამფლობელო რომისაგან, ნახევრად დამოუკიდებლად ითვლებოდა, 372 წელს თავს დაესხა მთლიანად მავრიტანიას და აქედან რომაელები განდევნა. მავრიტანიაში მდგომი რომაული ლეგიონების მნიშვნელოვანი ნაწილი ფირმის მხარეზე გადავიდა. ამით რომის ბატონობას მთელს აფრიკაში დიდი საშიშროება შეექმნა.

რომის მთავრობამ დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება, რათა გალიაში მყოფი რომაული ლეგიონები სასწრაფოდ მავრიტანიაში გადაეყვანათ. ეს შეიარაღებული ძალები თეოდოსიის (რომის მომავალი იმპერატორის, თეოდოსიის მამა) მეთაურობით შევიდნენ მავრიტანიაში და ორი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ბრძოლებს ფირმის ჯარებთან.

ფირმი ფიქრობდა წარმატებათა მოპოვებას, რადგან ამ დროისათვის რომის საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო. რომზე აღმოსავლეთიდან იერიშები მიჰქონდათ სპარსელებს, ჩრდილოეთიდან — კვადებს, ხოლო აფრიკის შიგნით რელიგიური ომი თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა. გარდა ამისა აგონისტიკური მოძრაობა აქა-იქ კვლავ თავს იჩენდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რომმა მაინც შესძლო აფრიკის ბრძოლები ერთგვარი წარმატებით დაემთავრებინა. დაიწყო საშინელი რეაქცია. ახლა რომაელები სდევნიდნენ არა მარტო ფირმის ჯარებს, არამედ დონატისტებსაც. ყველაზე უფრო მეტი სიმკაცრე რომაელებმა გაჩოიჩინეს აგონისტიკოსების მიმართ. სასტიკი რეპრესიების გამო მეხუთე საუკუნის დასაწყისისათვის აგონისტიკური და დონატისტური მოძრაობა აფრიკაში კლებულობს, მაგრამ მეხუთე საუკუნის ოცდაათიან წლებში ეს მოძრაობა კვლავ გაიზარდა, რითაც ბოლო ჩოეღო რომაელთა ბატონობას აფრიკაში და გზა გაეხსნა ვანდალების შემოჭრას.

თუ რა ბედი ეწვია აგონისტიკურ მოძრაობას შემდეგში, საბუთიანად, დღემდე ცნობილი არაა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, სახელდობრ ის, რომ ეს მოძრაობა მიმართული იყო, როგორც მონათმფლობელური ურთიერთობის წინააღმდეგ თვით აფრიკაში, ისე რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. აგონისტიკოსების ფართო მოძრაობას აფრიკაში რომის მონათმფლობელური საზოგადოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მოძრაობამ საფუძვლიანად შეარყია დაღუპვის გზაზე დამდგარი მონათმფლობელობა.

თავი V

ბაგაუდების აჯანყებანი გალიაში

გალიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება. ბაგაუდების მოძრაობის დასაწყისი. მონათმფლობელური რომის იმპერიაში დაწყებული უდიდესი რევოლუციონური მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს გალია წარმოადგენდა. აქ, ეგრეთწოდებული ბაგაუდების მოძრაობა დაიწყო მესამე საუკუნის 70-იანი წლებიდან და გაგრძელდა მთელი მეხუთე საუკუნის მანძილზე.

გაბატონებული კლასის წარმომადგენელნი ისტორიულ წყაროებში ბაგაუდებს ისევე უარყოფითად ახასიათებენ, როგორც ამას ისინი ჩადიან აგონისტიკოსების მიმართ. ასე ბაგალითად, სალვიანეს მიხედვით „ბაგაუდი“ ეწოდებოდა მეამბოხეს, განწირულს, დაბეჩავებულს, საერთოდ ისეთ პიროვნებას, რომელიც ღირსი არ იყო რომაელი მოქალაქის სახელის ტარებისა. ევმინიუსის მიხედვით „ბაგაუდები“ ეწოდებოდათ ყაჩაღებს. ავრელიუს ვიქტორის მიხედვით,ისინი არიან ბრბოები და მაწანწალები, ოროზიუსის თქმით კი — მძარცველები და თავზეხელაღებული ადამიანები.

ბუნებრივია, რომ გაბატონებული კლასის ზემოთ ჩამოთვლილი წარმომადგენლები საზოგადოების იმ დაბალ ფენებს, რომელნიც საუკუნეების მანძილზე დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდნენ მონათმფლობელების წინააღმდეგ, სხვაგვარად ვერ მოიხსენიებდნენ. ფილოლოგიური გამოკვლევების შედეგად ამჟამად საბოლოოდ დადგენილია, რომ ტერმინი ბაგაუდი ნიშნავს მხოლოდ მებრძოლს და არა ყაჩაღს.

როგორც ცნობილია, რომის სენატის დავალებით ცეზარმა დაიპყრო გალია და ის რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გადააქცია. წყაროებიდან ჩანს, რომ გალია რომაელების დაპყრო-

ბის ხანაში გვაროვნული წყობილების განვითარების უკანასკნელ საფეხურზე იდგა. იქ უკვე დაწყებული იყო საზოგადოების სოციალური და ეკონომიური დიფერენციაცია. იულიუს ცეზარის ცნობებით გალიაში უკვე იყო გვაროვნული არისტოკრატია, რომლის წევრებსაც იგი „მხედრებს" უწოდებს და რომელთა შესახებაც ამბობს, რომ სხვებთან შედარებით, ამ ფენის წარმომადგენელნი სახელმოდგეჭილნი არიან და პატივისცემით სარგებლობენო.

რა თქმა უნდა, გალიის საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია მარტო საგვარეულო არისტოკრატიის წარმოქმნაში არ გამოიხატა. ცეზარის თქმით, გვარის წევრებში იყვნენ ფარიზებიც, რომელთაც იგი „პლებს" უწოდებს. გასაგებია, რომ ცეზარის შიერ რომაელთა ტერმინოლოგიის გალიაზე მექანიკური გადატანა, მთლად ზუსტად ვერ ასახავდა ამ ქვეყნის იმდროინდელ სოციალურ ვითარებას, მაგრამ მის შიერ გალიის ყოფა-ცხოვრების აღწერა ძირითადად მაინც სინამდვილეს გადმოგვცემს. ცეზარი მოგვითხრობს აგრეთვე, რომ გალებს ჰყოლიათ მოგვები. ისინი საზოგადოების გარკვეულ ფენას შეადგენდნენ და ეროგვარ პრივილეგიურ მდგომარეობაშიც იყვნენ. ცეზარი მოგვებს დრუიდების სახელწოდებით იხსენიებს.

ჩანს, რომ იმ ხანებში გალები ბინადრულ ყოფა-ცხოვრებას ბისდევდნენ. მათი დასახლება ხდებოდა როგორც გვარებად, ისე სოფლებად. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ტერიტორიულად (სოფლებად) დასახლების პრინციპი უკვე ძალაში შესულა, ხოლო სისხლითი ნათესაობის მნიშვნელობა თანდათან შესუსტებულა. გარდა სოფლებისა, ჰქონიათ გამაგრებული ადგილებიც, რომელთაც ცეზარი oppida-ს უწოდებს.

რომის მიერ გალიის დაპყრობის შემდეგ ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად და ულმობლად ტარდებოდა ამ ქვეყნის რომანიზაცია. მონურმა შრომამ აქაც ბოლო მოუღო თავისუფალ შრომას. მიწათმოქმედებაში გაბატონდა ლატიფუნდიალური მეურნეობა, რასაც შემდეგში მოჰყვა კოლონატურ სისტემაზე გადასვლა. იმპერატორ კომოდის მმართველობა (180 — 192) მონათმფლობელური რომის იმპერიის ღრმა სოციალურ-ეკონომიური კრიზისის დასაწყისს დაეთხვა.

იმპერიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო. სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელიც წარმოებდა პართელებთან 161 წლიდან ვიდრე 165 წლ. უამრავ სასსრებს და ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვდა. ამ ბარიერ, კერძოდ გალიისათვის უფრო მძიმე გახდა კვადებთან და მარკომანებთან ბრძოლა, რომელიც

დაიწყო 167 წელს და მხოლოდ 180 წელს დამთავრდა. ეს ბრძოლები უმთავრესად გალიის ტერიტორიაზე წარმოებდა, რის გამოც სოფლის მეურნეობა გაპარტახდა.

მეორე საუკუნის ბოლოს გალიაში დაიწყო აგრარული კრიზისი, რომელიც 15 — 20 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. გარდა იმისა, რომ ომების შედეგად გალიის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, უბედურებას დაემთხვა ისიც, რომ გალიაში აღმოსავლეთიდან გავრცელდა შავი ჭირი, რამაც მუსრი გაავლო უმთავრესად მოსახლეობის დაბალ ფენებს. ამასთან დაკავშირებით იყო, რომ ევტროპიუსი აღნიშნავდა გალიის ვილების, ქალაქებისა და სოფლების გაცარიელებას და მათ ნანგრევებად და ტყეებად გადაქცევას.

გალიაში მუშახელის შემცირების შედეგად მონათმფლობელთა გაბატონებულმა კლასმა დაიწყო მონებისა და კოლონების უფრო სასტიკი ექსპლუატაცია. გაიზარდა უშუალო მწარმოებელთა ეალდებულებანი მონათმფლობელთა მიმართ. რომის სახელმწიფო თავის მხრივ დღითი-დღე ზრდიდა მოსახლეობაზე გადასახადებს. ყოველივე ამას თან ერთვოდა პუბლიკანების განუსაზღვრელი თარეში გალიაში. გალიის მოსახლეობის უკმაყოფილებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, რაც გახდა მიზეზი აჯანყებათა დაწყებისა.

გალიაში მასების აჯანყება, გორდიანეს თქმით, თავდაპირველად დაიწყო იმით, რომ გალიაში მდგომი ერთ-ერთი რომაული ლეგიონიდან გაიქცა ჯარისკაცი — გვარად მატერნუსი. მან გაფაციცებით დაიწყო მუშაობა რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. მალე მას შეუერთდნენ სხვა გაქცეული ჯარისკაცები, მონები, კოლონები და ქალაქური მოსახლეობის დაბალი ფენები. გორდიანეს ცნობების მიხედვით მატერნუსმა თავის მომხრეთაგან შეადგინა შეიარაღებული რაზმები. თუ აჯანყებულნი თავდაპირველად აწარმოებდნენ ცალკეულ და მოულოდნელ თავდასხმებს, შემდეგში მათი ძალები იმდენად გაიზარდნენ, რომ მათ არ ერიდებოდათ პირდაპირი ბრძოლების წამოწყება რომაელ ლეგიონებთან. აჯანყებულნი თავს ესხმოდნენ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს. ისინი ათავისუფლებდნენ დატუსაღებულებსა და აჯანყების მონაწილეებს ჰპირდებოდნენ მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გალიაში დაწყებული რეოლუციური მოძრაობა მალე ესპანეთსაც მოედო. კელტებისა და იბერთა ტომების დიდი უმრავლესობა ამ მოძრაობის მონაწილე გახდა. რომის ბატონობისათვის სულ უფრო და უფრო მეტი საშიშროება იქმნებოდა. ამ ადგილებში განლაგებული რომაული ლეგიონები ვეღარ ებედავდნენ აჯანყებულთა

წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას. ამიტომ საჭირო გახდა დამატებით ლონისძიებათა მიღება მონათმფლობელურ სახელმწიფოს მხრით.

იმპერატორმა კომოდმა გასცა განკარგულება რომიდან გალიაში ახალი ლეგიონების გაგზავნის შესახებ. ეს შეიარაღებული ძალები გაიგზავნენ სეპტიმიუს სევერის ხელმძღვანელობით. გალიაში გაჩაღდა დიდი ბრძოლები. ბოლოს, როგორც იქნა სეპტიმიუს სევერმა მატერნუსის შეიარაღებული ძალები ალპებთან მოამწყვდია და იქ შესძლო მათი დამარცხება. აჯანყება ჩახშობილი იქნა.

რადგან გალიაში რევოლუციური მოძრაობის მიზეზები ამით არ აღმოფხვრილა, ამიტომ სევერების დროსაც მთელ რიგ ადგილებში ხდებოდა კოლონებისა და მონების ცალკეული გამოსვლები. მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, მონათმფლობელური იმპერიის საყოველთაო კრიზისის დაწყებასთან ერთად, დაიწყო გალიაში ბაგაუდების აჯანყება.

ბაგაუდების აჯანყება. აჯანყებული ბაგაუდები, რომლებიც უმთავრესად მონებისაგან, კოლონებისაგან და საერთოდ მოსახლეობის დაბალი ფენებისაგან შედგებოდნენ, აწარმოებდნენ ბრძოლას მონათმფლობელებისა და საერთოდ რომაელების გალიაში ბატონობის წინააღმდეგ. ბაგაუდების ეს გამოსვლები დაემთხვა გალიის მიწათმფლობელთა ლტოლვას — ჩამოსცილებოდა რომს და შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

გალიის გაბატონებულმა კლასმა გალია რომისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და გალიის იმპერატორად (270 — 273) ტეტრიკი აღიარა. ამას მოჰყვა საკუთარი არმიისა და წესების შექმნა. ისტორიული წყაროების მიხედვით გალიის ყველაზე დიდი ქალაქი ავგუსტოდინი (ახლანდელი ოტენი) იმპერატორ ტეტრიკს განუდგა. ირკვევა ისიც, რომ ტეტრიკმა სთხოვა იმპერატორ კლავდიუს მეორეს (268 — 270), რათა მას ალპებზე გადასვლით სწრაფად გამოეგზავნა რომაული ლეგიონები გალიაში წესრიგის დასამყარებლად.

იმპერატორმა ტეტრიკმა განდგომილი ქალაქის ავგუსტოდინის დასამორჩილებლად თავისი შეიარაღებული ძალები გააგზავნა. ტეტრიკის ჯარებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს. ეს ალყა შვიდი თვის განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ ქალაქის აღება მოალყეებმა მაინც ვერ შესძლეს.

ბაგაუდები შეეცადნენ ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით და, ახლა ისინი გაეშურნენ ავგუსტოდინის ასაღებად. ქალაქთან მიახლოებისას ტეტრიკის მოალყე ჯარები აჯანყდნენ და გადავიდნენ ბაგაუდების მხარეზე. ამ გაერთიანებული ძალებით ავგუსტო-

დინი აღებულ იქნა. ბაგაუდებმა ქალაქში მდიდრები გაანადგურეს, ღარიბებს აღმოუჩინეს მატერიალური დახმარება და ძალაუფლებაც თვითონ ჩაიგდეს ხელში.

რადგან აჯანყებულთა ასეთი წარმატებანი და საერთოდ სეპარატიული მოძრაობა გალიაში რომისათვის ყოვლად მიუღებელი იყო, ამიტომ კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორმა ავრელიანემ 273 წლის გაზაფხულზე თავისი შეიარაღებული ძალები ალპებზე გავლით გალიაში გადაიყვანა; მის მიზანდასახულებას წარმოადგენდა გალიის ხელახალი დამორჩილება, ბაგაუდების აჯანყების ჩახშობა და წესრიგის დამყარება.

რომაელი ლეგიონების მოახლოებისას, ბაგაუდების მოძრაობის წარმატებით დაშინებულმა ტეტრიკმა და გალიის გაბატონებულმა კლასმა არჩიეს ხელახლად დამორჩილებოდნენ რომს, ვიდრე ბაგაუდების მიერ მოხდებოდა არსებული წეს-წყობილების განადგურება. აქ აშკარად გამოვლინდა ორი სხვადასხვა ქვეყნის გაბატონებული კლასების ინტერესების იგივეობა. პეტრიკის დახმარებით ავრელიანემ შესძლო ბაგაუდების აჯანყების ჩახშობა.

ბაგაუდების ახალი გამოსვლები. ათიოდე წლის შემდეგ (283 წ.) გალიაში კვლავ დაიწყო ბაგაუდების მძლავრი გამოსვლები. ამჯამად ეს მოძრაობა დაემთხვა კარინესა და დიოკლეტიანეს ბრძოლას პირველობისათვის. როცა ამ ბრძოლაში კარინეს საქმე გაურთულდა, ის იძულებული გახდა თავისი ხელქვეითი ლეგიონები გალიიდან გაეწვია. ამან ერთგვარად ხელი შეუწყო ბაგაუდების მოძრაობის შემდგომ წარმატებებს.

ევტროპიუსისა და ავრელიუსის გადმოცემით აჯანყებულნი სწვავდნენ სენატორების, კურიალების და მაგნატების ვილებს, სდევნიდნენ რომაულ მოხელეებს, მიწათმფლობელებს ართმევდნენ მიწებსა და მოძრავ ქონებას. მალე აჯანყებულებმა კვლავ საკუთარი შეიარაღებული ძალები შექმნეს. წყაროებიდან ამ შემთხვევაშიაც ჩანს, რომ ბაგაუდების მხარეზე გადმოსულან ზოგიერთი რომაული ლეგიონები. უფრო მეტიც, აჯანყებულებს თავიანთ მეთაურად (იმპერატორად) აურჩევიათ ვინმე ამანდი—ყოფილი რომაელი ჯარისკაცი, ხოლო მის მოადგილედ (ცეზარად) ელიანე გაუყვანიათ.

აჯანყებულებმა თავიანთი მოძრაობის ცენტრად გადააქციეს ის ციხე-სიმაგრე, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ააგო იულიუს ცეზარმა მდინარე მარნაზე სენის შესართავთან. აქ ყოველი მხრიდან მოდიოდნენ შეიარაღებული კოლონები, მონები და საერთოდ ღარიბი მოსახლეობა. რომაელებმა არაერთხელ სცადეს ამ სიმაგრეზე იერიშების მიტანა, მაგრამ ეს დამსჯელი რაზმები ჯანყდებოდნენ თვით

რომაელების წინააღმდეგ და ბაგაუდების მხარეზე გადადიოდნენ.

რომაელთა ხელისუფლებისათვის თანდათან ცხადი ხდებოდა ის, რომ გალიაში მყოფი რომაული ლეგიონები განიცდიდნენ აჯანყების ზეგავლენას და, მაშასადამე, დასახული ამოცანის გადაწყვეტაში ისინი სავსებით აღარ იყვნენ საიმედონი. იმპერატორმა დიოკლეტიანემ ბაგაუდების წინააღმდეგ გააგზავნა რომიდან ახალი ლეგიონები. ამ შეიარაღებულ ძალებს ითავარ სარდლად დაენიშნა, როგორც ავრელიუს ვიქტორი გადმოგვცემს, იმპერატორ დიოკლეტიანეს ყველაზე ერთგული მეგობარი მაქსიმიანე.

არ იქნება ინტერესს მოკლებული ისიც, თუ აღვნიშნავთ, რომ მაქსიმიანეს შეიარაღებულ ძალებში წამყვანი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ოცდამეორე ლეგიონს ეკუთვნოდა. ამ ლეგიონის ჯარისკაცებს ფივანელებს უწოდებდნენ (ფივანი — ზემო ეგვიპტე), ხოლო თვით ამ ლეგიონს „ბედნიერი ლეგიონი" ერქვა, რადგან მას ბრძოლის ველზე დამარცხება არ ახსოვდა.

ბიბლიაში ამ ლეგიონის შესახებ ნათქვამია, რომ ეს ლეგიონი ვითომც მთლიანად ქრისტიანებისაგან შედგებოდაო. როდესაც ეს ლეგიონი მიუახლოვდა ბაგაუდების ციხე-სიმაგრეს, თითქოს მისმა ჯარისკაცებმა უარი სთქვეს ბრძოლაზე იმ მოტივით, რომ არ უნდოდათ ქრისტიანების წინააღმდეგ ომის წამოწყება. აქედან ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება მხოლოდ ის, რომ მართლაც ოცდამეორე ლეგიონმა უარი განაცხადა ბრძოლის წამოწყებაზე, მაგრამ სხვა წყაროებიდან სავსებით დასტურდება ის, რომ ლეგიონის ასეთი საქციელი გამოწვეული იყო ჯარისკაცების კლასობრივი სოლიდარობით აჯანყებულებთან და არა რელიგიური მოტივით.

რომაულმა სარდლობამ დაუყოვნებლივ მიიღო ღონისძიება ამ ლეგიონის წინააღმდეგ. ლეგიონის მთელი შემადგენლობა (6000 კაცი) სიკვდილით დაისაჯა. ამის შემდეგ მაქსიმიანემ მთელი რიგი ბრძოლები ჩაატარა აჯანყებულებთან. ბოლოს აჯანყება, როგორც იქნა ჩაახშეს. დაიწყო სასტიკი რეაქცია. აჯანყების მონაწილე ბაგაუდებს ჯგუფ-ჯგუფად (200 — 300 კაცი) სიკვდილით სჯიდნენ. სისხლიანმა ტერორმა თავის მიზანს მიაღწია. მეოთხე საუკუნის განმავლობაში ბაგაუდების ერთობლივ გამოსვლებს ადგილი აღარ ჰქონდა, თუმცა მათი ცალკეული პარტიზანული თავდასხმები ადგილობრივ მფლობელებს კვლავ შიშსა ჰგვრიდნენ.

გალია V საუკუნეში. გალიის მდგომარეობა უფრო მეტად გამწვავდა მეხუთე საუკუნეში. ამ დროს გახშირდა გალიაზე სხვადასხვა ბარბაროსთა ტომების თავდასხმები. ხშირი ბრძოლების გამო გალიის მოსახლეობას არ ეძლეოდა შესაძლებლობა მშვიდობიანი საქ-

ბიანობისათვის. ამას ემატებოდა ისიც, რომ რომის იმპერატორები სულ უფრო და უფრო ხრდიდნენ გალიის მოსახლეობაზე გადასახადებს. სწრაფად ვრცელდებოდა ეგრეთწოდებული პატრონატი. წვრილი მესაკუთრე გლეხობა ჰკარგავდა თავის უძრავ-მოძრავ ქონებას და დაყმევების პროცესში ვარდებოდა. სალვიანე გალიის უშუალო მწარმოებელთა დუხჭირ მდგომარეობას რელიეფურად აგვიწერს თავის შრომებში [1]. იგი ბაგაუდების ასეთ ვითარებაში ჩაყენების მიზეზად რომაელი მოხელეების თაღლითურ საქციელსა და რომაელ ხელისუფალთა არაადამიანურ მოპყრობას სთვლის.

ამ პერიოდის ბაგაუდური მოძრაობის პირველი მძლავრი ტალღა გალიაში იწყება 408 წელს აქ დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად და გრძელდება 411 წლამდე. ეს გამათავისუფლებელი მოძრაობა რომის ბატონობის წინააღმდეგ დაიწყო არმორიკაში, რომელიც მაშინ შედგებოდა აკვიტანიის ორი და ლიონის სამი პროვინციისაგან.

ზოსიმე ამის შესახებ გადმოგვცემს, რომ მთლიანად არმორიკა და გალიის სხვა პროვინციებში მოსახლეობა იარაღით ხელში აღსდგა და იწყო მამაცური ბრძოლა თავისი ინტერესებისათვის. მან გაათავისუფლა თავისი ქვეყნის ქალაქები შემოსეულ ბარბაროსებისაგან, განდევნა რომაელი მოხელეები და დაამყარა თავისათვის შესაფერი მმართველობაო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ გალიის პროვინციებში ფედერაციული მმართველობა დაუმყარებიათ. რომის იმპერიისაგან განთავისუფლებულ არმორიკის ფედერაციაში ძალაუფლება ხელთ უგდიათ შეძლებულებს, რის გამოც გამწვავებულა შინაგანი კლასობრივი ბრძოლა. შემდეგში ეს კლასობრივი წინააღმდეგობანი კვლავ რომს გამოუყენებია და ეს პროვინციები ხელახლა დაუმორჩილებია.

ბაგაუდების ახალი მოძრაობა გალიაში დაწყებულა 435 წელს და გაგრძელებულა 437 წლამდე. ამ შემთხვევაშიაც ბაგაუდების მოძრაობასთან ერთად დაწყებულა საერთო გამათავისუფლებელი მოძრაობა რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. პროსპერეს ქრონიკებიდან ვტყობილობთ, რომ 435 წელს ტრანსალპიური გალია ვინმე ტიბატის ხელმძღვანელობით განდგომია რომს. ქრონიკების ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებაც, რომ ამ გამათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი რაოდენობით მონაწილეობას ღებულობდნენ ბაგაუდები ყველა აჯანყებულ მონებთან ერთადო.

---

[1] იხ. Удальцов. Социальная история средневековья, გვ. 29 — 60.

რომის იმპერია არც ამ შემთხვევაში შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას. რომიდან გალიის დასამორჩილებლად გაიგზავნა ჯარის დიდი ნაწილი მაიორიანის (რომელიც შემდეგში რომის იმპერატორად გამოცხადდა) მეთაურობით. რომაელები ბრძოლებში ვერაფერს გახდნენ და დამარცხებული მაიორიანი იძულებული გახდა უკან წასულიყო. 437 წელს დასავლეთ რომის იმპერატორმა აეციუსმა, როგორც იქნა, შესძლო ამ აჯანყების ჩახშობა დიდი შეიარაღებული ძალებით ტრანსალპიურ გალიაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ბაგაუდების გამოსელები, მეტნაკლებად, შემდეგშიაც გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე გალია საბოლოოდ არ გადავიდოდა იმ ძველი გერმანელი ტომების მფლობელობაში, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ეგრეთწოდებულ ფრანკთა მონარქიას. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში თავის დასაბამს ღებულობს სწორედ ფრანკთა მონარქიიდან.

რევოლუციური მოძრაობა რომის იმპერიაში, რა თქმა უნდა, მარტო ბაგაუდებისა და აგნოსტიკოსების ნოძრაობით არ განისაზღვრებოდა. მონების, კოლონების, გლეხებისა და გაჩანაგებული ხელოსნების გამოსვლები მონათმფლობელობის წინააღმდეგ ხდებოდა რომის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა ნაწილებშიაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს ე. წ. სკამარების აჯანყებებსაც, რომელნიც თავს იჩენენ ბეხუთე საუკუნის ბოლოდან და ეთანრდებიან მეშვიდე საუკუნის შუალედამდე.

ამ აჯანყებებმა მოიცვეს რომის იმპერიის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთ ნაწილების პროვინციები: ნორიკუმი, პანონია, ილირია და თრაკია. მონები, კოლონები, გლეხები და ხელოსნები არბევდნენ მონათმფლობელთა სახლ-კარს, ანადგურებდნენ საგადასახადო სიებს და ძველ გერმანელ ტომებთან და სლავებთან ერთად დაუღალავი იერიშები მიჰქონდათ მონათმფლობელურ სამყაროზე. სკამარებმა ხელში ჩაიგდეს დიდად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე გერტა (სირმიის ოლქში). ოსტგუტთა მეფის თეოდორიხის ჯარებთან ერთად მათ მდინარე მარნაზე სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგის ათი ათასიანი ჯარი, რომელსაც საბინიანი ხელმძღვანელობდა. 527 — 565 წლებში, როცა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში შემოიჭრნენ სლავები, სკამარებმა ასევე აქტიური დახმარება გაუწიეს მათ ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავებაში.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ფეოდალური ელემენტების ჩასახვის პროცესები მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში: კოლონატის წარმოქმნა, კურიალების, „კოლეგიების“, ნავკრარიების და სხვა-

თა მამავრების პროცესი, ნატურალური მეურნეობის გაბატონება, პატრონატის გავრცელება, მემამულეთა კერძო უფლებრიობის ზრდა ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების ხარჯზე და სხვა. მაგრამ ახალი, ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა ჯერ კიდევ არ მომხდარიყო და ყველაფერი ეს მხოლოდ წინაპირობას წარმოადგენდა მისთვის; მონათმფლობელური სახელმწიფოს არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო ფეოდალური ელემენტების საბოლოო გამარჯვება [1].

ვიმეორებთ, რომ მოვლენათა განვითარება თუ თავდაპირველად ევოლუციურად მიმდინარეობდა, შემდეგში, როცა შეიქმნა ახალი ვითარება და მოისპო შესაბამისობა წარმოებით ურთიერთობასა და წარმოებით ძალებს შორის, ისტორიულად აუცილებელი გახდა რევოლუციური მოძრაობის განვითარება, რომელსაც გზა უნდა გაეკაფა ახალი წარმოებითი ურთიერთობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, რომის იმპერიაში დიდხანს გრძელდებოდა ეს მოძრაობა. იგი დაგვირგვინდა მხოლოდ მაშინ, როცა ამ მოძრაობის ფერხულში უშუალოდ ჩაებნენ ბარბაროსთა ტომებიც.

---

[1] იხ. Вестник истории мировой культуры, 1957 г., т. 2, стр. 129.

ნაწილი მეორე

ძველი გერმანელი ჯოგები და მათი ურთიერთობა რომთან

თავი VI

დასავლეთ ევროპის ეთნიკური ვითარება ძველი გერმანული ჯოგების შეგოსევამდე

დასავლეთ-ევროპა „ხალხთა დიდ გადასახლებამდე“. ვიდრე უშუალოდ შეეხებოდეთ ძველი გერმანელი ტომების ყოფაცხოვრების, ხოლო შემდეგ ხალხთა ეგრეთწოდებული დიდი გადასახლების შესწავლას, ზედმეტი არ იქნებოდა, თუ გავაკეთებდით მოკლე მიმოხილვას დასავლეთ-ევროპის ხალხთა იმ ეთნიკური ვითარებისას, რომელიც შექმნილი იყო მათში ინდო-ევროპული ენების გაბატონებამდე.

უძველესი დროიდან დაწყებული დასავლეთ-ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი იბერული მოდგმის ტომების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. წერილობითი წყაროები, რომელნიც პირველად იხსენიებენ იბერებს, ჰეკათეოს მილეტელს (ბერძენი ლოგოგრაფოსი VI საუკ. ბოლოსა და V საუკ. დასაწყისში ჩვენ ერამდე) ეკუთვნის [1]. იბერები ისე, როგორც მათი ჩამომავლების ერთ-ერთი შტო — ბასკები ენობრივად წინაინდოევროპიულ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ. რომაულ ხანაში ბასკები დასახლებულნი იყვნენ ესპანეთის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე და ეტყობა, რომ სამხრეთი გალიაც (აქვიტანია) მათ განკარგულებაში იმყოფებოდა. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიას, მის მომიჯნავე ჩრდილო-იტალიის ოლქებსა და დასავლეთის ალპებს, ეს ადგილები უძველესი დროიდან ლიგურების ტომებს ჰქონდათ დაკავებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იბერების შესახებ ისტორიოგრაფიაში მრავალი შეხედულება არის წარმოდგენილი. ჯერ კიდევ 1868 წელს გონგორა და მარტინეცი ფიქრობდნენ, რომ იბერებმა

---

[1] Всемирная история, т. II. стр. 133, изд. 1956 г.

კავკასიასთან გადალახეს აზიის საზღვრები და ევროპაზე გავლით პირინეის ნახევარკუნძულზე გადავიდნენ. ფილიპონის თვალსაზრისითაც იბერები მცირე აზიიდან პირინეიზე გადასულან. ზოგიერთის მტკიცებით კი, იბერები აფრიკული წარმოშობისა უნდა ყოფილიყვნენ. ამ შეხედულებათა რადიკალურად საწინააღმდეგო აზრი საბჭოთა ისტორიკოსმა მიშულინმა წამოაყენა. თავის შრომაში — „Античная Испания—ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ „იბერები მოსულნი კი არა, ადგილობრივი მცხოვრებლები არიან“ [1].

ცენტრალურ ნაწილში და მდინ. ლუარასა და სენას აუზში, ცეზარის გადმოცემით, დასახლებულნი იყვნენ კელტები იმ დროს, როცა ამ ქვეყნის სამხრეთი ნაწილი დაკავებული ჰქონდათ იბერული წარმოშობის ტომებს, აქვიტანელებს, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი — ბელგებს, რომელთა ეთნიკური წარმოშობა ძველი ბერძნებისათვის და რომაელებისათვის უცნობი იყო. კელტები ესპანეთშიაც იყვნენ. მათ ეპირათ ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მაშინ, როცა ამ ქვეყნის ცენტრი კელტ-იბერების ნარევ ტომებს განეკუთვნებოდა.

იმდროინდელი ირლანდიისა და ბრიტანეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილსაც კელტები შეადგენდნენ. თავდაპირველად კელტები ცხოვრობდნენ აგრეთვე რაინისა და დუნაის ზემო ნაწილებში (ჰელვეტები). ამასთან ისიც ცნობილია, რომ ბოჰემიიდან და მის მეზობლად მდებარე ადგილებიდან კელტები არა მარტო თავს ესხმოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიას, არამედ ასახლებდნენ კიდეც იქ ხალხს.

გამოთქმულია აზრი, რომ კელტური მოდგმის ტომები ორ ძირითად ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთ მათგანს მიეკუთვნებოდა ეგრეთწოდებული გალის შტო, რომელშიაც ირლანდიისა და შოტლანდიის მცხოვრებლები შედიოდნენ, ხოლო მეორეს, ეგრეთწოდებულ კიმვრისას, უელსისა და კორნუელსის მცხოვრებლები შეადგენდნენ. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ბრიტანეთის კელტები და ბრიტები, როჰელთაც თავიანთი ბრეტონული ენა დღემდე შემოინარჩუნეს (ბრეტანში). რაც შეეხება გალიის კელტურ ენას, იგი ჩვენთვის უფრო ნაკლებადაა ცნობილი.

ბრიტანეთის კელტური მოსახლეობა. როგორც სათანადო ისტორიული წყაროებიდან ირკვევა თემური წყობილება ფეხმოკიდებული იყო აგრეთვე ბრიტანეთში. ამის დამადასტურებელია თუნ-

---

[1] იხ. აღნიშნული შრომა, გვ. 158, გამოც. 1952 წ.

დაც ის ფაქტი, რომ ბრიტანეთში დროის დიდ მონაკვეთზე შემონარჩუნებული იყო მატრიარქატის მნიშვნელოვანი ნაშთები. ბრიტანეთში მამაკაცებთან ერთად სახალხო კრებებში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც. შოტლანდიაში დიდი ხნის მანძილზე „მეფის“ შემკვიდრეობის გადაცემა ხდებოდა დედისა და არა მამის ხაზით. გვაროვნული — თემური წყობილების არსებობის არა ნაკლებ დამადასტურებლად ბრიტანეთში არსებული ეგრეთწოდებული პოლიანდრია უნდა ჩაითვალოს. მიწაზე მუშაობა, როგორც კელტურ, ისე ბრიტების ტომებში, საერთო ძალებით წარმოებდა. მათში მიწაზე კერძო საკუთრებას არ ჰქონდა ადგილი. მიწათმოქმედებასთან ერთად მოსახლეობა მესაქონლეობასაც მისდევდა. ირკვევა, რომ ბრიტანეთში ადრევე ხმარებაში იყო რკინა, რასაც ხელს უწყობდა მიწის წიაღისეული სიმდიდრე. კალის დამუშავება და მისი გამოყენება მოსახლეობის მიერ უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ამიტომ იყო, რომ ბრიტანეთს სხვანაირად „კალის კუნძულებს“ უწოდებდნენ.

იულიუს ცეზარის გალაშქრება ბრიტანეთში პირველად მოეწყო 55 წელს ჩვენ ერამდე ხოლო მეორედ — 54 წელს. მიუხედავად ამ ქვეყნის დაპყრობის დიდი სურვილებისა, რომაელებმა მაშინ მისი მთლიანი დაპყრობა ვერ მოახერხეს და იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ბრიტანეთის საბოლოო დაპყრობა რომაელების მიერ მოხერხდა მხოლოდ იმპერატორ კლავდიუსის დროს (43 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით).

დამპყრობლები ისე, როგორც გალიაში, აქაც შეეცადნენ ქვეყნის რომანიზაციას. სტრატეგიული მიზნით მათ გაიყვანეს გზები, ააგეს ციხე-სიმაგრეები, რომელთაც „ჩესტერი“ ეწოდებოდათ. თანამედროვე ინგლისის ქალაქები, რომელთა სახელწოდება „ჩესტერით“ თავდება მაგ., მანჩესტერი და სხვ., თავიანთ საწყისს რომაელთა ბატონობის ეპოქაში ღებულობდნენ. რომაელებმა ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით იწყეს ლატიფუნდიალური მეურნეობის დანერგვა და მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნის საბოლოო რომანიზაცია მათ ვერ შესძლეს.

კელტური კულტურის აღორძინება. ბრიტანეთის რომანიზაციის საკითხის შესახებ ისტორიოგრაფიაში ორი ძირითადი მიმდინარეობა წარმოიშვა. პირველ მიმდინარეობას სიბომი მეთაურობდა. იგი ამტკიცებდა, თითქოს რომაელებმა შეძლეს ბრიტანეთის სრული რომანიზაცია. მეორე მიმდინარეობამ — რუსი მკვლევარის ვინოგრადოვის ხელმძღვანელობით — საკუთარი ცხადჰყო სიბომისა და მისი მიმდევრების მცდარი შეხედულებანი.

რომაელების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობელთა ცდებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. გარდა ამისა, ბრიტანეთი საკმაოდ დიდი მანძილით დაცილებული იყო მონათმფლობელური ცენტრისაგან. ყოველივე ამას ემატებოდა აგრეთვე ის, რომ მესამე საუკუნიდან მოყოლებული ბრიტანეთზე განუწყვეტლივ წარმოებდა ფრიზების, ანგლების და სხვ. თავდასხმები. მეხუთე საუკუნის დასაწყისში კი, ალარიხის იტალიაში შემოჭრასთან დაკავშირებით, რომი იძულებული გახდა საბოლოოდ გაეყვანა ბრიტანეთიდან რომაული ლეგიონები, რის შედეგადაც რომაული გავლენა იქ მთლიანად მოისპო.

ამის შემდეგ ბრიტანეთში ყველგან კვლავ განმტკიცდა თემური წყობილება. დაიწყო ყოველგვარი რომაული წეს-ჩვეულების აღმოფხვრა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბრიტანეთში გავრცელებულმა კათოლიკურმა სარწმუნოებამ და ეკლესიამ განიცადეს ერთგვარი გარდაქმნები. ბრიტანეთში მოვლენათა ასეთი მსვლელობა ისტორიოგრაფიაში შევიდა „კელტური აღორძინების“ სახელწოდებით.

ამგვარად, IV — V საუკუნეებში, მაშინ, როდესაც ძველი გერმანელი ტომების ურთიერთობა რომის იმპერიასთან უფრო საგრძნობი გახდა, რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური განვითარების საფეხურები სხვადასხვა იყო. თუ ბრიტანეთის კელტები ჯერ კიდევ თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ, სამაგიეროდ, გალია (როგორც ციზალპიური, ისე ტრანსალპიური) მთლიანად მონათმფლობელურ ქვეყანას წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ორი სხვადასხვა ელემენტის (რომაულისა და გერმანულის) სინთეზი რომის იმპერიის ცალკეულ პროვინციებში თავისებური ტემპებით უნდა წარმართულიყო და ფეოდალიზაციის შედეგიც სხვადასხვა ხასიათს მიიღებდა.

რომის იმპერიის იმ ნაწილში, სადაც მოსულ ბარბაროსთა ტომებს გვაროვნული (თემური) წყობილება დახვდათ, რომაული ელემენტების მათზე გავლენა ნაკლები, ან სულ არ უნდა ყოფილიყო. ამის გამო თემური წყობილების რღვევა მოსულთა შორის უფრო ნელი ტემპებით წარიმართებოდა და, მაშასადამე, ასეთ ადგილებში ფეოდალური ურთიერთობის შექმნა-ჩამოყალიბებაც დაგვიანებით უნდა მომხდარიყო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი მხოლოდ XI საუკუნეში დამთავრდა, იმ დროს, როცა ფრანკთა მონარქიაში, რომელიც შეიქმ-

ნა გალიაში, იგივე პროცესი მეცხრე საუკუნისათვის უკვე დასრულებული იყო.

აქვე უნდა დაეძინოთ, რომ თვით ძველი გერმანული ტომები, მართალია, ჯერ კიდევ თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების განვითარება ყველგან ერთნაირი არ იყო. ის ბარბაროსთა ტომები, რომელნიც უშუალოდ რომის იმპერიის საზღვრებთან იმყოფებოდნენ, ან იმპერიის საზღვრებს შიგნით მოექცნენ, რომაული კულტურის გაელენას უფრო მეტად განიცდიდნენ. ასეთი ტომები თემური წყობილების უკანასკნელ საფეხურზე ავიდნენ, ხოლო დანარჩენებს თემური წყობილების რღვევა ჯერ კიდევ არ ემჩნეოდა.

თავი VII

პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების საფეხურები საერთოდ

პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების სქემა ენგელსის მიხედვით. ვიდრე გადავიდოდეთ ძველი გერმანული ტომების სოციალურ-ეკონომიური ვითარების განხილვაზე, საჭირო იქნება გავერკვეთ საერთოდ პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების სხვადასხვა საფეხურებში.

ძველი ბერძნები, ხოლო შემდეგ — რომაელები, ბარბაროსებს დაცინვით უწოდებდნენ არა მარტო გერმანელებს, არამედ ყველა უცხოელს, რომელნიც მათთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ, იყვნენ უხეშნი და თითქოს თავიანთი ბუნებით მონების მოდგმას წარმოადგენდნენ. ძველი ბერძნებისა და რომაელების აზრით, ბარბაროსებისათვის მონებად გადაქცევა ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია მათთვის წყალი და ჰაერი.

მორგანმა ტერმინში „ბარბაროსობა ახალი გაგება შეიტანა". თავის შრომაში — „ძველი საზოგადოება" ავტორმა „ბარბაროსობა" პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების სქემის მეორე ეტაპად ჩასთვალა, ხოლო ამ საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურს „ველურობა" უწოდა.

მორგანის მიერ წამოყენებული პირველყოფილი საზოგადოების განვითარების სქემა, კრიტიკული მიდგომის შემდეგ, ენგელსმა ძირითადად მიიღო და თავის შრომაში — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა" პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების სქემაში შემდეგი სამი საფეხური შეიტანა: 1. ველურობა, 2. ბარბაროსობა და 3. ცივილიზაციაში გადასვლა.

ენგელსის აზრით, ამ განვითარების პირველი საფეხურები თავის მხრივ დაყოფილი უნდა იქნას ქვესაფეხურებად. ველურობის განვითარების პირველი საფეხური ხასიათდება შემდეგით: ა) ადამიანებს საცხოვრებელი ბინები არ გააჩნიათ. ისინი ცხოვრობენ

უმთავრესად ტყეში. ღამეებს ატარებენ ხეებზე, ბ) ადამიანების ძირითად საკვებს ხის ნაყოფი წარმოადგენს. ისინი იკვებებიან აგრეთვე მცენარეულობის ფესვებით და სხვ. განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა ერთადერთ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი პირველად იწყებენ მეტყველებას ბგერათა დანაწევრების მეშვეობით. ამას ენგელსი დასძენს, რომ ყველა ხალხებიდან, რომელნიც კი ისტორიულად ცნობილნი გახდნენ, თითქმის არც ერთი ამ საფეხურზე აღარ იმყოფებოდაო.

ველურობის განვითარების მეორე საფეხური იწყება თევზისა და წყლის სხვა ცხოველების გამოყენებით კვებაში. გარდა ამისა, ამ საფეხურისათვის დამახასიათებელია ისიც რომ ადამიანები პირველად იყენებენ ცეცხლს. ამ ხანაში საკვებ მასალად გამოყენებულია აგრეთვე ადამიანის ხორცი. ენგელსის თქმით, საკვებად ადამიანის ხორცის გამოყენება დიდხანს გრძელდებოდა (ავსტრალიელებში, პოლინეზიელებში და სხვ.).

ველურობის განვითარების მესამე საფეხურს წარმოადგენს ის ხანა, როდესაც ადამიანები იწყებენ ისრის გამოყენებას და ნადირობა იქცევა შრომის ნორმალურ დარგად. გარდა ამისა ამ ხანებში წარმოებს ნავების დამზადება ცეცხლის გამოყენებითა და ქვის ცულის შენწეობით. ჭურჭელს ადამიანები ხისაგან ამზადებენ. ხდება აგრეთვე უხეში ქსოვილების ხელით დამზადება.

ბარბაროსობის პირველ საფეხურზე ადამიანებმა მოჰკიდეს ხელი სამეთუნეო (гончарное) წარმოებას. ახლა ჭურჭლეულის დამზადებაში უმთავრესად გამოყენებულია თიხა. მონადირეობასთან ერთად ადამიანები ახდენენ გარეული ცხოველების მოშინაურებას. თუ წინა ხანებში ადამიანები კმაყოფილდებოდნენ მცენარეთა ფესვებით, ბარბაროსობის პირველ საფეხურზე იწყებენ ხორბლეულის თესვას, თუმცა ეს პრიმიტიულ ფორმებში ხდებოდა. ენგელსი აღნიშნავს, რომ ევროპაში მოჰყავდათ სხვადასხვა მარცვლეულობა, ამერიკაში კი, მხოლოდ სიმინდი; ევროპაში ადამიანები აშინაურებდნენ სხვადასხვა სახის ცხოველებს იმ დროს, როცა ამერიკაში მხოლოდ ლამა იყო მოშენებული.

ბარბაროსობის განვითარების საშუალო, ანუ მეორე საფეხურზე ხდება მეცხოველეობაში შემდეგი გარდაქმნა — იწყება მეჯოგეობა. გარდა ამისა, მარცვლეულის მოყვანასთან ერთად ვითარდება მებოსტნეობაც. ენგელსის თქმით, განვითარების ამ ახალ საფეხურზე ადგილი აღარ რჩება კაციჭამიობას. ამიერიდან მისი ნაშთები გამოვლინდებიან რელიგიურ რიტუალებში. ხხოლოდ რელიგიურ

დღესასწაულებში, წელიწადში ერთ, ან ორჯერ ადამიანები ღებულობდნენ ადამიანის ხორცს ზიარების მსგავსად.

ბარბაროსობის მესამე და უკანასკნელი საფეხური ხასიათდება რკინის დამუშავებისა და ვამოყენებით. დამწერლობის დაწყებით ხდება ადამიანთა ცივილიზაციაში გადასვლა. ენგელსის აზრით, განვითარების ამ საფეხურზე იმყოფებოდნენ: გმირული ეპოსის ბერძნები, იტალიური ტომები რომის დაარსებამდე, ტაციტუსის დროინდელი გერმანელები და ვიკინგების ხანის გერმანელი ტომები.

პირველყოფილი-თემური წყობილების განვითარების ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ საფეხურებზე სხვადასხვა სახის ოჯახი იქმნებოდა. ველურობის საფეხურზე გავრცელებული იყო ჯგუფური ცოლ-ქმრობა, ბარბაროსობის საფეხურზე წყვილადი ცოლ-ქმრობა, ხოლო ცივილიზაციაზე გადასვლისას ფეხი მოიკიდა მონოგამიამ.

განვითარების ამ საფეხურებს შორის გვარიც თავისებურ ადგილს იკავებდა. რაკი ველურობის საფეხურზე გავრცელებული იყო ჯგუფური ცოლ ქმრობა, ენგელსის აზრით, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ბავშვის რომელიმე ქმრისადმი მიკუთვნება. მაშასადამე, გვარის წარმოქმნა მამაკაცის ხაზით ასევე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო და ამიტომ გვარი დგებოდა დედის და არა მამის ხაზით. ამ დებულების საილუსტრაციოდ ენგელსი ამბობდა, რომ ასეთ ვითარებაში იმყოფებოდნენ ყველა ველური ხალხები და ყველა ისინი, ვინც ბარბაროსობის განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენო.

ანგვარად, მატრიარქატი გაბატონებული იყო ველურობაში და ბარბაროსობის განვითარების პირველ საფეხურზე. მიუხედავად ამისა, მატრიარქატის გადმონაშთები დიდ ხანს განაგრძობდნენ თავიანთ არსებობას პირველყოფილ-თემური წყობილების მოსპობის შემდეგაც.

მოკლედ, ასეთი იყო ენგელსის მიერ წარმოდგენილი სქემა პირველყოფილი-თემური წყობილების განვითარების ცალკეული საფეხურებისა, რომელიც თავის ბრივ ემყარება მორგანის დადებით მონაცემებს. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ მორგანის მონაცემებზე ენგელსი შემდეგ აზრს გამოთქვამდა: მორგანი პირველი იყო, რომელიც საქმის ღრმა ცოდნით შეეცადა ისტორიამდელ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში გარკვეული სქემა შეეტანა და მანამდე, ვიდრე ახალი მასალის დაგროვება არ გვაიძულებს მასში ცვლილებების შეტანას, მის მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაცია უდავოდ ძალაში დარჩება.

პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების განსაზღვრა ახალი მეცნიერული მონაცემების მიხედვით. ენგელსის შრომის — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის" გამოცემის შემდეგ კარგა ხანმა განვლო. მეცნიერების ცალკეულმა დარგებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. პირველყოფილი თემური წყობილების შესწავლისათვის უზარმაზარი მასალა დაგროვდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ანტროპოლოგიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების ხაზით.

საბჭოთა მეცნიერებამ ამ ახალი წარმატებების ფონზე, მორგანის მიერ მოცემული პერიოდიზაციის სქემა, რომელიც ემყარებოდა კულტურის განვითარების პრინციპს, შესცვალა ისეთი პერიოდიზაციით, რომელიც საფუძვლად ღებულობს წარმოებითი ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას. ამ თვალსაზრისით პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების პირველი საფეხურია ეგრეთწოდებული ქვის ხანა, რომელიც თავის მხრივ ორ საფეხურად იყოფა: ა) პალეოლითი და ბ) ნეოლითი. ადამიანთა ამ განვითარების მეორე საფეხურია ლითონების ეპოქა, რომელიც თავის მხრივ იყოფა აგრეთვე ორად: ა) ბრინჯაოს ხანა და ბ) რკინის ხანა. ქვის ხანაში ხდება უხეში ქვის იარაღებიდან ნშვილდ-ისარზე გადასვლა, ხოლო მონადირეობიდან — ცხოველთა მოშინაურებაზე; პირველყოფილი მესაქონლეობა ვითარდება მეჯოგეობად. ამ ხანაში გაბატონებულია მატრიარქატი. ლითონების ხანაში ქვის იარაღებიდან ადამიანები გადადიან ლითონისაგან დამზადებული იარაღების (რკინის ცული, რკინის სახნისი და სხვ.) გამოყენებაზე. ამ ეტაპზე მატრიარქატი შეიცვალა პატრიარქატით.

ამრიგად, ახალი მასალების საფუძველზე წინაკლასობრივი პერიოდი იყოფა შემდეგ ძირითად ეტაპებად: პირველყოფილი ჯოგი, გვაროვნული წყობილება (მატრიარქატი და პატრიარქატი) და სამხედრო დემოკრატიის ხანა.

თავი VIII

ძველი გერმანელი ტომები დასავლეთ-ევროპაში (მეორე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვაზდე და ჩ. წ. აღრიცხვით)

გერმანელი ტომების წარმოშობის საკითხისათვის. ჩვენ ზემოთ სქემატიურად მოვხაზეთ პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების ცალკეული საფეხურები იმ მიზნით, რომ გაგვადვილებინა ძველი გერმანელი ტომების ყოფაცხოვრების გარკვევა, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, საჭირო იქნება განვიხილოთ მათი მოძრაობა დასავლეთ ევროპაში.

ანტიკური მწერლები გერმანელებს უწოდებდნენ ყველა იმ ტომებს, რომლებიც ადრევე დასახლებულნი იყვნენ: ბალტიის ზღვის და გერმანული ზღვის (Нежецкое море) სანაპიროებზე, იუტლანდიაზე და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში. ტომთა უმრავლესობა, რომელიც ცხოვრობდა შდინარეების ლაბასა და ვისლას შორის და ანტიკურ წყაროებში მოიხსენებოდა გერმანელთა სახელწოდებით, სინამდვილეში წარმოადგენდა სლავების წინაპარს.

სახელწოდება — „გერმანელები" ანტიკურ წყაროებში პირველად გვხვდება მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დადგენილია, რომ სიტყვა — „გერმანელები" ეტიმოლოგიურად წარმოშობილია კელტური, ან ილირიული ენიდან. მაშასადამე, ამ სახელწოდებას ბარბაროსებს კელტები არქმევდნენ, თვით გერმანელები კი თავიანთ თავს ამ სახელწოდებით არ იხსენიებდნენ. ეს მათი არც შეეძლოთ, ვინაიდან გამოთქმა „გერმანელები" კრებადულ მნიშვნელობისაა და ნიშნავს ერთი რომელიმე ხალხის მთლიანობას. სინამდვილეში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისინი შედგებოდნენ სხვადასხვა მოდგმის ტომებისაგან. გერმანელი ხალხი სხვა ხალხების მსგავსად თანდათან ყალიბდებოდა წვრილი ტომების გაერთიანებით ტომთა სამხედრო კავშირებში, რომლებშიაც რიგ შემთხვევებში, შედიოდნენ აგრეთვე: კელტები, სლავები, ფინები და ა. შ.

მაშასადამე, გერმანელი ხალხი წმინდა „არიულ რასას“ კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ფაშისტი მეცნიერები ამტკიცებდნენ, არამედ იგი შედეგია სხვადასხვა ოთხი ან ხუთი რასის შერევისა. ვიმეორებთ, რომ განუწყვეტელ მოძრაობაში მყოფი ძველი გერმანელი ტომები, რომელთაც ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა სხვადასხვა ტომებთან, მათში არევის შედეგად, ვერ შეინარჩუნებდნენ თავიანთ „წმინდა სისხლს“.

ცეზარი თავისი შრომის „დე ბელო გალიკა“ 53-ე თავში, იქ, სადაც ლაპარაკია სვევებთან ბრძოლაზე, აღნიშნავს შემდეგს: არიოვისტს ჰყავდა ორი ცოლი. ერთი მათგანი, რომელიც მან თავისი სახლიდან წამოიყვანა, წარმოშობით სვევი იყო, ხოლო მეორე, რომელიც მას ძმამ გამოუგზავნა და რომელზედაც არიოვისტმა ვალიაში იქორწინა, იყო მეფე ვოკციას და, ნორიკუმიდან.

გარდა ამისა, გერმანელთა კელტებთან აღრევის, რომაელებთან და სხვ. შესახებ ტაციტუსიც გველაპარაკება თავის შრომაში „გერმანია“ იქ, სადაც მოთხრობილია უბიების რომანიზაციაზე, ტრევერებისა და ნერვიების კელტიზაციაზე და ა. შ. (იხ. თავი 28).

ამგვარად, ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ბურჟუაზიულ-ფაშისტური მკვლევარების მტკიცება იმის შესახებ, თითქოს გერმანელი ხალხი წარმოადგენს წმინდა სისხლის ეგრეთ წოდებულ ჩრდილოეთის რასას, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებულია.

ცეზარის დროს (პირველი საუკუნის 50-იანი წლები ჩვენს ერამდე) გერმანელებში გამოირჩეოდა ყველაზე უფრო მსაევილი ხამხედრო-ტომობრივი გაერთიანება სვევებისა — არიოვისტის მეთაურობით. ამ გაერთიანებაში, გარდა სვევებისა, მონაწილეობდნენ: ლანგობარდები, მარკომანები, სემნონები, გერმუნდურები და სხვა წვრილი ტომები, რომლებშიაც არაგერმანული წარმოშობის ჯგუფებიც შედიოდნენ.

რაც შეეხება ბასტარნებს, რომელნიც აქამდე გერმანელ ტომებად იყვნენ ცნობილნი, უკვე საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ისინი სარმატულ-თრაკიული წარმოშობისა იყვნენ. ბასტარნები ადრეეე მდინარე დუნაის მიდამოებში ცხოვრობდნენ. ისინი მეორე საუკუნეში ჩვენს ერამდე მოხსენებულნი არიან მაკედონელ ფილიპე მეხუთის მოკავშირეებად რომაელებთან ბრძოლაში. ბასტარნები რომაელებთან ბრძოლას აწარმოებდნენ აგრეთვე მითრიდატეს მხარეზე.

ძველი გერმანელი ტომების განლაგება. ენგელსი ძველ გერმანელ ტომებს ხუთ ჯგუფად ანაწილებს: [1]. 1. გუთები, მათში შემავალი ტომები: გუთები, ბურგუნდები, ვანდალები, სკირები, რუგიები...

2. ინგევონები, მათში შემავალი ტომები: ფრიზები (ნახევარკუნძულის ფრიზები, კიმვრები და ტევტონები), ხავკები, საქსები, ანგლები, იუტები, ხერუსკები და ვარნები (?).

3. ისკევონები, მათში შემავალი ტომები: უბიები, ხამავები, ბრუქტერები, სიგამბრები, ტენკტერები, უზიპეტები, ტრიბოკები, ვანგიონები და ნემეტები.

4. ჰერმინონები, მათში შემავალი ტომები: სვევები, შვაბიის ალემანები, ბავარიის მარკომანები, გერმუნდურები (ტიურინგები), ხატები, ბატავები და ხატუარები.

5. სკანდინავები (ვილევიონები).

ტერიტორიული განლაგების მიხედვით, ძველი გერმანელი ტომები სამ ჯგუფად იყოფოდნენ: დასავლეთის, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის გერმანელები.

დასავლეთ გერმანელების განლაგება შემდეგ სურათს იძლევა: მდინარე რაინის შუა წელში მოსახლეობდნენ სუგამბრები (გამბრიები) და მარსები. უკანასკნელთა მეზობლები აღმოსავლეთით იყვნენ: ხატები, ხერუსკები და სხვ. წვრილი ტომები. მდინარე ქვემო რაინის ჩრდილოეთით (ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს გასწვრივ) განლაგებულნი იყვნენ: ფრიზები და ხავკები, ხოლო მდინარე ელბის საწყისში და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე: ანგლები, საქსები, ტევტონები, კიმვრები და სხვ.

აღმოსავლეთის გერმანელებს უმთავრესად დაკავებული ჰქონდათ მდინარეების ოდერისა და ვისლის მიდამოები. აქ იმყოფებოდნენ უმთავრესად გუთები, ვანდალები და ბურგუნდები. ჩრდილოეთის გერმანელები გაფანტულნი იყვნენ სკანდინავიაზე სვეონების (თანამედროვე შვედელების წინაპრები) და გაუთების სახით.

მაგრამ როცა ვლაპარაკობთ ძველი გერმანელი ტომების ადგილსამყოფელზე, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ გერმანელები სულაც არ წარმოადგენდნენ ადგილობრივ ბინადარ მცხოვრებლებს. ისინი დასავლეთ ევროპაში გადმოვიდნენ მხოლოდ ჟელტური მოდგმის ხალხების შემდეგ. დევნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და სულ უფრო და უფრო მიიწევდნენ ახალი ადგილების დასაკავებლად. ენგელსის აზრით, გერმანელთა ამ ადგილებში გადმოსახლე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, стр. 383.

ბა დაიწყო არა უადრეს 400 წლისა ჩვენ ერამდე და ცეზარის დროს ეს პროცესი ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დამთავრებული.

დაახლოებით 130 წელს (ჩვენს ერამდე) კელტების მხარეში მდინარე დუნაისთან კიმვრები და ტევტონები შეკრილან. მაგრამ კელტების მოდგმის ტომებს, ბოიებს, ისინი განუდევნიათ აქედან და ამიტომ, როგორც კიმვრები, ისე ტევტონები დაძრულან რომის საბღვრებისაკენ. 113 წელს ისინი ამბრონებთან ერთად შეკრილან რომის პროვინციაში—ნორიკუმში. რამოდენიმეჯერ ზედიზედ დაუმარცხებიათ რომაელები და დაურბევიათ სამხრეთი გალია, ხოლო 103—102 წ. (ჩვენს ერამდე) ტიროლზე გაელით გადასულან საკუთრივ იტალიაში.

პლუტარქე მოგვითხრობს, რომ იმპერიაში შემოკრილ ამ ბარბაროსთა რაოდენობა სამასი ათასამდე აღწევდაო [1]. მტრების მოახლოებისას მარიუსმა თავისი ჯარები ალპების გადალახვით, სასწრაფოდ გადაიყვანა მდინარე როდანთან და იქ დაბანაკდა. ბარბაროსები დაიყვნენ ორ ნაწილად: კიმვრები ნორიკუმიდან უნდა დაძრულიყვნენ და იერიშები მიეტანათ კატულაზე, ხოლო ტევტონები და ამბრონები მარიუსს თავს უნდა დასხმოდნენ ლიგურიიდან.

როგორც ჩანს, კიმვრებმა მტერზე იერიშების მიტანა დააგვიანეს. ტევტონები და ამბრონები მალე მიუახლოვდნენ მარიუსის ბანაკს. 102 წელს სასტიკი ბრძოლა გაიმართა ექსსთან ბარბაროსებსა და რომაელებს შორის. ეს ბრძოლა, როგორც იქნა, რომაელების გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ რომაულმა ლეგიონებმა, რომელნიც კატულას ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ კიმერების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი მარცხი განიცადეს.

შემდეგში მარიუსი თავისი ძალებით იძულებული გახდა წასულიყო კატულას დასახმარებლად. სასტიკი ბრძოლა რომაელებსა და კიმვრებს შორის 101 წელს გაიმართა ლიბუების ქალაქ ვერცელთან (მდინარე პოს ზემო შესართავთან) თანამედროვე იტალიის ქ. ვერჩელთან. ეს ბრძოლაც მარიუსის გამარჯვებით დამთავრდა.

შემდეგ ხანებში შეტევაზე გადმოდიან გერმანელთა სხვა ტომები — სვევები. მათ ბრძოლებით დაიკავეს თანამედროვე ბავარია, ბადენი და ვიურტენბურგი. აქედან სვევები დაიძვრნენ გალიისაკენ. მათ მალე მოახერხეს ელზასისა და პფვალცის დაკავება. აქ მათი იერიშები პირველად ცეზარმა შეაჩერა (58 წ.).

---

[1] Плутарх. Избранные биографии, изд. 1942 г. стр. 162.

ამიერიდან თითქოს მდინარე რაინი საზღვრად გადაიქცა გერმანელებსა და რომაელებს შორის, მაგრამ ცეზარმა შემდეგში მაინც მოახერხა ამ მდინარის გადალახვა და შეიჭრა რაინს მიღმა მყოფ გერმანელ ტომებში. პირველად ცეზარმა რაინი გადალახა 55 წელს, ხოლო მეორედ—53 წ. ავგუსტუსისა და ტიბერიუსის დროს რომაელებს ამ ძხარეებიდან ხშირად მოჰყავდათ ტყვეები და მათ მონებად აქცევდნენ.

რომაელთა და გერმანელთა ასეთ ურთიერთ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში. რომაელთა რაინს მიღმა მყოფ გერმანელი ტომების დამორჩილების ცდების წინააღმდეგ, არმინის მეთაურობით აჯანყდა ხერუსკების ტომი. გერმანელებმა ტევტობურგის ტყეში შეიტყუეს ვარი თავისი ექვსი ლეგიონით (დაახლოებით 18000 კაცი) და მთლიანად ამოჟლიტეს. ვარმა თავი მოიკლა (9 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით).

პატერკულუსი (იხ. მისი „რომის ისტორია", წიგნი 1, თავი 17)აღნიშნავს, რომ ვარს თან ახლდა ექვსი კოჰორტა (ლეგიონის დანაყოფი) და აგრეთვე ცხენოსანი რაზმები ვარის თანაშეიწის ნუმონიუსის მეთაურობით. როცა ბრძოლა დაიწყო, ნუმონიუსმა ლეგიონების დაცვას თავი მიანება და რაინისაკენ გაიქცა თავისი ცხენოსანი რაზმებით. მაგრამ, როგორც პატერკულუსი დასძენს, მასაც ისეთივე ბედი ეწვია, როგორც რომაულ ლეგიონებს.

გერმანელი ტომების მშვიდობიანი ურთიერთობა რომთან. რომის იმპერიას უკვე პირველ საუკუნეშივე დაეტყო პოლიტიკური სისუსტე. ოდესღაც სახელგანთქმული რომაელი ლეგიონების ბრძოლისუნარიანობა თანდათან ქრებოდა. ამის შედეგად რომის იმპერატორებმა „კაცთმოყვარეობა" გამოაცხადეს და შეტევიდან ახლა თავდაცვაზე გადავიდნენ.

იმპერატორ დომიციანეს დროს რომაელებმა გაფაციცებით იწყეს საზღვარზე სიმაგრეების აგება. სიმაგრეთა ხაზი, რომელსაც საბოლოოდ უნდა შეეჩერებინა გერმანელი ტომების შემოსევები, შემდეგში ცნობილი გახდა Limes Romanus-ის სახელწოდებით. სიმაგრეთა ამ ხაზის მშენებლობის დამთავრება მოხდა მხოლოდ იმპერატორ ადრიანეს დროს. იგი ღებულობდა თავის საწყისს კობლენციდან მდინარე რაინზე და გრძელდებოდა რეგენსბურგამდე მდინარე დუნაიზე. ამიერიდან რომაელების ურთიერთობა ძველ გერმანელ ტომებთან ძირითადად ეკონომიურ დარგში უნდა წარმართულიყო.

რომაელი ვაჭრები გერმანელებთან ერთგვარ ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებდნენ მანამდეც, მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო. ბრძოლების დროს, რა თქმა უნდა რომაელები გერმანელებს ვერ მიჰყიდიდნენ საომარ იარაღს. ცეზარის თქმით, გერმანელები მაშინ რომაელ ვაჭრებს აქა-იქ უშვებდნენ თავიანთ ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ, რომ გაესაღებინათ მათზე თავიანთი სამხედრო ნადავლი. თვითონ კი რომაელებისაგან, მაინც და მაინც არაფერს ყიდულობდნენ. სვევები იმ ხანებში სასტიკად უკრძალავდნენ რომაელ ვაჭრებს ღვინით ვაჭრობას, რადგან, მათი აზრით, სასმელი ადუნებს მეომარს.

მეორე მხრივ, არც რომაელ ვაჭრებს ჰქონდათ დიდი დაინტერესება იმდროინდელ გერმანელებთან აღებ-მიცემის წამოწყებაში. მონათმფლობელური სამყარო, რომელიც უფრო მეტად და პირველ რიგში დაინტერესებული იყო მონების ხელში ჩაგდებით, უსასყიდლოდაც, ბრძოლების მეშვეობით დიდი რაოდენობით ღებულობდა ტყვეებს გერმანელებისაგან. მაგრამ საევაპრო ურთიერთობის შეზღუდვა მაშინ ორ ძხარეს შორის, ძირითადად მაინც გაპირობებული იყო ბარბაროსთა ტოჰების ეკონომიური დონის უაღრესი ჩამორჩენილობით.

ენგელსი თავის დროზე აღნიშნავდა იმდროინდელ გერმანელთა გემოვნებისა და მოთხოვნილების ძალზე შეზღუდულობის შესახებ. ნათ თავიანთი ჯაგლაგები ერჩიათ გალიელთა ლამაზსა და კარგ ცხენებს. გერმანელები ოქროსა და ვერცხლის მიმართ გულგრილნი არიან, რომაელების მიერ გერმანელ მთავრებისადმი და ელჩებისადმი ნაჩუქარი ვერცხლის ჭურჭლეულობა მათში თანაბრად იხმარება თიხის ჭურჭლეულობასთანო.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, მას შემდეგ, რაც გერმანელებსა და რომაელებს შორის დამყარდა ერთგვარი მშვიდობიანობა, ორივე მხრივ უკეთესი პირობები შეიქმნა ვაჭრობის განვითარებისათვის. ომების შეწყვეტით მონათმფლობელურ სახელმწიფოს თანდათან აკლდებოდა ცოცხალი სამუშაო ძალა. გარდა ამისა, თუ რომაელებმა საბოლოოდ ვერ შესძლეს ბრძოლებით გერმანელების დამორჩილება, ყოველ შემთხვევაში, პირველთ ეკონომიური გავლენა მაინც უნდა მოეხდინათ უკანასკნელებზე.

თვით გერმანელთა ტომებში, ამ რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ერთგვარი ეკონომიური განვითარება იგრძნობოდა. ენგელსის თქმით, გერმანელთა გულგრილობა ოქრო-ვერცხლის მიმართ საფუძვლიანად შეიცვალა. გემოვნება და მოთხოვნილება მათში მნიშვნელოვნად გაიზარდა. „უბრალო საკვები", რომლითაც, ტაციტუ-

სის თქმით, გერმანელები აკმაყოფილებდნენ თავიანთ მოთხოვნილებას, შეიცვალა სამზარეულოთი, რომელიც საკმაოდ რთული მოწყობილობისა იყო და რომელმაც რომაელებისაგან ბევრი რამ გადმოიღო.

გერმანელებში მესაქონლეობაც თანდათან ვითარდებოდა. თუ ცეზარის დროს მათ ჰყავდათ უჯიშო საქონელი, ჯაგლაგი ცხენები და ურქო ძროხები, მესამე საუკუნის ბოლოს პრობიუსი თავის ცხენოსანთა რაზმებისათვის ყოველთვის ამჯობინებდა გერმანულ ცხენებს. ამასთან, რომაული ლეგიონები, რომელნიც მუდმივად განლაგებულნი იყვნენ გერმანელების საზღვრებთან, მოითხოვდნენ ხორცის შემოზიდვას გერმანიიდან.

რაც დრო გადიოდა რომაელებს მეტი რაოდენობით შემოჰქონდათ გერმანიიდან: ხორცის ნაწარმი, ტყავეულობა, ბეწვეულობა, ქარვა და სხვა. ვაჭრობის ძირითად ობიექტად კი მათ გადააქცი-ეს გერმანიიდან მონების შემოყვანა.

რომაელებს კი გერმანიაში გაჰქონდათ საომარი იარაღი, ღვინო, სხვადასხვა სახის ქურქლეულობა და სატუალეტო მოკაზმულობა. არქეოლოგიურ განათხრებში სახლის ავეჯეულობიდან გვხვდება: ბრინჯაოს ჯამები, სასწორი, ქურქლეულობა, საცერი, კოვზები, მაკრატლები და სხვა. სატუალეტო მოკაზმულობიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება მძივები, დიადემები, ბეჭდები, ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები, სავარცხლები და ა. შ.

მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩენილი რომაული ფულის ნიშნები გერმანელთა იმდროინდელი განლაგების ტერიტორიაზე მოწმობს აგრეთვე იმის შესახებ, რომ გერმანელთა აღებ-მიცემობას რომაელებთან განვითარების გარკვეულ ფარგლებს მიულწევია. სავაჭრო გზები მორავიიდან სილეზიაში სამდინარო მიმოსვლით მიიმართებოდა. ბალტიის ზღვისპირეთს უკავშირდებოდნენ აგრეთვე მდინარეებით: დუნაითა და ელბით. შავი ზღვისპირეთიდან სავაჭრო გზები მიიმართებოდნენ დნესტრზე და დნეპრზე მდინარე ვისლის ჩათვლით.

რომაელების მნიშვნელოვანი ვაჭრობა გერმანელებთან წარმოებდა რაინის ქვემო წელში, ეგრეთწოდებულ უბიების ქვეყანაში, სადაც რომაელებმა თანამედროვე კელნის მახლობლად, თავიანთი კოლონია დააარსეს. ეს უკანასკნელი მალე სავაჭრო ცენტრად გადაიქცა რომაელებსა და რაინის მიღმა მყოფ გერმანელ ტომებს შორის. მეორე არანაკლებ სავაჭრო ცენტრად გახდა აუგსბურგი, რომელმაც დუნაის გასწვრივ დაამყარა სავაჭრო ურთიერთობა ეგრეთწოდებულ გერმუნდურებთან.

ამ ვაჭრობის გაფართოებით რომაელებმა ძველი გერმანელი ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა თავიანთ ეკონომიურ გავლენის სფეროში მოაქცეს. და თუ არმინის ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა ერთგვარი დამოკიდებულება მოიპოვეს რომაელებისაგან, ახლა გერმანული სამყარო კვლავ გადაიქცევა იმ რეზერვუარად, საიდანაც რომი კვლავ ეკაჩებოდა მონების დიდ რაოდენობას.

გერმანული ელემენტების შეჭრა მონათმფლობელურ საზოგადოებაში და მათი გამარევოლუციონერებელი როლი. რომის იმპერიის შიგნით გერმანული წარმოშობის მონებისა და კოლონების რაოდენობის ზნიშვნელოვანი ზრდა თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ მონათმფლობელური სამყაროს შემდგომი განვითარებისათვის ძველი გერმანელი ტომები სულაც აღარ წარმოადგენდნენ მარტო გარეშე ძალას. გერმანული ელემენტები მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში სხვა მხრითაც შეიჭრნენ. რაც დრო გადიოდა რომის არმია სულ უფრო და უფრო ბარბაროსებით შეივსო. შემდეგში კი (IV — V სს.) ფედერაციობის საფუძველზე რომის იმპერიის განაპირა რაიონები გადმოსახლებულ ძველ გერმანელთა ტომებით გაივსო.

თავისუფლებას მიჩვეული და თემური წყობილების წესებსა და ჩვეულებებში აღზრდილი ბარბაროსები, ცხადია, რომ ისე ადვილად ვერ შეეგუებოდნენ იმ პირობებს, რაც მათ რომის იმპერიაში დახვდათ. და თუ რომაული საზოგადოების გარკვეული ფენები რომის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილონი იყვნენ და, მიუხედავად ამისა, საქმისადმი მაინც გულგრილნი რჩებოდნენ, გერმანელებისათვის, რომელთაც თემური ტრადიციები ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი, მონობის ატანა შეუძლებელი ხდებოდა.

ამის შესახებ ენგელსი წერდა: „ევროპა გააახალგაზრდავა არა მათმა (გერმანელების გ. ტ.) სპეციფიკურმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ უბრალოდ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წყობილებამ.

მათი პირადი უნარი, მამაცობა, მათი თავისუფლებისმოყვარეობა და დემოკრატიული ინსტინქტი, რომელიც ყველა საზოგადოებრივ საქმეში თავის საკუთარ საქმეს ხედავდა, — ერთი სიტყვით, ის თვისება, რაც რომაელებმა დაჰკარგეს და რასაც მხოლოდ რომაული სამყაროს შლამიდან ახალი სახელმწიფოები შეექმნა და ახალ ეროვნებათათვის გაზრდის შესაძლებლობა მიეცა, — რა იყო ყოველივე ეს, თუ არა უმაღლესი საფეხურის ბარბაროსო-

ბის დამახასიათებელი ნიშნები, თუ არა მისი გვაროვნული წყობილების ნაყოფი?- [1].

გერმანელი ტომების რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებანი ადრეევე იყო ცნობილი. ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა: „ეს გერმანელი ტოტები რომაელებთან ბრძოლების წარმოებით ცნობილნი გახდნენ. ისინი ხან დაემორჩილებოდნენ რომაელებს, ხან კიდევ ხელახლად მათ აუჯანყებოდნენ, ან არა და აწყობდნენ გადასახლებას... ომი მელონას მეთაურობით სუგამბრებმა წამოიწყეს. მათ სხვა ტომებიც შეუერთდნენ, რომელნიც ხან რომაელთა მორჩილებაში იყოფებოდნენ, ხან კი აღსდგებოდნენ მათ წინააღმდეგ“ [2].

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი არმინის აჯანყებას შემდეგში მოჰყვა მთელი რიგი სხვა ტომების აჯანყებებიც. კერძოდ, აღსანიშნავია ბატავების აჯანყება, რომელშიაც ჩაებნენ აგრეთვე კანინეფატები. ეს აჯანყება, რომელიც წარიმართა ვინმე ცივილისის ხელმძღვანელობით, მოხდა 69 — 70 წლებში (ზოგიერთი მონაცემებით კი — 68 — 70. ან 69 — 71 წწ.). აჯანყება გამოწვეული იყო იმით, რომ ბატავებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჯარში მათმა გაწვევამ, გადასახადების გადახდევინებამ და რომაული მოხელეების ბოროტმოქმედებამ. აჯანყებულთა შეიარაღებული ნაწილები თავს დაესხნენ რომაელთა საზღვაო ფლოტს, რომლის მეზღვაურებიც აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ. 24 ხომალდის ხელში ჩაგდების შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს ქალაქ ვეტერუსს.

ქალაქ ვეტერუსისა და გალიის ზოგიერთი სხვა ქალაქების აღების შემდეგ. გალიელები აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ. აჯანყებულთა ამ წარმატებებს ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ. რომ 68 წელს რომში დაიწყო სამოქალაქო ომი. აჯანყების ხელმძღვანელს ცივილისს გადაწყვეტილი ჰქონდა გალურ-გერმანული იმპერიის ჩამოყალიბება, მაგრამ გალიის გაბატონებულმა კლასმა. რომელსაც შიშის ზარს გვრიდა აჯანყება, ციკილისს მხარი არ დაუჭირა. ბოლოს, რომაელებმა ეს აჯანყება, როგორც იცნა, ჩახშეს.

ციკილისის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე აღარ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი გამოსვლები, მაგრამ 165 წლისათვის კვლავ დაიწყო გერმანელთა „არეულობა“. რომაელთა მოკავშირე ტომები: მარკომანები, კვადები, გერმუნდურები, ვანდალები და ზოგიერთი სარმატული წარმოშო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 367.

[2] სტრაბონი, „გეოგრაფია“, წიგნ. VII, თავი 1, 4.

ბის მქონე სხვა ტომები შეიჭრნენ რომის იმპერიის პროვინციებში. მათ დაიკავეს: პანონია, ნორიკუმი, რეცია და ილირია.

მონათმფლობელურ რომის იმპერიის მდგომარეობას ართულებდა განუწყვეტელი ომები, შავი ქირი და შიმშილი, რის გამოც იგი თანდათან კრიზისში ვარდებოდა. მხოლოდ 172—174 წლებში იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა მოახერხა მარკომანებისა და კვადების მოწოლის შეჩერება. 175 წელს რომაელებმა ძლივსძლიერებით მოახერხეს აგრეთვე თეზიგების შეჩერება. 175 წელს დადებული ზავით დამარცხებული ბარბაროსთა ტომები კისრულობდნენ რომის პროტექტორატს. ამ ტომების ერთი ნაწილი გადმოსახლებულ იქნა რომის იმპერიის შიდა პროვინციებში კოლონობის უფლებებით.

მარკომანთა ხელახალი ომები რომაელების წინააღმდეგ 177 წელს დაიწყო. ეს ომები უფრო მეტი სიძაფრით წარმოებდა. 180 წელს, მარკუს ავრელიუსის გარდაცვალების შემდეგ, იმპერატორი კომოდი იძულებული გახდა მარკომანებთან და კვადებთან ახალი ხელშეკრულება დაედო. ეს ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბარბაროსთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მესამე საუკუნის დასაწყისიდან ძველი გერმანელი ტომები კვლავ იჭრებენ იერიშეთის ბიტანას მონათმფლობელური სამყაროს წინააღმდეგ და დაახლოებით 250 წლისათვის ომები ჩაღდება მთლიან ხაზზე—დაწყებული დუნაის შესართავიდან, ვიდრე მდინარე რაინის დელტამდე. ვიდრე შეეხებოდეთ ამ მასობრივ შემოსევებისა და ბარბაროსთა მიერ რომის იმპერიის ტერიტორიაზე პირველი სამეფოების დაარსების განხილვას, მკითხველია ყურადღება, პირველყოველისა, გვინდა შევაჩეროთ ძველი გერმანელი ტომების ყოფაცხოვრებაზე.

თავი IX

ქიმერები და ფეოდონები

ზოგიერთ შეხედულებათა კრიტიკა გერმანელების განვითარების დონის საკითხში. ფაშისტური და პროფაშისტური „მკვლევარები", რომელნიც ყოველმხრივ ცდილობდნენ გერმანელი ხალხის ზებუნებრივი თვისებებით წარმოსახვას და იმის მტკიცებას, თითქოს ამ არაჩვეულებრივი ნიჭის, უნარისა და დიდი კულტურის მქონე გერმანულ რასას აქვს უფლება ბატონობდეს ყველა სხვა ხალხებზე — ყოველმხრივ აყალბებდნენ ისტორიული წყაროების მონაცემებს. მათი აზრით, გერმანელები უხსოვარი დროიდან ყველა სხვა ხალხებზე უფრო მაღლა იდგნენ თავიანთი კულტურით. თითქოს გერმანელებს ადრევე გააჩნდათ სახელმწიფო, კერძო საკუთრება და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ გერმანიაში გამოვიდა ფრიდრიხ ლიუტგეს შრომა — „გერმანიის სოციალური და სამეურნეო ისტორია". გამოვიდა აგრეთვე ჰენრიხ ბეხცელის შრომები, ორივე ავტორი არქეოლოგიურ და ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბრინჯაოს ეპოქაში, ე. ი. პირველ ასეულ წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველ გერმანელ ტომებში არ არსებობდა არავითარი პირველყოფილი — თემური წყობილება. რომ იმ ხანებში გერმანულებს უკვე შემოღებული ჰქონდათ მეურნეობის საბმინდროვანი სისტემა და მელიორიზაციის ისეთი მაღალი განვითარების დონე, რომ მათ უცვლელად განაგრძეს თავიანთი არსებობა ჩვენი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნემდეც კი. უფრო ადრე დოფშში, ძველი გერმანელი ტომების შესწავლის საქმეში იქამდე მივიდა, რომ კაროლინგთა ეპოქა ფრანკთა მონარქიაში კაპიტალიზმის პირველანდელი დაგროვების ხანად გამოაცხადა. დოფშის ცრუ მეცნიერული იდეა ერთ დროს ჩვენშიაც გაიზარა. 1929 წელს გამოცემულ თავის შრომაში — „Общественный строй древ-

них германцев“ ავტორი შეეცადა დაემტკიცებინა ძველ გერმანელებში კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს არსებობაც კი. მისი აზრით, მაშინდელი გერმანელი ტომების საერთო განვითარება მაღალ დონეზე იდგა და რადგან ამ დებულებას ეწინააღმდეგებოდა ანტიკური წყაროების მონაცემები, ამიტომ იგი მოითხოვდა ამ წყაროებში კორექტივების შეტანას.

ნეუსიხინი თავის შრომაში წერდა, რომ ანტიკური მწერლების ყველა აღწერილობაში გაბატონებულია ისეთი აზრი, თითქოს გერმანელების ქვეყანა მოცული იყო დაბურული ტყეებითა და გაუვალი ჭაობებით. ეს წარმოდგენა, მისი აზრით, საჭიროებს კორექტივს, რადგან ჭაობების რაოდენობა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გერმანიაში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ის არის ახლა.

ტყეების არ არსებობით გერმანიაში, ნეუსიხინს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ძველი გერმანელები ტყეებში არ ცხოვრობდნენ და, მაშასადამე, ჩვენ მათ ვერ მივაწერთ ბარბაროსობას და მით უფრო — ველურობას. უფრო მეტიც — თუ-მე ძველი გერმანელები მოხეტიალე კი არა, მობინადრე მცხოვრებლები ყოფილან, რადგან ისინი მისდევდნენ თავიდანვე მიწათმოქმედებას.

ნეუსიხინს თავის დებულების არგუმენტად გამოუყენებია ორი შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, რომ არქეოლოგიური განათხრებით იმდროინდელი გერმანელების განლაგების ტერიტორიაზე ორი გუთანი აღმოუჩენიათ და მეორე, რომ გერმანელები რომაელებს ხარკში ხარის ტყავებსაც აძლევდნენ. გერმანელებში ხარების ყოლა, ღასძენს ის, მიგვითითებს მიწათმოქმედების განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეო.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეუსიხინის ასეთი მტკიცება სათანადო მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებულია. ჯერ ერთი, რომ აღნიშნული ორი გუთანი გერმანიაში შეიძლება შემოტანილი ყოფილიყო რომიდან, გარდა ამისა — ისინი გერმანელების კუთვნილებაც რომ ყოფილიყო, განა შეიძლებოდა ამ ერთეული ფაქტის განზოგადებით იმდროინდელ გერმანელებში მიწათმოქმედების საერთო განვითარების მტკიცება? რაც შეეხება ხარის ტყავებს, უნდა ითქვას, რომ გერმანელები ზოგჯერ რომაელებს ხარკში მართლაც აძლევდნენ ტყავეულობას და მასში — ხარის ტყავსაც, მაგრამ სად არის გარანტია იმისა, რომ გერმანელები ხარებს იყენებდნენ მიწათმოქმედებაში და არა როგორც სახორცედ?

ცნობილია, რომ მებაღეობა მიწათმოქმედებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. როგორც ეტყობა, ნეუსიხინმა გერმანელებში ბა-

ლების არსებობის მტკიცება ველარ გაბედა და ამიტომ განაცხადა „ბაღლეობა ძველად გერმანელთათვის არ იყო ცნობილი. ეს მათ გადმოიღეს რომაელებისაგან". მისი აზრით, ამას მოწმობს ის ვარემოება, რომ გერმანული სიტყვა Garten წარმოშობილია ლათინურიდან — hortus, სიტყვა Frusht — fructus-იდან და სხვ.

ასევე უმწეოდ გამოიყურება მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ძველი გერმანელები მისდევდნენ რკინის დამუშავებას და თუ არქეოლოგიურ გათხრებში არ გვხვდება ლითონისაგან დამზადებული: მუზარადები, ჩაფხუტები, ფარები და სხვ. ეს იმიტომ, რომ გერმანელები ძაშინ შეტევით ბრძოლებს აწარმოებდნენ და მძიმე შეჭურვილობა მათ ბოძრაობაში ხელს შეუშლიდა. ბუნებრივად ისმება კითხვა — რომაელები, რომლებიც ასეთ შეჭურვილობას ხმარობდნენ, ნუთუ არასოდეს შეტევით ბრძოლებს არ აწარმოებდნენ?

როგორც ქვევით დავინახავთ, ანტიკური წყაროები გადმოგვცემენ, რომ გერმანელები ნახევრად შიშველნი დადიოდნენ და ტანსაცმლის ნაცვლად, როგორც წესი, ცხოველთა ტყავს იყენებდნენ. რა თქმა უნდა, ეს სულაც არაა კულტურული ხალხის დამახასიათებელი და ამიტომ ნეუსიხინი შეეცადა დაემტკიცებინა ამის საწინააღმდეგო. მან წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ გერმანელები ატარებდნენ ტანსაცმელს, რომელიც ტილოსა და შალის ქსოვილებიდან იყო დამზადებული. მაგრამ იგი იძულებული გახდა ისიც ეღიარებინა, რომ არქეოლოგიური გათხრებიდან არ დასტურდება ამ ქსოვილების გერმანელებში დამზადების ფაქტი.

ზემოხსენებულიდან საკმაოდ ნათელი ხდება, თუ რამდენად ტენდენციურად უდგებიან ჰირეანდელი წყაროების ინტერპრეტაციას დოფში და პროფაშისტულად განწყობილი სხვა ისტორიკოსები. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ისტორიულ ფაქტებს. წყაროების გაყალბებით მათ სურთ წაშალონ სხვაობანი ადამიანთა საზოგადოების განვითარების ცალკეულ საფეხურებს შორის და მარადიულად აღიარონ ისტორიული კატეგორიის ისეთი მოვლენები, როგორიცაა კერძო საკუთრება, კლასები, სახელმწიფო და სხვა.

ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრება, ისე, როგორც სხვა ხალხების სოციალურ-ეკონომიური ვითარება, არ შეიძლება მუდმივად მყარ მდგომარეობაში წარმოვიდგინოთ. კულტურის განვითარების თვალსაზრისით არ შეიძლება, მაგალითად, იგივეობის ხაზი გავატაროთ კიმერებისა და ტეკტონების, ცეზარის დროინდელ გერმანელებსა და ტაციტუსის ხანის გერმანელების ყოფა-

ცხოვრებაში. საჭირო იქნება მათი სოციალურ-ეკონომიური ვითარება შესწავლილ იქნას ცალ ცალკე, რადგან თვითეული მათგანი სხვადასხვა დროის მონაკვეთში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა.

კიმვრებისა და ტევტონების ყოფა-ცხოვრება. როგორც უკვე აღვნიშნავდით, კიმვრები და ტევტონები თავდაპირველად მოსახლეობდნენ იუტლანდიის ნახევარკუნძულზე და მდინარე ელბის ქვედა დინების არეზე. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის მიწურულში კიმვრები დაიძრნენ სამხრეთისაკენ და 113 წლისათვის დაიკავეს რომის პროვინცია — ნორიკუმი. 113 წელს ნორეასთან ჩატარებულ ბრძოლაში მათ დაამარცხეს რომაელები და აქედან გალიაში გადავიდნენ, სადაც შეეჯახნენ ტევტონებს. გაერთიანებული ძალებით მათ კვლავ დაამარცხეს რომაელები ჰელეზეზე (109 და 105 წლებში ჩვენს ერამდე) და შემდეგ გაეშურნენ ესპანეთისაკენ. როგორც აღნიშნული იყო, შემდეგში (102 და 101 წწ.) მარიუსთან ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ.

პლუტარქეს ცნობების მიხედვით, ის ადგილები, საიდანაც კიმვრები და ტევტონები დაიძრნენ, დაბერული და ვაეველი ტყეებით იყო დაფარული. აღწერს რა ამ ადგილების მოსახლეობას, პლუტარქე აღნიშნავს: „მათგან ყველაზე ტფარო ზებრძოლნი და მრავალრიცხოვანი ტომები სამყაროს კიდეზე, ვარეგან ზღვასთან ცხოვრობენ და დაკავებული აქვთ ბობიანი და ტყიანი ადგილები, რომელნიც ფართო და სქელი მუხნარის გამო ირეულად მოუჩვდომელნი რჩებიან მზისათვის. ეს ადგილები გადაეშალია გერმანის ტყეებამდე“ [1].

აქედან ცხადი ხდება, რომ კიმვრები და ტევტონები თავდაპირველად ტყის მცხოვრებლები ყოფილან. ენგელსი კიმვრებისა და ტევტონების ლანდშაფტის აღწერის დროს ამბობდა, რომ ეს ტერიტორია ძალზე პრიმიტიულია, რომ იგი გვაგონებს ფერო-ბუტად ტყის მცხოვრებლებია ტანსაცმელს, რომელიც უმთავრესად ცხოველთა ტყავისაგან და ბუსუსი ბალის მოსასხამისაგან შედგებოდა. ამგვარად, გასაგები იქნება, რომ ენგელსიც კიმვრებსა და ტევტონებს ტყის მაცხოვრებლებად თვლის, იგი ხაზგასმით ეთანხმება ანტიკურ მწერლებს იმაში, რომ გერმანელები ნახევრად შიშველნი დადიოდნენ.

ანეუს ფლორუსის თქმით, ტევტონები ნახევრად შიშველნი, ზამთარში მოადგნენ ტრიდენტის ალპებს და მოადგა ყოველი ლა-

[1] იხ. „Древние германцы“. გვ 125. გერ. 1967 წ.

ულვერებელი ამბავი. მათ ზვავივით გადალახეს თოვლით დაბურული მთები და დაეშვნენ იტალიისაკენო. უფრო ადრე პლუტარქე თავის მხრივ აღნიშნავდა: „ასე, მაგალითად, ისინი შიშველნი ითმენდნენ თოვლის მოსვლას ან არა და ადიოდნენ მთების მწვერვალებზე ღრმა თოვლისა და ყინულზე გავლით; იქიდან კი, სხდებოდნენ თავიანთ განიერ ფარებზე და თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდნენ დაბლობისაკენ".

კიმვრებისა და ტევტონების განვითარების უაღრესად დაბალი საფეხურის მაჩვენებელია ისიც, რომ მათ საცხოვრებელ ბინებად გამოყენებული ჰქონდათ უბრალო ქოხები, ან არა და იძინებდნენ ღია ცის ქვეშ. დიონ კასიუსი კიმვრების შესახებ წერდა: „ბიზეზი მათი მარცხისა ის იყო, რომ სახლებში ცხოვრებისას (ავტორს აქ მხედველობაში აქვს კიმვრების ხანგრძლივი გაჩერება ესპანეთში და ჩრდილო-იტალიაში), მათ მიივიწყეს თავიანთი ძველი ცხოვრება ღია ცის ქვეშ, ნაცვლად ცივ წყალში ბანაობისა ახლა ცხელი აბანოთი სარგებლობა იწყეს, იკვებებოდნენ ნაირ-ნაირი საჭმელებით, როცა წინათ მოუხარშავსა და უმ ხორცს ხმარობდნენ. ამან მოლიანად აღმოფხვრა მათში სიფიცხე და ისინი ფიზიკურად ნაზი გახადა. ამიერიდან მათ აღარ შეეძლოთ არც შრომისა და გაჭირვების ატანა, არც სიცხის ან სიცივისათვის გაძლება, არც მხნედ ყოფნა" (იხ. მისი „რომის ისტორია", წიგნი XXVII, ფრაგმ. 94).

ამ ამონაწერიდან ცხადი ხდება აგრეთვე ის გარემოება, რომ კიმვრები და ტევტონები ცეცხლს ჯერ კიდევ ფართოდ არ იყენებდნენ თავიანთი საჭმელების დამზადებაში. ცხადია, რომ ცეცხლის გამოყენება მადნეულობის დამუშავებაში მათთვის ყოვლად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ნეუსიხინის მტკიცება იმის შესახებ, რომ ძველ გერმანელებში ხდებოდა რკინის დამუშავება, ფაქტების გაყალბებას წარმოადგენს.

კიმკრებისა და ტევტონების შემდგომდროინდელ ვერმანელებზედაც კი ენგელსი დაბეჯითებით მიგვითითებდა, რომ რკინა მათში ნაკლებად მოიპოვებოდა, ყოველ შეჭთხვევაში რაინისა და დუნაის მიდამოებში მყოფ ტომებს ეტყობოდათ, რომ რკინას სხვადასხვა ადგილებიდან ეზიდებოდნენ, ხოლო თვით მათში ეს არ აზადდებოდა.

ბურჟუაზიული მკვლევარები დიდ შეცდომას უშვებენ მაშინაც, როცა ძველ გერმანელ ტომებს წარმოადგენენ მობინადრეებად. განსაკუთრებით ეს ითქმის კიმვრებზე და ტევტონებზე. ანტიკური წყაროები კიმვრებსა და ტევტონებს მოხეტიალე ხალხებად

იხსენიებენ. ენგელსი ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავდა, რომ კიმვრები და ტევტონები ჯერ კიდევ მოხეტიალენი იყვნენ, ხოლო სვევებმა ცეზარის დროს იწყეს ადგილებზე დასახლება-მობინადრეობაო.

კიმვრებისა და ტევტონების უაღრესი ჩამორჩენილობის არა ნაკლებ დამახასიათებელია ერთი საგულისხმიერო გარემოებაც. მათ ჯერ კიდევ არ გააჩნდათ დახვეწილი მეტყველება და მათი ლაპარაკი უფრო ცხოველთა ღმუილს წააგავდა. პლუტარქე მოგვითხრობს, რომ მარიუსმა თავისი ლეგიონები მდინარე როდანასთან დაბანაკა და ტევტონებისა და ამბრონების წინააღმდეგ თავისი ჯარები მანამდე არ დასძრა, ვიდრე ჯარისკაცთა სმენა არ შეეჩვეოდა მტრის მბეცურ ღმუილსაო.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ კიმვრებში და ტევტონებში გვარი ჯერ კიდევ დედის ხაზით წარიმართებოდა, რადგან მათში ჯგუფური ცოლ-ქმრობა იყო ფეხმოკიდებული. მათში გაბატონებული მატრიარქატის ფაქტებზე მრავლად მოგვითხრობენ ანტიკური წყაროები. კიმვრებისა და ტევტონების რომაელებთან ბრძოლის აღწერისას, როგორც ლუციუს ანეუს ფლორუსი (იხ. მისი — „რომაელი ხალხის ისტორიიდან", წიგ. 1, თავი 38-ე), ისე პლუტარქეც (იხ. მარიუსის ბიოგრაფია, თავი XIX) გაკვირვებულნი არიან ქალების მოქმედებით. კერძოდ, პლუტარქე წერს, რომ, როცა ტევტონები დამარცხდნენ, მათ უკან დაიხიეს. გაქცეულებს დახვდნენ თავიანთი ქალები, რომლებმაც იარაღი იხმარეს მათ წინააღმდეგ და ქმრები და ძმები დახოცეს ბრალობისა და ღალატისათვისო.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კიმვრები და ტევტონები ველურობის უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდნენ. სხვა ცნობები მათი მეურნეობისა და სოციალური ყოფა-ცხოვრების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

თავი X

ყვზარის დროინდელი ძველი ვერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრება

გვაროვნული თემი. ძველი გერმანელი ტომების გალიაზე შეტევის გაძლიერებასთან დაკავშირებით უშუალო საშიშროება რომის იმპერიისათვის სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. ბოლოს, კიმვრებისა და ტევტონების შეერამ რომის იმპერიაში გალიაზე ვავლით, რიმაელებს გადაეჭრით დაუმტკიცა, რომ ალპსალპური გალია ამიერიდან ვერ იქნებოდა რომის უშიშროების დასაყრდენი. ეს შიში გაითლდებოდა მით უფრო, რომ ციცერონ ზალპური გალია, რომელიც რომის პროვინციად ითვლებოდა, რომაელთა ბატონობის ნიშანთ ამკარა წინააღმდეგობას იჩენდა.

ციცერონის თქმით, რომაელთა ბატონობა გალიელ ტომებს სასტიკად სძულდათ. ციცერონი ფონტეიუს დაცვისათვის წარმოთქმულ თავის სიტყვაში მოსამართლეებს ეკითხებოდა: „ახ არა და იქნებ თქვენ არ გჯერათ, რომ ყველა ეს ტომები (გალები) რომორც თავიანთ ზრახვებში, ისე თავიანთ მოქმედებაში რომაელი ხალხის სახელთან თანდაყოლილი სიძულვილით ხელმძღვანელობენ?“[1].

ამგვარად, რომის იმპერიას საშიშროება მოელოდა, როგორც თვით გალიიდან, ისე ძველი გერმანელი ტომების მიახლოებიდან. ცეზარის გალიაში ყოფნა რომის სენატის მიერ გალიის დასაპყრობად 58 წელს ჩვეის წელთაღრიცხვამდე მიზნად ისახავდა ამ ურჩი ტომების დათრგუნვას და რაც მთავარია — მათგან ბონების დიდი რაოდენობით წამოყვანას.

---

[1] G. Julius Caesar, Comentarii de bello Gallico, წიგნი 1, გვ. 21, ბოლ. 1946 წლ. (ინ. ს. სობოლევის „შესავალი“).

ცეზარის დროინდელ გერმანელებს, შედარებით კიმვრებთან და ტევტონებთან, დაეტყოთ ერთგვარი განვითარება, თუმცა პირველნი კვლავ თემურ წყობილებაში იმყოფებოდნენ. ამ დროის გერმანელებში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო თემი, რომელიც დამყარებული იყო უმთავრესად სისხლითი ნათესაობის პრინციპზე. ცეზარი გადმოგვცემს, რომ გერმანელების დასახლება ხდება გვარებად და ტომებად. სხვების არეკვა გვარში ტექნიკურადაც მოუბერხებელი ხდება, რადგან გერმანელებში „ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილობით სარგებლობს ის ტომი, რომელიც ანადგურებს შეზობელ ოლქებს და თავის ვარშემო იკრებს უფრო მეტ ცარიელ ადგილებს. თავიანთი მაჯობის დამახასიათებელ ნიშნად ისინი სთვლიან ის გარემოებას, რომ მათ მიერ განდევნილი შეზობლები „ვერ იხევენ“ და ვერც ერთი ნათგანი ამ ტომებთან ახლო დასახლებას ვერ ბედავს“ [1].

„მაგრამ გერმანელთა არა მარტო დასახლება ხდებოდა სისხლითი ნათესაობის (გვარის, ტომის) პრინციპის მიხედვით, არამედ ბრძოლის დროსაც მათი განლაგება ხდებოდა ამავე წეს-ჩვეულების მიხედვით. ტაციტუსი თავის „გერმანიაში“ (თავი VII) წერდა: „ბრძოლის გაჯგუფების ძთავარი გამომჭვეული მიზეზი ისაა, რომ მათი ცხენოსანთა და ქვეითთა დანაყოფები შეკრებილებით პირებისაგან კი არ შედგებიან, არამედ ახლო ნათესავებისაგან წარმომდგარ ოჯახებისა და გვარებისაგან ყალიბდებიან“ [2].

სისხლითი ნათესაობის პრინციპის გამბატონებაზე ცეზარის დროინდელ გერმანელებში ძიგვითითებს აგრეთვე მათში არსებული სისხლის აღების წესი. თუ ვინმე მოკლავდა სხვა გვარის წევრს, უნდა მომზადარიყო სისხლის აღება, ე. ი. მკვლელი უნდა მოეკლათ. სისხლის აღება მოკლულის ახლო ნათესაკებს ევალებოდათ და თუ რაიმე ბიზეის გამო ისინი ამას ვერ შესძლებდნენ, სისხლ-ს ამცდ-ბად მთელი გვარი უნდა გამოსულიყო. ასეთ-ნაირად უნდა ჩაეთვალოს ზოგიერთის შეხედულება იმის „ცალსახად, ითქოს გვარი სისხლის აღებად იმიტომ ვაჩოდიოდა, რომ მოკლულის სახით ერი ჰკარგავდა მეშა-ყელს. ასეთი შეხედულება არაა სწორი თუნდაც იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში მოკლულიც და მკვლელიც ერთ და იმავე გვარს ეკუთვნოდა და მკვლელის სიკვდილით დასჯის შემთხვევაში გვარი ერთი წევრის ნაცვლად ორს დაჰკარგავ-

---

[1] G. Julius Caesar. Comentarii de bello Gallico. წიგნი VI და IV ვ. ვ. ᲔᲠ, გამოც. 1947 წ.

[2] Древние германцы. გვ. 59, გამოც. 1937 წ.

ეამოდის, რომ გვარს ასეთ ვითარებაში აღარ უნდა მოეხდინა სისხლის აღება.

გერმანელი ტომების ეკონომიური ვითარება. ცეზარი გადმოგვცემს, რომ იმდროინდელი გერმანელი ტომები არ წარმოადგენდნენ მყარ, ბინადარ მცხოვრებლებს, რომ მათი გაჩერება ერთ და იმავე ადგილზე დიდი ხნით არ სდებოდა. ისინი ყოველწლიურად ადგილს იცვლიდნენ და სხვაგან გადადიოდნენ. ეს ფაქტი აშკარად მოწმობს იმას, რომ მაშინდელი გერმანელები მიწათმოქმედნი ვერ იქნებოდნენ. ისინი უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ, რის გამოც ცეზარი მათ შესახებ დაბეჯითებით ამბობდა, რომ „ისინი იკვებებიან არა იმდენად პურით, რამდენადაც რძით, ყველითა და ხორცით". მათი ტანსაცმელის შესახებ ცეზარი აღნიშნავს, რომ გერმანელები უმთავრესად ცხოველთა, კერძოდ ირმის ტყავს იყენებენ და ნახევრად შიშვლები დადიანო.

მესაქონლეობასთან ერთად ეტყობა, რომ გერმანელები მისდევდნენ აგრეთვე მონადირეობას. ცეზარი გადმოგვცემს, რომ გერმანის ტყე სავსე იყო გაოეული ცხოველებით. ცეზარი არამც თუ მარტო ჩამოთვლის მათ სახელებს, არამედ, თვითეულის დახასიათებასაც კი იძლევა. მაგალითად, ცხენ-ირემი ისეთი ცხოველია, ამბობს ის, რომელიც არ წვება და თუ რაიმე მიზეზით დაეცა, ის თავის თავად ვეღარ დგებაო. ცხენ-ირემი ისვენებს ხეზე მიყრდნობილი. ეს მონადირეებმა იციან და წინასწარ ნახევრად შეჭრიან იმ ხეებს, რომლებზედაც ცხენ-ირემი მიეყრდნობა. შეჭოილი ხე მას ვეღარ უძლებს და ცხოველი ხესთან ერთად ძირს ეცემა, რითაც მონადირე სარგებლობსო.

ნადირობა უფრო მეტად წარმოებდა დონბებზე. „ზომით ისინი სპილოებზე ცოტათი პატარანი არიან — ამბობს ცეზარი — ხოლო გარეგნული შეხედულებით, წყობითა და ფერით ხარებს წააგავან. ისინი დიდი ღონითა და სიმარდით გამოირჩევიან... გერმანელები ირმოების სიმეტალებით მოხერხებულად იქერენ მათ და ჰკლავენ. ამას ჩადიან უფრო ახალგაზრდები, რომელნიც ასეთი ნადირობით ვარჯიშობენ. და ის, ვინც მეტ დიდებას მოკლავს, და მათ რქებს საჯაროდ აჩვენებს, დიდ ქებას იმსახურებს" [1].

გერმანელების შემოსავლის სხვა წყაროს თარეშობა და ძარცვა წარმოადგენდა. ამ ადამიანების ბრძოლაში გამოწვევა და ტრიალობების მოლება უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე მათი იძულება ბრძოლის დამთავრების საქმეში. „გერმანელები სიზარმაცეთა და სულ-

---

[1] ბერიძე ალექსანდრე, გვ. 31.

მდაბლობად სთვლიდნენ ოფლით იმის შეძენას, რის შეძენაც შეიძლებოდა სისხლით". ამიტომ იყო, რომ ისინი სისტემატურად აწარმოებდნენ მეზობლებზე თავდასხმებს.

სვევების შესახებ ცეზარი წერდა: „ამბობენ, რომ მათ ასი ოლქი გააჩნიათ და თვითეული მათგანი თავის ფარგლებს გარეშე საომარეშოდ, ყოველწლიურად ~~ათას~~ შეიარაღებულ კაცს აგზავნის; სხვები, რომელნიც სახლში რჩებიან, თავიანთ თავს და წასულებს ჰკვებავენ; ერთი წლის შემდეგ რიგით უკანასკნელნი მიდიან ლაშქრობაში, ხოლო მეორენი რჩებიან სახლში. ამის წყალობით არც სამიწათმოქმედო და არც სამხედრო საქმიანობა არ სწყდება" [1].

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, გერმანელები თავისებურ მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ, მაგრამ მეურნეობის ეს დარგი გერმანელებისათვის მაშინ უნიშვნელო იყო. წარმოების საშუალებათა უაღრესი ჩამორჩენილობის გამო მიწის დამუშავება ძალზე პრიმიტიულად ხდებოდა. — ყველა შენთხვევაში წერილობით წყაროებში აოსად არაა ნახსენები ხარების გამოყენების შესახებ მიწათმოქმედებაში. უფრო მეტიც — ცეზარი მოგვითხრობს, რომ მიწის დამუშავებას მისდევდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები. სამუშაო ძალის საუკეთესო ნაწილი მისდევდა მესაქონლეობას, ნადირობასა და თარეშს.

ცეზარის თქმით გერმანელები, მაინც და მაინც, ხალისით არ ეკიდებიან მიწათმოქმედებას. არც ერთ მათგანს არ გააჩნია გარკვეული მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელობაში. მათი ხუცესები ერთად მაცხოვრებელ გვარებსა და ნათესაურ ჯგუფებს მიწებს აძლევენ იქ, სადაც და რამდენადაც ამას საჭიროდ დაინახავენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ მათ აიძულებდნენ სხვა ადგილებში გადასვლას. მიწების დამუშავება ხდებოდა ერთობლივად, ხოლო მოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით.

მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობის პირობებში გვარის წევრთა შორის ადგილი არ ჰქონებია არც ეკონომიურსა და არც სოციალურ დიფერენციაციას. მათში არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები. თუ ვინმეს რაიმე გააჩნდა, იგი ყველას საკეთილოებას წარმოადგენდა. ~~ამიტომ იყო, რომ ეკონომ~~ ინტერესი საერთოს წარმოადგენდა და პირუკე, საერთო — კერძოს. ასეთ პირობებში სტუმარმოყვარეობა გერმანელებში ისე, როგორც თემური წყობილების სხვა ხალხებში, მეტად მიღებული იყო.

---

[1] ცეზარის დასახელებული შრომა, წიგნი III და IV, გვ. 50

ცეზარი მოგვითხრობს, რომ სტუმრის შეურაცხყოფა გერმანელებს ცოდვად ითვლებოდა. სტუმრები, რისთვისაც არ უნდა მივიდნენ მათთან, დაცულნი უნდა იყვნენ ყოველგვარი შეურაცხყოფისაგან. მასპინძელნი მათში ხედავდნენ რაღაც ღვთაებრივს, ხელშეუხებელს და ამიტომ მზად არიან თავიანთი სახლის კარი გაუღონ მათ და გაუზიარონ თავიანთი საკვები

ტაციტუსის თქმით, თუ მოსულმა სტუმარმა სახლში რაიმე მოიწონა და მისი წაღება მოითხოვა, მასპინძელმა უარით არ უნდა უპასუხოს, ხოლო თუ მასპინძელს მოეწონება სტუმრისა რამე, შეუძლია ის დაატოვებინოს. კერძო საკუთრების არ არსებობის პირობებში დამახასიათებელი იყო სტუმართმოყვარეობის შემდეგი გამოვლენაც: თუ ვინმე სტუმრად მივიდოდა რომელიმე ოჯახში და მასპინძელს არ აღმოაჩნდებოდა საკვები, იგი მოვალე იყო თავისი სტუმარი სხვის ოჯახში წაიყვანა და იქ გამასპინძლებოდა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მისულთ სახლში არავინ დახვდებოდათ.

მატრიარქატის ნაშთები. გერმანელების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ცეზარის დროინდელ გერმანელებში მატრიარქატი აღარ იყო, მაგრამ მისი მძლავრი გადმონაშთები, მაინც მნიშვნელოვან დაღს ასვამდნენ გერმანელთა ყოფა-ცხოვრებას. რომაელებთან ბრძოლის დროს გერმანელები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ პირველთათვის ტყვეებად ხელში არ ჩაეგდოთ თავიანთი ქალები. იცოდნენ რა წესი გერმანელების ქალებისადმი პატივისცემისა, რომაელები, თავის მხრივ მძევლებად მოითხოვდნენ ქალებს წაყვანას.

ერთვა დაო�ებას, რომელიც მკიცხაობაში გამოვლინდებოდა, გერმანელები ქალებისაგან ღებულობდნენ. არიმინიუსი თავის ბრძოლებში არა ერთხელ ვლედას მკიცხაობით, ანუ რჩევა-დარიგებით ხელმძღვანელობდა. არანაკლები პატივისცემით გერმანელებში სარგებლობდა ალბრუნა (ალბრუნა). როცა გერმანელები დაპირებდნენ რაიმე მნიშვნელოვანი მოლაპარაკების წამოწყებას მოწინააღმდეგესთან, ერთ შემთხვევაში მათი მხრივ შუამავალთა როლში ყველაზე ეფექტური გამოდიოდნენ. გარდა ამისა, მამაკაცებთან ერთად ქალები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ სახალხო კრებებზე.

კერძო საკუთრებისა და კლასების არ არსებობის პირობებში ცხადია, რომ გერმანელებს აზრი სახელმწიფო ეკნებოდათ. ცეზარი გადმოგვცემს, რომ ზოგიერთ დროს მათ საერთო მთავრობა არ ჰქონდათ. ცალკეული ოლქებისა და ნახარეთა უხუცესები აწარმოებდნენ გისაზართლებას და სადავო საკითხების გადაწყვეტას.

ბაგრამ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა სახალხო კრებაზე, სადაც ყველა მონაწილეობდა, გარდა არასრულასაკოვანებისა.

სახალხო კრების მოწვევა და მომზადება ძალზე პრიმიტიულად ტარდება. კრებაზე გამოსატანი საკითხები წინასწარ არავის ბიერ არ განიხილება. კრებაზე ხმების დათვლა არ წარმოებს. კრებაზე ამა თუ იმ საკითხში, დადებითს ან უარყოფით გამოხმაურებას გებულობენ იარაღის ჭღარუნით, ანდა დაბსწრეთა მიერ უკმაყოფილო გამოძახილებით.

როცა ესა თუ ის ტომი წამოიწყებს ომს, იქნება ეს შეტევითი, თუ თავდაცვითი ხასიათისა, გერმანელები ირჩევენ თანამდებობის პირებს (magistratus), რომელთაც ევალებათ სარდლობა და ენიჭებათ უფლება მოლაპარაკებისა და შეჯალების სიკვდილით დასჯისა. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ყოფილი „სარდლებიც" ერთი გვარის ისეთივე წევრად იქცევიან, როგორც დანარჩენები.

როგორც სარდლების, ისე ეხლანდელების არჩევა ხდებოდა არა რაიმე პრივილეგიების ბერძნულ წესიდან (როგორც ალენიანელ, ცეზარია ლრის ასეული რამ არ არსებობდა), არამედ ისეთი პირებიდან, რომელთაც მოსახლეობაში ჰქონდათ ნოპოლიებული ავტორიტეტი თავიანთი გამოცდილებით, გაბედულობით, გამჭრიახობით და სხვ.

ამგვარად, ცეზარის დროს გერმანის წესრიგი ყველანი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. ... ... თავისუფლად ითვლებოდა და არავისზე არ იყო დამოკიდებული. ისინი გარეშე საბჭოდო ვალდებულებისა, სხვა ვალდებულებებს ... ...ცნობდნენ. გადასახადების გადიხდა. ქრთამების ... და ... ...

თავი XI

ძველი გერმანელი ტომები ტაციტუსის ცნობებისა და შემდეგდროინდელი ისტორიული წყაროების მიხედვით

ცვლილება სისხლითი ნათესაობის პრინციპში. ცეზარისა და ტაციტუსის მოღვაწეობას შორის დროის მნიშვნელოვანმა მონაკვეთმა განვლო. ტაციტუსის მიერ ძველ გერმანელ ტომებზე მოცემული ცნობები დაახლოებით საუკუნენახევრითაა დაშორებული ცეზარის გალიაში შეკრისაგან. ცხადია, რომ დროის ამ მანძილზე გერმანელებში წარმოებითი ძალები გაყინვის წერტილზე არ იდგნენ, და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მათი სოციალურ-ეკონომიური ყოფარება მნიშვნელოვნად წინ წასულა. „ჩვენი კვლევის შედეგად — ამბობს ენგელსი — ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გერმანელებმა პერიოდში ცეზარიდან ტაციტამდე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ცივილიზაციის გზაზე"... [1].

ᲒᲒერმანელებია დასახლება ტაციტუსის დროსაც წარმოებს სისხლითი ნათესაობის პრინციპის მიხედვით. ამის თვალსაჩინო დამადასტურებელია ტაციტუსის მიერ განსილული სასჯელი, რომელიც ადადება ქმრის მოლალატე ქალს. ქმარი, ნათესავების გარემოცვაში, ამაზეკრეული და გამოწვლებულ ცოლს სახლიდან გამოაგდებს და ... სოფ... ს მანძილზე ცემით მიერეკება (იხ. „მისი გერმანია", თავი XIX). მაშასადამე, აღნიშნული სოფელი ეთლიანად დასახლებულია ნათესავებით.

[illegible] ... ელ გერმანელებში ჯერ კიდევ იცავდნენ სასიცოცხლო ... ... ებულ სისხლითი ნათესაობის პრინციპს, [illegible] ...) სოფლებში გათხრების [illegible] ... ებისას აღმოჩენილია საცხოვრებელი მიწაში ...

---

[1] ენგელსი, ტ. XVI. ნ. 1, გვ. 376, 378. 1937.

დაცილებული ერთ ადგილას თავმოყრილი პურის საცხობები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საცხობები თემს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში საცხოვრებელ ბინებთან არ იყო გაშენებული პირუტყვისათვის გომურები, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ყველას პირუტყვი იმყოფებოდა თემის მიერ განკუთვნილ ერთ ადგილას. ამგვარად, გერმანელთა ყოფა-ცხოვრება მიმდინარეობდა ნათესავების (propingui) წრეში და ნათესაურ (გვაროვნულ) ორგანიზაციაში (propinguitas).

ნათესავების თანხლებით ხდება ახალგაზრდის მიღება თემის სრულუფლებიან წევრად. ნათესავების თანდასწრებით ხდება ქალის გათხოვება და მზითვის გატანება. ნათესავებს უნდა გაეღოთ, ან მიეღოთ ეგრეთ წოდებული ვერგელდი და სხვ. ტაციტუსის თქმით, თვითეული გერმანელის მემკვიდრედ მისი შვილები არიან: გერმანელებში ანდერძის დადება სულ არ წარმოებს. თუ გარდაცვლილს შვილები არ დარჩება, მემკვიდრეობა გადადის ახლო ნათესავებზე — ძმებზე, შემდეგ ბიძაზე მამის ხაზით, ბიძაზე დედის ხაზით და ა. შ. რამდენადაც მეტია ნათესავები და თავისიანები, მით უფრო საპატიო ხდება მოხუცებულობა... უშვილობას მათში არავითარი ფასი არ გააჩნია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტაციტუსის დროს ამ მხრივაც მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილება. თუ ცეზარის დროს ვინმეს მოკვლის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მომხდარიყო სამაგიეროს გადახდა — სისხლის აღება, ტაციტუსის დროს შესაძლებელი გამხდარა სისხლის ეგრეთ წოდებული გამოსყიდვა „ვერგელდის" გაღებით. ამ შემთხვევაში მკვლელს მოკლულის ნათესავებისათვის უნდა მიეცა გარკვეული რაოდენობის პირუტყვი ან სხვა რამე; ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უფრო პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი შედარებით ამცირებდა იმ ხოცვა-ჟლეტას, რაც სისხლის აღების უშუალო თანამგზავრი იყო.

მეურნეობის შემდგომი განვითარება და სოციალური ცვლილებები. ძველი გერმანელი ტომების ეკონომიკის ძირითად საფუძველს ტაციტუსის დროსაც მესაქონლეობა წარმოადგენდა. ტაციტუსის თქმით, გერმანელებს სიამოვნებთ, როცა მათ პირუტყვი ბევრი ჰყავთ; ამაშია მათი მთავარი სიმდიდრე, თუმცა მათი პირუტყვი უჯიშოა: ხარები და ძროხები ურქონი არიან, მათი ცხენები არ გამოირჩევიან არც თავიანთი სილამაზით, არც კარგი ტარების უნარით. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ გერმანელებისათვის ნადირობა აღარ წარმოადგენს შემოსავლის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც იყო ის ცეზარის ხანაში.

ტაციტუსის თქმით, სამაგიეროდ ახლა მეტი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას მოუპოვებია. გერმანელები ერთ და იმავე ადგილზე ახლა უფრო მეტი ხნით ჩერდებიან, ვიდრე წინათ. უნდა ვიგულისხმოთ, მიწის დამუშავება იმდენად გაუმჯობესებულა, რომ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთს, თავისი მოსავლიანობით შესძლებია ოჯახის გაძოკვება რაოდენიმე წლის განმავლობაში.

/მიწის დამუშავება სახნისით წარმოებს. მიწის გარკვეულ მონაკვეთს ტოვებენ „დასასვენებლად“ და სხვა ნაწილზე კი თესენ ხორბლეულს. გარდა პურის დამზადებისა, ხორბლეულს ახლა სხვა სახითაც იყენებენ. თუ ცეზარის ხანაში სვევები სასტიკად კრძალავდნენ ღვინისა და სხვ. სასმელის ხმარებას, ახლა თვით გერმანელები მისდევენ ხორბლისაგან ლუდისმაგვარი სასმელის დამზადებას/

ვიდრე წარმოებითი ძალების განვითარება ძალიან დაბალ დონეზე იდგა, მიწათმოქმედება იმდენად ნაყოფიერი არ იყო, რომ მასში შრომის დახარჯვით მიწის დამმუშავებელს იმდენი მიეღო, რაც მას ეყოფოდა და კიდეც დარჩებოდა რაიმე ზედმეტი. ამიტომ იმდროინდელი მიწათმოქმედება არ იძლეოდა შესაძლებლობას სხვისი შრომის მითვისებისათვის — ექსპლუატაციისათვის. გასაგებია, რომ ცეზარის დროს, როცა გერმანელებს ვინმე ტყვედ ჩაუვარდებოდათ ხელში, ჰკლავდნენ ან არა და მიჰყიდდნენ რომაელებს, თვითონ კი მას არ იყენებდნენ თავიანთ მეურნეობაში.

ტაციტუსის დროს, როგორც ეტყობა, გერმანელებსაც ჰყავთ მონები. ტყვეებს ისინი აღარ ხოცავდნენ და მონებად აქცევდნენ. ტაციტუსი ამბობს, რომ გერმანელები მონებს ისე არ იყენებენ, როგორც რომაელებიო. რომაელი მონათმფლობელები ბშირად მონებს ხელზე მოსამსახურედ ამუშავებდნენ. ზოგ მონას, მაგალითად, დავალებული ჰქონდა სუფრის გაშლა, ზოგს სპეციალურად პურის დაჭრა, ზოგის ვალდებულება კი იმით განისაზღვრებოდა, რომ შეეტყობინებინა თავისი ბატონისათვის ყოველი მოსული სტუმრის სახელი.

/ტაციტუსის გადმოცემით, გერმანელებში თვითეული მონათაგანი საკუთარ სახლს, ან მეურნეობას განაგებს ბატონი მას მხოლოდ ბეგრავს პურის გარკვეული რაოდენობით, ან წვრილფეხა საქონლით, ან ტანსაცმლით. მხოლოდ ამაში გამოიხატება მისი მონობა. ამგვარად გერმანელებში მყოფი მონა, რომელსაც საკუთარი ოჯახი და მეურნეობა გააჩნია, მნიშვნელოვნად განსხვავდება

ბონათმფლობელურ წარმოებაში ჩაბმული მონისაგან. პირველი უფრო მეტად კოლონს წააგავს.

(ცეზარის დროს, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მიწა ოჯახებს შორის არ ნაწილდებოდა და მისი დამუშავება ხდებოდა კოლექტიურად მთელი სოფლის მიერ. ტაციტუსის დროს, ამ მხრივ მომხდარა ცვლილება. მიწას ჰყოფენ დიდ ოჯახებს შორის სულადობის მიხედვით. თვითეული ოჯახი მისთვის მიზომილ მიწას თვითონ ამუშავებს. მიუხედავად ამისა, მიწა ჯერ კიდევ არ გადასულა კერძო საკუთრებაში.) ეს იქიდან ჩანს, რომ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ თემი ოჯახებს კვლავ ჩამოართმევს ამ მიწებს და ხელახლად ახდენს მის გადანაწილებას. სამი წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა რაოდენობა შეიძლება გაზრდილიყო, ან შემცირებულიყო. ამ შემთხვევაში მიწის ძველი ფართობი რომ დარჩენოდა ოჯახს, ამას შეეძლო გვარის წევრთა შორის მოეხდინა ეკონომიური დიფერენციაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მიწაზე კერძო საკუთრება ჯერ არ იყო წარმოშობილი, გერმანელებში მონების გაჩენას მაინც საფუძველი უნდა ჩაეყარა სოციალური დიფერენციაციისათვის. ლენინი თავის შრომაში — „სახელმწიფო და რევოლუცია“ აღნიშნავდა, რომ ხალხთა უმრავლესობაში კლასების წარმოშობა მონების გაჩენით იწყებაო. თავდაპირველად სოციალურ დიფერენციაციას ჩვეულებრივ წინ უსწრებდა ეკონომიური დიფერენციაცია. მართალია, მიწაზე კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ტაციტუსის დროს მიწების განაწილება ხდებოდა სულადობის მიხედვით და ამა თუ იმ ოჯახის უფროსის „ლირსების“ გათვალისწინებით.

ბრძოლების შედეგად წამოყვანილი ტყვეები იმ პირთა კუთვნილებად ითვლებოდა, ოომელთაც ისინი ტყვედ ჩაიგდეს ხელში და მონებად გადააქციეს. გასაგებია, რომ მონობიდან აკრეფილი გადასახადი ზრდიდა მათი მეპატრონეების ეკონომიურ ძალას. ამით ეს უკანასკნელები „ლირსეულ პირებად“ ხდებოდნენ და მიწების ხელახლად გადანაწილების დროს უკეთეს ფართობებსაც იგდებდნენ ხელში. მაგრამ ეკონომიურად ძლიერდებოდნენ არა მარტო ლაშქრობის ხელმძღვანელნი, არამედ უხუცესები და სხვა ხელმძღვანელებიც.

/მართალია, იმ ხანებში თავისუფალი გერმანელები ჯერ კიდევ არ გაიღებდნენ გადასახადებს ვისმესათვის სასარგებლოდ, მაგრამ ტაციტუსი უკვე წერდა: „გერმანელებში არსებობს ჩვეულება, რომ-

ლის მიხედვითაც ყველამ ნებაყრფლობით უნდა მოუტანოს თავიანთ ხელმძღვანელებს პირუტყვისა და მიწის ნაყოფის გარკვეული რაოდენობა. ეს მიღებული იქნება როგორც საპატიო ძღვენი, მაგრამ ამავე დროს იგი ემსახურება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ბელადებს განსაკუთრებით ახარებთ ის საჩუქარი, რომელსაც ღებულობენ არა კერძო პირებისაგან, არამედ მეზობელი ტომებისაგან და რომელიც შედგება რჩეული ცხენებისაგან, ძვირფასი იარაღისაგან, ფალერებისაგან და მძივებისაგან; ჩვენ შევასწავლეთ მათ ფულის მიღებაც" [1].

ამგვარად, ტაციტუსის ხანაში, ეტყობა, რომ სოციალურ-ეკონომიურ დიფერენციაციის შედეგად საზოგადოება ერთგვარ ფენებად დაიყო: მონები, რომელნიც ექსპლუატაციაში არიან ჩაბმულნი თავიანთი პატრონების სასარგებლოდ, თემის ან გვარის თავისუფალი წევრები და „ღირსეული" ან „საპატივცემო" პირები, რომელთაც ტაციტუსის ხანაში დაემატნენ მოგვები — სასულიერო წოდების წარმომადგენელნი. მაგრამ საგვარეულო არისტოკრატიის წარმოქმნა და ნახევრად თავისუფალი პირების — მონების გაჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კლასების საბოლოო ჩამოყალიბებას. ამისათვის საჭირო იყო კერძო საკუთრების გაჩენა წარმოებით საშუალებებზე და მისი განმტკიცება.

ცვლილებები საზოგადოების მართვა-გამგებლობის სფეროში. სახალხო შეიარაღება ჯერ ისევ ძალაში რჩებოდა და, მაშასადამე, საზოგადოების რომელიმე ფენას ძალით არ შეეძლო თავისი ნებასურვილის თავზე მოხვევა ხალხისათვის. ამასთან ქვეშევრდომთა ტერიტორიალური დანაწილება ჯერ კიდევ არ მომხდარიყო. თემებში სისხლითი ნათესაობის პრინციპი კვლავ განაგრძობდა თავის არსებობას. კერძო საკუთრების გაჩენა და კლასების ფორმირება თავის ჩანასახში იმყოფებოდა. ყოველივე ამის გამო სახელმწიფო არ არსებობდა. ტაციტუსის თქმით, „გერმანელები მეფეებს (reges) ირჩევენ წარჩინებულობის მიხედვით, ხოლო მხედართმთავრებს (duces) სიმამაცის მიხედვით. ამასთან, მეფეებს განუსაზღვრელი, ან თვითნებური ძალა უფლება არ გააჩნიათ და ბელადები მეთაურობენ, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი გამბედაობის მაგალითის მიცემით, ბრძოლაში მოწინავეობით... და არა ბრძანებათა გაცემის უფლებით. სიკვდილით დასჯა, ბორკილებში ჩასმა და ცემა არავისთვის ნებადართული არაა, გარდა მოგვებისა და ისიც არა

[1] Древние германцы, გვ. 64.

როგორც სასჯელის სახით და ბელადის ბრძანებით, არამედ თითქოს ღვთის განგებით...“ [1]/

უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე საკითხებს იხილავენ და სწყვეტენ უხუცესები (principes), ხოლო უფრო მნიშვნელოვანს — სახალხო კრება. ამასთან ტაციტუსი დასძენს, რომ ის საკითხები, რომლებზედაც ხალხს (plebs) გამოაქვს თავისი განაჩენი. აგრეთვე წინასწარ იხილება უხუცესების მიერ. სახალხო კრების მონაწილენი იკრიბებიან განსაზღვრულ დღეებში. ყველა მათგანი შეიარაღებულია. კრებაზე პირველად სიტყვით გამოდის ან მეფე, ან რომელიმე უხუცესი მისი ასაკის, ღირსების, მქერმეტყველების და სხვ. მიხედვით. /თუ ორატორის ახრი კრებას არ მოეწონება, ხმამაღალი ბუზღუნით უარჰყოფს მას და თუ მოეწონა, კრების დამსწრენი იარაღის ჟღარუნით ღებულობენ შემოტანილ წინადადებებს.

თუ შევადარებთ სახალხო კრების მომზადებასა და ჩატარებას ძველად და მის მომდევნო ხანაში, დავინახავთ, რომ ცეზარისა და ტაციტუსის მონაცემებში ამ საკითხზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მაგალითად: /ცეზარის დროს ყველა საკითხი იხილება სახალხო კრების მიერ, ტაციტუსის დროს კი, უმნიშვნელო საკითხებს სწყვეტენ უხუცესები;/ ცეზარის დროს სახალხო კრებაზე გასატანი საკითხები არ იქცეოდა უხუცესთა წინასწარი მსჯელობის საგნად, გარდა ამისა, სახალხო კრებაზე სიტყვით პირველ რიგში გამოდიოდა ის, ვინც ამას პირველად მოისურვებდა./

/ აქედან აშკარად ჩანს, რომ ტაციტუსის ხანაში სახალხო კრების დემოკრატიული ხასიათი ნაწილობრივ მაინც შეზღუდულია./ გარდა ამისა, როგორც ტაციტუსი აღნიშნავს, მართალია, სახალხო კრება კვლავ ირჩევს უხუცესებს და „მეფეებს“, მაგრამ არა ყველასაგან, როგორც ეს ცეზარის დროს ხდებოდა, არამედ წარჩინებული ოჯახებიდან, ესე იგი საგვარეულო არისტოკრატიისაგან. ტაციტუსს თავის შრომაში „ანალები“ (იხ. თავი XI) მოჰყავს ამისი პირდაპირი მაგალითი. ხერუსკებმა ურთიერთ ბრძოლის შედეგად დაჰკარგეს თავიანთი წარჩინებულნი (nobiles) მთლიანად, რის გამოც „მეფის“ არჩევა გაუჭირდათ. შემდეგში მათ გაახსენდათ, რომ ამ წრიდან ერთი პიროვნებაღა დარჩენილიყო იტალიკის სახელწოდებით. მიუხედავად იმისა, რომ იტალიკი რომში ცხოვრობდა, ხერუსკებმა მაინც ის აირჩიეს (47 წ. ჩვენ-წელთაღრიცხვით) თავიანთ ხელმძღვანელად.

---

[1] Древние германцы, გვ. 59.

ამგვარად, წარჩინებულთა წრე უკვე გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს. იმავე ტაციტუსის გადმოცემით, „მამების დიდად წარჩინებულება და მათი შესანიშნავი დამსახურებანი ბელადის წოდებას ახალგაზრდებსაც კი აკუთვნებენ". მაგრამ „მხედართმთავრებად ანუ ლაშქრის ხელმძღვანელებად ხდებიან არა მარტო ისინი, არამედ ისეთი პირნიც, რომელნიც ცნობილი იყვნენ თავიანთი გამბედაობით, ვაჟკაცობით და საკმაო გამოცდილებით/

ცეზარის დროინდელი ლაშქრობანი და ლაშქართა შემადგენლობა არ იყო მუდმივი და ერთიანი. ლაშქრობის დამთავრების შემდეგ შეიარაღებული ჯგუფი დაიშლებოდა. მისი ხელმძღვანელი, რომელიც ბრძოლების დროს დიდი უფლებებით სარგებლობდა, ჯგუფის დაშლის შემდეგ გვარის ისეთივე წევრად იქცეოდა, როგორც დანარჩენები. ტაციტუსის დროს შეიარაღებული ჯგუფების დაშლა აღარ ხდებოდა. თუ ბრძოლებს, ესა თუ ის ტომი შესწყვეტდა, ამ ტომის შეიარაღებული ჯგუფები ახლა მიდიოდნენ იმ ტომებთან, რომელნიც ბრძოლებს აწარმოებდნენ.

/რამდენადაც ხანგრძლივად განაგრძობდა არსებობას ესა თუ ის შეიარაღებული ჯგუფი, იმდენად ხანგრძლივდებოდა ამ ჯგუფის ხელმძღვანელის დიდი უფლებები/ იმდენად შეიარაღებული ჯგუფი დამოკიდებული ხდებოდა თავის ხელმძღვანელზე, ვინაიდან ამ ჯგუფის მატერიალური დაკმაყოფილება ახლა უფრო მეტად ხდებოდა ხელმძღვანელის მიერ ახალ-ახალი თარეშისა და ძარცვის წამოწყებით. ტაციტუსის შემდეგ ხანებში ზოგიერთი მხედართმთავარი პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ სახალხო კრების გადაწყვეტილებას, თუ ეს არ უპასუხებდა მის ინტერესებს, აღარ ემორჩილებოდა./

კერძო საკუთრების წარმოშობა და მისი უახლოესი შედეგები. კერძო საკუთრების წარმოშობა ძველ გერმანელ ტომებში უფრო მოგვიანებით მოხდა./ როგორც ენგელსი აღნიშნავს, კერძო საკუთრების საფუძველი „ალოდში" უნდა ვეძიოთ. ალოდი თემის მიერ ოჯახებისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს ეწოდებოდა. [თუ ტაციტუსის დროს გერმანელებში სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა მიწების ხელახალი გადანაწილება, შემდეგ საუკუნეებში ეს ვადა თანდათან გახანგრძლივდა და ბოლოს მიწების გადანაწილება სულაც შეწყდა] ახლა ალოდი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა.

ვიდრე თემები დიდი ოჯახებისაგან შედგებოდნენ, სადაც ნათესავების რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, მამაკაცების რაოდენობა დიდი იყო. ალოდის მემკვიდრეობით გადაცემა წარმოებ-

და მამაკაცზე. შემდეგში, წარმოებითი ძალების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა წვრილი ოჯახების დამოუკიდებლად არსებობა. დიდ ოჯახებს ცალკე ეყოფოდნენ მამაკაცები, რომლებიც ცოლის შერთვის შემდეგ ახალ, წვრილ ოჯახებს ქმნიდნენ. ასეთ წვრილ ოჯახში, მეურნის გარდაცვალების შემდეგ, შეიძლებოდა შემკვიდრედ მამაკაცი აღარ დარჩენილიყო. ამ შემთხვევაში ძალაუნებურად მემკვიდრედ ქალი უნდა გამხდარიყო.

მემკვიდრეობის ქალზე გადაცემა უდავოდ ხელს უწყობდა კერძო საკუთრების განვითარებას, რადგან ეგზოგამიის არსებობის პირობებში ქალი სხვა გვარში უნდა გათხოვილიყო და თუ მას მემკვიდრეობით მიღებული ექნებოდა მიწა, ეს მიწაც მას მეზობელში უნდა გაჰყოლოდა, ესე იგი უნდა მომხდარიყო მიწის გასხვისება.

ალოდის კერძო საკუთრებად გადაქცევის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა იმ ადგილებში, სადაც რომაული გავლენა მეტი იყო. ხოლო იქ, სადაც ეს გავლენა ნაკლებად ან სულ. არ შეიგრძნობოდა (მაგ. ანგლო-საქსებში, სკანდინავიაზე), ეს პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენამ უფრო მეტად გააღრმავა სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია გერმანელებში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდნენ კლასები. ერთიმეორეს დაუპირისპირდა სიმდიდრე და სიღატაკე, ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი. გამწვავდა კლასობრივი ბრძოლები. ამგვარად, ისტორიულად გარდუვალი გახდა სახელმწიფოს წარმოშობაც. ძველ გერმანელ ტომებში სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხდებოდა უმთავრესად რომაული და გერმანული ელემენტების შერწყმის პირობებში. რადგან გერმანელების მიერ დაპყრობილ ადგილებში რომაული მოსახლეობა უკვე კლასებად იყო დაყოფილი, ამიტომ თვით დაპყრობლებში კლასების საბოლოო ჩამოყალიბება დამთავრებულიც რომ არ ყოფილიყო, სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი მაინც უნდა დაწყებულიყო. სულ სხვა საკითხს წარმოადგენს, თუ როგორ ფორმებს მიიღებდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე ახლად წარმოშობილი სამეფოები.

ნაწილი მესამე

ბარბაროსთა სამეფოები რომის იმპერიის ტერიტორიაზე

თავი XII

ვესგოთების სამეფო

გუთების მოძრაობა სამხრეთისაკენ. ეგრეთ წოდებული ხალხთა დიდი გადასახლება, რომელმაც თავდაპირველად შავი ზღვის ველების მოსახლეობა აამოძრავა, აქ გუთების ბოსვლით დაიწყო. გუთები ტაკიტუსის დროს ცხოვრობდნენ უმთავრესად ვისლის მიდამოებში, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, კუნძულ გოტლანდზე და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. ფიქრობენ, რომ ეს უკანასკნელნი (სკანდინავიის გუთები) თავდაპირველად ცხოვრობდნენ აგრეთვე ბალტიის ზღვის სანაპიროებზე მდინარეების ოდერსა და ვისლას შორის[1]. სივადასხვა მიზეზების გამო მეორე საუკუნეში ისინი იძულებულნი გახდნენ სკანდინავიიდან უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ძველ ადგილებზე.

ამ დროისათვის ბალტიის ზღვისპირა გუთები მომრავლების გამო ისედაც ველარ ახერხებდნენ თავიანთი თავის გამოკვებას და, ცხადია, მათთან სკანდინავიის გუთების დაბრუნებით უფრო მძიმე ვითარება უნდა შექმნილიყო. ბალტიის ზღვისპირა გუთების მდგომარეობას უაღრესად ართულებდა აგრეთვე აღმოსავლეთიდან მათზე სლავური და ლიტვური ტომების დაწოლა. ყოველივე ამის შედეგად მეორე საუკუნის მეორე ნახევარში გუთების მთელი მასა დაიძრა სამხრეთისაკენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების მიმართულებით.

გუთების ერთი ნაწილი მიიმართებოდა ვისლის მიდამოებიდან დნესტრით. ესენი მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის საბოლოოდ

---

[1] Д. М. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, გვ. 176. გამ. 1917 წ.

ჩამოყალიბდნენ გუთების ცალკე ჯგუფებად, რომელთაც ვესტგუთები, ანუ დასავლეთის გუთები ეწოდათ. ისინი ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილნი არიან აგრეთვე ტყის გუთების სახელწოდებით. გუთების მეორე ნაწილი, რომელიც მდინარე ვისლის მიდამოებიდან მიიმართებოდა პრიპიატითა და დნესტრით, ოსტგუთების, ანუ აღმოსავლეთის გუთების (ველის გუთები) სახელწოდებით არის ცნობილი.

სამხრეთისაკენ მოძრაობის დროს გუთებმა შეავიწროვეს უფრო დასავლეთით მყოფი სხვა ძველი გერმანელი ტომები, რომელნიც იძულებულნი გახდნენ მათთვის ადგილი დაეთმოთ და თვითონ წასულიყვნენ რომის იმპერიის საზღვრებისაკენ. ამას კი უშუალო შედეგად მოჰყვა მარკომანების ომი რომაელებთან. გარდა ამისა, ელბის მიღმა მყოფი ალემანები და ბურგუნდები მიუახლოვდნენ მდინარე რაინს, ხოლო მათი ძველი ადგილსამყოფელი გერმანელთა სხვა ტომებმა დაიკავეს, რომელთაც შექმნეს ვანდალების, ლანგობარდებისა და სხვ. მსხვილი ტომობრივი გაერთიანებანი.

გუთების ხანგრძლივი მოძრაობის შემდეგ მათი ტომების უმრავლესობა ბალტიისპირეთიდან როგორც იქნა გადმოსახლდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების დასავლეთ ნაწილში—დნეპრისა და დნესტრის აუზში. ადგილობრივი მოსახლეობა გუთებისა, ალანებისა, გეპიდებისა, სკვითებისა და სხვ. სახით გუთებს დაემორჩილა და მათში გაითქვიფა, ხოლო მათი კულტურა გადაიქცა აგრეთვე მოსულთა ხელდრად.

გუთების სოციალურ-ეკონომიური ვითარება შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე. გუთების მოსვლამდე შავი ზღვის სანაპიროების კულტურა განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს აღწევდა. საბჭოთა არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ მეორე-მესამე საუკუნეებში შავი ზღვისპირეთი მნიშვნელოვან ვაჭრობას და აღებ-მიცემობას აწარმოებდა რომთან. შავი ზღვისპირეთის კულტურის საფუძველები პირველად სკვითების ეპოქაში ჩაიყარა და შემდეგ სარმატულ პერიოდში მისმა განვითარებამ მნიშვნელოვნად წინ წაიწია. ამგვარად, შავი ზღვის სანაპიროების კულტურა უფრო სარმატულ-ჰუნურ კულტურას წარმოადგენდა, ვიდრე გუთურს, როგორც ცდილობდნენ ამის დამტკიცებას ფაშისტური მკვლევარები.

ადგილობრივი კულტურის ათვისებითა და მეორე მხრივ, რომაელების ზეგავლენით გუთებში ადრევე დაწყებული სოციალურ-ეკონომიური განვითარება შავი ზღვისპირეთში გარკვეულ წარმატებებს აღწევს. გუთებში სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაა-

ცია უფრო სწრაფი ტემპებით წარიმართა. მეოთხე საუკუნეში „გუთების მოსე“—ულფილა იწყებს მათში არიოზობის გავრცელებას. ულფილა (დაახ. 311—383 წ.) 341 წელს ეპისკოპოსი გახდა. მან ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე, ლათინური ასოების გამოყენებით, გუთებისათვის ანბანი შეადგინა და გუთურ ენაზე თარგმნა ბიბლიის დიდი ნაწილი. ულფილას ეს თარგმანი საინტერესოა არა მარტო ფილოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, როგორც ისტორიული წყარო. ენგელსმა, სხვათა შორის იგი გამოიყენა თავისი შრომის—„ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის“ შედგენაში.

ქრისტიანული სარწმუნოების მიღება გუთების მიერ უშუალო შედეგი იყო გუთებში ნოვბდარ სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებისა. მაგრამ გუთების ამავე ეკონომიურმა დონემ განსაზღვრა ისიც, რომ გუთებმა ეგრეთ წოდებულ ორტოდოქსალურ კათოლიკობის ნაცვლად არიოზობა მიიღეს. არიოზობის მარტივი შეხედულებანი აბა თუ იმ დროგბატურ საკითხებზე გუთებისათვის უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდა, ანიტომ არა სწორად უნდა ჩაითვალოს კუდრიავცევის შეხედულება, რომლის მიხედვითაც „წმინდა შეხთხვევითია ის, რომ გუთები არიოზები გახდნენო“ [1].

შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე დასახლებული როგორც ვესტგუთები, ისე ოსტგუთები დაყოფილნი იყვნენ სხვადასხვა წვრილ ტომებად, რომელთაც ჰყავდათ ბელადები, ან „მეფეები“. უფრო ფართო სამხედრო გაერთიანებებს გუთები ჰქმნიდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ახდენდნენ ლაშქრობას მცირე აზიაში, ან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ ლაშქრობათა შედეგი იყო ის, რომ რომის იმპერია, 274 წელს იძულებული გახდა მათთვის დაკია დაეთმო.

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში გუთების სხვადასხვა ტომებს შორის ოსტგუთებმა ეოიპოვეს პირველობა ტომთა გაერთიანების საქმეში. მათ მეფეს ჰერმანრიხს დაემორჩილნენ არა მარტო ვესტგუთების მეფეები და ბელადები, არამედ ვოლგისპირეთში მყოფი ფინური მოსახლეობა და შეიძლება ზოგიერთი სლავური მოდგმის ტომებიც. ამგვარად, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების დასავლეთ ნაწილში გუთების მძლავრი სამხედრო გაერთიანება ჩამოყალიბდა.

ჰერმანრიხის მიერ სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება მეორე მხრივ ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთ სა-

---

[1] П. Кудрявцев, Судьбы Италии, გვ. 35, გამ. 1850 წ.

ნაპირიერების აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში, ვოლგასა და დონს შორის გაძლიერდნენ ჰუნები. მათაც ჩამოაყალიბეს სამხედრო კავშირი, რომელიც გუთებს დიდ საშიშროებას უქმნიდა. 375 წელს ჰუნებმა ბალამირის ხელმძღვანელობით გადალახეს დონი და იერიშები მიიტანეს გუთებზე. ბრძოლა ჰუნების გამარჯვებით დამთავრდა. ოსტგუთები ჰუნებს დაუმორჩილდნენ, ხოლო ვესტგუთები გაიქცნენ.

ვესტგუთები მეზიაში. მათი პირველი აჯანყება რომის წინააღმდეგ. აჯანყების მიზეზი და შედეგები. 376 წელს, როცა იმპერატორი ვალენტი ანტიოქიაში იმყოფებოდა, მასთან ვესტგუთების ელჩობა გამოცხადდა. ვესტგუთები სთხოვდნენ იმპერატორს მიეცა მათთვის დასასახლებელი ადგილი იმპერიის საზღვრებს შიგნით. ისინი იძლეოდნენ პირობას, რომ დაიცავდნენ რომის საზღვრებს სხვა ბარბაროსთა შემოსევისაგან და რომ რომაელებისადმი ერთგულნი და მორჩილნი იქნებოდნენ. ვალენტი დათანხმდა. ამიანე მარცელინეს თქმით, „მლიქვნელები ადიდებდნენ იმპერატორის ბედს, რომელმაც შორეული ქვეყნებიდან იმპერატორს მოულოდნელად არგუნა უამრავი რეკრუტები, რომელთა წყალობით ამიერიდან მას უძლეველი ჯარი ეყოლებოდა, ხოლო სახელმწიფო ხაზინა პროვინციებიდან ყოველწლიურად აკრეფილ სამხედრო გადასახადის მნიშვნელოვან ნაწილს ამით დაზოგავდა“ [1]. დასასახლებლად იმპერატორმა ვესტგუთებს გადასცა ეგრეთწოდებული მეზია (თანამედროვე ბულგარეთი). ამასთან რომაულ ხელისუფლებას ისინი უნდა უზრუნველეყო სურსათ სანოვაგით.

დაახლოებით 200.000 კაცი, თავიანთი ცოლებითა და შვილებით, ფედერატობის საფუძველზე დასახლდნენ მეზიაში. თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, მათ იარაღი უნდა ჩაებარებინათ რომაელებისათვის. რომაელმა მოხელეებმა ამ შემთხვევაშიაც დაინახეს კარგი შემოსავლის წყარო. მათ, გუთებისაგან მიიღეს ქრთამი და იარაღი აღარ ჩამოართვეს. გარდა ამისა, ვესტგუთებისათვის განკუთვნილი თანხა მიითვისეს და მათ სურსათ სანოვაგე აღარ მიაწოდეს.

ისტორიკოს იორდანეს თქმით, ვესტგუთებში დაიწყო სასტიკი შიმშილი. ვესტგუთების ბელადებმა ფრიტიგერნმა, ალატეამ და სოფრაკმა დახმარება თხოვეს რომაელების დუკებს ლუპიციანეს და მაქსიმიანეს. ამ უკანასკნელებმა მოინდომეს უფრო მეტად გამ-

---

[1] ამიანე მარცელინე, „ისტორია“ XXX, 4,4.

დიდრება და ძალიან დიდ ფასებში იწყეს ვესტგუთებისათვის მიცემა არა მარტო ცხვრისა და ძროხის, არამედ დამხრჩვალი ძაღლებისა და სხვა უწმინდური ცხოველების ხორცისა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთ პურში, ან 10 გირვანქა ხორცში რომაელები ერთ მონას ყიდულობდნენ. მშობლები, განაგრძობს იორდანე, არჩევდნენ მონებად გაეყიდათ თავიანთი შვილები. ვიდრე ისინი შიმშილით დახოცილიყვნენ. ყველაფერმა ამან და რომაელი მოხელეების ბევრმა სხვა უხეშმა დამოკიდებულებამ ვესტგუთებში გამოიწვია მძვინვარე აჯანყება.

ვესტგუთების ეს აჯანყება დაიწყო 378 წელს. ამ დღემ— ამბობს იორდანე, გუთები გაათავისუფლა შიმშილისაგან, ხოლო რომაელებს მოუსპო უშიშროება. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს რდილოეთის ყველა ოლქი მდინარე დუნაიმდე. აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ რომაელი მონები, კოლონები, ოქროს საბადოების მუშები და ყველა ისინი, რომლებისათვისაც აუტანელი გახდა რომაელთა მძიმე ბატონობის უღელი. ამიანე მარცელინეს თქმით, აჯანყებულთა მხარეზე გადასული მეამბოხეები ვესტგუთებმა სიამოვნებით მიიღეს, რადგან მათში თავიანთ დამხმარეებს ხედავდნენო.

ვესტგუთების აჯანყებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო და იმდენად საშიში გახდა რომისათვის, რომ იმპერატორმა ვალენტმა ვადასწყვიტა პირადი მონაწილეობა მიეღო ამ აჯანყების ჩახშობაში. თავისი შეიარაღებული ძალებით იგი ანტიოქიიდან დაიძრა და გაეშურა თრაკიაში. აქ გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები რომის არმიასა და აჯანყებულებს შორის. ამ ბრძოლაში აჯანყებულებმა გაიმარჯვეს. რომაელებმა 40 000-მდე კაცი დაკარგეს. თვით იმპერატორი ვალენტი ადრიანოპოლთან იქნა მოკლული.

ყოველივე ამის შემდეგ ვესტგუთები მოედნენ მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულს და იწყეს მისი დარბევა. ამასთან ერთად ბალკანეთ აზიაში დაიწყო მონებისა და კოლონების გამოსვლები. რომის იმპერიის მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვესტგუთების აჯანყება ჩაახშო მეედართმთავარმა, შემდეგში იმპერატორ გრაციანეს თანამმართველმა და მისმა შემცველელმა თეოდოსიმ. ვესტგუთების აჯანყების ჩახშობა მან მოახერხა ვესტგუთების ზოგიერთი ტომის ბრძოლებში დამარცხებით, ზოგიერთი ტომების ბელადების მოსყიდვით, დიპლომატიური მოლაპარაკებებით და სხვა.

ვესტგუთები ილირიაში. მათი მეორე აჯანყება. 382 წელს დაიდო სათანადო შეთანხმება თეოდოსისა და ვესტგუთებს შორის,

ვესტგუთებს მიეცათ საცხოვრებელი ბინები და უზრუნველყოფ-სურსათ-სანოვაგით. მათი ახალი დასახლება მოხდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილებში. ისინი ცხადდებოდნენ დამხმარე შეიარაღებულ ძალებად, რომელნიც ცნობდნენ იმპერატორის ძალაუფლებას. თეოდოსის ვესტგუთებისადმი კარგი დამოკიდებულების გამო ვესტგუთები იმპერატორის მიმართ მართლაც იჩენდნენ ერთგულებას. ისინი ერთგულად და აქტიურად მონაწილეობდნენ თეოდოსის სხვადასხვა ლაშქრობებში, მაგრამ თეოდოსის გარდაცვალების (395 წ.) შემდეგ ისინი კვლავ აჯანყდნენ.

იმპერატორ თეოდოსის გარდაცვალებისას რომის იმპერიაში ორი იმპერატორი გამოცხადდა. იმპერია დაიყო თეოდოსის შვილებს შორის. აღმოსავლეთ ნაწილში იმპერატორობა წილად ხვდა არკადის, ხოლო დასავლეთში— ჰონორიუსს. თეოდოსის შვილების მცირეწლოვანობის გამო სასახლეში დაიწყო ინტრიგები. არკადის მრჩეველი რუფინიუსი ცდილობდა თვითონ ჩაეგდო ხელში მთელი ძალაუფლება. ამ მიზნის განხორციელებაში რუფინიუსს უნდოდა გამოეყენებინა ალარიხი, რომელიც ვესტგუთებმა აირჩიეს თავიანთ ბელადად.

რუფინიუსმა ალარიხს მიმართა წინადადებით, რომ ის დახმარებოდა მას იმპერატორის ტახტის დაკავებაში. საშაგიეროდ, ალარიხს პირდებოდა, რომ უკეთეს მიწებს გადასცემდა ვესტგუთებს, ხოლო თვითონ მას ილირიის სამხედრო მართვა-გამგებლობას მიანიჭებდა. რა თქმა უნდა, ასეთი წინადადება ალარიხისათვის მისაღები იყო, მაგრამ რუფინიუსი ვერ მოესწრო თავისი განზრახვის შესრულებას. კონსტანტინეპოლში მომხდარი სამხედრო ამბოხების დროს იგი მოკლულ იქნა.

ვესტგუთებმა დაიწყეს აჯანყება. ალარიხი თავისი შეიარაღებული ძალებით მივიდა კოსტანტინეპოლში, ქალაქს დიდი ხარკი გადაახდევინა და შემდეგ წავიდა სხვა ადგილების დასარბევად. როცა ეს ამბავი ჰონორიუსმა გაიგო, მან თავისი ჯარები სტილიხონის ხელმძღვანელობით გაგზავნა ალარიხის წინააღმდეგ. ბრძოლაში ალარიხი იძულებული გახდა უკან დაეხია. რომის ჩარევა აღმოსავლეთის იმპერიის შინაგან საქმეებში არკადიმ საშიშრად ჩასთვალა და მოითხოვა სტილიხონის უკან გაწვევა, ხოლო ალარიხს მან გადასცა ილირია და მდგომარეობა თითქოს ამით გამოსწორდა.

ილირია, რომელიც ვესტგუთების განკარგულებაში აღმოჩნდა, საუკეთესო მხარეს წარმოადგენდა არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ მასში უხვად მოიპოვებოდა კარგი, ნოყიერი მიწები, არამედ იმითაც, რომ მას კარგი სტრატეგიული მნიშვნელობა

გააჩნდა. ილირიის დაკავებით ვესტგუთები თითქოს იტალიის კარიბჭესთან აღმოჩნდნენ. ახლა ალარიხს და ვესტგუთებს იტალიაში ღრმად შეჭრის ოცნება აღარ ასვენებდა. ეს სტილიხონისათვის სრულიადაც არ დარჩა საიდუმლოდ. ახლო მომავლისათვის, ელოდებოდა რა ვესტგუთების თავდასხმას იტალიაზე, სტილიხონმა იწყო სამზადისი მომავალი ბრძოლებისათვის.

ალარიხის ლაშქრობა იტალიაში. სტილიხონი (დაახ. 360—408 წ.), წარმოშობით ვანდალი, სამხედრო და დიპლომატიურ ასპარეზზე თავის კარიერას აძლიერებდა ჯერ კიდევ იმპერატორ თეოდოსის დროს. მან ცოლად შეირთო თეოდოსის ნათესავი ქალი და ჰონორიუსის მეურვედ იქნა დანიშნული. იგი დასავლეთ იმპერიის ფაქტიური მმართველი იყო და საკმაო ნიჭსა და ენერგიას იჩენდა საელმწიფოებრივი საქმეების წოგეარებაში. ვესტგუთების შეწოსევის საშიშროებასთან დაკავშირებით მან ბრიტანეთში მყოფი ლეგიონები გამოიწვია. იმ ნიხნით, რომ უზრუნველეყო გერმანული საზღვრის უშიშროება, ფრანკებთან და ალემანებთან სტილიხონმა ახალი ხელშეკრულება დასდო, რომლის ბიხედვითაც ფედერატობის საფუძველზე ფრანკებმა და ალემანებმა მიიღეს ახალი დასასახლებელი ადგილები გალიასა და რეციაში.

401 წელს ალარიხი ვესტგუთებით შეიჭრა იტალიაში. ნოემბერში მან აქვილეას ალყა ზემოარტყა კიდეც, ნაგრამ ამჯერად ალარიხის ლაშქრობა წარმატებით არ დამთავრებულა. სტილიხონმა ბარბაროსთა დაქირავებული ჯარებით 402 წლის 6 აპრილს ვესტგუთები დაამარცხა პოლენციასთან, შემდეგ ვერონასთან და ალარიხი აიძულა გაბრუნებულიყო ილირიაში.

მიუხედავად ამისა, ალარიხის ამ ლაშქრობას ნაინც ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომ დასავლეთის იმპერია მან პოლიტიკურად შეასუსტა. ბრიტანეთიდან ლეგიონების გამოყვანამ ანგლო საქსებს მისცა შესაძლებლობა ეს კუნძული საბოლოოდ ხელში ჩაეგდოთ. მიუხედავად სტილიხონთან დადებული ხელშეკრულებისა ბურგუნდებმა, ალემანებმა და ფრანკებმა მდინარე რაინის მარცხენა სანაპირო დაიკავეს და იქ განმტკიცდნენ, ხოლო სვევები, ვანდალები და ალანები ესპანეთშიაც კი შეიჭრნენ.

ყოველივე ამან სტილიხონის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვია რომის მმართველ წრეებში. სტილიხონი მოღალატედ იქნა გამოცხადებული. იმპერატორის ბრძანებით 408 წელს იგი სიკვდილით დასაჯეს. ამასთან დაკავშირებით დაიწყო სასტიკი დევნა იტალიაში მცხოვრები გერმანელებისა, ყველა არიოზელისა და წარმარ-

თელ სარწმუნოებათა მიმდევრისა. ამის შედეგად 30000 მდე კაცმა დასტოვა იტალია და ალარიხთან ილირიაში გაიხიზნა.

ალარიხმა შექმნილი მდგომარეობა თავისათვის ხელსაყრელად ჩასთვალა და თავისი ძალებით კვლავ დაიძრა რომისაკენ. იმპერატორი ჰონორიუსი ჩაიკეტა რავენის სიმაგრეში. ვესტგუთებმა იწყეს რომისათვის ალყის შემორტყმა. ზოსიმეს გადმოცემით, ქალაქში დაიწყო შიმშილი. რომის სენატმა თავისი წარმომადგენლები ესპანელი ბასილის მეთაურობით გააგზავნა ალარიხთან მოსალაპარაკებლად. ელჩებმა გადასცეს ალარიხს, რომ რომაელები მზად არიან მიიღონ ვესტგუთების მოთხოვნანი, თუ უკანასკნელნი ზომიერი აღმოჩნდებიან. ამასთან აგრძნობინეს ალარიხს ისიც, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი თავის თავს ღირსეულად დაიცავს, რადგან შიგ მრავალი მცხოვრებია და არ მისცემს მტერს მისი გათელვის შესაძლებლობას.

ამაზე ალარიხს დაცინვით უპასუხნია: „რამდენადაც ბალახი სქელადაა ამოსული, იმდენად მისი გათიბვა ადვილიაო". ალარიხს მოუთხოვია მთლიანად ის ოქრო-ვერცხლი და ავეჯეულობა, რომელიც რომში მოიპოვებოდა. გარდა ამისა, ალარიხის კატეგორიული მოთხოვნა ყოფილა რომში მყოფი ყველა მონის განთავისუფლება. და როდესაც ელჩებს უკითხავთ რაღას უტოვებთ რომაელებსო, ალარიხს უპასუხნია—„სიცოცხლესაო".

შემდგომი მოლაპარაკების შედეგად, იმავე ზოსიმეს გადმოცემით, ალარიხმა რომაელებს გამოართვა 5000 გირვანქა ოქრო, 30 000 ვერცხლი, 3 000 გირ. წიწაკა და სხვ. ამ ხარკის მიღების შემდეგ ალარიხმა დროებითი ზავი დადო და ტოსკანაში დაბანაკდა. აქ ალარიხთან უამრავი მონა და კოლონი გადმოდიოდა. ზოსიმე ამბობს, რომ ალარიხთან გადასულ მონათა რიცხვი 40 000 კაცამდე აღწევდაო. ტოსკანაში ალარიხი ელოდებოდა ჰონორიუსისაგან ზავის პირობების დამტკიცებას, - მაგრამ იმპერატორმა და რავენის ვესვეურებმა მას უარით უპასუხეს.

უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ალარიხი კვლავ გაემართა რომისაკენ. მან ხელში ჩაიგდო ნავსადგური ოსტია და მოსწყვიტა რომი სურსათ-სანოვაგის შეზიდვას. მან რომაელებისაგან მოითხოვა, რომ ვესტგუთებისათვის დაეთმოთ: ნორიკუმის პროვინცია, ვენეცია, დალმაცია, მიეცათ მათთვის ყოველწლიური ჯამაგირი და სურსათ-სანოვაგე, ხოლო პირადად ალარიხისათვის უმაღლესი სამხედრო სარდლის წოდება (magister militum) მიენიჭებინათ. თავის მხრივ ალარიხი რომაელებს მშვიდობას, ქვეშევრდომობასა და იმპერიისადმი ერთგულებას ჰპირდებოდა.

ამ მოლაპარაკებამ სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო. იმპერატორი სდუმდა. ალარიხმა გადასწყვიტა უფრო ეფექტური ზომები მიეღო. მან ჰონარიუსი გადაყენებულად გამოაცხადა და მოითხოვა რომის სენატისაგან ქალაქის პრეფექტის ატალას იმპერატორად დანიშვნა. სენატი იძულებული გახდა ალარიხის წინადადება სისრულეში მოეყვანა, მაგრამ მალე ატალაც გადააყენეს და 410 წლის გაზაფხულის დამლევს ალარიხმა რომს მესამედ შემოარტყა ალყა. ამავე წლის 24 აგვისტოს ქ. რომში მყოფმა მონებმა ვესტგუთებს ალაყაფის კარი გაუღეს და რომი დაეცა. ეს იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა. მონათმფლობელური საზოგადოება სულს ღაფავდა. რომის მარადიულობა მირაჟივით გაჰქრა.

რომის დაცემის მიზეზის საკითხზე თანამედროვეთა შორის „ერთნი ფიქრობდნენ, რომ ქრისტიანულმა ღმერთმა ურჯულო წარმართნი დასაჯა; ნეორენი სთვლიდნენ, რომ წარმართული ღმერთები ნაწყენნი დარჩნენ ქრისტიანობის გავრცელებით და თავიანთი რისხვა რომს დაატეხეს. სავარაუდებელია, რომ ზოსიმე თავის თხრობას სწყვეტს ალარიხის რომზე გალაშქრებით, რადგან მას რომის ისტორია ამით დამთავრებულად მიაჩნია. მისთვის საძძიმო გახდა იმ უბედურებათა აღწერა, რომლებმაც რომი საბოლოო დაცემამდე მიიყვანეს. ავტორმა უკვე ვეღარ შესძლო 410 წლის შენდეგ გაანეგრძო რომის ისტორია. ეტყობა, რომ მომავალი მისთვის აღარ არსებობდა. რომის დაღუპვასთან ერთად ყველაფერი ინგრეოდა“ [1].

სამი დღე-ღამის განმავლობაში სწარმოებდა ქალაქის ძარცვა. ვესტგუთებმა მნიშვნელოვანი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ამის შემდეგ ვესტგუთები დაიძრნენ სამხრეთისაკენ. ეტყობა, რომ ალარიხს გადაწყვეტილი ჰქონდა გადასულიყო რეგიუმიდან სიცილიაზე, ხოლო აქედან—ჩრდილო აფრიკაში, მაგრამ ქარიშხალმა მისი ხომალდები გაანადგურა. გზაში ალარიხი გარდაიცვალა. ყველა ამის შედეგად ალარიხის გეგმის განხორციელება შეუძლებელი გახდა. ვესტგუთების მიერ ახლად არჩეულმა ხელმძღვანელმა ატაულფმა ვესტგუთების მოძრაობის მიმართულება სრულად შესცვალა.

ვესტგუთთა ტულუზის სამეფო. ორი წლის განმავლობაში იტალიის სხვადასხვა მხარის დარბევის შემდეგ ვესტგუთები დაიძ-

---

[1] Н. П. Голубцова, Идеологическая борьба в Риме на рубеже IV и V вв. Из истории социально-политических идей, გვ. 66, გამ. 1955 წ.

რნენ სამხრეთ გალიისაკენ. ატაულფი თავდაპირველად ორმაგ პოლიტიკას ეწეოდა. ის ხან რომაელების მოკავშირედ გამოდიოდა, ხან კი არბევდა რომაულ გალიას. ბოლოს როგორც იქნა მან დაიპყრო ნარბონა, სადაც იქორწინა იმპერატორ ჰონორიუსის დაზე, რომელიც ტყვედ იყო ჩავარდნილი. ატაულფმა დაიწყო ბრძოლები ვანდალებთან და ალანებთან ესპანეთის ნაწილების დასაკავებლად. მაგრამ ამ ბრძოლებში ატაულფი მოკლულ იქნა ბარსელონაში 416 წელს.

ეტყობა, რომ ატაულფი მსხვერპლი შეიქნა იმ შეთქმულებისა, რომელიც მოაწყო ვესტგუთების საგვარეულო არისტოკრატიის ერთმა ნაწილმა. შეთქმულების მონაწილენი რომთან კავშირის წინააღმდეგნი იყვნენ. ამ კავშირში ისინი ხედავდნენ რომაელების გავლენის ქვეშ ძოკოლას. გარდა ამისა ეტყობოდა, რომ ატაულფი ცდილობდა რომაული წეს-ჩვეულების დანერგვას ვესტგუთებში. ვესტგუთების მეთაურად სიგერიხი აირჩიეს, მაგრამ ახლა საგვარეულო არისტოკრატიის იმ ნაწილმა გაიმარჯვა ვესტგუთებში, რომელიც რომთან კავშირის დამყარების მომხრე იყო.

სიგერიხი მალე გადაყენებულ იქნა და მის მაგივრად აირჩიეს ვალია. მან ჰონორიუსთან დასდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რომი კისრულობდა ვალდებულებას, მიეცა ვესტგუთებისათვის სურსათ-სანოვაგე და ატაულფის მიერ ყველა დაპყრობილი მიწები გალიაში. თავის მხრივ ვესტგუთები სდებდნენ პირობას, რომ ისინი, როგორც რომის მოკავშირეები, იომებდნენ ესპანეთში ვანდალებისა და ალანების წინააღმდეგ და მათგან განთავისუფლებულ ადგილებს რომაელებს დაუბრუნებდნენ. ამგვარად, 419 წელს რომმა ვესტგუთების სამეფო იცნო.

ვალიამ დასთმო ბარსელონა და ესპანეთის ზოგიერთი სხვა ქალაქი, რომელნიც ადრე ატაულფს ჰქონდა დაკავებული და გადავიდა აქვიტანიაში. მან თავის სატახტო ქალაქად ტულუზა გახადა. ამგვარად, ადიერიდან ვესტგუთების სამეფოს ტერიტორია პირინეების მიღმა იმყოფებოდა თანამედროვე საფრანგეთის მიწა-წყალზე. ამ ხანებში თუ ვესტგუთები იკრებოდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე, —მხოლოდ როგორც რომის მოკავშირენი. ვესტგუთების ტულუზის სამეფო ასეთ ვითარებაში იმყოფებოდა მანამდე ვიდრე იგი სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადებდა თავის თავს. 456 წლიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

ვესტგუთების შემდგომი დაპყრობანი. ვესტგუთების გააქტიურება მეორე მხრივ, დამოკიდებული იყო ადგილობრივი მოსახლე-

·ობის ფართო მასების (მონების. კოლონების, გლეხობის) გადასვლაზე ვესტგუთების მხარეზე. VI—VII ს. უკუნეების ისტორიკოსები ხაზგასვით აღნიშნავენ, რომ ვესტგუთების შემოსევებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს ადგილობრივი მოსახლეობის დაბალმა ფენებმაო. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, მონები და კოლონები მოსულებში ხედავდნენ თავიანთ მხსნელებს და ამიტომ ბარბაროსთა მხარეზე არჩევდნენ გადასვლას.

მარსელელი ნღვდლის სალვიანეს თქმით, „რომაელებს (იგულისხმება დაბალი ფენები) არ გააჩნიათ სურვილი. ემორჩილებოდნენ რომაულ კანონმდებლობას", მისი გადმოცემით, ღარიბები „ბარბაროსებში ეძიებდნენ რომაულ ადამიანობას იმის გამო, რომ მათ ეველარ აეტანათ ბარბაროსული არაადამიანობა რომაელებში... ისინი ამჯობინებდნენ. რომ მათ რქმეოდათ მონები ოღონდ თავისუფალნი ეოფილიყვნენ, ვიდრე სულს ღაფაედნენ მონობაში თავისუფალთა სახელწოდების შენარჩუნებით".

ბოძილებში ვესტგუთების ერთადერთი მოწინააღმდეგე იყო რომაელთა გაბატონებული კლასი. ამის თვალსაჩინო ნაგალითს იძლევა გალიის ოლქი ოვერნი, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მონათმფლობელებისაგან შედგებოდა და სადაც იდეოლოგიურ ხელმძღვანელად და „პატრიოტად" კლერმონის ეპისკოპოსი აპოლინარიუს სიდონიუსი გამოდიოდა. იგი ამბობდა: „მტრის მთელი მძულვარება ჩვენსკენაა მომართული, რადგან ყველა იმ მიწების დაპყრობის ლტოლვაში, რომელნიც მდებარეობენ ოკეანედან რონამდე. ის ღვთის წყალობით, მხოლოდ ჩვენში ხედავს ერთადერთ დაბრკოლებას"[1].

კიდევ ერთი გარემოება იყო, რომელიც ხელს უწყობდა ვესტგუთების წარმატებას. ეს გახლდათ დასავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური ვითარება. რომის ყოველივე გართულება ვესტგუთებს უადვილებდა სულ ახალ-ახალ შეტევებზე გადასვლას. ვიდრე რომის იმპერია დაეცემოდა და იტალიაში ბარბაროსთა სამეფო დაარსდებოდა, ერთი წლით ადრე, ვესტგუთების მეფე ეურიხმა იმპერატორ ნეპოტის თხოვნით 475 წელს მასთან ხელშეკრულება დასდო. ამ ხელშეკრულების ძალით, რომმა საბოლოოდ სცნო ვესტგუთების სამეფოს დამოუკიდებლობა. ვესტგუთებს გადაეცათ ოვერნი, რომელიც მანამდე რომაელებს ეკუთვნოდათ.

---

[1] Проблемы истории докапиталистических обществ, 1935 წ., № 1—2, გვ. 247.

476 წელს, როცა რომის უკანასკნელი იმპერატორი რომულ-ავგუსტული ტაიტიდან იქნა გადმოგდებული, ეირიხმა დადებული საბაჟო ხელშეკრულება აღარ ჩასთვალა სავალდებულოდ და კიდევ დაიპყრო რიგი ადგილებისა გალიაში და ესპანეთში. ამავე წელს ვესტგუთების ხელში გადავიდა ტარასკონის პროვინცია მთლიანად. ეირიხის შესახებ გუთების ისტორიკოსი იორდანე აღნიშნავს: „მეფე ითვალისწინებდა -რა იმპერატორების ხშირ შეცვლას, ცდილობდა გალია და ესპანეთი თავისი უზენაესური ძალაუფლებისათვის დაემორჩილებინა“ [1].

ამ წარმატებათა შედეგად ვესტგუთების სამეფო იმდროინდელი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ გავლენიან და ძლიერ სამეფოდ გადაიქცა.

ვესტგუთების დამოკიდებულება რომაელ მსხვილ მიწათმფლობელებთან. აქვიტანიაში დასახლებისას ვესტგუთებმა, როგორც რომაელთა დამხმარე ჯარმა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიიღეს სახლების ერთი მესამედი და სახლების მეპატრონეთა მეურნეობის შემოსავლის გარკვეული ნაწილი. მაშინ ვესტგუთების მეფე ამ ჯარის მთავარსარდლად ითვლებოდა და ატარებდა რომაულ ტიტულს—magister militum. ამასთან ერთად, იგი ამ ჯარის სამყოფელ ოლქში ასევე ითვლებოდა იმპერატორის თავისებურ მოადგილედ.

იმპერატორის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად ვესტგუთებმა თანდათანობით უფრო მაგრად მოიკიდეს ფეხი დაპყრობილ ადგილებში და ამ ადგილების სრულ ბატონ-პატრონად გადაიქცნენ. თვით აქვიტანიაში ახლა მათ ხელში ჩაიგდეს მიწების ორი მესამედი (sortes gothorum), ნამდვილ მეპატრონეებს კი ერთი მესამედი დაუტოვეს. მოხდა ტყეების განაწილებაც; ტყეების ნახევარი თვითონ მიისაკუთრეს, ხოლო მეორე ნახევარი დაუტოვეს რომაელებს. დაუნაწილებელი მიწები გამოცხადებულ იქნა ვესტგუთებისა და რომაელების საერთო საკუთრებად.

მიწების ჩამორთმევასთან ერთად ვესტგუთებმა მიიღეს აგრეთვე ამ მიწებზე დასახლებული რომაელი მონები და კოლონებიც. რომაელი მსხვილი მიწათმფლობელებისაგან მიწების ორი მესამედის ჩამორთმევამ გაბატონებული კლასი ეკონომიურად შეასუსტა და ამით მონათმფლობელური წარმოების წესსაც ნიადაგი გამოეცალა. მაგრამ რომაელი მონათმფლობელური კლასის ეკონომიური შესუსტება მარტო ამით არ განისაზღვრა. შემოღებულ იქნა ისეთი სა-

---

[1] Исторический журнал, № 3, გვ. 104. გამ. 1940 წ.

გადასახადო სისტემა, რომლის მიხედვითაც გადასახადს ეხოლოდ რომაელები გაიღებდნენ, ხოლო ვესტგუთები განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გამოსაღებისაგან.

ამგვარად, მსხვილი მიწათმფლობელობა დაიშალა. მის ნაცვლად გაძლიერდა თავისუფალი წვრილი მესაკუთრეობა, რომელიც პირველ ხანებში თემურ წყობას უფრო ამტკიცებდა, რადგან ვესტგუთების საზოგადოების სოციალურ ეკონომიური დიფერენციაცია ჯერ კიდევ შორს არ იყო წასული. ბუნებრივია, რომ ვესტგუთებსა და რომაელებს შორის დამყარებული ურთიერთობა უნდა გაბალანსებულიყო სხვადასხვა ხალხის—დამპყრობელთა ცალკეულ უფლებებით.

ჯერ კიდევ მეფე ეირიხის დროს (466—484) ვესტგუთებისათვის შედგენილ იქნა კანონთა კრებული ეგრეთ წოდებული ვესტგუთების სამართალი, რომელიც მათ ბინიშვნელოვან პრივილეგიებს უთმობდა. ალარიხ მეორის დროს (484—507) სპეციალურად რომაელებისათვის შედგენილ იქნა აგრეთვე სამართალი რომაელი უფლებრივობის საფუძველზე (Lex romana Wisigothorum).

ვესტგუთების სამეფოში შექმნილმა ასეთმა ვითარებამ წინააღმდეგობა გამოიწვია რომაულ მსხვილ მონათმფლობელებსა და ვესტგუთებს შორის. ეს წინააღმდეგობა მწვავდებოდა იმითაც, რომ ვესტგუთების მოსვლით ესპანეთში ორი მიმდინარეობის ეკლესია გაჩნდა: არიოზული (ვესტგუთების) და ეგრეთ წოდებული ორტოდოქსალურ-კათოლიკური (რომაელებისა). ამ ორ ეკლესიას შორის აოსებულმა წინააღმდეგობამ შემდეგ სათვის უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. მაგრამ არაა სწორი ალტაჰირას აზრი იმის შესახებ თითქოს ამ წინააღმდეგობათა არსებობის შედეგი იყო ვესტგუთების სამეფოს დაცემა[1].

როგორც ჩვენმოთ დავინახავთ, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობანი დამპყრობელ ხალხებსა და ესპანეთის მცოვრებ მოსახლეობას შორის, დაწყებული VII საუკუნიდან ვიდრე VIII საუკუნეებამდე, თანდათან წაიშალა. ამგვარად, ვესტგუთების სამეფოს დაცემა ამ მიზეზებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ კლასობრივი ბრძოლების გაძწვავებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა არაბთა შემოსევის დროს, ე. ი. მერვე საუკუნის დასაწყისში.

ვესტგუთებში მომხდარი სოციალურ ეკონომიური ცვლილებები. ვესტგუთები, ვიდრე ესპანეთის ტერიტორიაზე მოვიდოდნენ

---

[1] იხ. Рафаэль Альтамира—и— Кревса, История Испании. I. გვ. ... გამ. 1951 წ.

პირველყოფილი თემური წყობილების უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდნენ. სისხლითი ნათესაობის პრინციპი ამ დროისათვის მათში შესუსტებული იყო და ამიტომ ვესტგუთების ახლანდელი თემები უკვე სასოფლო თემებს წარმოადგენდნენ, სადაც ვესტგუთების სოციალურ ეკონომიური დიფერენციაცია უკვე დაწყებული იყო. თემის წევრებს შორის მიწების ხელახალი გადანაწილება ესპანეთში უკვე აღარ ხდებოდა. საძოვარი მინდვრები და ტყეები კი, თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა.

ენგელსი თავის დროზე აღნიშნავდა: „თუმცა გერმანელი დამპყრობლები ყანებისა და მდელოების კერძო მფლობელობაზე გადავიდნენ, ე. ი. მიწების... ხელახალ განაწილებაზე უარი განაცხადეს (გადასვლა მხოლოდ ამაში მდგომარეობდა). სამაგიეროდ, მეორე მხრივ, ყველაფერში მათ გერმანული მარკა დაამკვიდრეს ტყეებისა და საძოვრების საერთო სარგებლიანობით. ამასთან მარკის უფლება განაწილებულ მიწებზედაც გაავრცელეს. ასე იმოქმედეს არა მარტო ფრანკებმა ჩრდილოეთ-საფრანგეთში და ანგლო საქსებმა ინგლისში, არამედ ბურგუნდებმა აღმოსავლეთ-საფრანგეთში. ვესტგუთებმა სამხრეთ-საფრანგეთში და ესპანეთში, აგრეთვე ოსტგუთებმა და ლანგობარდებმა იტალიაში“ [1].

ამგვარად, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვესტგუთებში მიწების ხელახალი გადანაწილება აღარ წარმოებდა და გლეხის მეურნეობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე და ეგრეთ წოდებული ა ლ ო დ ი თანდათან საყოველთაო მოვლენად იქცეოდა. ვესტგუთების დასახლება ესპანეთში გაფანტულად მოხდა ისე, რომ თითქმის თვითეული ვესტგუთის ალოდი აღმოჩნდა რომაელი მესაკუთრის მეზობლად. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ რომაული ელემენტების გავლენა, ანუ რომანიზაცია ვესტგუთებში სწრაფი ტემპებით უნდა მოხდარიყო. ალოდი მალე უნდა გადაქცეულიყო კერძო საკუთრებად. „ყოფილ რომაულ ტერიტორიაზე—ამბობს ენგელსი—გერმანელების ალოდის დაარსების მომენტიდან იგი გადაიქცა იმათ, რადაც ღიდი ხნით ადრე გადაქცეული იყო მის გვერდით მდებარე რომაული მიწის საკუთრება,—საქონლად“ [2].

მესაკუთრეთა ინტერესების დაცვა გამოვლინდა ჯერ კიდევ ეირიხის მიერ 475 წელს გამოცემულ კანონთა კრებულში—Leges Wisigothorum. აქ ნათქვამია: „უკეთუ ვინმე დაანტერევს ან გადაუვავს რაიმე მანძილზე სხვის ღობეს... დაე, ღობეც შეაკეთოს

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, თხზ., ტ. XV, გვ. 634.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, თხზ., т. XVI, ტ. I, გვ. 392.

და ზარალიც აანაზღაუროს. უკეთუ მესაკუთრეს ზარალი მოუვა ხილის (de fructibus) გაფუჭებისაგან, დაე, ზარალიც აანაზღაუროს... და გარდა ამისა, გადაიხადოს 10 სოლიდი. მაგრამ იმ მინდვრის (ლობის დაზიანებისათვის), სადაც იყო ან არის ხილი, აგრეთვე მდელოს თუ გარეყანის (concluso) (ლობის დაზიანებისათვის) უნდა გადაიხადოს 5 სოლიდი..." [1].

კერძო საკუთრების გაჩენით, დროთა განმავლობაში გარდაუვალად წარმოებდა ვესტგუთების სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია. წყვილი ნესაკუთრე გლეხების ფენა, რომელიც ესპანეთში და სამხრეთ-გალიაში დიდად გაიზარდა, მეხუთე საუკუნეში ვესტგუთების გადმოსახლების შედეგად. სწრაფად იწყებს შემცირებას. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჰკარგავს თავის ალოდს და პაუპერიზაციის გზაზე დგება. ყოველივე ამის შედეგად თვით ვესტგუთებშიაც გაჩნდნენ კოლონები და მონებიც.

გუთურ ესპანეთში წვრილი მესაკუთრე გლეხების გაჩანაგების ძირითადი ხელშემწყობი პირობები თითქმის ისეთივე იყო, როგორც სხვა ვერმანულ სამეფოებში, სახელდობრ: საშხედრო ვალდებულება და განუწყვეტელი ლაშქრობაში ყოფნა, დავალიანება, მაგნატებისა და მეფის მოხელეების ძალადობა, მძიმე სასამართლო ჯარიმები და სხვ. ლეოვიგილდას კანონმდებლობებში ხშირადაა მითითებული ისეთ კონკრეტულ მაგალითებზე, როცა ჯარიმის გაუღებლობის შემთხვევაში ბრალდებულს მონებად აქცევდნენ. ასეთი ბედი ეწვიათ: ერთს, რომელმაც გაძარცვა რომელიღაც მოქალაქე და მერე მიყენებული ზარალი ერთი თერთმეტად ვეღარ აუნაზღაურა, რის გამოც დამნაშავე მონად გახადეს; მეორეს, რომელმაც ვიღაცას ცილი დასწამა, ეს ვერ დაასაბუთა, დაჯარიმებული იქნა და ჯარიმა ვეღარ გადაიხადა; მესამეს იმიტომ, რომ მან თავისუფალი მშობლების შვილი მონად გაჰყიდა, შემდეგ იძულებული გახდა შვილი მშობლებისაკენ უკან დაებრუნებინა, მაგრამ მისთვის მისჯილი ჯარიმა 150 სოლიდის რაოდენობით ვეღარ გადაიხადა და სხვ.

თავისუფლების დაკარგვა, როგორც აღვნიშნეთ, წილად ხვდებოდა იმასაც, ვინც, დავალიანებაში აღმოჩნდებოდა. ვესტგუთების სამეფოში მევახშეობა მკაცრად განკითარებული იყო. კანონმდებლობით დადგენილი იყო, რომ ფულად სესხში უნდა გაეღოთ

---

[1] ი. დილიძე. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ. 59.

სარგებელი 12,5%, ხოლო თუ სესხი ნატურით გაიცემოდა—50%[1]. სესხის მიმღები ხშირად გირაოში თავის მეურნეობას აძლევდა და როცა სესხს ვეღარ გადაიხდიდა, ის ჰკარგავდა მიწას და თავის დამოუკიდებლობასაც.

მაგრამ ვესტგუთების სამეფოში მიუხედავად მიწების დიდი რაოდენობით არსებობისა, არ შეიძლება ითქვას, რომ გუთურ ესპანეთში შემორჩა მონათმფლობელური წარმოების წესი. ჯერ კიდევ ესპანეთში ვესტგუთების მოსვლამდე დაწყებული იყო მონების ექსპლუატაციის ფორმების შეცვლა. ლატიფუნდიალურ მეურნეობაში მუშაობის ნაცვლად ახლა მონები თვითონ ფლობდნენ პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებს, რაზედაც თავიანთი პატრონების სასარგებლოდ იხდიდნენ გარკვეული ოდენობით ღალას. ვესტგუთების გადმოსახლების შემდეგ ეს პროცესი უფრო მეტად გაძლიერდა.

ახალი კლასების ფორმირება ვესტგუთების სახელმწიფოში და ქვეყნის ფეოდალიზაციის დასაწყისი. ამგვარად, ყოფილი მონების მდგომარეობა შეიცვალა იმ მხრივ, რომ მეურნეობის წარმართვის თვალსაზრისით მათ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მართალია, მათ ისევ მონებს უწოდებდნენ, ისინი კვლავ დამოკიდებულნი იყვნენ, მაგრამ მათთვის ოჯახის ყოლის უფლების მინიჭება და მეურნეობის დამოუკიდებლად წარმოება მათ ათანაბრებდა კოლონებთან და სერვებთან. ამიტომაა, რომ კოლონების სახელწოდება დოკუმენტებში VI საუკუნის ბოლოდან ესპანეთში თითქმის აღარ გვხვდება.

მონების უფლებრივი დაახლოება კოლონებთან დაიწყო ჯერ კიდევ მონათმფლობელური რომის არსებობის უკანასკნელ პერიოდში. ალარიხ მეორის კანონები და განსაკუთრებით მათი კომენტარიები, რომელნიც შედგენილია VI საუკუნის დასაწყისში, მიგვითითებენ იმაზე, რომ საბერძნეთ-გალიაში და ესპანეთში მონები იმავე პირობებში იმყოფებოდნენ, როგორშიაც კოლონები, ამგვარად, ეს ორი ფენა უფლებრივობის თვალსაზრისით გაიგივებული იყო.

ზემოაღნიშნული პროცესის განვითარება თვალსაჩინო ხდება შემდეგი გარემოებით: მეხუთე საუკუნის ბოლოს როგორც ვესტგუთების, ისე რომაული კანონები მონების მიერ რაიმეს გაყიდვას არაკანონიერად სთვლიდნენ. მეშვიდე საუკუნის ვესტგუთების სამართალმა სერვების, ან მონების მიერ წარმოებული ნასყიდობანი

---

[1] А. Р. Корсунский, Рабы и вольноотпущенники в вестготском государстве VI—VII вв. (Средние века, т. IV, стр. 17, изд. 1953 г.).

ოფიციალურად სცნო. ხინდასვინტის მიერ დადგენილ იქნა, რომ სერვებს თავიანთი პეკულიიდან უფლება აქვთ გაყიდონ მოძრავი ქონება თავიანთ ბატონთან შეთანხმების გარეშეც. მეფისა და ეკლესიის სერვებს შეეძლოთ მიეყიდნათ თავიანთ წოდებაში მყოფი პირებისათვის არა მარტო მოძრავი ქონება, არამედ მიწაც კი.

ამგვარად, ვესტგუთების მოსვლის შედეგად დაიწყო ახალი მწარმოებელი კლასის ჩამოყალიბება და ვაფორმება. ახალ უშუალო მწარმოებელთა კლასში დიდი ადგილი დაეთმოთ ყოფილ მონებს, სერვებსა და ლიბერტინებს. ამდენად ფეოდალიზმის გენეზისი გუთერ ესპანეთში უფრო თავისებურად წარიმართა, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. დროთა მსვლელობაში მონები, სერვები და ლიბერტინები ყმებად იქცეოდნენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არაბთა შემოსევამდე თავისუფალი გლეხების რიცხვი ვესტგუთების სამეფოში ძნიშვნელოვანი იყო.

ვესტგუთების საზოგადოებრიობაში ესპანეთში გადმოსახლების დროს გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა ნაკლებ საგვარეულო არისტოკრატია. ეს წოდება თავიდანვე კარჩაკეტილი იყო და მასში უცხო პირის მოხვედრა შეუძლებლად ითვლებოდა, მაგრამ ესპანეთში ვესტგუთების დამკვიდრების შემდეგ ამ წრემ თანდათანობით დაჰკარგა თავისი გავლენა და აღარ თავისუფალი ვესტგუთებისაგან და უცხოური წარმოშობის მქონე პირთაგანაც გაჩნდნენ ეკონომიურად ძლიერნი და გავლენიანი პირები (nobilles). ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდნენ ეგზარქოსად ისინი, რომლებმაც მეფისაგან საჩუქრად უხვად ბიბლეს მონები, სამხედრო ლაშქრობის დროს მოიპოვეს გარკვეული სიმდიდრე და ბოლოს ვესტგუთების სამეფოში იკავებდნენ დიდ თანამდებობებს.

ვესტგუთების სამეფოში ფართოდ გავრცელდა კომონდაცია და კერძო შეიარაღებული რაზმების (bucellarii) ჩამოყალიბების წესი. ბუცელარიები თავისი ხებით მიდიოდნენ სამსახურში ძლიერ და გავლენიან პირებთან და ადგენდნენ რაზმებს. ისინი თავიანთი პატრონიდან ან სენატორიდან ღებულობდნენ საომარ იარაღსა და მიწის ნაკვეთებს. იმის გამო, რომ ისინი მიუვებოდნენ თავიანთ პატრონს ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, უკანასკნელი არაპრ თუ ეხმარებოდა და იკავდა თავისი ლაშქრის წევრს, არამედ თვითონ კისრულობდა მოლაშქრის ქალიშვილების გათხოვებას [1].

---

[1] იხ. ალტომირას აღნიშნული შრომა, გვ. 73.

ალტამირას თქმით. ვესტგუთების სამეფოში ნობილები სხვადასხვა სახელწოდებას ატარებდნენ: potentes, optimates და proceres. ესპანეთის იმდროინდელი კანონმდებლობანი გავლენიან გუთებს სენიორების სახელით იხსენიებენ, ხოლო ესპანური და რომაული წარმოშობის მქონე არისტოკრატიის წევრებს სეჰატორებს უწოდებენ. საერთოდ კი ამ წარმოშობის მქონე მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ: პოტენციორები და პოსესორები.

ხისლითი ნათესაობის პრინციპის მთლიანად უარყოფა და ხვადასხვა წარმოშობის მქონე კლასების შერწყმა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოშობას, ან ამა თუ იმ ხალხისადმი კუთვნილებას მანამდე ჰქონდა მნიშვნელობა, ვიდრე ესპანეთში ერთი მეორეს დაუპირისპირდნენ დაპყრობილნი და დამპყრობელნი, ვიდრე დაპყრობილნი კლასობრივ წყობილებაში იმყოფებოდნენ, ხოლო ვესტგუთებში სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია არც ისე შორეული ფაქტი იყო. მანამდე ამ ხალხების მართვა-გამგებლობაც შეუძლებელი იყო ერთი და იმავე წესებისა და ერთნაირი მიდგომით. ამან გამოიწვია ორი სხვადასხვა სამართლის არსებობაც.

მას შემდეგ, როცა თვით ვესტგუთებში გაჩნდნენ კლასები, სისხლითმა ნათესაობამ და წარმოშობამ თავისთავად დაკარგა მნიშვნელობა. ახლა მონის, ან სერვის მყოლე გუთს უფრო მეტად ეძნელებოდა თავისი საკუთრების დაკარგვა, ვიდრე რომელიმე მონათესავე გუთის გარდაცვალება. ახლა გუთებშიაც კლასობრივი ინტერესები უფრო მაღლა იქნა დაყენებული, ვიდრე სხვა დანარჩენი. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად შეძლებული ვესტგუთი უფრო ახლოს დადგა შეძლებულ ესპანელთან, ან რომაელთან, ვიდრე სერვად ან კოლონად გადაქცეულ თავის სისხლით ნათესავთან.

ვესტგუთების სამეფოში არსებული იურიდიული და პოლიტიკური სხვაობა ვესტგუთებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის თანდათან იშლებოდა. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში და 587 წელს იქამდე მიაღწია, რომ ზედმეტი გახდა ორი რელიგიის, ორი სხვადასხვა ეკლესიის არსებობა. ამ წელს ვესტგუთების მეფემ რეკარედმა კათოლიკობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. რეკარედის ეს ნაბიჯი უთუოდ გაბოწვეული იყო ახლად შექმნილი ვითარებით. მეორე მხრივ, ეს ფაქტი მოწმობს იმასაც, რომ ახლად წარმოქმნილ კლასების ინტერესებს, ალბათ, კათოლიკობა უფრო პასუხობდა, ვიდრე არიობობა.

მეშვიდე საუკუნეში, მეფე ხინდალაზუნტას დროს (641—652) ვესტგუთებისა და ესპანელ-რომაელების ერთუფლებიანი კლასების დაახლოება უფრო თვალსაჩინო გახდა. ახლა უკვე ზედმეტი იყო ისეთი ორი სამართლის არსებობა, რომელიც ადრე შედგენილ იქნა ძირითადად სხვადასხვა ხალხების დაპირისპირების პრინციპზე. სხვადასხვა ხალხების ერთუფლებიანი კლასების შერწყმა და მთლიანი კლასობრივი საზოგადოების შექმნა მოითხოვდა ისეთი კანონმდებლობის გამომუშავებას, რომელიც მთლიანად აგებული იქნებოდა კლასობრივი ინტერესების გათვალისწინებით.

ახლად შედგენილი კანონმდებლობა გულისხმობდა უშუალო მწარმოებელთა სამუშაოზე მიბაგრებას, შეძლებული ფენების კერძო საკუთრების განმტკიცებას, პატრონატის გავრცელებას, დაწყებულ ფეოდალიზაციის პროცესების ხელისშეწყობას და სამეფო ხელისუფლების გაძლირებას.

ვესტგუთების სამეფოს პოლიტიკური არხი და მისი ლაცდა. როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ ტაციტუსის ხანაში სერუსკები თავიანთ ხელმძღვანელებს გარკვეულ გვარებიდან ირჩევდნენ. ეს ჩვეულება ესპანეთში მოსულ ვესტგუთებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ხეროუსკებში ხელმძღვანელის არჩევა ხდებოდა მთლიანად ხალხის მიერ, ვესტგუთებში ხელმძღვანელის არჩევა ფაქტიურად საგვარეულო არისტოკრატიის მიერ წარმოებდა. ამ ხელმძღვანელის, ანუ „მეფის" ფუნქციებს თავდაპირველად მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელობა და სამოსამართლო საქმიანობა წარმოადგენდა. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთ ვითარებაში მეფობა მემკვიდრეობით ვერ გადავიდოდა მამიდან შვილზე, მაგრამ რაკი მეფის არჩევნები გარკვეულ გვარიდან უნდა წარმოებულიყო, ამიტომ გარკვეული დროის განმავლობაში, მეფეთა ერთი რომელიმე დინასტია ბატონობდა.

ესპანეთში ვესტგუთების მოსვლის შემდეგ ერთხანს ბალთას დინასტია მეფობდა. ეს დინასტია თავის საწყისს ალარიხის საგვარეულოდან ღებულობდა. ესპანეთში ვესტგუთების გადმოსვლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მათში მოხდა ბნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები (კერძო საკუთრების განმტკიცება, კლასების საბოლოო ჩამოყალიბება და სხვ.), მეფის ფუნქციებიც გაიზარდა. ამიერიდან მეფეებმა ხელში ჩაიგდეს ეკონომიური, ადმინისტრატიული და საკანონმდებლო ფუნქციებიც კი. ახლა ისინი უკვე ნამდვილ მეფეებს წარმოადგენდნენ. ლიუვიგილდი პირველი მეფე იყო, რომელმაც თავისთავს მეფე (rex) უწოდა და

დაიწყო ყველა იმ ნიშნის ტარება, რაც კი მონარქს შეეფერებოდა.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვესტგუთების მეფეთა მხრივ ლიუვიგილდის შემდეგაც წარმოებდა ბრძოლა სამეფო პრეროგატივისათვის. მეფეები ტახტის მტკიცე მემკვიდრეობის წესის დამყარებისაკენ მიილტვოდნენ, რის გამოც თავიანთ თანამმართველად საკუთარ შვილებს ნიშნავდნენ. მეფეთა ამ ლტოლვას მნიშვნელოვანი ხნის მანძილზე ვესტგუთების არისტოკრატია ეწინააღმდეგებოდა. იგი ცდილობდა მეფეთა არჩევის წესის შენარჩუნებას.

მაგრამ რას წარმოადგენდა ბარბაროსთა სახელმწიფოებრივი აპარატი? იყო ის მონათმფლობელური თუ ფეოდალური?

ამ კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ვესტგუთების სახელმწიფოში მონათმფლობელობა აღარ არსებობდა. რაც შეეხება ფეოდალიზმს, მისი პროცესები უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასები: ფეოდალები და ყმები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფებოდნენ. „გერმანელმა ბარბაროსებმა იმის გამო, რომ რომაელები მათი საკუთარი სახელმწიფოსაგან გაათავისუფლეს, მათ საჩუქარში ჩამოართვეს მიწების ორი მესამედი და ის თავიანთ შორის გაინაწილეს“, რის შედეგადაც „რომაელ კოლონსა და ახალ ყმას შორის თავისუფალი ფრანკი გლეხი დგას“... „IX საუკუნის საზოგადოებრივი კლასები არა დაღუპვის გზაზე მყოფ ცივილიზაციის დაცემის პროცესში გაფორმდნენ, არამედ ახალი ცივილიზაციის მშობიარობის ტკივილებში“[1]. ამის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელმწიფოებრივი აპარატი სავსებით არც ფეოდალური და მით უფრო არც მონათმფლობელური არ იყო. იგი წარმოადგენდა ერთგვარ გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმას მონათმფლობელურიდან ფეოდალურისაკენ.

ვესტგუთების სახელმწიფოში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესები შუა გზაზე შეწყდა. ვესტგუთების უკანასკნელი მეფე იყო როდრიგო, რომლის დროსაც ფეოდალიზაციის განვითარების გამო ესპანეთში უფრო მეტად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, რამაც ვესტგუთების სამეფო პოლიტიკურად შეასუსტა. 711 წელს გიბრალტარის სრუტე გადალახეს არაბებმა და დაიწყეს

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, стр. 127—128, 131.

ბრძოლა პირინეის ნახევარკუნძულის დასაპყრობად; ამავე წლის 19 ივლისს გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ხანდის ტბის ნაპირებთან. ამის შემდეგ არაბები თარიკის ხელმძღვანელობით გაემართნენ კორდოვოსაკენ. მისი ალყის შემორტყმის შემდეგ არაბებმა ტოლედო აიღეს და რამდენიმე თვის განმავლობაში კორდოვოც დაეცა. 714 წელს თითქმის მთელი ესპანეთი დაიპყრეს არაბებმა. ამით მოისპო ვესტგუთების სამეფო და მის ნაცვლად ეგრეთ წოდებული კორდოვოს სახალიფო ჩაიოყალიბდა.

თავი XIII

ვანდალებისა და ალანების სამეფო ჩრდილო-აფრიკაში

ალანები და ვანდალები ესპანეთში. ვანდალთა ტომები მიეკუთვნებოდნენ აღმოსავლურ გერმანელების შტოს, და ბენინარე ოდერის შუა-წელის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ. ვანდალთა ტომები თავიდანვე ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: სილინგები და ხარიები. ამ უკანასკნელთა (ხარიების) სახელწოდება შემდეგში მათი ნეთაურების საგვარეულოს ნიხედვით, „ასდინგებად“ შეიცვალა.

მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან ვანდალებმა იწყეს მოძრაობა სამხრეთისაკენ. სხვა გერმანელ ტომებთან ერთად ისინი თავს ესხმოდნენ რომის იმპერიის საზღვრებს, რის გამოც იმპერატორი მარკუს ავრელიუსი იძულებული გახდა მათთვის მიწები მიეცა დაკიაში და იქ ფედერატობის საფუძველზე დაესახლებინა ისინი. დაკიაში ვანდალებმა დაჰყვეს მეოთხე საუკუნის 30-იან წლებამდე, ხოლო ამის შემდეგ, გუთების მოწოლის გამო ისინი აიყარნენ და იმპერატორ კონსტანტინესთან მოლაპარაკების შემდეგ პანონიაში დასახლდნენ რომაელთა დამხმარე ცხენოსანი რაზმების უფლებებით. ჩანს, რომ ვანდალებმა ამ ხანებში მიიღეს არიოზული საღვთისმეტყველება.

ვანდალებმა პანონიაში დაჰყვეს მეხუთე საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროისათვის ჰუნების გაძლიერებისა და მოწოლის შედეგად ვანდალები ხელახლად აიყარნენ და ალანებთან ერთად დაიძვრნენ დასავლეთისაკენ. ისინი სხვა გერმანელ ტომებთან და გალიის ხალხებთან ბრძოლებში გზას იკაფავდნენ ესპანეთისაკენ. მალე მათ სვევებიც შეუერთდნენ და ამგვარად, ვანდალები, ალანები და სვევები ღრმად შეიჭრნენ ესპანეთის მიწა-წყალზე.

ალანები სარმატულ წარმოშობის ხალხებს ეკუთვნოდნენ და მეორე საუკუნიდან მოყოლებული ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში. ალანები ნახევრად მომთაბარეებს წარმოადგენდნენ და ძირითადად მესაქონლეობას შისდევდნენ. მეოთხე საუკუნეში ისინი ჰუნებს დაეშორჩილნენ და ამგვარად, მონაწილეობა მიიღეს ე. წ. ხალხთა დიდ გადასახლებაში. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ალანები საერთო ალანების იმ ნაწილს წარმოადგენდნენ, რომელიც მოხვდა სამხრეთ გალიაში და აქედან კი, ვანდალებთან ერთად, პირინეის ნახევარკუნძულზე.

ამ სხვადასხვა ტომების ესპანეთზე მიტანილი პირველი იერიშები უშედეგოდ დამთავრდა. ესპანეთის ორმა რომაელმა სარდალმა: დიდინუსმა და ვერნიანემ შესძლეს ბარბაროსთა იერიშების უკუგდება. ამის შემდეგ ვანდალები, ალანები და სვევები განაგრძობდნენ გალიის საბოლოო ნაწილის დარბევას, ხოლო 409 წელს მათ ისარგებლეს რომაელი სარდლის იმპერატორისაგან განდგომით და კვლავ შეიჭრნენ ესპანეთში. ესპანეთის ტერიტორია განაწილებულ იქნა დამპყრობელთა შორის შემდეგნაირად: ვანდალებმა და სვევებმა დაიკავეს გალისია, რომელიც ოკეანეს ახლოს მდებარეობდა, ალანებმა დაიკავეს ლუზიტანია (თანამედროვე პორტუგალიის ნაწილი) და კარტახენის პროვინცია, ხოლო ვანდალებმა (სილინგებმა)—ბეტიკა.

ესპანეთის ზოგიერთი სხვა ნაწილი, გამაგრებული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები ჯერ ისევ რომაელთა მფლობელობაში იმყოფებოდა. იმ ხანებში რომი იძულებული იყო დათანხმებულიყო ბარბაროსთა დაპყრობებზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ესპანეთში მოვიდნენ ვესტგუთები, ის შეეცადა ერთი-მეორისათვის დაეპირისპირებინა სხვადასხვა გერმანული ტომები და ამით თავისი გავლენა შეენარჩუნებინა ესპანეთზე. 416 წელს იმპერატორმა ვესტგუთების მეფე ვალია ვანდალების წინააღმდეგ წააქეზა. ბრძოლაში ვესტგუთებმა გაიმარჯვეს, ვანდალები და ალანები ჩრდილო და შუა ესპანეთიდან აიყარნენ და სამხრეთისაკენ წავიდნენ. ბრძოლების შედეგად სილინგები თითქმის მთლიანად განადგურდნენ, ხოლო სამხრეთში—ალანები ანდალუზიელებს შეუერთდნენ.

ვანდალებისა და ალანების გადასვლა ჩრდილო-აფრიკაში და იქ თავიანთი სამეფოს დაარსება. ოთხაელებისა და ვესტგუთების მიერ ალან-ვანდალების შევიწროებას ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება დაემთხვა. როგორც აღნიშნული ვქონდა, მეხუთე საუკუნის დასაწყისში ჩრდილო-აფრიკაში კვლავ გაძლიერდა აგონისტიკური მოძრაობა, რომელიც რომაელთა ბატონობას აფრიკის

პროვინციაში საფუძვლიანად არყევდა. რომის მესვეურების მთელი ყურადღება ამ ხანებში მიპყრობილი იყო იმპერიის სხვა საზღვრებისაკენ, რომელთაც ბარბაროსები მოსწოლოდნენ, და ამდენად, აფრიკისათვის მათ არ ეცალათ. ამ გარემოებამ აფრიკის მმართველი, კომიტა ბონიფაციუსი გაათამამა და იგი განუდგა იმპერატორ ვალენტიანე მესამეს.

ბონიფაციუსმა თავისი გეგმის წარმატებითი განხორციელებისათვის იბრძოლა ჯარების თავმოყრა. მიუხედავად იმპერიაში პოლიტიკური გართულებისა შესაძლო იყო, რომ იმპერატორს დამსჯელი რაზმები გაეგზავნა აფრიკაში განდგომილი ბონიფაციუსის წინააღმდეგ. რადგან ბონიფაციუსმა თავისი შეიარაღებული ძალები საკმაოდ არ ჩათვალა, ამიტომ მან იბრძოლა შოლაპარაკება ვანდალების მეფე ჰენზერიხთან. ვანდალები მან თავის დასახმარებლად ჩრდილო-აფრიკაში მოიწვია და ჰენზერიხს ამისათვის საკმაო თანხაც შეაძლია.

429 წელს ვანდალებმა და ალანებმა დაახლოებით 50—80 ათას კაცამდე ჰენზერიხის ნეთაურობით გადალახეს გიბრალტარის სრუტე და ჩრდილო-აფრიკაში აღმოჩნდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ფენები: მონები, კოლონები, თავისუფალი გლეხები და სხვ., რომელნიც მონათმფლობელური კლასისაგან და საერთოდ რომის ბატონობისაგან მეტად შეეიწროებულნი იყვნენ, სიამოვნებით გადადიოდნენ მოსულთა მხარეზე. სალვიანეს თქმით, კართაგენის ღარიბი მოსახლეობა საჯაროდ ღმერთს ევედრებოდა ბარბაროსთა შემოსევებზე[1].

ვანდალებმა იგრძნეს რა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერა, თვითნებურად იწყეს სხვადასხვა ადგილების დაკავება. ბონიფაციუსის დაჟინებითი თხოვნა ვანდალებისადმი უკან გაბრუნებულიყვნენ, დარჩა „ხმად ნღალადებლისა უდაბნოსა შინაო. ჰენზერიხმა გაილაშქრა ყოფილი მოკავშირის ბონიფაციუსის და სხვა მეედარეთმთავრების წინააღმდეგ, რომელნიც გამოგზავნილნი დართიყვნენ, როგორც რომიდან, ისე კონსტანტინეპოლიდან.

მოკლე ხნის განმავლობაში ვანდალებმა და ალანებმა ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს. ამგვარად, დამპყრობელთა გავლენა ცირენაიკამდე გავრცელდა. „ჰენზერიხს ამ დაპყრობათა პროცესში წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ გამაგრებულმა ქალაქებმა, სადაც თავი მოეყარათ ადგილობრივი მოსახ-

---

[1] Проблемы истории доканиталистических обществ, № 1—2. გვ. 252—253, გამ. 1935 წ.

ლეობის შეძლებულ ფენას, რომაელ მიწათმფლობელებსა და მოხელეებს. მიუხედავად ამისა, ვანდალების და ალანების დაპყრობანი, მაინც წარმატებით ვითარდებოდა. ალყაშემორტყმული რომაელების განთქმული ციხე-სიმაგრე გიპონი 14 თვის შემდეგ დაეცა. მას შემდეგ, რაც ვალენტინიანე მესამე დარწმუნდა იმაში, რომ ვანდალების განდევნა ჩრდილოეთ აფრიკიდან მას შეიარაღებული ძალებით ალარ შეეძლო, დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება ჰენზერიხთან. მოწინააღმდეგეთა პირველი საზავო ხელშეკრულება 435 წელს დაიდო, მაგრამ მან ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც იმპერატორი მასზე ამყარებდა. ვანდალებმა და ალანებმა შემდეგში კვლავ განაგრძეს შეტევები. 439 წელს ბრძოლების შედეგად დაეცა კართაგენი — „აფრიკის რომი", რომელიც შემდეგში ვანდალთა სამეფოს საუბრო ქალაქად გადაიქცა. 442 წელს რომი იძულებული გახდა ახალი ხელშეკრულება დადო ვანდალებთან და ამგვარად, „დეიურედ" ეცნო ვანდალთა სამეფო ჩრდილო-აფრიკაში.

ამის შემდეგ ვანდალებმა ძლავრი ფლოტი შექმნეს და კვლავ იწყეს იერიშების მიტანა დასავლეთ რომის იმპერიაზე. მათ რამდენიმეჯერ მოაწყვეს განადგურებელი თავდასხმები სიცილიაზე, იტალიაზე და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 455 წელს, ვალენტინიანე მესამის გარდაცვალების შემდეგ სასახლის პარტიათა შორის დაიწყო კინკლაობა. ჰენზერიხი უშუალოდ ჩაერია ამ პარტიათა ბრძოლაში, თავს დაესხა რომს და იგი თითქმის მიწასთან გაასწორა. ამგვარად, მეორედ დაეცა ეს „სამარადისო ქალაქი".

რომის მეორე დაცემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველისაგან. ამჟამად რომს ვანდალები არბევდნენ თოთხმეტი დღის განმავლობაში. ყველა კულტურული დაწესებულება, ქანდაკებანი, ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლები და სხვა ცეცხლითა და მახვილით განადგურდა. ჰენზერიხმა „თავისი ხომალდები ოქროთი, ვერცხლით და სამეფო სამკაულებით დატვირთა და კართაგენში ლაბრუნდა". ზოგიერთი ავტორის თანამედროვენი ფიქრობდნენ, რომ ქალაქ რომის გაძარცვისას ვანდალებმა ყოველგვარ ზომას გადააჭარბეს. მას შემდეგ ყოველგვარი ნგრევისა და უდიდესი განადგურების ცნებაა ამსახველად ტერმინს — „ვანდალიზმს" ხმარობენ.

ვანდალებისა და ალანების დამოკიდებულება ადგილობრივ გაბატონებულ კლასთან. ვანდალები და ალანები ჯერ კიდევ ვიდრე აფრიკაში გადმოსახლდებოდნენ, უფრო „რომანიზებულნი"

იყვნენ, ვიდრე ზოგიერთი სხვა გერმანელი ტომები. ისინი თავიანთი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ანგლები, საქსები, ფრიზები და თვით ვესტგუთებიც კი. ჩრდილო-აფრიკის დაპყრობისას მათ ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელებს ჩამოართვეს უძრავი და მოძრავი ქონების გარკვეული ნაწილი. სამწუხაროდ, წყაროების პირდაპირი მითითება იმაზე, თუ ვანდალების მიერ ჩამორთმეული წილი რა რაოდენობას მოიცავდა, ჩვენ არ მოგვეპოვება.

პროკოპი კესარიელი ზემოხსენებულის შესახებ მოგვითხრობს: „ის ლივიელები (აფრიკელები), რომელნიც თავიანთი სიმდიდრითა და დიდებულობით გამოირჩეოდნენ, ჰენზერიხმა თავიანთი მამულებითა და მთლიანი ქონებით თავის შვილებს გადასცა, როგორც ტყვეები... სხვა ლივიელებს ჰენზერიხმა ჩამოართვა მათი მრავალი და საუკეთესო მიწები და გაანაწილა ვანდალებს შორის: ამის გამო ეს მიწები დღემდე ვანდალების წილის სახელწოდებას ატარებენ. მათ ძველ მფლობელებს უღალატია ცხოვრებაში მოუხდათ ყოფნა, მაგრამ მათ თავისუფლება შეინარჩუნეს: მათ ნება დართეს, სადაც უნდოდათ წასულიყვნენ. არც ერთი მამულთაგანი, ჰენზერიხის მიერ გადაცემული თავის შვილებზე ან სხვა ვანდალებზე, არავითარი გადასახადით არ იქნა დაბეგრილი. ძველ მეპატრონეებს მან ყველაზე ცუდი მიწები დაუტოვა და ისეთი მძიმე ვალდებულებანი დააკისრა, რომ არსებული მამულები მათგან არავითარ შემოსავალს არ ღებულობდნენ. ბევრი ლივიელი განიდევნა, ან სიკვდილით დაისაჯა; მათ სხვადასხვა მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ; ყველაზე მძიმე დანაშაულად საკუთარი ფულის გადამალვა ითვლებოდა“ [1].

ვანდალებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები და მათი სამეფოს დაცემა. ამგვარად ვანდალებმა ეკონომიურადაც გაანადგურეს ადგილობრივი გაბატონებული კლასი, მაგრამ ამავე გარემოებამ სულ მოკლე ხნის განმავლობაში თვით ვანდალებში წარმოქმნა მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებმაც თავის მხრივ არანაკლები ექსპლუატაცია იწყეს მონების, კოლონების და სხვა დაბალი ფენებისა. აპოლინარიუს სიდონიუსი თავის პატრიოტულ სიტყვაში, რომელიც მიმართული იყო იმპერატორ მაიორიანესადმი, შემდეგნაირად ასურათებდა მონათმფლობელ ვანდალს: „ჩასუქებული ვანდალი გალერის სკამზე ზის იმის მოლოდინში, რომ მონებმა შეაგროვონ მისთვის დავლა და ტყვეები“.

[1] Проблемы истории докапиталистических обществ. № 1—2, გვ. 253, გამ. 1935 წ.

მონებისა და კოლონების რიცხვში მალე ვანდალებისა და ალანების ერთი ნაწილიც აღმოჩნდა. სოციალური ანტაგონიზმი მოსახლეობის დაბალ ფენებსა და ვანდალთა შეძლებულ ნაწილს შორის თანდათან უფრო მწვავდებოდა. კლასობრივი ბრძოლა ვანდალების სამეფოში უფრო მძაფრი ხასიათის მატარებელი ხდებოდა. სახელმწიფოს შინაგან წინააღმდეგობებს ემატებოდა აგრეთვე რელიგიური წინააღმდეგობა. ვანდალების არიოზული ეკლესია ყოველმხრივ დევნიდა კათოლიკურს და ცდილობდა სრულ გაბატონებას.

ყოველივე ამას დაემატა ვანდალების შეძლებული ფენის ცალკეულ წარმომადგენელთა შორის უთანხმოებანი და შეთქმულებების მოწყობა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. ვანდალების მეფე ხილდერიხი (523—531) ტყვედ ჩაიგდო ხელში ჰელიმერმა და თვითონ გამეფდა (531—533). გახრწნის გზაზე დამდგარი ვანდალების სახელმწიფოს წინააღმდეგობანი უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა კიდევ იმიტომ, რომ მისი საგარეო ვითარება მეტად დაძაბული ხდებოდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ანუ ბიზანტია თავიდანვე ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ მისი აფრიკული პროვინციების გვერდით წარმოიშვა ვანდალებისა და ალანების სამეფო. იმპერატორი იუსტინიანე გამეფებისთანავე ოცნებობდა იმპერიის დასავლეთი ნაწილის შემოერთებას, რადგან ბიზანტიას რომის იმპერიის კანონიერ მემკვიდრედ სთვლიდა. მან ისარგებლა ჩრდილო აფრიკაში მომხდარი არეულობით და დაამთავრა რა სპარსეთთან ომი, თავისი შეიარაღებული ძალები ველიზარის ხელმძღვანელობით, 533 წელს აფრიკისაკენ დასძრა.

ამგვარად, ვანდალების წინააღმდეგ ომის წამოწყების ერთადერთ მიზეზს ბიზანტიის ექსპანსიური პოლიტიკა წარმოადგენდა, ომის წამოწყების საბაბი კი, იუსტინიანემ გამონახა იმაში, რომ ჰელიმერმა „უკანონოდ“ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, ხოლო იუსტინიანეს „მოკავშირე“ ხილდერიხი დაატყვევა.

ომის დაწყებისას, პირველივე შეჯახებისთანავე გამომჟღავნებული იქნა ვანდალების სამეფოს შინაგანი გახრწნილება. ველიზარიმ ზედიზედ დაამარცხა ვანდალები და რამდენიმე თვის განმავლობაში მათი სამეფო მოსპო. კართაგენი დაეცა, ჰელიმერმა კი, მოასწრო გაქცევა. ამგვარად, ვანდალთა სამეფომ ძალიან მოკლე ხნით იარსება. რამდენიმე ათეული წლების მანძილზე ფეოდალიზაციის პროცესების განვითარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

თავი XIV

ბურგუნდების სამეფო

ბურგუნდების შეკრა სამხრეთ-გალიაში და სამეფოს დაარსება. გუთებისა და ვანდალების მსგავსად ბურგუნდებიც აღმოსავლურ გერმანელების შტოს მიეკუთვნებოდნენ. უკანასკნელნი, ისევე როგორც პირველნი, საკმაოდ „რომანიზებულნი" შემოვიდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ბურგუნდები, თავდაპირველად კენძულ ბერნხოლმზე (ბურგუნდარხოლმზე) ცხოვრობდნენ. ერთხანად ისინი მდინარე ოდერის შესართავთანაც მოხვდნენ. ეს ოლქი უხსოვარი დროიდან სლავთა ტომებით იყო დასახლებული, მაგრამ ბურგუნდებმა იგი დროებით დაიკავეს. რუგიების ტომების შემოტევის შედეგად ბურგუნდები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და წასულიყვნენ მდინარე რაინის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ახლად დასახლებულ ადგილში ბურგუნდების ცენტრად მეხუთე საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქი ვორმსი გადაიქცა. ეს გარემოება თვალსაჩინო ხდება ხალხურ თქმულებებში, რომელიც დაცულია „სიმღერა ნიბელუნგებზე"-ში. როცა არეულობის ხანაში ბურგუნდებმა გადმოლასეს რაინი და მის მარცხენა ნაპირზე დასახლდნენ, ისინი უკვე ქრისტიანული სარწმუნოების (არიოზიბის) მატარებელნი იყვნენ. 443 წელს რომის ხელისუფლებამ ისინი გადმოასახლა სავოიაში, რომელიც ჟენევის ტბის, რონასა და ზემო დიურანსის შუა მდებარეობდა. ეს ფაქტი თავისთავად იმას მოწმობს, რომ ამ ხანებში ბურგუნდები რომაელების მოკავშირედ გამოდიოდნენ.

თანამედროვე ჩრდილოეთ საფრანგეთში ქ. ტრუასთან მდებარე უზარმაზარ ვაკეზე, ეგრეთ წოდებულ კატალაუნის ველებზე 451 წლის 15 ივნისს სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა, რომელსაც ზოგჯერ „ხალხთა ბრძოლასაც" უწოდებენ. ამ ბრძოლაში რომაელების მხარეზე ვესტგუთებთან, ფრანკებთან და ალანებთან ერთად ბურ-

გუნდებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ამ გაერთიანებულმა ძალებმა, რომაელი სარდლის აეციუსის ხელმძღვანელობით სასტიკად დაამარცხეს ჰუნები რონელთაც ატილა ხელმძღვანელობდა. კატალაუნის ბრძოლამ ჰუნების წინსვლა გალიაში შეაჩერა და საბოლოო ანგარიშში ხელი შეუწყო ჰუნების კავშირის დაშლას.

ბურგუნდების მეგობრული დამოკიდებულება რომთან არც თუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. აეციუსისა და იმპერატორ ვალენტინიანე მესამის გარდაცვალების შემდეგ რომი კვლავ ანარქიამ მოიცვა. 456 წელს ბურგუნდებმა თავიანთი სამფლობელო უფრო გააფართოვეს სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიაში. მათ მთლიანად დაიკავეს ლიონის ოლქი. ამგვარად, ბურგუნდებმა მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრისათვის დაიკავეს რა მდინარე რონის მთელი აუზი, ჩამოაყალიბეს თავიანთი სამეფო, რომლის ცენტრადაც ლიონი გადაიქცა. ახლად ჩამოყალიბებული ბურგუნდების სამეფო დასავლეთით ვესტგუთებს ენიჭნებოდა და ცდილობდა მათგან ოვერნია ჩამოცილებას.

ბურგუნდიის მეფემ გუნდობალდმა (474-516 წწ.) იმპერატორ ოლიბრიუსისაგან „პატრიციუს“ საპატიო წოდება მიიღო, ხოლო შემდეგში, თავის მხრივ, გლიკერიუსს დაეხმარა იმპერატორის ტასტი დაეკავებინა. გასაგებია, რომ,როგორც გუნდობალდი, ისე მისი მამა გუნდიოხი (რომლის დროსაც მოსდა ბურგუნდების ძირითადი დაპყრობანი) სრულიად დაბოუკიდებელ მეფეებს წარმოადგენდნენ.

დამპყრობლების დამოკიდებულება დაპყრობილებთან. ბურგუნდების სამეფო განსაკუთრებით ძლიერდება გუნდობალდის (გუნდობადის) დროს. ამ ხანებში შედგენილ იქნა ბურგუნდების სამართალი „Leges Burgundionum“ თავისი პირველი ოდდაქციით. როგორც ვესტგუთებმა ესპანეთში, ისე ბურგუნდებმაც ადგილობრივ მოსახლე რომაელებისათვის განსაკუთრებული რომაული კანონების კრებული (Lex Romana Burgundionum) შეადგინეს. ისე როგორც სხვა ბარბაროსთა სამეფოებში, რომელნიც კი დაარსდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, სამართლის სფეროში ბურგუნდების მიერაც გამოყენებული იყო ინდივიდუალური პრინციპი, რომლის მიხედვითაც თვითეული ტომის წევრები ცხოვრობდნენ თავიანთი ჩვეულებითა და წესებით. ამგვარად, უფლებრივობა არა ტერიტორიალური, არამედ პირადული ხასიათის ბატარებელი იყო. ბურგუნდელი ტომის თვითეული წევრის საქმე განიხილებოდა თავისი ტომის კანონების მიხედვით, ხოლო რომაელისა რომაული კანონმდებლობით.

ეპისკოპოს მარიუს ავანშელის გადმოცემით ბურგუნდებმა გალიელ სენატორებს ჩამოართვეს მიწები და თვითონ გაინაწილეს. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბურგუნდებიც, სხვა ბარბაროსთა მსგავსად, რომაელი მსხვილი მიწათმფლობელების ექსპროპრიატორების როლში გამოდიან. მიწების ხელახალი ჩამორთმევა რომაელებისაგან ბურგუნდებმა გუნდობალდის დროს მოახდინეს. ახლა მიწების ამორთმევა მომხდარა არა მარტო სენატორებისაგან, როგორც ამაზე მარიუსი მოგვითხრობს, არამედ ყველა რომაელი მსხვილი მიწათმფლობელისაგან.

ბურგუნდების მიერ რომაელი მსხვილი მიწათმფლობელებისაგან მიწებისა და მონების ჩამორთმევის შესახებ ბურგუნდების სამართალში ვკითხულობთ: „როცა ჩვენს ხალხს მიეცა მონების მესამედი ნაწილი, და მიწის ორი მესამედი ნაწილი, ჩვენ გამოვეცით ბრძანება, ორმ იმათ, ვინც ჩვენი მეფობლების ან თვითონ ჩვენი წყალობით მიიღეს მიწადორი მონეანთურთ, აღ მოითხოვონ არც მონების მესამედი ნაწილი არც მიწის ორი ნაწილი იმ ადგილებში, სადაც ძალ მიცემული აქვთ hospitalitas ძველად რადგანაც ჩვენ გავიგეთ. რომ ბევრმა ყურადღება არ მიაქცია საფრთხეს, რაც მათ ემუქრება, და დაარღვია ეს დადგენილება, საჭიროდ მიგვაჩნია რათა... ხელისუფლებმა... ალაგმონ მტაცებელნი...“ [1]

ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ბურგუნდებს რომაელებისათვის ჩამოერთმევიათ არა მარტო მიწების ორი მესამედი, არამედ მონების ერთი მესამედიც. რომაელ მეპატრონეთა ეკონომიური შევიწროება უფრო შორსაც წასულა. „აგრეთვე ფანაკაფის (დაკავებული ადგილის) შესახებ,—ნათქვამია სამართალში „ეგრძანებთ, შეწყდეს ფარამანების ახალი უკანონო მცდელობა, რომელიც ამძიმებს, აშფოთებს და ზიანს აყენებს (რომაელ) მიწათმფლობელებს: რათა ტყეებშიც და განაკაფებშიც, რაც წინათაც და ახლაც არის მიტაცებული (რომაელებს) წილი ჰქონდეთ ბურგუნდებთან ერთად. ვინაიდან, როგორც უკვე წინათაც იყო დადგენილი, ტყეების ნახევარი რომაელებს უნდა ეკუთვნოდეს; ასევე კარ-მიდამოებისა და ბაღების შესახებ... მათი ნახევარი რომაელთა ხელში უნდა რჩებოდეს [2]

ბურგუნდებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი. მიწების ორი მესამედის, მონების ერთი მესამედის, ტყეების, კარ-მიდამოს, ბაღ ვენახებისა და სხვ. ნაეკრის ჩამორთმევამ რო-

---

[1] ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, გვ. 61-65 გამოც. 1950 წ.

[2] იქვე, გვ. 65.

მაული წარმოშობის მსხვილ მიწათმფლობელთა კლასი თავდაპირველად მნიშვნელოვნად შეასუსტა. სამაგიეროდ, ამავე გარემოებამ ბურგუნდების თემური წყობილების სწრაფი რღვევა გამოიწვია. ბურგუნდებმა მიღებული მიწები თავის კერძო საკუთრებად გადააქცეს. ისინი განუსაზღვრელად ახდენდნენ ამ მიწების ყიდვა-გაყიდვას, გასაჩუქრებას, ანდერძით გადაცემას და ასე შემდეგ... ამასთან დაკავშირებით მათში სწრაფად ხდებოდა სოციალური დიფერენციაციაც. მსხვილი მიწათმფლობელი ბურგუნდების გვერდით გაჩნდნენ უმიწაწყლო ბურგუნდებიც.

ბურგუნდების ნაწილის მიერ მიწების დაკარგვის ეს პროცესი იმდენად სწრაფი და იმდენად საშიში აღმოჩნდა, რომ კანონმდებელი, რომელიც ითვალისწინებდა ამ პროცესის შედეგად საბეფოს სამხედრო ძალების დაცემას, იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო. „რადგანაც ჩვენ გაეიგეთ (ნათქვამია ბურგუნდების სამართალში), რომ ბურგუნდები თავის წილს ძალიან იოლად ანიავებენ, ამ კანონით ვადგენთ შემდეგს: არავის აქვს უფლება გაყიდოს თავისი მიწა, იმათ გარდა, ვისაც აქვს წილი ან საეფლობელო სხვა ადგილას" [1].

ბურგუნდების სამართლის შედგენის დროისათვის მათ სამეფოში სოციალური დიფერენციაცია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევდა. თვით ბურგუნდებში უკვე წარმოიშვნენ: ეგრეთ წოდებული ოპტიმატები (optimatem nobilem), თავისუფალი პირები, მდაბიოები (inferioribus personis), გაბატონებულნი და მონები. უკანასკნელნი თავის მხრივ პროფესიის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ და მათი ე. წ. ვერგელდიც სხვადასხვა იყო.

სამართალში ვკითხულობთ: „§ 1. თუ ვინმე მოკლავს მონას, წარმოშობით ბარბაროსს. მცოდნე და გამოცდილ მინისტერიალს, უნდა გადაიხადოს 60 სოლიდი და ჯარიმა 12 სოლიდი; უკეთუ სხვის მონას რომაელს თუ ბარბაროსს, მხვნელ-მთესველს თუ მეღორეს (მოკლავს), უნდა გადაიხადოს 30 სოლიდი.

§ 2. ვინც მოკლავს მცოდნე ოქრომჭედელს, გადაიხდის 200 სოლიდს.

§ 3. უკეთუ მოკლავს ვერცხლის მჭედელს, გადაიხდის 100 სოლიდს.

§ 4. ვინც მოკლავს მჭედელს, გადაიხდის 50 სოლიდს.

§ 5. ვინც მოკლავს დურგალს, გადაიხდის 40 სოლიდს" [1].

---

[1] ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, გვ. 66, გამოც. 1950 წ.

წინააღმდეგობათა ზრდა ბურგუნდების სამეფოში და მიხი დაცემა აღსანიშნავია, რომ ამავე საეკლესიოს მიხედვით, თუ ვინმე მოკლავს თავისუფალ კაცს ან მეფის მონას, „წარმოშობით ბარბაროსს“ ჩადენილი დანაშაულებისათვის უნდა დაისაჯოს არა სხვანაირად, თუ არა თავისი სისხლის დაღვრით, ხოლო თუ მოკლულ იქნება თავისუფალი რომაელი, მკვლელმა ჩვეულებრივი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ამგვარად, თავისუფალ პირთა მოკვლის შემთხვევაში სასჯელის გადაწყვეტის დროს სამართალი საფუძველად იდ განსხვავებას ღებულობს, რომელიც ტარდებოდა ბარბაროსებსა და რომაელებს შორის, ხოლო დაბალ ფენებში: მონებში და ნაწილ თავისუფლებში ეს განსხვავება უკვე წაშლილი იყო. ისინი ერთნაირ ადნენ რომაული წარმოშობისა, თუ ბარბაროსებს მიეკუთვნებოდნენ. ისჯებოდნენ თანაბრად.

აქედან ჩანს, რომ ვესტგუთების სამეფოსაგან განსხვავებით, ბურგუნდების სამეფოში, თუნცა დაბალ ფენებში ორივე ელემენტის (რომაულისა და ბარბაროსულის) გაერთიანება მოხდა, სამაგიეროდ ეს გაერთიანება საზოგადოების ზედა ფენებში ჯერ კიდევ ხელშესახებად არ შეიგრძნობოდა. ბურგუნდების ცალკე საძირითადი და რომაული კანონმდებლობა პარალელურად მოქმედებდა. ამდენად წინააღმდეგობა დამპყრობელთა და დაპყრობილთ შორის მწვავდებოდა. ბურგუნდების მეფე გუნდობალდი ცდილობდა ცული მოეგო კათოლიკური სასულიერო წოდებისათვის. ამ მიზნით მეგობრულ ურთიერთობასაც კი აბყარებდა არქიეპისკოპოს ავიტთან, მაგრამ არიანობასა და კათოლიკობას შორის, ბურგუნდების სამეფოს არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, დაამყარება საბოლოოდ ვერ შეხერხდა.

VI საუკუნის 30-იან წლებში ფრანკებთან წარმოებულ ბრძოლებს ბურგუნდების სამეფო მინაგანი წინააღმდეგობით დასუსტებული შეხვდა. ბუნებრივია, რომ ბურგუნდებში ძემ-ნარჩუნებული კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელნი აღტაცებით უნდა შეხვედროდნენ ერთმორწმუნე ფრანკებს, რომლებმაც 534 წელს ბურგუნდები გადაწყვეტ ბრძოლებში დაამარცხეს და მათი ტერიტორია შეუერთეს ფრანკთა მონარქიას. ამგვარად, ბურგუნდების სამეფომ, ისე როგორც ვანდალების სამეფომ, დიდი ხნით ვერ გაძლო და მათ თითქმის ერთდროულად შეწყვიტეს თავიანთი არსებობა. მათში დაწყებულმა ფეოდალიზაციის პროცესებმა ვერ ჰპოვეს შემდგომი განვითარება.

---

[1] ი. დოლიძე. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, გვ. 16. გამოც. 1950 წ.

თავი XV

ოსტგუთების სამეფო

დასავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური ვითარება მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. ვიდრე გადაკიდოდეთ ოსტგუთების სამეფოს ისტორიის უშუალო შესწავლაზე, საჭირო იქნება ზოგადად შაინც შევეხოთ იტალიის იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

როცა ვიხილავდით ვანდალების აგრესიულ პოლიტიკას დასავლეთ რომის იმპერიის მიმართ, უკვე აღვნიშნეთ, რომ 455 წელს თოთხმეტი დღის განმავლობაში ვანდალები აარბევდნენ რომს. ქალაქის დარბევის შემდეგ, როცა ვანდალები უკან დაბრუნდნენ თავიანთ სამფლობელოში, დასავლეთ რომის იმპერიაში ფაქტიური ძალაუფლება გერმანელ ტომთა მოდგმის სვევ რიციმერის ხელში გადავიდა, რომელიც თავისი ნება-სურვილების მიხედვით, როგორც მოეპრიანებოდა, ისე ცვლიდა და ნიშნავდა ახალ იმპერატორებს დასავლეთ რომის იმპერიის სატახტზე.

ამ არეულობის ხანაში, ეოთ დროს, ალტიციური საგვარეულოს წარმომადგენელმა ო ო ე ს ტ ე მ შოასვლია იმპერატორ ი უ ლ ი უ ს ნ ე პ ო ტ ი ს ტახტიდან გადაყენება და მის ადგილას იმპერატორად 475 წ. თავისი შვილის რ ო მ უ ლ ა ვ გ უ ს ტ უ ლ ი ს გამოცხადება. ამ უკანასკნელმა როგორც მსაკვლი მიწათმფლობელეების წარმომადგენელმა, უარი სთქვა ფეოდ გერმანელ ტომებისაგან (გერულები, სკირები, ალანები და სხვ.) შემდგარ დაქირავებულ შეიარაღებული ძალებისათვის მიწების გადაცემაზე. ამ ვარეშოებაზ რომის დაქირავებულ გერმანელ ჯარებში აჯანყება გამოიწვია.

ერთ-ერთი გერმანული რაზმის უფროსი ო დ ო ა კ რ ი (დაბადების წელი ცნობილი არ არის, ვარდაიცვალა 493 წ.) სათაურში

ჩაუდგა აჯანყებულ გერმანელებს, რომელთაც „ყველა უკმაყოფილო ბარბაროსი და იტალიკი შეუერთდა“ და რომულ ავგუსტული 476 წელს ტახტიდან გადმოაგდო. ზოგიერთი ამ წელს დასავლეთ რომის იმპერიის დასასრულად თვლის ეს გადატრიალება ერთ-ერთი რგოლი იყო მასების იმ აჯანყებებისა, რომელმაც ბოლო მოუღო რომის იმპერიის არსებობას.

რომულ ავგუსტულის ტახტიდან გადაგდების შემდეგ მთელი ფაქტიური ძალაუფლება ოდოაკრის ხელში გადავიდა. ოდოაკრმა რატომღაც ვერ გაბედა თავისი თავი იმპერატორად გამოეცხადებინა და ბიზანტიის იმპერატორის გულის მოგების მიზნით საიმპერატორო ნიშნები ბიზანტიაში გააგზავნა. ეს გარემოება თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ოდოაკრი ბიზანტიის იმპერატორს დაემორჩილებოდა და მისი მითითებებით ისელმძღვანელებდა იტალიის მართვა-გამგებლობაში. ოდოაკრის დიპლომატიამ გასჭრა. ბიზანტიის იმპერატორმა სცნო იტალიაში მომხდარი სასელმწიფოებრივი გადატრიალება, ოდოაკრს პატრიციის წოდება მიანიჭა და იგი მოადგილედ (ნაცვლად) გამოაცხადა.

მას შემდეგ, რაც ოდოაკრმა ნოიესაგრა ფესი, მან რომაელებს მაინც ჩამოართვა მიწების ერთი მესამედი და დაუნაწილა თავის შეიარაღებულ ბარბაროსთა ჯარებს, ო

ელნიც უმთავრესად ჩრდილო იტალიაში იყვნენ განლაგებულნი. მიწების ერთი მესამედის ჩამორთმევას, მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა რომაულ გაბატონებულ კლასში არ უნდა გამოეწვია; ჯერ ერთი იმიტომ, რომ რომაელებს ჩამოერთვათ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ვესტგუთების სამეფოში; მეორეც იმიტომ, რომ გერმანელი დაქირავებული ნაწილები ჩვეულებრივად რომაელებისაგან გასამრჯელოდ ღებულობდნენ მათი ბენოსავლის ერთ მესამედს და ამ უკანასკნელის ამავე ოდენობის მიწებით შეცვლას არ შეეძლო დიდი უკმაყოფილების გამოწვევა და რაც მთავარია, როგორც აღვნიშნეთ, მიწების ჩამორთმევა უმთავრესად ჩრდილო იტალიაში მოხდა, სადაც რომაული მაგნატების უფრო ნაკლები რაოდენობა მოსახლეობდა. მაშასადამე. მიწების ჩამორთმევა უფრო წვრილ მიწათმფლობელებს შეეხოთ.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა ცოტა ხნის გასვლის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ოდოაკრი და მისი მიმდევრები აღარ დაკმაყოფილდნენ იმ მიწებით, რომელნიც მათ ხელში ჩაიგდეს. ოდოაკრმა ახლა იწყო საეკლესიო მიწების დატაცება. უფრო მეტიც, მან მოისურვა სასულიერო წოდების მაღალ თანამდებობებზე თავისიანების დანიშვნა და საეკლესიო საქმეებში

ჩარევა. გარდა ამისა, ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეში ოდოაკრმა იწყო ბიზანტიის იმპერატორისაგან სრულიად დამოუკიდებელი მოქმედება. ოდოაკრის ასეთმა საქციელმა თვით იტალიაში გამოიწვია უკმაყოფილება გაბატონებულ კლასში. სენატის წევრთა უმრავლესობა და კათოლიკური სასულიერო წოდების გარკვეული ნაწილი ოპოზიციაში აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერატორის ზენონის რისხვას განდგომილ ოდოაკრისადმი ფართო გასაქანი ეძლეოდა. მაგრამ იგი მაინც იძულებული იყო ერთ ბანს, ვიდრე ხელსაყრელი პირობები არ მეიქმნებოდა, შერიგებოდა არსებულ ვითარებას. ზენონის განმარტება იტალიაში ოდოაკრის ბატონობის მოსპობისა და იტალიის უშუალოდ დამორჩილებისა თითქოს უნდა შესრულებულიყო ოსტგუთების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსელით.

ოსტგუთები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 375 წელს ოსტგუთები ჰუნებმა დაიმორჩილეს და განაგრძეს თავიანთი დაპყრობები სავადასავა მიმართულებით. ბოლოს მათ შექმნეს მძლავრი სამხედრო გაერთიანება, სადაც ოსტგუთების გარდა შედიოდნენ: გეპიდები, სკირები. გერულები, ხაზარები, ანტები და სხვ. მაგრამ კატალაუნის ველებზე ჰუნების დამარცხების შემდეგ მათი სამხედრო კავშირი დაიშალა და ოსტგუთებიც განთავისუფლდნენ ჰუნების ბატონობისაგან.

454 წელს ოსტგუთები ბიზანტიელების მოკავშირედ გახდნენ და ფედერატობის საფუძველზე დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის სივადასხვა ნაწილში. მეხუთე საუკუნის ბოლოს მათ თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს თეოდორიხი, რომელიც ცნობილ ამალების საგვარეულოს ეკუთვნოდა. თეოდოროხი ჯერ კიდევ შვიდი წლის ბავშვი იყო, როცა მამამისმა თეოდემირმა იგი ბიზანტიის სასახლეს ძეკლად გადასცა. 18 წლის ასაკამდე თეოდორიხი ბიზანტიის სასახლეში იზრდებოდა და იმპერატორების თაღლითურ საგარეო და საშინაო პოლიტიკას ეცნობოდა. იგი ითვისებდა ინტრიგების ყველა იმ ხერხს, რომელსაც სასახლეში იყენებდნენ.

იმპერატორ ზენონის დროს თეოდორიხი დაწინაურდა სამხედრო სამსახურში და სასახლეში უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა. ამასთან იმპერატორს ძვალოძილის, პატრიციისა და კონსულის საპატიო წოდებანი მიიღო, მაგრამ ეს მას სრულიადაც ხელს არ უშლიდა იმაში, რომ იმპერატორის წინააღმდეგ რამდენიმეჯერ ამსედრებულიყო და კონსტანტინეპოლს დაბუქოებოდა. მისი ქვეშ-

ვრდომი გუთები არა ერთხელ არბევდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულს.

ოსტგუთების ლაშქრობა იტალიაში. ბუნებრივია, რომ იმპერატორ ზენონის წინაშე თეოდორიხისა და ოსტგუთების თავიდან ნოცილების ამოცანა დაისახა. იმპერატორმა გადასწყვიტა „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა“ და ამ მიზნით თეოდორიხს მოთხოვა იტალიაში ოდოაკრის წინააღმდეგ გალაშქრება. 488 წელს ოსტგუთები 200—300 ათასი კაცის რემადგენლობით[1] დაიძვრნენ იტალიისაკენ. მდინარე იზონცოსთან ბათ პირველად შეხვდა ოდოაკრი თავისი ჯარებით. გაიმართა გაცხარებული ბრძოლა. ოდოაკრის ჯარებმა შეტევას ვერ გაუძღვნენ და ოდოაკრი იძულებული გახდა უკან დაეხია გამაგრებულ ვერონის კენ.

თეოდორიხმა თავის ბანაკი უფიქრელად ჩათვალა ოდოაკრის უკანდახეული ჯარების დევნა, რადგან გაბართულ ბრძოლებში ოსტგუთებმაც ბნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს და დაბანაკდა პანონიის მიდამოებში. რამდენიმე ბნის ‘ბემდეგ ოდოაკრმა შეავსო თავისი ჯარების დანაკლისი და სხვა მოთხრეებთან ერთად აბლა ოლიეთან მიიტანა იერიშები ოსტგუთებზე. უკანასკნელთა მდგომარეობა გაიწვავდა და რომ თეოდორიხს ამ დროისათვის ვესტგუთები არ დახმარებოდნენ, შეიძლება მისი მდგომარეობა უფრო გართულებულიყო. ვესტგუთების საქმეში ჩარევამ ერთი მხრივ, ოდლო მეორე მხრივ, შიგნით ოდოაკოის მოკავშირეებში წარმოშობილმა წინააღმდეგობამ ოდოაკრი კვლავ აიძულა უკან დაეხია და ახლა რავენაში ჩაკეტილიყო.

თეოდორიხმა რავენას ალყა შემოარტყა, მაგრამ პირდაპირ იერიშებზე გადასვლა ბან ვერ შესძლო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ოსტგუთებს ზურგში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამორჩილებული მთელი რიგი ადგილები, სადაც რავენას გარდა კიდევ რამდენიმე ციხე-სიმაგრე ოსებობდა. გარდა ამისა, ოსტგუთებს არ გააჩნდათ სათანადო მოწყობილობა რავენის მაგარი კედლების დასანგრევად. ამიტომ გასაკვირველი არაა ის გარემოება, რომ რავენის ალყა ორი წლის ბანძილზე გაგრძელდა და მხოლოდ მაშინ გადასწყვიტა ოდოაკრმა ამ სიმაგრის მტრებისათვის გადაცემა.

დაიწყო მოლაპარაკება თეოდორიხსა და ოდოაკრს შორის, 493 წელს ნოადა შეთანხმება. რომლის მიხედვითაც იტალია ორად უნდა დაყოფილიყო. ერთი ნაწილის ბმართველი თეოდორიხი უნდა

---

[1] Д. М. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, გვ. 271, გ.ბ. 1917 წ.

ყოფილიყო, ხოლო მეორესი—ოდოაკრი. დიდი ხანი არ იყო გასული ამ ხელშეკრულების დადების დღიდან, რომ თეოდორიხმა სადილზე მიიპატიჟა ოდოაკრი და იქ, საკუთარი ხელით, ვერაგულად მოკლა იგი. ოდოაკრის მიმდევართა ერთი ნაწილი თეოდორიხის მხარეზე გადმოვიდა, ხოლო დანარჩენები ბრძოლაში დაიღუპნენ. ამის შედეგად მთელი ძალაუფლება იტალიაში თეოდორიხისა და ოსტგუთების ხელში აღმოჩნდა.

იმდენად, რაოდენადაც იტალიის დაპყრობა მოხდა ბიზანტიის იმპერატორის მითითებით, იტალიის დამპყრობელი თეოდორიხი ბიზანტიისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში უნდა აღმოჩენილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეოდორიხი ამ გარემოებას არაფერს თუ აკილობდა, არაუფრს, როგორც ავას ქვევით დავინახავთ. თვითონ იყო რომაული წეს-ჩვეულებისა და იტალიაში ძველი სასულიერო აპარატის უცვლელად დატოვების დიდი მოსურნე. დაიკავა თუ არა თეოდორიხმა რავენა, ეროთ-ერთი სენატორი დაუყოვნებლივ გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორთან თხოვნით—დაემტკიცებინათ მისთვის იტალიის მეფის ტიტული. მაგრამ ოსტგუთებმა ბიზანტიის იმპერატორის საჩქარეას აღარ დაუცადეს და თავიანთი ჩვეულების მიხედვით თეოდორიხი მეფედ აირჩიეს.

ოსტგუთების საზოგადოებრივობა იტალიაში მისვლამდე. ჯერ კიდევ იტალიაში მისვლამდე ოსტგუთებში უკვე დაწყებული იყო თემურ გვაროვნული წყობილების ოღვევა. მესაქონლეობასთან ერთად ოსტგუთები ახლა მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. ენოდიუსი თავის „Panegyricus"—ში მოგვითხრობს, რომ, როცა ოსტგუთები დაიძვრნენ იტალიისაკენ, მათ თან წაიღეს არა მარტო თავიანთი ოჯახური აქ

, აოთანდ სამიწათმოქმედო იარაღები და მათ შორის ბარცვლეულის ბელსაფქვავებიც. ოსტგუთების სოციალური დიფერენციაციაც იტალიაში მათ მოსვლამდე უკვე დაწყებული იყო. ირკვევა, რომ ბათში საგვარეულო აარისტოკრატიასთან ერთად ნაკლებად დამოკიდებული პირები და მონებიც კი იმყოფებოდნენ.

ოსტგუთებში სახალხო შეიარაღებასთან ერთად ცალკე პირთა მიკუთვნებული რაზმებიც მოქმედებდნენ. მოლაშქრენი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულნი იყვნენ თავიანთ ხელმღვანელებზე და ამ უკანასკნელთა პოლიტიკურ მდგომარეობას აიღიერებდნენ. გუთების ისტორიკოსი იორდანე გადმოგვცემს, რომ თეოდორიხი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დროს თავისი მამის რაზმელებსა და ხალხიდან გამოყოფილ თავის ერთგულებს ემყარებოდა. თეოდორიხის ასეთ მომბრეთა ჯგუფს, რომლის წევრებიც თეოდორიხმა

თავის „კლიენტებად“ გადააქცია, იორდანეს თქმით, 6000-მდე კაცი შეადგენდა.

მართალია, ოსტგუთებში არსებული მონობა არ იყო კლასიკური ხასიათის მატარებელი, იგი უფრო პატრიარქალურს წარმოადგენდა, მართალია ისიც, რომ ოსტგუთების სხვა სოციალური ფენები ჯერ კიდევ კლასობრივ ფორმირებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ოსტგუთების საზოგადოებრიობაში უკვე დაიწყო ზოგიერთი ფეოდალური ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა. ამ უკანასკნელთა განვითარების დაჩქარება მოხდა იტალიის დაპყრობის შემდეგ რომაული და გერმანული საზოგადოებრივი ურთიერთობის სინთეზის საფუძველზე.

ოსტგუთებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები და თეოდორიხის პროგრამაული პოლიტიკა. ოსტგუთების იტალიის ტერიტორიაზე გაფანტულმა დასახლებამ და რომაელებში მერევამ რომაელებისაგან მიწის ნაკვეთების მიღებით უფრო მეტად გამბრწყინვალი გავლენა იქონია ოსტგუთების თემურ წყობილებაზე. ამავე მიმართულებით მოქმედებდა მეფის მიერ მსხვილი მაიულების გადაცემა თავის მოლაშქრეებზე და სახელმწიფო აპარატის მოხელეებზე. მაგრამ როცა ვლაპარაკობთ ოსტგუთების მიერ რომაელთა მიწების კონფისკაციაზე, ვგულისხმობთ, რომ ეს პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მიწების იმ კონფისკაციისაგან, რომელიც ვესტგუთებმა, ან სხვა გერმანელმა ტომებმა ჩაატარეს.

ზემოაღნიშნული გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ სხვა „ბარბაროსთა“ ჯარების ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, თეოდორიხი მის მიერ დაპყრობილ ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასების დახმარებას კი არ ემყარებოდა, არამედ როგორც ბიზანტიის იმპერატორის დავალებით „უზურპატორ“ ოდოაკრის წინააღმდეგ მოქმედი, ცდილობდა რომის არისტოკრატიის და უმაღლესი სასულიერო წოდების თავის მხარეზე გადმოყვანას. ამგვარად, ის არ ატარებდა ისეთ რადიკალურ ღონისძიებებს, რომელნიც უკმაყოფილებას გამოიწვევდნენ რომაული საზოგადოების აღნიშნულ ფენებში.

მართალია, ოსტგუთებმა რომაელებისაგან მიწების ერთი მესამედი მიიღეს, მაგრამ ეს მიწები ადრევე ოდოაკრის ჯარებს ჰქონდათ მისაკუთრებული და ამდენად კონფისკაციის უშუალო მიზეზად თეოდორიხი არ უნდა ყოფილიყო ჩათვლილი. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსტგუთების ძირითადი ნაწილის დასახლება მოხდა ჩრდილო-იტალიაში იმ დროს, როცა სამხრეთ იტალიაში და სიცილიაში, სადაც უფრო მეტად იყო შემონარჩუნებული

მსხვილი ლატიფუნდიალური ტიპის მიწათმფლობელობა, მიწების განაწილება გუთებსა და რომაელებს შორის თითქმის არ ჩატარდა.

რომ ზემოაღნიშნულ საკითხში რომაული არისტოკრატიის მიმართ თეოდორიხი დიდ დათმობაზე მიდიოდა, ჩანს შეეძლებოდა: მან მიწების დანაწილებისა და, მაშასადამე, ვესტგუთების იტალიის ტერიტორიაზე განლაგების კომისიის თავმჯდომარედ რომის პატრიციატის წარმომადგენელი სენატორი პეტრე მარცელინე ფელიქს ლიბერიუსი დანიშნა. აი, რას წერდა თეოდორიხი კასიოდორეს (თეოდორიხის პირადი მდივანი) ხელით ლიბერიუსის ამ კომისიაში მოღვაწეობის შესახებ: „ჩვენ ბალიან გვსიამოვნობს იმის აღნიშვნა, რომ ჩვენმა რწმუნებულმა პატრიციატის წარმომადგენელმა ლიბერიუსმა ტერიციების განაწილებისას შეძლო გაეერთიანებინა როგორც სამფლობელოები, ისე გუთებისა და რომაელების ბული, ეინაიდან მათი მეზობლობა მათ შორის თანხმობას ამაგრებს“ [1].

რომაელი არისტოკრატიის მიმართ დათმობა იმაშიც გამოიხატა, რომ ერთი მესამედი მიწებისა მათ ჩამოართვეს მონების გარეშე იმ დროს, როცა ბურგუნდებმა მონების მესამედიც წაართვეს. ამგვარად, თვითონ ოსტგუთები, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ საბაედრო სამსახური მეესრულებინათ, რჩებოდნენ მუშახელის გარეშე. ოსტგუთებში ამით გამოწვეული უკმაყოფილება თეოდორიხმა აღმოფხვრა იმით, რომ გამოსცა ედიქტი, რომლის 142 მუხლის ძალით კოლონები თავისუფლდებოდნენ მიმაგრებისაგან. ამ ედიქტის გამოცემის შემდეგ რომაული კოლონების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსტგუთების მიწებზე გადავიდა სამუშაოდ. როცა ამ ღონისძიებით ოსტგუთების მოთხოვნილება მუშახელზე ასე თუ ისე დაკმაყოფილებულ იქნა, თეოდორიხმა ეს ედიქტი გააუქმა და კვლავ ძველი წესები აღადგინა კოლონების მიწაზე მიმაგრების შესახებ.

მიწების კომპრომისული განაწილება იტალიაში, როგორც აღნიშნული იყო, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა გერმანელების სხვა ქვეყნებში ჩატარებულ განაწილებისაგან. ჩრდილო-აფრიკაში მაგალითად, ვანდალებმა ადგილობრივი მოსახლეობის დაბალ ფენებთან კავშირში უმოწყალოდ ანგარიში გაუსწორეს რომის მონათმფლობელურ არისტოკრატიას, იგი ეკონომიურად ბალზე შეასუსტეს. მიუხედავად ამისა, იქაც და აქაც დამპყრობელთა ხელისუფლება თავისი კლასობრივი ინტერესებით მოქმედებდა. თეოდორიხმა, მაგალითად, საუკეთესო მიწებით პირველ რიგში ოსტგუ-

[1] П. Кудрявцев, Судьбы Италии, 1860 г., зз. 26-27.

თების არისტოკრატია დააკმაყოფილა ისე, როგორც ეს ჰენზერიხ-მა მოიმოქმედა ჩრდილო აფრიკაში. დამპყრობლების დაბალმა ფენებმა ყველგან მეორეხარისხოვანი და უფრო ნაკლები მიწის ფართობები მიიღეს [1].

კიდევ ერთი დათმობა ოსტგუთებისა რომაელი არისტოკრატიის მიმართ იმაში გამოიხატა, რომ მიწების გადასახადებით დაბეგვრის სისტემა ძველი დარჩა. თუ ვესტგუთებში, ვანდალებში და ბურგუნდებში გადასახადებს აწერდნენ მხოლოდ ადგილობრივ მიწათმფლობელებს, იტალიაში მიწაზე გადასახადები ოსტგუთებსაც უნდა გაეღოთ. კასიოდორეს თქვით, გუთებიც ისევე იყვნენ დაბეგრილნი, როგორც რომაელები. [2] ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ რომაულ მსხვილ მიწათმფლობელებს ოსტგუთების იტალიაში მოსვლით მაინცა და მაინც ბევრი არაფერი დაუკარგავთ.

ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობა. პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისითაც იტალიაში ოსტგუთების მოსვლით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ძველად არსებული რომის სენატი ხელშეუხებელი დარჩა. ქვეყნის მართვა-გამგეობა საქალაქო დარგში რომაული არისტოკრატიის ხელში იმყოფებოდა. რომაელებმა შეინარჩუნეს თავიანთი უფლებები, თავიანთი სასამართლო და თავიანთი მოხელეები. იტალიის არც ძველი ადმინისტრაციული დაყოფა იქნა შეცვლილი. როგორც კონსტანტინეს დროს, იტალია ახლაც ორ დიოცეზად იყო დაყოფილი. ზემო დიოცეზში შვიდი პროვინცია შედიოდა, ხოლო ქვემოში—ცხრა. ქალაქ რომს ჰყავდა თავისი პრეფექტი praefectus urbus, რომელსაც ემორჩილებოდნენ: ქალაქის მცველთა უფროსი, ნავსადგურის უფროსი და სხვა მოხელეები. იტალიის სხვა ქალაქებს: ნეაპოლს, სირაკუზებს, მარსელს მართავდნენ თავიანთი გრაფები (comites) თუმცა ისინი უფრო ნაკლებად უფლებამოსილნი იყვნენ, ვიდრე რომის პრეფექტი.

იტალიის დაპყრობის შემდეგ მასში ორი პოლიტიკური ცენტრი წარმოიშვა: ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქი რომი თავისი სენატით, მეორე—ქალაქი რავენა, რომელიც თეოდორიხის და მისი ამალის რეზიდენციას წარმოადგენდა. თვით იტალიის მოსახლეობაც თითქოს ორად დაიყო: ოსტგუთები ჰქმნიდნენ სამხედრო კასტას, რომელსაც ქვეყნის მტრისაგან დაცვის საქმე დაევალა,

---

[1] З. В. Удальцова, Раздел земель между остготами и римлянами в Италии в конце V в., Средние века, т. VIII, გვ. 50, გამ. 1956 წ.

[2] П. Кудрявцев, Судьбы Италии, გვ. 32, გამ. 1850 წ.

ბოლო რომაელები სამოქალაქო საქმეებს განაგებდნენ და განიარაღებულნი იყვნენ. ამის შესახებ ერთ-ერთი ანონიმური ფამთალმწერელი პირდაპირ იტყობინება: „... და თეოდორიხმა რომაელებს ყოველგვარი იარაღის, დანის ქონებაც კი აუკრძალაო“ [1]

თეოდორიხი ცდილობდა ერთგვარი კონტროლიც დაეწესებინა რომაულ ადმინისტრაციულ მმართველობაზე. ამ მიზნით ჩამოყალიბდა გუთებისაგან ეგრეთ წოდებული comites Gothorum. ყველა პროვინციაში რომაელების სამოქალაქო ადმინისტრაციასთან ერთად სამხედრო მმართველად (comes Gothorum provinciae) გუთური წარმოშობის პირი იყო დანიშნული. მას ემორჩილებოდა ოლქის, ან ქალაქის თემის მმართველი (comes Gothorum civitatis), რომელიც აგრეთვე გუთური წარმოშობისა იყო და რომელთანაც ერთად რომაული დეფენზორები და კურატორები მოქმედებდნენ.

რომაულ მმართველობაზე კონტროლის გაწევის მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეგრეთ წოდებული საიონების ინსტიტუტი აღმოჩნდა. ეს დაწესებულებაც მთლიანად გუთებისაგან შედგებოდა და რავენაში იმყოფებოდა. თეოდორიხი სისტემატურად აგზავნიდა საიონებს პროვინციებში ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობის შესამოწმებლად. საიონები წინასწარ დიდი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. მათ ევალებოდათ არა მარტო დაშვებულ შეცდომათა გამოსწორება ადგილებზე, არამედ უვარგისი მოხელის გადაყენება და ახლის დანიშვნაც.

ოსტგუთების მოსვლის შემდეგ იტალიაში ორგვარი სამართალი მოქმედებდა. ადგილობრივი მოსახლეობის საქმეებს რომაული სამართლის მიხედვით იხილავდნენ, ხოლო გუთებისას ოსტგუთების სამართლის მიხედვით. იმ შემთხვევაში. როცა ოსტგუთსა და რომაელს შორის მომხდარი სადავო საქმე უნდა განხილულიყო, იგი გადაეცემოდა სამხედრო, ე. ი. გუთების სამაოთალს. ამგვარად, ოსტგუთების სამართალი შედარებით რომაულთან უფრო მეტ მნიშვნელობას მოიპოვებდა.

რომაულ არისტოკრატიასთან დაახლოების ცდები. წინააღმდეგობათა გამწვავება. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს მოწყობის საქმეში ისე როგორც სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობაში, თავს იჩენდა ოსტგუთებისა და რომაული საზოგადოების ცალკეული ელემენტების სინთეზი. ოსტგუთების პოლიტიკური წყობილების არისტოკრატიზაცია და მათში ოდინდელი დემოკრატიული დაწე-

---

[1] З. В. Удальцова, Классовая борьба в Италии, Византийский временник, т. X, 1956 წ., გვ. 25.

სებულებათა მოსპობა, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ფეოდალურ ურთიერთობათა ფორმირების წამოწყებით, დროებით ხელს უწყობდა ოსტგუთების ზედა ფენების დააახლოებას რომაულ არისტოკრატიასთან სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის საქმეში.

თეოდორიხი სხვა მხრივაც ცდილობდა რომაულ არისტოკრატიასთან დაახლოებას და მისი გულის მოგებას. იგი უაღრესად დიდ მოთმინებას იჩენდა კათოლიკური ეკლესიის მიმართ და ზრუნავდა, რომ დიდ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონოდა არიოზულ გუთეასა და კათოლიკობის მაღიაოებელ რომაელებს შორის. „ჩვენ არ შეგვიძლია — ამბობდა თეოდორიხის პირადი მდივანი — ვუბრძანოთ ვინმეს ამა თუ იმ სარწმუნოების მიღება, რადგან დაუშკებელია ადამიანს ძალით მივაღებინოთ რწმენა". ამავარად, თეოდორიხის ხელისუფლება არ ეწეოდა კათოლიკური ეკლესიის შინაურ საქმეებში და რომის ეპისკოპოსის არჩევაც ბოლოიანად ქალაქ რომის ბოსახლეობასა და სენატს ჰქონდა მინდობილი.

კათოლიკური ეკლესიის მოთმენა მისაღები აღმოჩნდა მანამდე, ვიდრე იტალიაში არიოზობასა და კათოლიკობას შორის არსებული წინააღმდეგობანი უფრო მეტად არ გამწვავდებოდა. ამ გარემოების დაჩქარებას არანაკლებ ხელი შეუწყო იუსტინეს გამეფებამ ბიზანტიის იმპერიაში. იუსტინეს გამეფებაძდე ბიზანტიის საეკლესიო მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენელი, იმპერატორი ანასტასი. სასულიერო მსხვილი ბიწათმფლობელების შესუსტების მიზნით, სხვადასხვა მწვალებლობას მფარველობდა და ეპისკოპოსებს სდევნიდა. ასეთ ვითარებაში რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი არიოზობის მიმართ, ვერ მონახავდა აღმოსაკლეთ იმპერიაში რაიმე დახმარებას და ინულებული იყო თვითონაც „მოთმინება" გამოეჩინა ოსტგუთებს მიმართ.

ბიზანტიაში იუსტინეს გამეფებისთანავე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ბსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენელმა იუსტინემ დაიწყო მანიქეველების სასტიკი დევნა. გამოცხადებული იყო, რომ ის მანიქეველი, რომელიც ბიზანტიის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. სხვა იწვალებლებს ეკრძალებოდათ რაიმე სახელმწიფოებრივი თანამდებობების დაკავება ასევე იდევნებოდნენ ის არიოზელები, რომლებიც ჯერ კიდევ ბიზანტიის ტერიტორიაზე იყვნენ დარჩენილნი და საძსედრო მოვალეობას არ ასრულებდნენ. ბუნებრივია, რომ ბიზანტიაში მომხდარი ამგვარი ცვლილებეაის შეძდეგ რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ბიზანტიის იმპერატორებთან უნდა ეძიათ თავ-

შესაფარი და დახმარება არიოზობის მიმდევარი ოსტგუთების წინააღმდეგ.

ურთიერთობა რომისა და კონსტანტინეპოლის სასულიერო წოდებას შორის უფრო მეტად გაცხოველდა. რომის ეპისკოპოსმა ორმიზდმა კიდეც მოასწრო რამდენიმეჯერ საიდუმლოდ ელჩების გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორთან. ამასთან დაკავშირებით რომის სენატშიაც შესამჩნევი გაადა სენატორების ოპოზიციური საქმიანობა. თეოდორიხის დაეჭვება სენატის ამგვარი საქმიანობით დააგვირგვინა რეფერენდარიუს ციპრიანეს ცნობამ იმის შესახებ, რომ სენატში დაიწყო შეთქმულება ოსტგუთების წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად სენატორები ბოეციუსი და სიმახი სიკვდილით იქნენ დასჯილნი.

მაგრამ თეოდორიხის ბიერ ამ ღონისძიების ჩატარება უკვე დაგვიანებული იყო. თავიდანვე უნდა მომიდარიყო მონათმფლობელური რომის ეკონომიური საფუძველების განადგურება და მისი ნაშენის საელაფიფეოლოგიური აპარატის მოსპობა. მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ თეოდორიხის მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ აღნიშნავდა: „მისი უდიდესი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან არა მარტო რომის ეკონომიკა, კანონები, მაგისტრატურა და სხვა შეეგონა, არამედ გარკვეული ზომით კიდეც მოახდინა მათი გადაბალისება“ [1] ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ თეოდორიხს ხელი შეეწყო ისტორიულად განწირული მონათმფლობელური ურთიერთობის მოსპობისათვის, იგი ცდილობდა მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

კლასობრივი ბრძოლების გაწვავება ოსტგუთების სამეფოში. ოსტგუთების კანონმდებლობის სოციალური ბუნების მნიშვნელოვანი დამახასიათებელია ის, რომ ოფიციალურად სხვისი მიწების დატაცების შემთხვევაში მონები და კოლონები უფრო მკაცრად ისჯებოდნენ, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო რომაული იურისტების მითითებებში. თეოდორიხის ედიქტის მიხედვით ამგვარი დანაშაულობისათვის მონები და კოლონები სიკვდილით უნდა დაესაჯათ იმ დროს, როცა იგივე დანაშაულობისათვის რომაული სამართლის ნორმებით მონები უნდა გადაესაალებინათ მაღაროებში ამუშაოდ, ხოლო თავისუფალი წარმოშობის პირნი ისჯებოდნენ ქონების მესამედის კონფისკაციით და გადასახლებით [2].

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. V: Маркс, Хронологические выписки, зз. 21.

[2] Византийский временник, т. X, 1956 წ., зз. 15.

თეოდორიხის ედიქტის 97-ე მუხლში ნათქვამი იყო: „ის ვინც მტრობით სხვის გომურს, სახლს, ან ვილას გადასწვავს, თუ ის მონა, კოლონი, მონა-ქალი ან ორიგინარიუსი იქნება, მაშინ ის კოცონზე უნდა დაიწვას. თუ ამას თავისუფალი ჩაიდენს, დაე, მან ის მიყენებული ზიანი აანაზღაუროს, რომელიც მის მიერ წაკიდებული ცეცალით იქნება გამოწვეული. დამნაშავემ შენობა უნდა აღადგინოს და ასეთი დანაშაულისათვის გადაიხადოს გადამწვარი ქონების ღირებულება. და თუ იგი თავისი ქონებრივი მდგომარეობით ვერ შესძლებს ამის გაკეთებას, ის გაროზგვის შემდეგ მუდმივ გაძევებაში უნდა იმყოფებოდეს" [1].

თეოდორიხის ედიქტის ზემოთ განხილული ამონაწერები მეორე მხრივ იმაზედაც მიგვითითებენ, რომ ოსტგუთურ იტალიაში საკმაოდ გამწვავებულა კლასობრივი ბრძოლა. კოსიოდორის მონაცემების მიხედვით 509-511 წლების განმავლობაში რომში არა ერთხელ მომხდარა აჯანყება, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რომაელი პლებსი, ხელოსნები და სახელოსნოს მუშები. სხვა წყაროების მიხედვით, იმავე თეოდორიხის მეფობის დროს აჯანყებებს ადგილი ჰქონდათ სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, ვერონაში, რავენაში და იტალიის სხვა ნაწილებშიც. ეს კლასობრივი წინააღმდეგობანი თანდათან აუძლურებდნენ ოსტგუთების სამეფოს.

სწორი იყო პ. კუდრიავცევი, როდესაც აღნიშნავდა: „სიკვდილის წინ თეოდორიხი იძულებული გახდა თვითონვე ჩაეკლა ის საქმე, რომელზედაც ის სრული ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობდა და რომელსაც გუთური ეროვნების ბევრი ინტერესი მსხვერპლად შესწირა; გარდაცვალებისას თავის გუთებს მან მემკვიდროეობით რომაელთა სიძულვილი დაუტოვა (ამ შემთხვევაში ავტორი გულისხმობს თეოდორიხის მიერ სენატორების სიკვდილით დასჯას). ხოლო ძალაუფლება, რომელიც მის ხელში ასე ძლიერი იყო, ათი წლის ბიჭს და მის დედას უნდა გადასცემოდა, ესე იგი ამ ახალ სამეფოს თეოდორიხი ქალის მმართველობაში სტოვებდა" [2].

ამალასუნტას მმართველობა. 526 წელს თეოდორიხი გარდაიცვალა და სამეფო ტახტი მისმა ქალიშვილმა ამალასუნტამ დაიკავა. თავდაპირველად, როგორც თავისი მცირეწლოვანი შვილის ატანარიხის მზრუნველმა, ხოლო შემდეგ თავისი ქმრის თეოდატის თანამმართველმა. გამეფებისთანავე მან უფრო მეტად აიღო რომაელ სენატორებთან დაახლოების კურსი. ეს ჩანს თუნდაც

---

[1] Византийский временник, т. X, გვ. 16.

[2] П. Кудрявцев, Судьбы Италии, გვ. 50.

იქიდან, რომ თუ თეოდორიხმა წერა-კითხვა არ იცოდა, ამალასუნტამ საფუძვლიანად შეისწავლა ლათინური და ბერძნული ენები და თავისი შვილის აღზრდასაც რომაული წეს-ჩვეულებით ახდენდა. ამალასუნტას აშკარა პრორომაული პოლიტიკა, რომელიც რომის სენატორებსა და რომაულ არისტოკრატიას მეტ აროვილეგიებს ანიჭებდა, გუთების სამხედრო დიდებულებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ამალასუნტას პრორომაული პოლიტიკის შესახებ პროკოპი კესარიელი წერდა: „ზანანდე ვიდრე ის მმართველობის სათავეში იდგა, არც ერთი რომაელი არ განიცდიდა არც ფიზიკურ დასჯას, არც ქონების კონფისკაციას... და სიმახისა და ბოეციუსის შვილებს კიდეც დაუბრუნა მან მშობლებისაგან კონფისკაციაქმნილი ქონება-[1] სწორედ ამიტომ იყო, რომ როგორც ქვევით დავინახავთ, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ოსტგუთების წინააღმდეგ ომის წამოწყების საბაბად ამალასუნტას მკვლელთა დასჯა გამოაცხადა.

თუ ამალასუნტას, როგორც ბიზანტიის იმპერატორი, ისე პროკოპი კესარიელი დადებითად ახასიათებდნენ პოლიტიკურ (პრობიზანტიულ) დარგში, სამაგიეროდ იგივე პროკოპი ამალასუნტას გამეფებას და ქვეყნის მმართველობის სათავეში ყოფნას ასეთნაირად გვისურათებს: თეოდორიხის დისწული თეოდატი უდიდეს მიწებს ფლობდა ეტრურიაში (ტოსკანაში). იგი სასტიკად ავიწროებდა თავის მეზობლებს და ძალით მიწებს ართმევდა. ამალასუნტა თეოდატის ასეთ საქციელს ეწინააღმდეგებოდა, რადგან უნდოდა ამით რომაელთა გულის მოგება. ერთხელ მან თეოდატს კიდეც უკან დააბრუნებინა ზოგიერთი მიტაცებული მიწები. მიუხედავად ამისა, როცა ამალასუნტას შვილი ატანარიხი კვდებოდა, ამალასუნტამ იგრძნო, რომ მას მეფობა ხელიდან გამოეცლებოდა და ამიტომ მან თეოდატი მიიპატიჟა, როგორც თეოდორიხის ნათესავი, მას მეფობა შესთავაზა იმ პირობით, რომ ფაქტიურად თვითონ იქნებოდა ძალაუფლების მატარებელი.

პროკოპი კესარიელს, აქ, ალბათ, დაავიწყდა ეთქვა ისიც რომ ამალასუნტას მიმართ თანდათან ძლიერდებოდა ვესტგუთების არისტოკრატიის ოპოზიცია. თეოდატი ამ ოპოზიციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და თუ ამალასუნტა მას თავის მსარეზე გადმოიბირებდა, საქმეც მოგვარებულად უნდა ჩათვლილიყო. პროკოპის თქმით, საქმე სრულიად სხვანაირად წარიმართა. თეოდატმა არ გააჭართლა ამალასუნტას იმედები. უფრო მეტიც—თეო-

---

[1] Прокопий из Кесарии. Война с готами, 1950 г., гл. 81-82.

დატმა უფრო მეტად დაიახლოვა ოპოზიციის წევრები და მათი დახმარებით მოულოდნელად მოაკვლევინა ამალასუნტას ზოგიერთი მომხრე, თვით ამალასუნტა კი დაატუსაღა და ეტრურიის ერთ-ერთ ციხეში მოათავსა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ისიც მოაკვლევინა.

ოსტგუთებსა და ბიზანტიელებს შორის წამოწყებული ბრძოლების პირველი პერიოდი. ეს ამბავი დაემთხვა იუსტინიანეს მიერ სპარსეთთან ომის დამთავრებას. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, იუსტინიანე ადრეევე დაინტერესებული იყო იტალიის ხელში ჩაგდებით და სათანადო საბაბს დაეებდა. მან საკვეყნოდ გამოაცხადა, რომ ოსტგუთებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს თავიანთი კანონიერი მეფის მოკვლით და რომ ამისათვის იგი ომს იწყებს მათ წინააღმდეგ. 535 წელს განთქმული სარდლის ველიზარის სელმძღვანელობით მან თავისი შეიარაღებული ძალები დასტრა იტალიისაკენ.

ბრძოლების პირველი პერიოდი, რომელიც იწყება 535 წელს და მთავრდება 541 წელს, ბიზანტიელების მნიშვნელოვანი წარმატებებით სასიათდება. ველიზარიმ ჯერ დაიპყრო სიცილია, ხოლო 536 წელს გაზაფხულზე იტალიაში გადავიდა და ნეაპოლს ალყა შემოარტყა. ნეაპოლის მტრისადმი დამორჩილება ცოტა უფრო ეფექტიანურად გუთური გარნიზონის მამაცობის გამო, ბავრამ ამ შეტევაშიაც, ვიდრე მტერი უშუალოდ მიადგებოდა ქალაქის კედლებს ნეაპოლის რომაული მოსახლეობის შეძლებულმა ფენამ მეტიდრო კავშირის დამყარება მოასერხა ველიზართან და მას ხელი მიუწყო საბოლოო ვამრჯვებაში.

ნეაპოლის დაცემამ საბოლოოდ ცხადყო თეოდატის თაღლითური საქციელი. მან ჯერ კიდეც ომის დაწყებამდე საიდუმლო მოლაპარაკება აწარმოვა იუსტინიანესთან, რომელსაც იტალიის გადაცემას ჰპირდებოდა, და თუ უკანასკნელი თეოდატს მეფენარჩუნებდა მის ქონებას და სხვა ჯილდოსაც დაჰპირდებოდა. გუთები ეჭვანყდნენ. თეოდატი მოჰკლეს მის ბაგიერად თავიანთ ხელმძღვანელად ვიტიგესი გამოაცხადეს. ყოველივე ამის შემდეგ ვესტგუთების წინააღმდეგობა უფრო გაძლიერდა. 537 წელს ველიზარი რომში თვითონ იქნა ალყაშემორტყმული გუთების 150000-ანი ჯარით. ალყა თითქმის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

ქ. რომის სამეფრო ოპერაციებში კვლავ თავი იჩინა რომის არისტოკრატიისა და პაპების თაღლითურმა მოქმედებამ. თავდაპირველად, როცა ველიზარმა შემოარტყა რომს ალყა, რომის ეპისკოპოსმა სილვერიუსმა ბესძლო მტრებისათვის რომის ალაყაფის

ჯარების გაღება და ბიზანტიელების შემოშვება. შემდეგ, როცა ვიტიგესმა ამავე რომს ალყა შემოარტყა და ველიზარი თავის ჯარებით იქ მოიმწყვდია, კვლავ ეპისკოპოსი (ამჟამად ვიტალიუსი) ჩაერია საქმეში. ველიზარის ჯარებს შიმშილით რომ არ გაჭირებოდათ ეპისკოპოსმა სხვადასხვა ხრიკების გამოყენების საშუალებით სიცილიიდან სურსათ-სანოვაგე მიიღო.

ზემოაღნიშნულ გარემოებას დაეჭატა ისიც, რომ 538 წლის გაზაფხულზე ჩრდილოეთ იტალიაში ბიზანტიის არმიის სხვა ნაწილი შეიკრა. ვიტიგესი იძულებული გახდა რომისათვის ალყა მოეხსნა და ჩრდილოეთისაკენ წაულიყო. ამის შემდეგ 540 წლამდე ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით ვითარდებოდა. ბოლოს 540 წელს, ველიზარიმ შესძლო გუთების დასაყრდენის—რავენის ხელში ჩაგდება. ვიტიგესი ბიზანტიელებმა ტყვედ ჩაიგდეს ხელში და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ასეთი ბრძოლებია ოსტგუთებისა და ბიზანტიელების ბრძოლების პირველი პერიოდი.

ამ ეტაპზე ბიზანტიელების წარმატებანი უნდა ახსნას იმით, რომ რომაულმა გვარტონებულმა კლასმა, როელმაც მიუბედავად ორთოდოქსიისა და ამალასუნტას პროარიანული ორიენტაციისა, დაჭარბა ოდინდელი პრიორიტეტები, სადა კვლავ აღედგინა მონათმფლობელობა რომში ბიზანტიის დამბარებით. პროკოპის გადმოცემით ტოტილას რომის სენატორებისათვის საყვედური უთქვამს, რომ მათ გუთებმა კარგი პირობები შეუქმნეს და მიუბედავად ამისა რომაელმა დიდებულებმა იტალიაში ბიზანტიელები მოიწვიეს გუთების წინააღმდეგ [1]. ამგვარად, ომის წამოწყებისთანავე რომაელთა შეძლებული ფენა დიდ დახმარებას უწევდა ბიზანტიელებს.

გარდა ამისა, ბიზანტიელები არა ნაკლებ ეხარდაჭერა პოულობდნენ თვით ოსტგუთების არისტოკრატიის ერთ ნაწილშიც. პროკოპის არა ერთი მაგალითი მოჰყავს ბიზანტიელების ბრძოლაზე გუთების არისტოკრატიის ცალკეული წარმომადგენლის გადმოსვლის შესახებ. გუთების ეს ნაწილი, როგორც ჩანს, შეშინდა დაბალი ფენების იმ ბრძოლავრი მოძრაობით, რომელიც ყველაზე უფრო თვალსაჩინო გახდა ბიზანტიელებთან ბრძოლების მეოთხე ეტაპის დასაწყისშივე.

ბრძოლების შემდგომი ეტაპი და ტოტილას მიერ ჩატარებული ღონისძიებანი. ბრძოლების პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ბიზანტიელებს ეგონათ, რომ იტალია 540 წლისათვის მთლიანად

[1] Прокопий из Кесарии, Война с готами, გვ. 318.

დამორჩილებული იყო. იუსტინიანეს ტრაბახს საზღვარი აღარ ჰქონდა. მან ახლა თავის „აფრიკულ“ და „ვანდალურ“ სამეფო ტიტულს „გუთურიც“ მიუმატა. რომაელი მონათმფლობელები ზეიმობდნენ, ხოლო წარჩინებული ემიგრანტები ჯგუფ-ჯგუფად იტალიაში ბრუნდებოდნენ [1].

გამარჯვებულ ბიზანტიელთა შეუბრალებელ თარეშს იტალიაში უზომო მსხვერპლი მოჰყვა. იტალია-ეტრურიისა და პიცენას ოლქები ბიზანტიელების მიერ მთლიანად გაძარცული აღმოჩნდა. პროკოპის თქმით, ამ ადგილებში შინშილი იმდენად მძვინვარებდა, რომ ადამიანები ერთი-მეორეს სპამდნენ. ბიზანტიელი ჯარები ხელში ჩაგდებულ ტყვეებს მონებად აქცევდნენ. ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლა იტალიაში უფრო მეტად გამწვავდა. ვესტგუთების არისტოკრატია, რომელიც ომის პირველ ეტაპზე შემარიგებელ პოლიტიკას იჩენდა, ახლა როცა ხედავდა, რომ ბიზანტიელების ბატონობის გამო მისი მდგომარეობაც უნდა შეცვლილიყო, იძულებული გახდა დაბალი ფენებისადმი დათმობაზე წასულიყო.

უპირველეს ყოვლისა ეს იმაში გამოიხატა, რომ თეოდატის შენდეგ ოსტგუთებმა თავიანთ ხელმძღვანელებად იწყეს ისეთი კანდიდატების არჩევა, რომელნიც ან წარმოშობით დაბალი ფენებიდან იყვნენ, ან არა და დაბალი ფენების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მაგალითად, პროკოპი გადმოგვცემს, რომ ოსტგუთების მეფე ვიტიგესი წარმოშობით დაბალი ფენებიდან იყო. ასევე ილდიბადი, მის შემდეგ ტოტილა და ბოლოს—მისი ნათესავი ურაია საზოგადოების დაბალი ფენების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ერთი სიტყვით, ბიზანტიის მიერ წამოწყებული ომის მეორე ეტაპი ისეთ ვითარებაში გაიშალა, როცა ამოძრავებული იყო დაბეყრობლების წინააღმდეგ, როგორც იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენები, ისე ოსტგუთების არისტოკრატია.

ამგვარად, 541 წლიდან დაწყებული ახალი ომი სახალხო განთავისუფლებელ ომად გადაიქცა. ამ მნიშვნელოვან მოძრაობაში უდიდეს აქტივობას იჩენდა იტალიის მოსახლეობის მასა. აქ იყვნენ პირველ რიგში ოსტგუთების გლეხები, რომელთაც აქტიურ დახმარებას უწევდნენ იტალიის ღარიბი გლეხობა, მონები, კოლონები და სხვ. ამ მასების ზეგავლენით ოსტგუთების ხელმძღვანელნი უფრო გადამწყვეტ ნაბიჯებს სდგამდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ისინი მეურიგებლად და თავგამოდებით ეკვეთებოდნენ მოწინააღმდეგეს, რათა ამით მასების პატივისცემა დაემსახურებინაო.

[1] З. В. Удальцова, Прокопий Кесарийский и его „История войн готами“ (Прокопий из Кесарии, Война с готами, гл. 27).

ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითს ტოტილას საქმიანობა იძლევა. მისი იტალიის გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ პროკოპი გადმოგვცემს: „მთელს იტალიაში ის მიწათმოქმედთათვის ისეთს არაფერს აკეთებდა, რაც მათთვის არასასიამოვნო იქნებოდა. მან ნება დართო მათ სამუდამოდ და უშიშრად დაემუშავებინათ მიწა იქ, სადაც ისინი შეჩვეულნი იყვნენ მათ უნდა გაეღოთ მისთვის ის გადასახადები, რომელთაც ადრეევ ისინი იხდიდნენ ხაზინისა და მიწათმფლობელთა სასარგებლოდ"[1].

აქედან ჩანს, რომ მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესები ტოტილამ მნიშვნელოვნად შელახა. მათთვის კუთვნილი გადასახადები სახელმწიფოს შემოსავლად აქცია. უფრო მეტიც - მან თვით მიწათმფლობელებსაც გადასახადები შეაწერა. პროკოპის თქმით, როდესაც ტოტილამ ბრუტიები და ლუკანები დაიმორჩილა და დაიკავა აპულია და კალაბრია,—ყველა მონათმფლობელი სახელმწიფოებრივი გადასახადებით დაბეგრა.[2]

თუ რა წარმატებები მოჰყვა ტატილას რეფორმებს, ამას მოწმობს სხვა წყარო - ეგრეთ წოდებული „პრაგმატიული სანქციები", რომელიც იუსტინიანემ გამოსცა ოსტგუთების საბოლოო დამარცხების შემდეგ. ამ კანონის მიხედვით ოსტგუთების სამეფოს არსებობის ორი ეპოქაა მოცემული: თეოდორიხისა და ამალასუნტას ეპოქა და ეპოქა ტოტილას „ტირანიისა". ამ „სანქციების" მიხედვით ყველაფრის ლონისძიება, რაც ტოტილას მიერ იქნა გატარებული იტალიაში, უკანონოდ ცხადდება—ტოტილას მიერ გაცემული ყოველგვარი წყალობა, ან დასაჩუქრება, მის მიერ ჩატარებული მიწის, ან მოძრავი ქონების კონფისკაცია (ნათქვამია, რომ ყველა ისინი თავიანთ ძველ მეპატრონეებს უნდა დაუბრუნდეთ) და სხვ.

„პრაგმატიული სანქციების" ცნობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება ის, რაც მონებისა და კოლონებისადმი დამოკიდებულების საკითხს ეხება. ამ დოკუმენტში პირდაპირ ნათქვამია, რომ კოლონები, რომელნიც ამ ეპოქაში განთავისუფლდნენ, კვლავ ძველ მდგომარეობაში უნდა ჩადგნენ, ხოლო მონები, რომელნიც ტოტილამ გაანთავისუფლა, და კოლონები, რომელნიც განთავისუფლებულნი იყვნენ ბეგარისაგან და გადასახადებისაგან, კვლავ ძველ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდნენ.

აქედან აშკარად ჩანს, თუ რამდენად შორს წასულა ტოტილას მიერ ჩატარებული ღონისძიებანი სოციალურ-ეკონომიურ სფერო-

---

[1] Прокопий из Кесарии, Война с остготами, зд. 292.

[2] იქვე. зд. 275.

ში. სწორედ ასეთ ლონისძიებებს უნდა გადაექციათ ეს ომი რევოლუციურ გამათავისუფლებელ ომად. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ ტოტილას შეიარაღებულ ძალებში თავგამოდებით მოქმედებდნენ მონები, კოლონები და სხვ. როდესაც წარმოებდა მოლაპარაკება ტოტილასა და დიაკვან პელაგიუსს შორის რომის გუთებისათვის ჩაბარების შესახებ, პირველს უკანასკნელისათვის უთქვამს:

„პელაგიუს, რაც არ უნდა გვთხოვო, ჩვენ უარს არაფერზე არ მიიღებ, გარდა სამი პუნქტისა... მე გაფრთხილებ, რომ შენ არ იშუამდგომლო არც ერთი სიცილიელის თაობაზე, არ იქონიო ჩვენთან მსჯელობა არც რომის სიმაგრეებზე, არც იმ მონებზე, რომელნიც ჩვენ მხარეზე გადმოვიდნენ. გუთებისათვის შეუძლებელია რომელიმე სიცილიელის მეუნარება, ამ კედლების ხელუალებლად დატოვება, ნებართვა, რომ მონები, რომელნიც ჩვენ რიგებში იბრძოდნენ, კვლავ თავიანთი ძველი ბატონების მონებად გადაიქცნენ“ [1].

ტოტილას ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა მის მხარეზე არა მარტო იმ მონებისა და კოლონების გადავლას, რომელნიც იტალიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდნენ, ამავე ხელს უწყობდა ბიზანტიის ჯარების რღვევას და მასში მონაწილე დაბალი ფენების აგრეთვე გუთების მხარეზე გადასვლას. ამის თვალსაჩინო დადასტურებელია ტოტილას ჯარების დამარცხება ტამინთან, სადაც დაოცილთა შორის დიდი რაოდენობით აღმოჩნდნენ ბიზანტიის ჯარებიდან ოსტგუთების მხარეზე გადასულნი. ოსტგუთების მხარეზე გადასული „რომაელი მებრძოლები“ უმთავრესად ბარბაროსები იყვნენ [2].

როგორც აღნიშნული იყო, ომის ძეორე ეტაპი 541 წელს დაიწყო. 542 წელს ტოტილამ ცენტრალური იტალია თითქმის მთლიანად დაიპყრო და გაეშურა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ. აქ მან მალე დაიკავა კალაბრია, აპულია, ლუკანეი და ბრუტია. ოსტგუთების წარმატება ამ ბრძოლებში მართლა განსაცვიფრებელი იყო. ომის ამ მეორე ეტაპზე ველიზარის ჯარები ზედიზედ მარცხდებოდნენ. 543 წელს ტოტილამ ნეაპოლი დაიკავა. მთელი 544 წელიც ტოტილას ჯარების ტოიუმფალური წარმატებით დამთავრდა. 546 წელს ტოტილამ რომს ალყა შემოარტყა და 17 დეკემბერს აიღო კიდეც. 548 წელს, როცა ბიზანტიის იმპერა-

---

[1] Прокопий из Кесарии, Война с готами. стр. 301.

[2] იქვე, გვ. 131 და სხვ.

ტორმა დაინახა. რომ ველიზარი ვერ ახერხებდა მის წინააღმდეგ დასმული ამოცანის გადაწყვეტას, იგი უკან გაიწვია.

ამ ეტაპზე ველიზარის მოქმედების შესახებ პროკოპი წერდა: „ამჟამად ველიზარი ბიზანტიაში ყოველგვარი დიდების გარეშე ბრუნდებოდა: ის 5 წლის განმავლობაში იტალიის მიწაზე მაგრად ფეხმოკიდებული არ იყო. მას იმელეთით ამ მიწაზე არსად გაუცლია. მთელი ამ ინის განმავლობაში გაქცევით ინალეთოდა, მუდმივად მისცურავდა რა ერთ ზღვისპირა გამაგრებულ ადგილიდან მეორეში სანაპიროს გასწვრივ. ამიტომ იყო, რომ მტრებმა უშიშრად შესძლეს რომისა და სხვა ქალაქების დამონება“ [1].

ტოტილამ 549 წელს ხელახლად დაიკავა რომი. შემდეგში მან იერიშები მიიტანა რავენიზე და ტარენტზე. ეს უკანასკნელნიც გუთებმა დაიკავეს. საზღვაო ფლოტის გაძლიერების შემდეგ ტოტილას მეზღვაურები გაპედულ თავდასხმებს აწყობდნენ დალმაციაზე (549 წ.). 550 წელს გუთებმა დაიკავეს სიცილია, ხოლო 551 წ. კორსიკა და სარდინია. ამავე წელს მათ თავდასხმები მოაწყვეს კერკირაზე და ეპირის სანაპიროებზე. ბიზანტიელების ხელში დარჩა მხოლოდ ოთხი ზღვისპირა ქალაქი: რავენა, ანკონა, კროტონი და ოტრანტე.

ბრძოლების უკანასკნელი ეტაპი. ოსტგუთების საბეფოს დაცემა. ანჯერად იუსტინიანემ გადასწყვიტა მთელი ძალები დაერაზმა გუთების რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ იტალიაში მთლიანად აღედგინა მონათმფლობელური ურთიერთობა და იტალია საბოლოოდ ბიზანტიის შემადგენელ ნაწილად გადაექცია. 552 წელს ნარზესის ხელმძღვანელობით ბიზანტიის უზარმაზარი არმია დაიძრა ტოტილას წინააღმდეგ. გაზაფხულზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა ტაგინთან, სადაც ტოტილას ჯარები დამარცხდნენ, ხოლო თვით ტოტილა ბრძოლაში დაიღუპა.

ტოტილას დაღუპვის შემდეგ ბიზანტიელებს იმედი მიეცათ იმისა, რომ ოსტგუთები უსიტყვოდ ჩაბარდებოდნენ მტერს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მონებმა, კოლონებმა და საერთოდ გუთებმა თავიანთ ხელმძღვანელად აბლა უდიდესი ენერგიისა და გაძვედობის მქონე ტეია წამოაყენეს. ტეიას ჯარების რევოლუციურ-გამათავისუფლებელმა ბრძოლებმა გმირობის ეპოპეიას მიაღწიეს. ვეზუვის მისასვლელთან მონტე-ლეტერეს მახლობლად მდებარე კომპანიაში გამართულმა გუთების უკანასკნელმა ბრძოლამ მონათ-

[1] Прокопий из Кесарии, Война с готами, ეგ. 356.

მფლობელური იდეოლოგიის წარმომადგენელი პროკოპი კესარიელიც კი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

აი, როგორ აგვიწერს ამ ბრძოლას პროკოპი. ნარზესის მოქნილი ტაქტიკის შედეგად ბიზანტიელებმა გუთები ვეზუვის მახლობლად მოამწყვდიეს და ისინი მარაგის ნაკლოვანების გამო უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ასეთ პირობებში გუთებს ორი რამ დარჩენოდათ: ან ეთხოვათ ბიზანტიელებისათვის პატიება, ან შიმშილით დაეოცილიყვნენ, მაგრამ გუთებმა მესამე გზა გამონახეს—იარაღით ხელში, ბრძოლაში დახოცილიყვნენ. „მე მინდა აქ მოგითხროთ—ამბობს პროკოპი—ამ შესანიშნავ ბრძოლაზე და სიმამაცეზე, რომელიც, ვფიქრობ, არ ჩამორჩებოდა არც ერთი განთქმული გმირის სიმამაცეს და რომელიც ამ შემთხვევაში ტეიამ გამოიჩინა“ [1].

ბრძოლა დილაადრიან დაიწყო. გუთებს შორის ყველაზე მოწინავე ადგილს ტეია იკავებდა. ბიზანტიელები მიხვდნენ, რომ გუთების დამარცხება დამოკიდებული იყო ტეიას მოკვლაზე და ამიტომ ყველამ იქით მიმართა თავისი ისრები. მაგრამ ტეია მოხერხებულად თავს იცავდა. იგი არა ერთხელ ეკვეთა მტერს და ბევრი მოწინააღმდეგე განგმირა და ბოლოს თვითონაც დაეცა ბრძოლის ველზე. მიუხედავად ამისა, ოსტგუთები დალამებამდე მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას. მოწინააღძდეგეს მათ იმდენად დიდი ზიანი მიაყენეს, რომ ნარზესი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, გუთებისათვის მიეცა თავისუფლად ალყიდან გასვლის საშუალება. მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი დასტოვებდნენ იტალიის ტერიტორიას და კვლავ არ დაიწყებდნენ ბრძოლას. ასე დამთავრდა 18 წლის განძავლობაში წარძოებული ომი. 554 წელს ოსტგუთების სამეფო დაეცა.

---

[1] Прокопий из Кесарии, зд. 490.

თავი XVI

ლანგობარდები იტალიაში

ლანგობარდების დამკვიდრება იტალიაში. ოსტგუთების სამეფოს დაცემის შემდეგ იტალია აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად — პროვინციად გადაიქცა, რომელსაც მართავდა ნარზესი, ისე როგორც მანამდე მართავდნენ ოდოაკრი, ან თეოდორიხი. ნარზესის დროს იტალიის მმართველობაში მოხდა ერთგვარი ცვლილება. რომის სენატს ზოგიერთი ფუნქცია მართვა-გამგებლობაში ჩამოერთვა. ახლა იტალიის ყველა პროვინციის პრეფექტს თვითონ ნარზესი ნიშნავდა. ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ლონგინოსის დროს. უკანასკნელმა ბიზანტიაში გაწვეულ ნარზესის ადგილი დაიკავა, თავის რეზიდენციად რავენა ვამოაცხადა, თვითონ „ეკზარხი“ გახდა და იტალიის მართვა-გამგებლობის სადავეები ხელში ჩაიგდო.

ამიერიდან გაუქმდნენ კონსულარიების, კორექტორების და პრეზიდენტების თანამდებობანი. ქ. რომში გაუქმდა სენატი და მასთან ერთად კონსულობაც. ლონგინოსმა იტალია ცალკე საადმინისტრაციო ერთეულებად დაანაწილა და უმნიშვნელოვანეს ქალაქებში ჰერცოგები (duces) და მოსამართლეები დანიშნა. ასე წარმოიშვნენ ჰერცოგები რომში, ნეაპოლში, ჰაეტეში, სორენტოში, ბენევენტეში, ბრეშიაში, ფრიულეში, ტურინოში და სხვ[1].

ვესტგუთების იტალიიდან წასვლით ახალ წარმოქმნილ საეკზარხოში შინაგანი დაძაბული ვითარეობა არამც თუ შენელდა, არამედ უფრო აუტანელი გახდა. იტალიის ვითარების დაკავშირება ბიზანტიასთან, პირველს უკანასკნელის სათარეშო ობიექტად ხდიდა. ბიზანტიის სახელმწიფოებრივი აპარატის უდიდესი ხარჯები და

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V. გვ. 25, გამ. 1938 г.

შერყეული ფინანსიური მდგომარეობა ახალ საშემოსავლო წყაროს გამონახვას მოითხოვდა. ამის შედეგად იტალიაში გადასახადები უფრო მეტად გაიზარდა. ბიზანტიელი მოხელეების მეკრთამეობას და იტალიის სხვადასხვა კუთხეების დაობევას საზღვარი აღარ უჩანდა, იტალიის მოსახლეობა ააღა უფრო მეტ უკმაყოფილებას იჩენდა ბიზანტიელების ბატონობით. ყოველივე ამან ბიზანტიელების პოზიციები იტალიაში მნიშვნელოვნად შეასუსტა. ჯერ კიდევ 14 წელიწადი არ იყო გასული დღიდან ოსტგუთების სამეფოს დამხობისა, როცა იტალიაში ხელახლად დაიწყო ძველი გერმანელი ტომების, ამჯერად ლანგობარდების შემოსევა.

(თავდაპირველად ლანგობარდები ელბის შესართავთან მდინარის მარცხენა ნაპირზე მოსახლეობდნენ) მათზე ყველაზე ადრინდელ ცნობებს პტოლემეოსი გვაწვდის. „ხალხთა დიდი გადასახლების“ დროს ლანგობარდებმა იწყეს სვლა უფრო სამხრეთისაკენ, პანონიისაკენ. მათ შესახებ ველეესი ბოგვითხრობს, რომ ისინი დიდად მებრძოლნი იყვნენ და ამ მხრივ, მიუხედავად მათი მცირე რიცხოვანობისა, ისინი ხშირად ახერხებდნენ მოწინააღმდეგეების დამარცხებას. ერთხანს ხერუსკებთან ერთად ისინი იბრძოდნენ მარბოდას წინააღმდეგ. ლანგობარდების ერთი ნაწილი მონაწილეობდა აგრეთვე მარკომანების ომში. (საუბრეთისაკენ სვლის დროს დუნაისთან ლანგობარდებს წინააღუდგნენ გერულები და გეპიდები.)

(გერულებთან ლანგობარდების ბრძოლის დროს მოკლულ იქნა გერულების ხელმძღვანელი როდოლფი და ლაგობარდებმა გაიმარჯვეს. შემდეგში ალბოინის ხელმძღვანელობით ლანგობარდებმა სასტიკად დაამარცხეს გეპიდები. გეპიდების დამარცხებით ლანგობარდებმა მოსპეს უკანასკნელი წინააღმდეგობა იტალიისაკენ გალაშქრების საქმეში და იტალიის საზღვრებთან აღმოჩნდნენ. იტალიაში შეჭრის მიზნით ალბოინმა შემოიერთა: ჰუნები, საქსები, ბულგარელები, გეპიდები, სვევები და სარმატები. მარტო საქსების რაოდენობა 20 000 კაცამდე აღწევდა[1]. ყველა ესენი თავიანთი ცოლებითა და შვილებით დაიძვრნენ იტალიისაკენ.

ოსტგუთებისაგან განსხვავებით ლანგობარდების დაპყრობები უფრო რევოლუციური ხასიათის მატარებელი იყვნენ. ბრძოლების დროს იტალიის ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ფენები არამც თუ წინააღმდეგობას უწევდნენ ლანგობარდებს, არამედ მათ მხარეზე გადადიოდნენ) იტალიაში დაწყებული მონებისა და კოლონების აჯანყება ლანგობარდებს გზას უკაფავდა ახალ-ახალ დაპყრობებისათვის.

---

[1] П. Кудрявцев, Судьбы Италии, გვ. 107.

პანონიიდან გამოსვლისათვის ალბოინი გაეშურა ვენეციის ოლქისაკენ. მან მალე დაიკავა ამ ოლქის მთავარი ქალაქი ფრიაული, სადაც ჰერცოგად თავისი ნათესავი გიზულფი დანიშნა. ამგვარად ლანგობარდების ტომთა ერთი ნაწილი ამ ოლქში დასახლდა, ხოლო დანარჩენებმა გასწიეს წინ. ვიჩენცა და ვერონა ლანგობარდებს ყოველივე წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარდნენ. ვენეციის ოლქში მხოლოდ სამმა ქალაქმა (პადუამ, მონცეფელიჩემ და ბანტუამ) არ მოისურვა დამორჩილება. რომ დიდი დრო არ დაეკარგა მათთვის ალყის შემორტყმაზე, ალბოინმა ისინი უკან მოიტოვა და წავიდა ლიგურიისაკენ.

(არც ლიგურიაში შეხვდათ ლანგობარდებს რაიმე დიდი წინააღმდეგობა. აქაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ მხარეზე გადადიოდა. ბრძოლები მთოლოდ მილანოსთან გაიმართა, რაც ლანგობარდების გამარჯვებით დამთავრდა) მილანოს დაკავების შემდეგ ეგრეთწოდებული ციხალპიური გალია ზოგიერთი ადგილების გამოკლებით ლანგობარდების ძირითად დასაყრდენ ადგილად გადაიქცა. ამგვარად ჩრდილოეთ იტალიას ლანგობარდია, ხოლო შემდეგში ლომბარდია ეწოდა. ლანგობარდების დაპყრობის გარეშე დარჩა ვენეცია და რავენა. შემდეგში ბრძოლების წარმოების შედეგად ლანგობარდებმა დაიპყრეს ტოსკანა და შეიჭრნენ უმბრიაში, სადაც დააარსეს სპოლეტის საჰერცოგო.

(მთოლოდ პავიამ და ზოგიერთმა ზღვისპირა ქალაქმა დროებით შეაჩერა ლანგობარდების წინსვლა. პავიის ალყა სამი წელი გრძელდებოდა. ამ ქალაქის აღებისა და მისი ლანგობარდების სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ ლანგობარდების დაპყრობები იტალიაში ძირითადად დამთავრდა) ჩრდილოეთ იტალიის გარდა, ცენტრალური იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილიც ლანგობარდების ხელში გადავიდა, ხოლო სამხრეთი იტალია და ქ. რომიც ლანგობარდების დაპყრობების გარეშე დარჩნენ.

(573 წელს ალბოინი მოკლული იქნა ვერონაში, მაგრამ ეს მოხდა არა ბრძოლის ველზე, არამედ მისივე ცოლის როზამუნდას წაქეზებით. ეს იყო შურისძიება, რომელიც როზამუნდამ ჩაიდინა იმის გამო, რომ ადრევე ალბოინმა მოჰკლა გეპიდების მეფე კუნიმუნდა, რომელიც როზამუნდას მამა იყო. ლანგობარდებმა ამავე წელს თავის მეფედ კლეფი აირჩიეს, მაგრამ 18 თვის მეფობის შემდეგ იგიც მოკლულ იქნა. კლეფის გარდაკვალების შემდეგ ლანგობარდებს 10 წლის განმავლობაში მეფე აღარ ჰყოლიათ" [1].)

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т, V, გვ. 26.

(მათ დაპყრობილი ადგილები 30 საჰერცოგოდ დაჰყვეს.) თვითეული ჰერცოგის რეზიდენცია რომელიმე მნიშვნელოვან ქალაქში იმყოფებოდა. ასეთები იყვნენ: პავია, ბერგამი, ბრეშია, ტრიდენტი (ტრიენტი), სპოლეტო, მილანო, ფრიული და სხვ. თვითეული ჰერცოვი თავის სამფლობელოში დამოუკიდებლად მოქმედებდა და თავისი ნებისამებრ წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ჯერ კიდევ ალბოინი ანიჭებდა მათ დიდ უფლებებს. „ჰერცოგები, რომელთაც ლონგინოსი ნიშნავდა — ამბობს მარქსი — სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა მქონე პირები იყვნენ; ჰერცოგები, რომელთაც ალბოინი ნიშნავდა, იყვნენ ნამდვილი ფეოდალური ხელძღვანელები, რომლებიც თავიანთ ოლქებში თავიანთი ხალხის ნაწილებით დამკვიდრდნენ და სხვ.“ [1].

მართალია, პოლიტიკურად ასეთი დაქუცმაცების პირობებშიაც ლანგობარდები ახერხებდნენ არა მარტო თავდაცვას ბიზანტიელებისაგან, არამედ მათ შევიწროვებასაც მთელ რიგ ადგილებში; საქმე იქამდეც მივიდა, რომ ლონგინოსი იძულებული გახდა მათთან საზავო ხელშეკრულებაც კი დაედო და ამით ოფიციალურად ეცნო ლანგობარდების დაპყრობანი. მიუხედავად ამისა ლანგობარდებისათვის საშიშროება, მაინც იზრდებოდა, ახლა უკვე ფრანკების მხრით. ასეთ ვითარებაში საჭირო გახდა პოლიტიკური გაერთიანება და (585 წელს ლანგობარდებმა კვლავ აირჩიეს მეფე, ავტარისი.)

ავტარისის დროს ჰერცოგების უფლებამოსილება ნაწილობრივ შესუსტებულ იქნა. ავტარისმა, თავის ხალხთან ერთად, არიოზული მინდინარეობის ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. ხილდებერტთან (ფრანკებთან) ბრძოლა მან წარმატებით ჩაატარა. 589 წლის გაზაფხულზე ავტარისმა იერიშები მიიტანა იმ საჰერცოგოებზე, რომლებიც მანამდე ბიზანტიის ეკზარხს ემორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელნი დაამარცხა და მათ სამფლობელოებში ერთი, ბენევენტის საჰერცოგო ჩამოაყალიბა.

ლანგობარდების სამეფო პოლიტიკურად უფრო ძლიერდება როტარისა (636 — 652) და ლუტპრანდის (712 — 743) მეფობის დროს.)

ლანგობარდების ეკონომიური განვითარების პირვანდელი დონე და მათი დაპყრობების ხასიათი. სანამ ლანგობარდები იტალიაში მოვიდოდნენ, მათი სოციალური და ეკონომიური დონე გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ვესტგუთებისა, ოსტგუთებისა და ვანდალებისაც კი. მათში „რომანიზაცია“ ჯერ კიდევ არ იყო ჩატარე-

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, гз. 25.

ბული.) მათი თემური წყობილება საშუალოდან უმაღლეს საფეხურზე ახლა იწყებდა გადასვლას. კლასების საბოლოო ჩამოყალიბება არ იყო მომხდარი და სახელმწიფოებრივი აპარატი არ გააჩნდათ. ლანგობარდები იტალიაში მოსვლამდე არ იცნობდნენ გადასახადებს და მით უფრო იმ რთულ საგადასახადო სისტემას, რომელიც მათ იტალიაში დახვდათ. მათი მეფეები სამხედრო ხელმძღვანელებს წარმოადგენდნენ და მათში ტომთა გაერთიანებაც სამხედრო კავშირის ხასიათის მატარებელი იყო. ლანგობარდების ზნე-ჩვეულებანი და ადათები წერილობით ჯერ კიდევ არსად იყო ფიქსირებული.

(ვესტგუთებმა და ოსტგუთებმა ახალი ადგილების დაპყრობისთანავე შეადგინეს ეგრეთ წოდებული სამართალი, ლანგობარდებმა კი იტალიის დაპყრობიდან 73 წლის გავლის შემდეგ.) 644 წელს ლოტარმა პავიაში პირველად მოიწვია თავისებური სეიმი, რომელმაც მიიღო ახლად შედგენილი ლანგობარდების კანონები. ეს კანონები ნაწილობრივად გადაკეთებულ იქნა გრიმოალდის დროს (662 — 671). მეფე ლუტფრანდის ხანაში (712 — 743) ეტყობა, რომ საჭირო გახდა ამ კანონმდებლობისათვის ზოგიერთი რამის დამატება. ძეგლისდების შემდეგი გაფართოება მოხდა მეფეების — რახისის (744 — 749) და აისტულფის (749 — 756) მიერ.

ლანგობარდების ადრინდელი სოციალურ-ეკონომიური დონის ჩამორჩენილობა სხვა მხრივაც დასტურდება. თუ ვესტგუთებსა და ოსტგუთებს არიოზობა ახალი რელიგიის სახით მიღებული ჰქონდათ ჯერ კიდევ შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე ყოფნის დროს, ე. ი. მეოთხე საუკუნის შუალედში, ლანგობარდებმა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, იგივე არიოზობა მეექვსე საუკუნის 90-იან წლებში გახადეს თავიანთ სარწმუნოებად.

(ბუნებრივია, რომ ლანგობარდების სოციალურ-ეკონომიური განვითარების ჩამორჩენილობამ განსაზღვრა მათი დაპყრობების ხასიათი და თუ ოსტგუთების მეფემ თეოდორიხმა მიზნად დაისახა იტალიაში ძველად არსებული სახელმწიფოებრივი აპარატის გამოყენება, რომაულ არისტოკრატიაზე დაყრდნობა და ამით ოსთგუთების ბატონობის განმტკიცება, რა თქმა უნდა, ლანგობარდებს ეს არ შეეძლოთ;) ამით აიხსნება ოსტგუთებისა და ლანგობარდების დაპყრობათა სხვადასხვაობაც.

(ლანგობარდებმა დაპყრობების დაწყებისთანავე თავიანთ დასაყრდენ სოციალურ ბაზად იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენები გახადეს, ხოლო რომაელ მსხვილ მიწათმფლობელებსა და მაღალ სასულიერო წოდებას დაუწყეს ფიზიკური განადგურება და მათი მამულების კონფისკაცია.) ამ გარემოებას თვალსაჩინოდ ადასტუ-

რებენ ლანგობარდების ისტორიკოსის პავლე დიაკონისა და რომის პაპის გრიგოლის ცნობები. კუდრიავცევის თქმით[1] კლეფის მმართველობის პირველი წლის განმავლობაში მოკლული იქნა რომაული „უმაღლესი კლასის (potentes) წარმომადგენელთა დიდი რაოდენობა, ხოლო სხვები ლანგობარდებმა აიძულეს გაქცევით ეშველათ თავისათვის.

ასე მოიქცა, მაგალითად, პატრიარქი აკვილეოსი, რომელმაც როცა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ფრაული ლანგობარდებმა დაიპყრეს, თან წაიღო საეკლესიო ქონება და კუნძულ გრადოსზე გაიქცა; მაშინ როცა ლანგობარდები მილანოს უახლოვდებოდნენ, ეპისკოპოსი ჰონორატი სასწრაფოდ გენუაში გაიქცა და თან გაიყოლა უამრავი საეკლესიო ქონება. მაგრამ ყველა ესენი გარბოდნენ არა იმიტომ, რომ ლანგობარდები რაიმე ფანატიკურ დამოკიდებულებას იჩენდნენ რელიგიის სფეროში, არამედ იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ თავიანთი ქონების დაღუპვისა.

ამ დროსაო, ამბობს პავლე დიაკონი, მრავალი რომაელი კეთილშობილი ჰერცოგების გაუმაძღრობის მსხვერპლად გადაიქცა. მათ ყველას ჩამოართვეს უძრავ-მოძრავი ქონება და თუმცა თავისუფლება არ აღუკვეთეს, კეთილშობილნი მათხოვრებად გადააქციეს. ერთ ხანად, როცა ჰერცოგებს დასჭირდათ მძლავრი ხელისუფლება და მათ თავიანთთვის მეფე აირჩიეს, იძულებული გახდნენ მეფისათვის თავიანთი სამფლობელო მამულების ნახევარი გადაეცათ. მაგრამ მათ მალე თავიანთი დანაკლისი რომაელ მემამულეების მიწებით აინაზღაურეს. ის რომაელები, რომელნიც მამულების სრულ კონფისკაციას გადარჩნენ, იძულებული იყვნენ თავიანთი მიწების ნახევარი ლანგობარდებისათვის დაეთმოთ.

აღნიშნულმა გარემოებამ რომაელთა გაბატონებული კლასი ფაქტიურად მოსპო, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. გარდა ამისა ლატიფუნდიალური ტიპის მსხვილი მიწათმფლობელობა საესებით დაიშალა და მის მაგივრად გაბატონდა წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც ძირითადად თავისუფალ შრომაზე იყო დამყარებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლანგობარდები თანაბარ უფლებებს ანიჭებდნენ ყველა თავისუფალ პირს — იქნებოდა ის რომაული თუ ლანგობარდული წარმოშობისა. სამხედრო საჰსახურში ყველა თავისუფალი უნდა შესულიყო. საჰხედრო პირს ისინი ლანგობარდულად „arimannus“ უწოდებდნენ, ხოლო რომაულად — „exercitalis“. ორივე ეს სიტყვა „თავისუფალს“ ნიშნავს.

[1] П. Кудрявцев, Судьбы Италии, зз. 129.

იტალიის დაპყრობისას თემურ წყობილებაში მყოფ ლანგობარდებს არ შეეძლოთ ხელუხლებლად დაეტოვებინათ რომაელების რთული სახელმწიფოებრივი აპარატი თავისი მრავალფეროვანი საგადასახადო სისტემით. ლანგობარდები დაკმაყოფილდნენ ნსხვილი მიწათმფლობელების ქონების კონფისკაციით და მათზე ხარკის შეწერით. ლანგობარდების მკაცრმა დაპყრობებმა ბოლო მოუღო რომაულ ტრადიციებს და ყველგან გერმანული ზნე-ჩვეულება დანერგა. დაპყრობისთანავე იტალიაში ყველა პირდაპირი გადასახადი მოისპო.

ყოველივე შემთხვევაში, გადასახადი მიწაზე და სულადი გადასახადი, რომელიც იტალიის მოსახლეობის დაბალ ფენებს ეკონომიურად აჩანაგებდა, ლანგობარდების ბატონობის პირველ პერიოდში, ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას. ადელგიზის მიერ ბრეშიის მონასტრისადმი გაცემულ სიგელში მკაფიოდ ნათქვამი იყო, რომ მონასტრის გლეხობა მთელ რიგ გადასახადებისაგან და ვალდებულებებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ლანგობარდების ადმინისტრაციულ მმართველობაში არ არსებობდა რაიმე სპეციალური საგადასახადო ორგანო [1].

ლანგობარდების სამეფოს სოციალური მხარე. ფეოდალიზაციის დასაწყისი. (დაპყრობის შემდეგდროინდელი იტალიის სოციალურ-ეკონომიური ვითარების ასახვა ოცენულია ლანგობარდების მეფეების როტარის, ლიუტპრანდის და აისტულფის კანონმდებლობაში.) უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ლანგობარდულ იტალიაში ორი კანონმდებლობა ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ვესტგუთებისა და ოსტგუთების სამეფოებში, არ შეიქმნა. როტარის კანონმდებლობაში თითქმის არსად არაა ნახსენები რომაული წარმოშობის კლასები. სიტყვა რომაელი, Romani homines მხოლოდ შემდეგში ლიუტპრანდის კანონმდებლობაში გვხვდება. ეტყობა, რომ რომაელების უმრავლესობა, როგორც ნახევრად თავისუფალი „ალდიები" დაექვემდებარა როტარის კანონმდებლობას [2].

(ამ კანონმდებლობის მიხედვით მთელი საზოგადოებრიობა ძირითადად ორადაა დაყოფილი: თავისუფალნი და მონები.) მართალია, მასში განთავისუფლებულნიც იხსენიებიან, მაგრამ მათი ერთი ნაწილი თავისუფალთ მიეკუთვნება, ხოლო მეორე — მონებს. ეს ფენა

---

[1] П. Виноградов, Происхождение феодальных отношений в Италии, იხ. Журнал Министерства народного просвещения. 1880 г. апрель, зз. 166.

[2] П. Кудрявцев, Судьбы Италии, зз. 197 — 198.

(განთავისუფლებულებისა) ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მყარ სოციალურ საფეხურზე მდგომს და გარდამავალ ვითარებაში იმყოფებოდა. ისე როგორც ალდიები; (რაც შეეხება თავისუფალთა წოდებას, აქაც არ იყო ჯერ კიდევ გატარებული რაიმე მნიშვნელოვანი დიფერენციაცია.) როტარის ედიქტში რაიმე არისტოკრატიულ ფენის და პრივილეგიურ პირთა შესახებ ან არაფერი იყო ნათქვამი, ან არა და მათი თავისუფალ პირებთან სხვაობა ძალიან მკრთალად იყო მოცემული. შესაძლებელია ეს სხვაობა ცხოვრებაში უკვე არსებობდა, მაგრამ იგი ჯერ ისე შორს არ იყო წასული, რომ ედიქტში ასახულიყო.

ლიუტფრანდის კანონმდებლობაში ჩანს, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია გაცილებით შორს წასულა. 62 ე მუხლით ლანგობარდების ერთი ფენის ვერგელდი შეფასებულია 150, ხოლო მეორე ფენის — 300 სოლიდით. ამ მხრივ უფრო საყურადღებო ხდება აისტულფის კანონმდებლობის მეორე მუხლი, რომლითაც ლანგობარდების შეიარაღებული ძალები სამ ნაწილადაა დაყოფილი. ჯარების შემადგენლობის დაბალი ნაწილი ცხადდება მშვილდით, ისრებითა და კაპარჭით, საშუალონი შეიარაღებულნი უნდა იყვნენ ფარით და შუბით, ესენი ცხენოსნები არიან. ყველა ამასთან ერთად, უმაღლესი ნაწილი, რომელიც წარჩინებულებისაგან შედგება, ატარებს აგრეთვე ჯავშანს [1].

ამასთან ერთად სამართალში დადგენილია ის ცენზი, რომლის მიხედვითაც არიმანი (სამხედრო ვალდებული) უნდა მიეკუთვნოს ჯარების ამა თუ იმ ნაწილს. მას, ვინც შვიდ საღალო კომლსა ჰფლობს, უნდა ჰქონდეს ჯავშანი, მაშასადმე, მაღალ წრეს მიეკუთვნება; ის ვინც ორმოც იუგერ (დაახ. 10 ჰექტ.) მიწასა ფლობს, საშუალო წრეს განეკუთვნება, ხოლო დაბალ ფენას მიეკუთვნებიან წვრილი გლეხური მეურნეობის მქონებელნი და მცირე მიწის პატრონები. აქედან აშკარად ჩანს თუ როგორ შორს წავიდა ლანგობარდების სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია იტალიის დაპყრობის შემდეგ, VIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

(თუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს როტარის ედიქტსა და აუსტულფის კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ მეშვიდე საუკუნის. დასაწყისში ადამიანის შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჯერ კიდევ ლანგობარდების ძველ წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა, ხოლო მერვე საუკუნის შუალედში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიწათ-

---

[1] П. Виноградов. Происхождение феодальных отношений в Италии, ss. 227.

მფლობელობას გააჩნია. ამგვარად ლანგობარდებში გვაროვნულ არისტოკრატიისაგან აღარაფერი დარჩა და ახლა მისი იდგილი მსხვილმა მიწათმფლობელებმა დაიკავეს. ამ გარემოებას შემდეგში მოჰყვა ქვეყნის თანდათანობითი ფეოდალიზაციაც.)

ჯერ კიდევ როტარის დროს იყო განთავისუფლებულთა ფენა, რომელიც განთავისუფლების შემდეგაც რჩებოდა ერთგვარ დამოკიდებულებაში გამათავისუფლებელის მიმართ. აუსტულფის კანონმდებლობის 11 ე მუხლის მიხედვით იგივე ფენის წარმომადგენლები მოვალენი იყვნენ თავიანთი გამათავისუფლებლის მითითებები შეესრულებინათ და მათ გვერდში ამოსდგომოდნენ საჭირო შემთხვევებში. მაგრამ ძლიერი და საპატიო პირების გარშემო მფარველობის მიზნით თავს იყრიდნენ არა მარტო მონები და განთავისუფლებულნი, არამედ თავისუფალი ლაშქრის წევრები, რომელნიც თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის ამ ძლიერი პირისაგან გასამრჯელოსა და საჩუქრებს ღებულობდნენ.

ძლიერი პირების მფარველობა მერვე საუკუნეში ერთის მხრივ მისაღები აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის, რადგან მათში ის დამხმარეებს ხედავდა. მაგალითად, მსხვილ მიწათმფლობელს ევალებოდა თვითონ მოენახა თავისი მოიჯარადრე გლეხი, რომელმაც რაიმე ბოროტმოქმედება ჩაიდინა და ის ხელისუფლებისათვის გადაეცა. მეორე მხრივ იგივე მფარველობა ხელისუფალთათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან კერძო პირები ამით პოლიტიკურად ძლიერდებოდნენ. ხოლო ხელისუფლება მასებში ჰკარგავდა თავის გავლენას.

კომენდაციაში, ე. ი. მფარველობაში გადასვლა თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა. მფარველობის მიღებისათვის გლეხი თავის მიწას ძლიერი და გავლენიანი პირის საკუთრებად აქცევდა და შემდეგ ამავე მიწას უკან ღებულობდა სამემკვიდრეო იჯარით. ასე, მაგალითად, 765 წელს ვინმე ბონუელმა გუნტუფრიდს თავისი მიწა გადასცა და შემდეგ ის უკან მიიღო სამემკვიდრო იჯარაში, რისთვისაც წელიწადში თორმეტი დღე მფარველის სასარგებლოდ ესასყიდლოდ უნდა ემუშავნა. ამგვარი საშუალებებისა და ხანდახან პირდაპირი ძალდატანების გამოყენებითაც იტალიაში იზრდებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათისა.

კომენდაციის განვითარებასთან ერთად ფეოდალიზაცია იტალიაში სხვა მხრივაც იკაფავდა გზას. მართალია, ლანგობარდების ბატონობის დროს ეგრეთ წოდებული იმუნიტეტი ფართოდ არ იყო განვითარებული, მაგრამ მისთვის წინაპირობანი უკვე მზადდებოდა.

ძლიერი პიროვნება, რომელიც თავის მფარველობის ქვეშ იყვანდა სუსტებს, არსებითად ის მათზე გავლენას ახდენდა. მფარველობის ქვეშ მყოფი პირები გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ და, მაშასადმე, მფარველის გავლენა ამ ტერიტორიაზეც იწყებდა გავრცელებას. ეს იმას ნიშნავდა, რომ ასეთ დასახლებულ ადგილებში მფარველის გარდა, სხვას არავის უნდა მიცემოდა უფლება საქმეებში ჩარევისა და თუ ამას მფარველი მიაღწევდა, მაშინ კომენდაცია იმუნიტეტად გადიქცეოდა.

მართალია, ლანგობარდების სამეფოში იმუნიტეტის საყოველთაო გავრცელება ვერ მოესწრო, მაგრამ მსხვილი მიწათმფლობელები თანდათან მსხვილ ფეოდალებად იქცნენ და სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში თანდათან მეტი პრივილეგიები მოიპოვეს. ასევე ფეოდალებად იქცნენ გაზინდები, ანუ კერძო ლაშქრის ხელმძღვანელები და გასტალდები, ანუ მეფის მოხელეები. რაც შეეხებოდა ჰერცოგებს, როგორც თავიდანვე იყო აღნიშნული, ისინი ყველაზე უფრო მსხვილ ფეოდალებად გადაიქცნენ და ხშირად ურჩობას იჩენდნენ სამეფო ხელისუფლებისადმი.

ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ვითარება VIII საუკუნის მეორე ნახევარში (VIII საუკუნის მეორე ნახევარში ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვნად შეირყა. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერება ერთი მხრივ იწვევდა გლეხთა აჯანყებებს, ხოლო მეორე მხრივ, ფეოდალების ბრძოლას სამეფო ხელისუფლებასთან.) ჰერცოგების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ უფრო მეტად აქუცმაცებდა ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას და ასეთ პირობებში ლანგობარდების მერვე საუკუნის ნახევარში მოქმედ მეფეებს არ აძლევდა საშუალებას ბიზანტიის ეკზარხატის მოსპობისათვის იტალიაში და რომის პაპების დამოუკიდებლობის საბოლოო აღკვეთისათვის.

(როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ლანგობარდების დაპყრობების დროს ქ. რომი, რავენა და სხვა ადგილები სამხრეთ იტალიის ჩათვლით ეგრეთ წოდებულ საეკზარხოში დარჩა. რომელიც უშუალოდ ბიზანტიას ექვემდებარებოდა.) ბიზანტიის წარმომადგენელი — ეკზარხი რავენაში იმყოფებოდა, ხოლო ქ. რომი ფაქტიურად პაპების სამოქალაქო მმართველობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც რავენასა და რომს შორის მდებარე ზოგიერთი ადგილი ლანგობარდებმა დაიკავეს. რომი, რა თქმა უნდა, კვლავ ცდილობდა კონსტანტინეპოლთან კავშირის დამყარებას და ის ბიზანტიელებისაგან მოითხოვდა დახმარებას ლანგობარდების წინააღმდეგ, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროისათვის თვით ბიზანტიას ურთულ-

დებოდა საერთაშორისო ვითარება, ამიტომ იგი რომის თხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. ლანგობარდების მეფეებისათვის აშკარა გახდა ის, რომ მათი ბატონობის საბოლოო განმტკიცებისათვის საჭირო იყო საეკზარხოს მოსპობა და თვით ქ. რომის დამორჩილება.

ვიდრე ბიზანტიის იმპერატორის ტახტს ისაურთა დინასტიის წარმომადგენელი ლეონ III დაიკავებდა, ზემოხსენებული ამოცანის გადაწყვეტა, მაინც რთულ საქმედ მოჩანდა, რადგან რომის კათოლიკურ ეკლესიასა და კონსტანტინეპოლის ეგრეთ წოდებული მართლმადიდებლობას შორის რაიმე მნიშვნელოვანი განხეთქილება მაშინ არ არსებობდა. ლიუტფრანდის გამეფების ხუთი წლის შემდეგ (717 წ.) ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი ლეონ III ხელში გადავიდა. ამასთან დაკავშირებით ბიზანტიაში დაიწყო ძლაკრი მოძრაობა, რომელიც ისტორიოგრაფიაში ცნობილია ხატთმებრძოლობის სახელწოდებით.

ეს მოძრაობა ვითარებოდა ბიზანტიის იმპერატორის ხელის შეწყობითა და წაქეზებით. ბუნებრივია, რომ ეკზარხმა მიიღო იმპერატორისაგან მითითება ასეთივე მოძრაობის წამოწყების შესახებ იტალიაში. რომის პაპი ამ ღონისძიებას წინააღუდგა. მის წინააღმდეგ ასეთივე დამოკიდებულება გამოიჩინა ლიუტფრანდმა როგორც კათოლიკური სარწმუნოების მატარებელმა (კათოლიკობა ლანგობარდებმა მიიღეს აგილულფის მეფობის დროს (596 — 615). მან ეს გარემოება მოიმიზეხა და დაიწყო ბრძოლა საეკზარხოს ქალაქების დაპყრობის მიზნით და როცა რავენის მოსახლეობა ეკზარხოსის წინააღმდეგ აჯანყდა, ლიუტფრანდის ჯარებმა რავენა დაიკავეს.

ლუტფრანდის გაძლიერება რომის პაპისათვის სრულიადაც არ იყო სასურველი და ამიტომ დროებით ისევ იმპერატორის ხელარეზე გადავიდა. ამასთან თავი ირინა უკმაყოფილებამ ლანგობარდელ ჰერცოგებსა და მეფეს შორის, რომელიც იძულებული გახდა რავენა დაეტოვებინა. მიუხედავად ამისა, ლეონ III კელავ დაჟინებით განაგრძობდა ხატთმებრძოლობას, ცდილობდა რომაული ეკლესიის ქონების კონფისკაციას. (ამიერიდან რომის ეკლესიასა და ბიზანტიის მართლმადიდებლობას შორის ამ ნიადაგზე სრული განხეთქილება ეოხდა, რომაელები ბოლოანად ჩამოცილდნენ ბიზანტიას.)

(ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტამ გაოიწვია ის, რომ რომაელებმა პაპი გრიგოლ მეორე აღიარეს თავიანთ მესვეურად მისთვის მეფობის ტიტულის მინიჭების გარეშე. სამაგიეროდ ბიზანტიის ეკზარხმა ეეტეხიმ კავშირი შეკრა ლიუტფრანდთან და გაერთიანებული ძალებით იწყეს იერიშების მიტანა რომზე. ამჟამად გრიგოლ მეორე შეეცადა კავშირი დაემყარებინა კათოლიკური სარწმუნოების მქონე ფრანკების მაიორდომთან კარლოს მარტელთან.)

დადებულ ხელშეკრულების მიხედვით კარლოს მარტელმა იკისრა ეკლესიისა და რომის დაცვა ლანგობარდებისაგან და ბიზანტიელებისაგან; მეორე მხრივ, (რომაელებს კარლოს მარტელი უნდა თავის მფარველად ეღიარებინათ და მისთვის კონსულობის წოდება მიენიჭებიათ.)

(აღნიშნული შეთანხმების სისრულეში მოყვანა შეუძლებელი ვახდა იმის გამო, რომ კარლოს მარტელი ჩაბმულ იქნა არაბებთან ბრძოლაში და იტალიისათვის ვეღარ მოიცალა. მეორე მხრივ ლიუფრანდისა და ბიზანტიელების კავშირიც რომაელების წინააღმდეგ ვერ იქნა განხორციელებული. 743 წელს ლიუტფრანდი გარდაიცვალა. მის შემდეგ გამეფებული ხილდებრანდი დიდხანს ვერ გაჩერდა სამეფო ტახტზე. სამი თვის განმავლობაში შეთქმულმა ფეოდალებმა ის ტახტიდან გადმოაგდეს.) 744 წლიდან ლანგობარდების მეფედ რახისი ითვლებოდა, მაგრამ მის დროსაც განდგომილ დიდგვარიანების თავაშვებულება და კლასობრივი წინააღმდეგობანი იმდენად გამწვავდა, რომ იგი იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო მონტო კასინოს მონასტერში (756 წ.).

(ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ვითარება დროებით აისტულფის მეფობის დროს (749 — 756) გამოსწორდა. აისტულფეს შესაძლებლობა მიეცა აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა. მან მოახერხა რავენიდან ბიზანტიელების განდევნა და დაიძრა ჯარებით რომისა და პაპის წინააღმდეგ. რომის პაპმა დახმარებისათვის ფრანკების მესვეურს პიპინ „მოკლეს" მიმართა. პიპინი პაპმა მეფედ აკურთხა და რომის პატრიციის წოდება მიანიჭა. 754 წელს ფრანკების ჯარებმა ალპები გადალახეს და ბრძოლებით აიძულეს აისტულფი დაედო საბავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით პიპინმა პაპს გადასცა ის ქალაქებიც, რომელნიც სადავოს წარმოადგენდნენ.) ამიერიდან რომის პაპი საერო მესვეურადაც გადაიქცა.

(ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ვითარება უფრო მეტად დეზიდერის მეფობის ხანაში (756 — 774) გამწვავდა. სამეფოს დამოკიდებულება რომის პაპთან აუტანელი გახდა. რომის პაპმა დახმარებისათვის კვლავ ფრანკებს მიმართა. ამჯერად კარლოს „დიდმა" დაიწყო ლაშქრობა იტალიაში. დეზიდერის ფეოდალურმა ჯარებმა ფრანკებს ვერ გაუწიეს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა და მერვე საუკუნის 80-იან წლებში ლანგობარდების სამეფო დაეცა.) ამგვარად ლანგობარდების სამეფოს არსებობის ხანაში იტალიაში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესები ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დამთავრებული.

თავი XVII

ანგლო-საქსები ბრიტანეთში

ანგლო-საქსების დაპყრობათა თავისებურებანი. ბრიტანეთის მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაზე მეხუთე საუკუნემდე, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. აღნიშნული იყო ისიც, რომ ბრიტანეთის „რომანიზაციას" ძალზე უმნიშვნელო იყო და რომაული ლეგიონების აქედან გაყვანის შემდეგ კელტებისა და ბრიტების გვაროვნულ-თემური წყობილება ხელახლა განმტკიცდა. ბრიტანეთში უკვე აღარ იყო არც რომაული ლატიფუნდიები, არც კოლონატი, არც უშუალო ბეგარმოებელთა მინაგრება და დაღუპვის გზაზე დამდგარი რომის იმპერიის სხვა დამახასიათებელი რამ. ამგვარად, ანგლო-საქსების დამპყრობლური ომების წარმოების დროს ერთიმეორეს უპირისპირდებოდა არა ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება, არამედ განვითარების ერთი და იგივე დონეზე მყოფი სხვადასხვა ხალხები.

ამით უნდა აიხსნას ძირითადად ის გარემოება, რომ ბრიტანეთის დაპყრობის პროცესი უფრო ხანგრძლივი და მწვავე ხასიათის მატარებელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა იტალიის, ესპანეთის, გალიის და სხვა რომანიზირებული მხარეების დაპყრობათა საქმეში. ბრიტანეთის საბოლოო დაპყრობისათვის საჭირო გახდა საკუნე ნახევარზე მეტი დრო და უამრავი შემოსევები ბრიტანეთის სხვადასხვა კუთხეში. ბრიტანეთის ადგილობრივი მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა მტრისაგან თავის მიწა-წყალს და არ გადადიოდა მტრის მხარეზე, როგორც ამას ჩადიოდნენ მონათმფლობელური ექსპლუატაციით განაწამები მონები, კოლონები და სხვ.

კელტების სამხედრო ხელმძღვანელები, ლაშქრის რიგითი წევრები და საერთოდ მთელი ხალხი ერთსულოვან და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულ გერმანელებს და არ აძლევდნენ მათ კუნძულზე ფეოისმოკიდების საშუალებას. ლეგენდამ შემოინახა კელტების ერთ ერთი სამხედრო ბელადის არტურის სახელი, რომელიც გმირულ ბრძოლაში დაეცა. ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე შემდეგში სათანადო რომანი იქნა დაწერილი, რომელსაც ეწოდა მეფე არტური და მისი „მრგვალი მაგიდის რაინდები".

რამდენადაც დამხდურები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულთ, იმდენად უფრო გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ დამპყრობლებს. ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი გზაზე შეხვდებოდათ. სამხრეთ ინგლისში რომაელების მიერ გაშენებული ლამაზი ქალაქი ეგრეთწოდებული Verulamium ი საქსებმა მიწასთან გაასწორეს. საქსონურ ეამთაღმწერლობაში 491 წლისათვის ნაოქვამია, რომ „ამ წელს ელემამ და ცისამ ანდრედეჩესტერს ალყა შემოარტყეს და ყველა იქაური მცხოვრები ამოჟლიტეს" [1]. საქსების შემოსევების სამინელებას, ასეთივე მუქი ფერებით აგვიწერს გილდასი, რომლის გადმოცემითაც ნლების მანძილზე ხდებოდა საქსების მიერ დაპყრობილ მხარეთა აოხრება [2].

ბრიტანეთის კუნძულზე გერმანელთა სხვადასხვა ტომების თავდასხმები წარმოებდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიმართულებით. კუნძულზე თავდასხმებს ფრიზები აწარმოებდნენ ჰოლანდიიდან, იუტები — დანიიდან (იუტლანდიიდან), ანგლები და საქსები კი, — შლეზვიგ ჰოლშტეინიიდან, თავდასხმები დაიწყო (ფრიზებისა) ჯერ კ-დევ მესამე საუკუნის მეორე ნახევრიდან. თავდასხმების პირველ ეტაპზე დამპყრობელები ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და იძულებულნი ხდებოდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ პირვანდელ ადგილსამყოფელში. მასობრივი შემოსევები და კუნძულზე საბოლოო დამკვიდრება უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, როდესაც რომაელი ლეგიონები გაიწვიეს კუნძულიდან. იუტების საბოლოო გადმოსახლების თარიღად 450 წელი უნდა ჩაითვალოს. მეხუთე საუკუნის ბოლოს კუნძულზე დამკვიდრდნენ ეგრეთვე ანგლები. რაც შეეხება საქსებს, ისინი ანგლებზე უფრო ადრე კემბრიჯის მიდამოებში დაბანაკდნენ და აქედან იწყეს სელა

---

[1] П. Виноградов, Альфред Великий (Книга для чтения по истории средних веков, выпуск второй, изд. четвертое, 1912 г. гл. 19—20.

[2] А. Л. Мортон, История Англии. 1950 г., гл. 37.

ცენტრალური საგრაფოების აღმოსავლურ რაიონებსა და მდინარე ტემზის ველისაკენ.

ამ ადგილების პირვანდელი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბევრი მათგანი ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო დანარჩენნი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი. ბრიტების მიგრაცია უფრო ოვალსაჩინო ხდება მეექვსე საუკუნის ათიან წლებიდან. ბრიტების მნიშვნელოვანი ნაწილი არმორიკაში გადასახლდა, რის გამოც ამ ადგილს შემდეგში ბრეტონი ეწოდა. ბრიტებისა და კელტების ის ნაწილი, რომელიც დაპყრობათა შემდეგ ადგილზე დარჩა, ანგლო-საქსთა საზოგადოებრიობის ყველაზე დაბალ ფენად გადაიქცა და უფრო სოფლად იმყოფებოდა, ვიდრე ქალაქად.

ანგლო-საქსების საზოგადოებრივი წყობილება ადრინდელ ხანაში. იმის გამო, რომ ანგლო-საქსები თავიანთ პირვანდელ ადგილსამყოფოში ჰოლანდიაში, დანიაში და შლეზვიგ ჰოლშტინიაში ტერიტორიულად შორს იმყოფებოდნენ რომის გაკლენისაგან, წმინდა სახით შეინარჩუნეს პირველყოფილ-თემური წყობილება. ამ წყობილების განვითარების ნელ ტემპებზე მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქსებში, რომელნიც კონტინენტზე დარჩნენ, მხოლოდ მერვე საუკუნის ბოლოს და მეცხრე საუკუნის დასაწყისში იწყება საგვარეულო არისტოკრატიის ედელინგების გამოყოფა.

ბრიტანეთში მოსვლისას ანგლო-საქსებში ჯერ კიდევ მტკიცე იყო ეს პირველყოფილ-თემური წყობილება. ახალ ადგილებში მათი დასახლება კვლავ გვარებისა და თემების მიხედვით ხდებოდა, თუმცა ზოგან სასოფლო თემი უკვე ტერიტორიალურ პრინციპს ემყარებოდა. გვარის თავისუფალ წევრებს, ეგრეთ წოდებულ კერლებს შორის მიწები დაყოფილი იყო დიდი ოჯახების მიხედვით. თვითეული ოჯახის ნადელს ჰაიდი (ძველად — გველი) ეწოდებოდა. ჰაიდების ფართობი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა მოცულობისა იყო. აღმოსავლეთ ინგლისში იგი 48 ჰექტარს უდრიდა, ხოლო სხვა რაიონებში 16 ჰექტარს არ აღემატებოდა[1].

მიუხედავად იისა, რომ ანგლო-საქსებში აღარ ხდებოდა მიწების ხელახალი გადანაწილება და ჰაიდი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა, იგი არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, რადგან ჰაიდის მფლობელს არ შეეძლო მისი გასხვისება. ამგვარად, ჰაიდი სახალხო საკუთრებას ანუ ფოლკლენდს წარმოადგენდა. მოსავლის აკრეფის შემდეგ ჰაიდის ნაკვეთებზე ყველას თანაბრად

---

[1] Л. Л. Мортон, История Англии, зз 40.

შეეძლო თავისი საქონელი ეძოვებინა. საერთო სარგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე ტყეები, ცალკე საძოვრები, მდინარეები და სხვ. შიგ თემში მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენა დაგვიანებით მოხდა. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი „ინეს საშართლის“ 38-ე მუხლიდან ჩანს, რომ მიწა მემკვიდრეობით ქალზე არ გადადიოდა. მაშასადამე, ამ დროისათვისაც კი ჰაიდი არ იყო გადაქცეული კერძო საკუთრებად, რადგან მიწის ქალზე გადაცემა მიწის გასხვისებას ნიშნავდა.

მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობის პირობებში, მართალია, ანგლო-საქსებში ბრიტანეთის კუნძულზე გადმოსახლების შემდეგ სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია შეიმჩნეოდა, მაგრამ კლასები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული. კერლების უმრავლესობა ერთგვარად თანაბარ სოციალურ და ეკონომიურ პირობებში იმყოფებოდა. ჰაიდის მქონე ყველა პირი თანაბრად ვალდებული იყო ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო. ის, ვინც ამას არ შეასრულებდა, ჰკარგავდა თავის მიწას და თემის წევრადაც აღარ ჩაითვლებოდა.

ბრიტანეთის კუნძულზე გადმოსახლების დროს ანგლო-საქსებში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფო. ბრიტებისა და კელტების წინააღმდეგ ბრძოლებს აწარმოებდნენ ანგლო-საქსების ცალკეული ჰერცოგები, რომელნიც ტომთა სამხედრო გაერთიანებებს უძღვნენ სათავეში. ბრძოლებს აწარმოებდნენ აგრეთვე ცალკეული სამხედრო ხელმძღვანელები, რომელთაც ამ დროისათვის ჩამოყალიბებული ჰყავდათ საკუთარი რაზმები და ბოლოს, უფრო მსხვილი მასშტაბით წამოწყებულ ომებში მოქმედებდნენ სხვადასხვა ტომთა უფრო ფართო სამხედრო გაერთიანებანი.

ანგლო-საქსთა სამეფოები. ჰეპტარქია. ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლები, რომლებიც ტარდებოდა ბრიტანეთის კელტური მოდგმის წინააღმდეგ, მოითხოვდა მთელი ძალების დაძაბვას, სამხედრო ხელმძღვანელთა უფლებების ზრდას და საერთოდ ცენტრალური ხელისუფლების შექმნას, რაც თავის მხრივ უშუალოდ ნაკარნახევი იყო თემური წყობილების შემდგომი რღვევითა და კლასების გაჩენით ანგლო-საქსების საზოგადოებრიობაში. ჯერ კიდევ ახლად იყო დამთავრებული კელტური მოსახლეობის დამორჩილება, რომ დაიწყო ბრძოლა თვით ანგლო-საქსების სხვადასხვა სამხედრო გაერთიანებათა შორის. ყველა ამის შედეგად მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრიდან ბრიტანეთში წარმოიშვა შვიდი სამეფო, ანუ ჰეპტარქია.

იუტების სამეფო დაარსებულ იქნა კენტში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირას იმყოფებოდა. საქსებმა თავის მხრივ სამი

სამეფო წარმოქმნეს. ესენი იყვნენ: უესექსის, ესექსისა და სესექსის სამეფოები, რომლებიც მდებარეობდნენ აღმოსავლეთში, სამხრეთში და დასავლეთში. უფრო მოგვიანებით ჩრდილოეთში შეიქმნა ანგლების შემდეგი სამეფოები: თავდაპირველად — აღმოსავლეთის ინგლისი, შემდეგში ახალი კოლონიზაციის შედეგად — ნორტუმბრია (ჩრდილოეთით) და მერსია (დასავლეთით). ამდროინდელი პოლიტიკური ისტორიის დამახასიათებელია ამ სამეფოთა შორის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლები.

ამ სამეფოთაგან პირველად გაძლიერდა მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში ნორტუმბრია, შემდეგ მერვე საუკუნეში მერსიას სამეფო, ხოლო მეცხრე საუკუნიდან იწყებს გაძლიერებას დასავლეთ საქსების სამეფო უესექსი. თვითეული მათგანი პირველობას ჩემულობდა და ცდილობდა ყველა დანარჩენების დამორჩილებაშემოერთებას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ორი სამეფო ამ ამოცანის გადაწყვეტაში უძლურნი აღმოჩნდნენ. ეს ამოცანა ძირითადად უესექსმა გადაწყვიტა. უესექსის მეფემ ეკბერტმა IX საუკუნის დასაწყისში ამ სამეფოებზე გავლენა მოიპოვა. იგი უკვე გაერთიანებულ ანგლო-საქსების მეფედ ითვლებოდა, თუმცა ზოგიერთი სამეფონი ფაქტიურად თავიანთ დამოუკიდებლობას კვლავ ინარჩუნებდნენ.

დაწყებული მერვე საუკუნიდან ვიდრე მეათე საუკუნემდე ინგლისში ხდებოდა ახალი შემოსევები. დანიელები და ნორვეგიელები არა ერთხელ აწყობდნენ თარეშს ინგლისში. ერთხანად თითქმის მთელი ინგლისი დანიელების ბატონობაში აღმოჩნდა და მხოლოდ დასავლეთის საქსებმა მეფე ალფრედის ხელმძღვანელობით უკუაქციეს დანიელები. მაგრამ მალე დანიელები გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და 939 წელს მთელი ინგლისი ხელახლა გაერთიანდა. 1042 წელს ინგლისის სამეფო გვირგვინი კვლავ გადავიდა უესექსელთა დინასტიის ხელში. რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი ედვარდ „აღმსარებელი“ იყო. 1066 წელს სენლაკში ჰასტინგთან ახლოს გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ინგლისელებსა და ნორმანდიელებს შორის. ინგლისი უკანასკნელთა მიერ დაპყრობილ იქნა და ინგლისის გვირგვინი ვილჰელმ დაპყრობელმა დაიდგა. ანგლო-საქსონთა პერიოდი ამით დამთავრდა.

დამპყრობელთა შორის მომხდარი ეკონომიური და სოციალური ცვლილებები ბრიტანეთის დაპყრობისას ანგლო-საქსებმა კელტებსა და ბრიტებს ჩამოართვეს მიწები და თვითონ დაინაწილეს ჰაიდების მიხედვით. ისტორიულ დოკუმენტში Tribal Hidage, რომელიც შედგენილია მერსიის ჰეგემონობის დროს (VIII საუკ. ბოლო და

IX საუკ. დასაწყისი). მთელი ინგლისი დაყოფილია ცალკე ოლქებად, რომელთათვისაც ჰაიდების გარკვეული რაოდენობაა განკუთვნილი: უესექსში ასი ათასი ჰაიდია, სესექსში — 7000, კენტში — 15000, ესექსში — 7000, მერსიაში — 30 000, აღმოსავლეთის ინგლისში — 30 000, და ასე შემდეგ. მთლიანად ინგლისში ამ დოკუმენტის მიხედვით 240 000 ჰაიდი ითვლებოდა[1].

მიწების განაწილება დამპყრობელთა და დაპყრობილთა შორის არ მომხდარა, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ვესტგუთების, ოსტგუთების ან ვანდალების სამეფოებში. კელტური მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც ფიზიკურ განადგურებას ან მონებად გადაქცევას გადარჩა, მიწები მიიღო ჰაიდის მიხედვით. უესექსის მეფის ინეს კანონებში (დაახ. 690 წ.) 32-ე მუხლით კელტური მოსახლეობის წარმომადგენელთა ვერგელდი გაანგარიშებული იყო იმ ჰაიდების მიხედვით, რომელნიც მათ გააჩნდათ. ამავე ჰაიდების მიხედვით მეფე ღებულობდა მათგან ნატურალურ გამოსაღებს — ხარკს. რაც შეეხება თვით ანგლო-საქსებს, ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ იხდიდნენ რაიმე პირდაპირ გადასახადებს.

ფეოდალიზმის გენეზისთან დაკავშირებული ახალი კლასების ფორმირების პროცესის ძირითადი საფუძველი ინგლისში იგივე იყო, რაც სხვა ქვეყნებში. ვიდრე მოხდებოდა ახალი კლასების საბოლოო ჩამოყალიბება, თემური წყობილების ეკონომიური ბაზა — საზოგადოებრივი საკუთრება უნდა მოსპობილიყო და მისი ადგილი კერძო საკუთრებას უნდა დაეკავებინა. როგორც აღნიშნული იყო, ჰაიდები, მართალია, მემკვიდრეობით გადადიოდნენ, მაგრამ მათი მფლობელნი შებოჭვილნი იყვნენ რა თემური წეს-ჩვეულებებით, მიწების თავისუფალ გასხვისებას ვერ ახდენდნენ.

ასეთ ვითარებაში თემის წევრების სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია შორს ვერ მიდიოდა და მათში ერთგვარი თანაბრობა იყო დაცული. დროთა განმავლობაში თემის წევრებმა მიაღწიეს იმას, რომ თავიანთი ჰაიდები კერძო საკუთრებად აქციეს, მაგრამ თემის წევრის კუთვნილი მიწების თანდათანობითმა განთავისუფლებამ გვაროვნულ-თემური შეზღუდულობისაგან და ამ მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევამ თვითონვე ხელი შეუწყო გლეხური კერძო საკუთრების მოსპობას. „ალოდმა არამც თუ შესაძლებლობა შექმნა მიწათმფლობელობაში თავდაპირველად არსებული თანასწო-

---

[1] А. Я. Гуревич, Имущественное расслоение общинников в Англии (Средние века, т. VII, 1955 г., стр. 31.)

რობის თავის საწინააღმდეგო მოვლენაში გადასვლისა, არამედ იგი აუცილებელიც გახადა“ [1].

მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ, როცა ჰაიდის პატრონს უკვე თავისუფლად შეეძლო თავისი მიწების გასხვისება, კერლების ბნიშვნელოვანმა ნაწილმა თავისი ჰაიდი ან მთლიანად დაჰკარგა, ან არა და იგი მნიშვნელოვნად შეამცირა. ჰაიდის გვერდით ახლა ნადელის ახალი სახელწოდება „ვირგატი“ გაჩნდა, რომელიც ჰაიდის მეოთხედს (30 აკრს) უდრიდა, ვირგატის ნახევაოს კი, „ბოვატი“ ეწოდებოდა. ვირგატებისა და ბოვატების წარმოქმნა მეორე მხრივ შედეგი იყო იმისა, რომ დროთა განმავლობაში მემკვიდრეობით გადასული ჰაიდი კერლის შვილებსა და შვილიშვილებს შორის ნაწილდებოდა და სულ უფრო და უფრო ქუცმაცდებოდა.

თავისუფალი კერლების მიერ მიწის ნაკვეთების დაკარგვას და გლეხური მეურნეობის მოშლას არა ნაკლებ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ კერლი სამხედრო ვალდებულებას ეწეოდა. ინგლისში განუწყვეტელი ომები და შემოსევები გლეხობას ბუდმივად სწყვეტდა მეურნეობისაგან. უმუშახელოდ დარჩენილი გლეხური მეურნეობა ნადგურდებოდა. ამით სარგებლობდნენ ეკონომიურად შეძლებული პირები, რომელნიც კერლების მიწას ხელთ იგდებდნენ ხან გლეხობის დაკაბალების საშუალებით, ხან კი, პირდაპირი ძალადატანების გამოყენებით.

სამხედრო ვალდებულების მოხდის საქმეში თვით ხელისუფლება მიმართავდა ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც ინგლისის თავისუფალ გლეხობას ეკონომიურად აჩანაგებდა. „ინეს სამართლის“ 51-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „თუ მოლაშქრე მიწათმოქმედი თავს არიდებს ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას, 120 შილინგი უნდა გადაიხადოს და თავის მიწაზე ხელი აიღოს და თუ მას მიწა არ გააჩნია (ან ჩვეულებრივზე ნაკლები აქვს) — 60 შილინგი...; კერლმა ლაშქრობაში გამოუცხადებლობისათვის ჯარიმად 30 შილინგი უნდა გადაიხადოს“ [2].

ეკონომიურად გაჭირვებული გლეხობა ხშირად ჰყიდდა თავის მიწას ან არა და სესხს ღებულობდა შეძლებული პირისაგან. ილის საეპისკოპოსო ქრონიკაში (X საუკ.) ხშირადაა მოხსენებული ის, რომ სასულიერო წოდებამ შეისყიდა გლეხების მიწები. სოფელ ხედენხემში ბერებმა „ღარიბ მოსახლეობისაგან უანრავი მფლობელობა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, бз. 392.

[2] М. Н. Соколова, Свободная община и закрепощение крестьян в Кенте и Уессексе. (Средние века, т. VI, 1955 ₹., бз. 45.)

შეისყიდეს". აქედანვე ჩანს, რომ ზოგიერთი გლეხი მიწას ჰყიდდა იმის გამო, რომ გადასახადები დაეფარა. ასე მოიქცა მაგალითად, გლეხი ელფრიკი, რომელმაც თავისი ნადელი ეპისკოპოს ეტელვედს გადასცა[1].

„ინეს სამართლის" მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ თავისუფალი კერლი, რომელმაც დროზე არ გადაიხადა საეკლესიო გადასახადი, ვალდებულია თორმეტმაგად აუნაზღაუროს ეს ეკლესიას უახლოეს დროშიო. ბუნებრივია, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ის უნდა ეკლესიისადმი ყოფილიყო დამოკიდებული. ამავე „სამართლის" მიხედვით კაცი, რომელიც ვერ გადაიხდიდა საერთოდ გადასახადებს ან ჯარიმებს, მონად უნდა გადაქცეულიყო. მოტანილია აქ ისეთი მაგალითიც, რომლის მიხედვითაც თავისუფალი გლეხი ღებულობს სესხს ეკლესიისაგან და მუშაობს უფასოდ საეკლესიო მიწაზე, ვიდრე ის შესძლებს ვალის დაფარვას.

ჯარიმები ანუ ვერგელდი ანგლო-საქსებში ისევე გავრცელებული იყო, როგორც სხვა ძველ გერმანელ ტომებში. თვითეულის ვერგელდი განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით თუ მიწის მფლობელს რამდენი ჰაიდი გააჩნდა. რომელიმე უელესელს თუ ჰქონდა ხუთი ჰაიდი, მისი ვერგელდი სამჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე თავისუფალ კერლის ვერგელდი. ამ უკანასკნელის მოკვლის შემთხვევაში კი. დამნაშავეს 200 შილინგი უნდა გადაეხადნა. ანგლო-საქსების არისტოკრატია უმთავრესად ერლებისაგან შედგებოდა. თვითეულ ერლს სამი ჰაიდი გააჩნდა. ერლის ვერგელდი 400 შილინგს უდრიდა. რაც შეეხება ნახევრად თავისუფალ პირებს ე. წ. ლიტებს მათი ვერგელდი 40, 60, 80 შილინგს არ აღემატებოდა, ხოლო მონებზე დაწესებული იყო ჩვეულებრივი უბრალო ჯარიმა.

არსებული წეს-ჩვეულების მიხედვით ვერგელდის გადახდა სხვადასხვა ოლქში სხვადასხვანაირად ხდებოდა. კენტში, მაგალითად ვერგელდი თვით მკვლელს უნდა გადაეხადა და თუ ის ადგილზე არ აღმოჩნდებოდა, ვერგელდის ნახევარი მის ნათესავებს უნდა მიეცათ. უესექსში ვერგილდს იხდიდა არა თვით მკვლელი, არამედ მისი ნათესავები. ამ შემთხვევაში ეტყობა, რომ ერთ პიროვნებას ვერგელდის გადახდა მარტო თვითონ აღარ შეეძლო. „ინეს სამართლის" 54-ე მუხლში ლაპარაკია ისეთ პირებზე, რომელნიც თავისუფალნი არიან, მაგრამ არ გააჩნიათ მატერიალური შესაძლებლობა იმისა, რომ ვერგელდი გადაიხადონ.

---

[1] А. Я. Гуревич, Имущественное расслоение общинников в Англии, გვ. 42.

სამეფო ხელისუფლების როლი საზოგადოების ზედაფენების ბატონობის განმტკიცების საქმეში. ამგვარად, თემური წყობილება ნელნელა ირღვეოდა. თემის წევრებს შორის წარმოებდა სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია. შეძლებული პირები ცდილობდნენ თავიანთი მამულების დამახვილებას და თავისუფალი სხვა წევრების დამორჩილებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თემი მაინც ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში ერთგვარ სიმტკიცეს. სისხლითი ნათესაური კავშირი თემის წევრებს შორის ცხოველყოფელობას ინარჩუნებდა არა მარტო VII საუკუნის დასაწყისში („ედელბერტის სამართალი"), არამედ IX საუკუნეშიაც („ალფრედის სამართალი"), თემი ასე თუ ისე, ჯერ კიდევ ახერხებდა თავის წევრების დაცვას მსხვილ მიწათმფლობელთა ხელყოფისაგან, რის გამოც უშუალო მწარმოებელთა სრული ექსპროპრიაცია ძნელდებოდა. თავისუფალი გლეხების დაყმევების პროცესი შეძლებული ფენისაგან მოითხოვდა დამატებითი ღონისძიებების მიღებას.

ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ საქმეში გარეშე ძალაც ჩაერია. ეს იყო სამეფო ხელისუფლება, რომელიც ანგლო-საქსთა საზოგადოებრიობის ზედაფენის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა თავის საბოლოო გაბატონების საქმეში. „... რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდეს აქტიურ ძალად იქცევა, აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას, ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები.

სხვანაირად არც შეიძლება. ბაზისი სწორედ იმისთვის ქმნის ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდეს მას ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, რომ იგი აქტიურად იბრძოდეს ძველი, დრომოჭმული ბაზისის და მისი ძველი ზედნაშენის ლიკვიდაციისათვის"[1].

მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნა-განვითარების საქმეში, უშუალო მწარმოებელთა მსხვილ მიწათმფლობელებისა და ეკლესიისადმი დაყმევებაში და საერთოდ მსხვილ მიწათმფლობელობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა სამეფო ხელისუფლებას. სამეფო ხელისუფლება ანგლო-საქსებში დაპყრობათა შედეგად უკვე გადაიქცა „მუდმივ დაწესებულებათა და რეალურ ძალად". იგი ანაწილებდა ხელში ჩაგდებულ მიწა-წყალს, აწყობდა

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 5, 1951 წ.

ახალ დაპყრობათა ორგანიზაციას, მორჩილებაში მოჰყავდა დაპყრობილი მოსახლეობა, კელტურ მოსახლეობიდან ჰკრეფდა ხარკებსა და გადასახადებს და ამავე დროს ცდილობდა სახელმწიფოებრივ აპარატის უფრო მეტად განმტკიცებას თვით ანგლო-საქსებში.

სამეფო ხელისუფლება გარშემო იკრეფდა უამრავ რაზმელებს, ან მოლაშქრეებს — გეზიტებსა და ტენებს, ნიშნავდა სულ ახალ და ახალ მოხელეებს, აფართოვებდა ამ მოხელეთა ფუნქციებს. ნატურალურ მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყო ამ მოხელეებისა და მოლაშქრეების გასამრჯელოს გაღება ფულადი სახით და ამიტომ მათი დაკმაყოფილება ძირითადად უნდა მომხდარიყო მიწებისა და საერთოდ მამულების გაცემით. დაპყრობათა ჩატარების შედეგად ინგლისის მეფეებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი რაოდენობის მამულები ჰქონდათ თავიანთ განკარგულებაში. მათ შეეძლოთ მიწების ამ ფონდიდან გაეღოთ „წყალობა" თავიანთი მოხელეებისათვის, ან მოლაშქრეთათვის, მაგრამ ეს ფონდი მაინც განსაზღვრული იყო და ამიტომ მეფეები გეზიტებსა და ტენებს ასაჩუქრებდნენ ცალკეული სოფლებისა და თემების გადაცემით, რომელნიც სულაც არ წარმოადგენდნენ მეფეთა საკუთრებას და მანამდე თავისუფლად ითვლებოდნენ.

დასაჩუქრება ხდებოდა სათანადო სიგელის — boc (book) გადაცემით. ამიტომ ასეთ მამულს, ან მიწას ბოკლანდი ეწოდებოდა. გადაცემული მიწა მიმღების კერძო საკუთრებად იყო აღიარებული, რის გამოც ბოკლანდის მქონეს სრული უფლება ჰქონდა იგი გაესხვისებინა. სიგელში აღნიშნული იყო მიწის ფართობი და მისი ტერიტორიალური მდებარეობა. ამავე დროს ნათქვამი იყო, რომ გასაჩუქრებულ მიწაზე მცხოვრებნი განთავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან, ოღონდ მათ, ისე როგორც ფოლკლანდზე მცხოვრებთ, რჩებათ „სამგვარი ვალდებულება": ლაშქარში სამხედრო სამსახური, ხიდების შეკეთება და გამაგრებული პუნქტების აგება. ბოკლანდის მცხოვრებნი, რომელნიც სიგელით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან, ვალდებულნი იყვნენ ღალა გაეღოთ ბოკლანდის პატრონისათვის — ბატონისათვის.

ზემო ნათქვამიდან შეიძლება შემდეგი საგულისხმო დასკვნების გაკეთება: 1. როგორც აღნიშნული იყო, ბოკლანდი მიმღები პირის კერძო საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ბოკლანდად გაცემული ტერიტორიის მცხოვრები გლეხი თავის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეც იყო. ამგვარად, ერთი და იგივე მიწა ეკუთვნოდა როგორც უშუალო მწარმოებელს, აგრეთვე — მემამულეს. ეს იყო ფეოდალური

საკუთრება, რომლის წარმოშობამაც ანგლო-საქსებში ფეოდალურ ურთიერთობის ჩამოყალიბებას გზა გაუკაფა და მისი პროცესი დააჩქარა და 2. თავისუფალი თემები, რომელნიც მსხვილ მიწათმფლობელებს წინააღმდეგობას უწევდნენ თავიანთი წევრების დაყმევების საქმეში, ახლა მეფის მიერ გაცემული სიგელების ძალით თვითონაც აღმოჩნდნენ მსხვილი მიწათმფლობელების გავლენის ქვეშ.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ გაცემულ სიგელებზე ხელს აწერდა არა მარტო მეფე, არამედ ეგრეთ წოდებულ უიტენაგემოტის წევრები: საერო და სასულიერო მაგნატები და მეფის მახლობლები. ეს გარემოება მოწმობს ჯერ ერთი იმას, რომ გაცემული ბოკლანდი მართლაც არ წარმოადგენდა მეფის პირად საკუთრებას, რის გამოც საჭირო გახდა სიგელზე სხვების ხელმოწერაც, გარდა ამისა, მაგნატები ერთობლივად მოქმედებდნენ კერლების თავისუფლების აღკვეცის საქმეში. რამდენადაც მეტად გაიცემოდა ასეთი სიგელები, იმდენად კერლების დაყმევების პროცესიც ფართოვდებოდა.

ბოკლანდად გადაქცევა მიწისა, რომელზედაც თავისუფალი თემი იმყოფებოდა, ამ უკანასკნელს დიდ ზიანს აყენებდა. თემის მოსახლეობა თანდათანობით ჰკარგავდა თავის დამოუკიდებლობას და ბატონის გავლენის ქვეშ ექცეოდა. ბოკლანდის პატრონი იჭრებოდა რა თემის შინაგან ცხოვრებაში, ეძლეოდა მას იმის შესაძლებლობა, რომ თემის წევრთა დაკაბალების მეშვეობით, ისინი ყმებად გადაექცია. ის გლეხობისაგან ჰკრეფდა სხვადასხვა ჯარიმებს და კიდეც ასამართლებდა მათ. ამ საქმეში მემამულე ყოველგვარ დახმარებას ღებულობდა მეფისაგან და მისი მოხელეებისაგან.

ამის ერთ ერთი თვალსაჩინო დამადასტურებელია მეფე ედგარის ბრძანებულება (X საუკუნის 60-იანი წლები), სადაც ნათქვამი იყო: „თუ რომელიმე დამოკიდებული გლეხი (geneatmanna) თავის ბატონს (his hlafordes gafol) არ უხდის რენტას ან და არ შეაქვს ის დანიშნულ ვადისათვის, მაშინ ბატონი, თუ ის მწყალობელია, ამ (საქციელს) აპატიებს და გადაახდევინებს მას რენტას სასჯელის გარეშე; ხოლო თუ მან თავისი მოურავის მეშვეობით არაერთხელ გაახსენა რენტის გადახდის შესახებ, ხოლო ის (გლეხი) ამჟღავნებს წინააღმდეგობას, მაშინ, ალბათ, ბატონის რისხვა იმდენად გაიზრდება, რომ ის არ შეუნარჩუნებს მას არც მის სამფლობელოს და არც სიცოცხლეს (he him ne unne nather ne aehta ne lifes)“ [1].

---

[1] А. Я. Гуревич, Королевские пожалования и феодальное подчинение английского крестьянства (იხ. Средние века, т. IV, გამ. 1953, გვ. 64.).

ამგვარად, გლეხს სულ ადვილად შეეძლო თავისი მიწის ნაკვეთის დაკარგვა, მაგრამ ფეოდალები მარტო ამით არ კმაყოფილდებოდნენ, ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ სათემო განუყოფელი მიწები (ალმენდა)—ტყეები, საძოვრები და სხვ. ბოკლანდის მფლობელის მიერ თავისუფალი მიწებისა და ალმენდის ცალკეული ნაწილების დატაცება მას შესაძლებლობას აძლევდა საკუთარი დომენის (საბატონო მამული) შექმნისათვის შიგნით, ბოკლენდში. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, აუცილებელს ხდიდა ფეოდალური ბეგარის ფართო შემოღებას. საბატონო ბეგარის შემოღების ფაქტებს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის მიწურულის დოკუმენტებში, კერძოდ „ინეს სამართალში“ (იხ. 67 ე მუხლი).

მიუხედავად ამისა, არ უნდა ჩაითვალოს სწორად სიბომის აზრი იმის შესახებ თითქოს ბატონყმური ურთიერთობა ინგლისში უხსოვარ დროიდან იყო ფეხმოკიდებული. საბატონო ბეგარა, როგორც აღვნიშნეთ იწყება მეშვიდე საუკუნის ბოლოდან და თავის შემდგომ განვითარებას პოულობს ძველად VIII — IX საუკუნეებში. ამ დროინდელი საბატონო ბეგარა გამოიხატებოდა შემდეგში: გლეხები თვითეული კვირის განსაზღვრულ დღეებში ვალდებულნი იყვნენ ბატონის მამულში ემუშავნათ. სრული ნადელის მქონე გლეხს ბატონის სამი ჰექტარი მიწა უნდა მოეხნა, დაეთესა და მოემკო თივა, უნდა მოეთიბა ნახევარი აკრის ფართობზე, უნდა გაეკრიფა ბატონის ცხვრები და სხვ.

კათოლიკური ეკლესია და მისი როლი ქვეყნის ფეოდალიზაციის საქმეში. ფეოდალიზაციის მხრივ, როცა ვლაპარაკობთ გაცემული სიგელებისა და ბოკლანდის წარმოშობის შესახებ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ასეთ სიგელებს პირველყოველისა ეკლესია და სასულიერო წოდების წარმომადგენლები ღებულობდნენ, ხოლო შემდეგში, მათი წაბაძვით, სიგელების მიღებას დაჟინებით მოითხოვდნენ საერო მსხვილი მიწათმფლობელებიც, ვინაიდან მათ მიერ მეფისაგან ადრევე მიღებული მიწები და პრივილეგიები, რომელნიც წერილობით იქნებოდნენ განმტკიცებულნი, უფრო საიმედო ხდებოდა.

ქრისტიანული სარწმუნოება ადრევე რომაელების მიერ გავრცელებული იყო უელსში, მაგრამ ბრიტანეთის კუნძულის ძირითად რაიონებში ქრისტიანობა გავრცელდა ავგუსტინეს კენტში მოსვლის (597 წ.) შემდეგ. ამ ხანებში ქრისტიან მისიონერებმა გაფაციცებით იწყეს ქრისტიანობის გავრცელება ანგლო-საქსებში. კენტის მეფემ ეტელბერტმა, რომელსაც სარწმუნოებით ქრისტიანი ცოლი ჰყავდა, მალე თვითონაც მიიღო ახალი სარწმუნოება და

თავის ქვეშევრდომებსაც ქრისტიანული სარწმუნოება მიაღებინა. ამას ბოჰყვა ესექსისა და აღმოსავლეთ-ინგლისის გაქრისტიანება. 625 წელს ნორტუმბრიის მეფე ედვინმაც მიიღო ახალი სარწმუნოება. ამგვარად, მეშვიდე საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობამ ინგლისში საბოლოო გამარჯვება მოიპოვა, თუმცა გლეხობის წინააღმდეგობა ამ სარწმუნოების მიმართ თავს იჩენდა მთელ რიგ ადგილებში.

ინგლისის მეფეების მიერ ქრისტიანობის მიღება, პირველყოვლისა, ნაკარნახევი იყო გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მოტივებით. რაკი თვითეული მათგანი ცდილობდა ინგლისის გაერთიანებას და ამ გაერთიანებულ სამეფოს მესვეურად გადაქცევას, ამიტომ უნდა ებრძოლა სხვა მეფეების წინააღმდეგ, რომელნიც წარმართული რელიგიის მიმდევრები იქნებოდნენ. მაგრამ მთავარი მოტივი მაინც ქვეშევრდომთა დაბალი ფენების დამორჩილებაში მდგომარეობდა. ამ მხრივ კათოლიკური ეკლესია და თვით ქრისტიანული რელიგია მეფეთათვის ფრიად საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

„ალფრედის სამართლის“ შესავალში აი, როგორი შეხედულება იყო გამოთქმული ქრისტიანულ რელიგიაზე: „როცა ბევრმა მიიღო ქრისტეს რჯული, ყველგან სინოდები შეიკრიბნენ. ასევე ინგლისში, ანგლების მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ უწმინდესი ეპისკოპოსებისა და უიტანების სინოდები შეიკრიბნენ და მათ დაადგინეს, რომ მათი ნებართვით მეფეებს შეუძლიათ გაასამართლონ და ბოროტმოქმედებათა ჩადენის უმრავლეს შემთხვევებში დამნაშავეთაგან აიღონ ის ფულადი ჯარიმები, რომელნიც მომავლისათვის განსაზღვრეს; მხოლოდ ბატონის წინააღმდეგ ჩადენილ ღალატისადმი წმინდა მამანი ვერ მოიქცეოდნენ ლმობიერად, რადგან ყოვლის შეძძლე ღმერთიც კი არ იყო ლმობიერი იმათ მიმართ, რომლებმაც ის შეიძულეს, და ქრისტემ ძე ღვთისამ არავითარი ლმობიერება არ გამოიჩინა იმის მიმართ, ვინც იგი სასიკვდილოდ გასცა. და მან (ქრისტემ) ინება, რომ ყველას უნდა უყვარდეს თავისი ბატონი ისე, როგორც თავისი თავი“[1].

ამგვარად, ეკლესია ამტკიცებდა ფეოდალურ ურთიერთობას, თვითონ იქცეოდა მსხვილ ფეოდალად, აწარმოებდა მიწების მიტაცებას სხვადასხვა საშუალებით, დაწყებული მეფეებისაგან სიგელების მიღებით, მოსახლეობის ჯოჯოხეთით დაშინებით და დათავრებული ეგრეთ წოდებული საანდერძო დოკუმენტების გაყალბებით.

---

[1] М. Н. Соколова, Свободная община и закрепощение крестьян в Кенте и Уессексе, зз. 52.

ეკლესია ისევე, როგორც საერო ფეოდალები ,ახდენდა უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაციას და განუწყვეტლივ ზრდიდა თავის უძრავ-მოძრავ ქონებას. ამასთან, იგი უკავშირდებოდა ფრანკთა მონარქიაში არსებულ ეკლესიას და მისგან გადმოჰქონდა სხვადასხვა ფეოდალური წესი და გამოცდილება.

ანგლო-საქსების სახელმწიფოებრივი წყობილება. ანგლო-საქსების სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურების გაგებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მათ ახლად დაპყრობილ ადგილებში მზა სახელმწიფოებრივი აპარატი არ დახვედრიათ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იტალიაში ოსტგუთების მოსვლისას. გარდა ამისა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბრიტანეთის დაპყრობამდე ანგლო-საქსებს, რომელნიც ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებაში იმყოფებოდნენ, სახალხო კრებები და უხუცესები განაგებდნენ. ნათქვამი იყო იმის შესახებაც, რომ ინგლისში დაწყებული ფეოდალიზმის გენეზისი არ იყო შედეგი ორი სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ელემენტების სინთეზისა, რასაც თემური წყობილების რღვევის პროცესის დაჩქარება შეეძლო.

ანგლო-საქსების თემური წყობილების ნელი რღვევის პროცესი, მნიშვნელოვანი დროის მანძილზე, ხელს უშლიდა მათში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას, მეორე მხრივ კი ხანგრძლივად წარმოებული ბრძოლები, როგორც კელტების, ისე დანიელების, ნორვეგიელების და სხვ. წინააღმდეგ, ზრდიდნენ ძალაუფლებას ჰერცოგების და სხვა სამხედრო ხელმძღვანელებისას, რომელნიც სამეფო ხელისუფლებისაკენ მიილტვოდნენ. ამ უკანასკნელებმ ა კუნძულის დაპყრობისთანავე ხელში ჩაიგდეს უამრავი მიწები. ეს მამულები მათ თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს და იწყეს ამ მიწების საჩუქრად გადაცემა იმ პირებზე, ვინც ამ სამხედრო ხელმძღვანელების მუდმივად ერთგული და მხარდამჭერი იქნებოდა.

ამგვარად, სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებლობის საქმეში თავიდანვე დუალიზმი შეიმჩნეოდა. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდნენ თემური წყობილებისადმი დამახასიათებელი სახალხო კრებები თავიანთი უხუცესებითა და მამასახლისებით, მეორე მხრივ სამეფო ხელისუფლება, რომელიც ანგლო-საქსებში კერძო საკუთრების წარმოშობისა და კლასების გაჩენის შედეგად შესუსტებული სახალხო კრებების უფლებათა უზურპაციას ახდენდა და მათ ხარჯზე ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას.

ანგლო-საქსების სახელმწიფოებრიობის განვითარების პირველ ეტაპზე ქვეყნის მართვა-გამგებლობის ძირითად რგოლს სოფელი,

სასოფლო თემი შეადგენდა. ყველა ძირითადი სამეურნეო საკითხი (თესვა, ჭირნახულის მომკა, აკრეფა, საძოვრებისა და ტყით სარგებლობის საქმეების მოგვარება და სხვ.) ადმინისტრაციული და სამოსამართლო საქმეები სოფლის საერთო კრების მიერ განიხილებოდა. იგივე საერთო კრება ირჩევდა თანამდებობათა მქონე პირებს, რომელთა შორის მთავარი ადგილი სოფლის მამასახლისს (tun — gerefa) ეკავა.

იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ეხებოდა მეზობელ სოფლებთან ურთიერთობას და რომელთა გადაწყვეტაც სასოფლო კრების ძალ-ღონეს აღემატებოდა, თვეში ერთხელ იწვევდნენ ეგრეთ წოდებულ ასეულის კრებას. ასეული აერთიანებდა რამდენიმე სოფელს, რომელნიც ერთი მეორის მეზობლად მდებარეობდნენ. ეს სახელწოდება წარმოიქმნა იქიდან, რომ თავდაპირველად იგი 100 ოჯახს აერთიანებდა. ასეულის კრებაზე ირჩევდნენ აგრეთვე მამასახლისს, რომელიც ასეულის საქმეებს განაგებდა. ასეულის კრებას, ისე როგორც სასოფლო კრებას, ყველა თემის თავისუფალი წევრი უნდა დასწრებოდა.

შემდეგში, როცა თემების შემადგენლობაში მოხდა სოციალური დიფერენციაცია, ასეულის კრებაზე ყველას გამოცხადება სავალდებულო აღარ იყო. ახლა სოფლებს ასეულის კრებაზე უნდა გაეგზავნათ ოთხი ყველაზე საპატიო პირი (მსხვილი მიწათმფლობელები), სოფლის მამასახლისი და მღვდელი. ასეულის კრებაზე თემის სხვა თავისუფალ წევრებსაც შეეძლო დასწრება ოღონდ ისინი კრებაზე აქტიურ მონაწილეობას აღარ ღებულობდნენ. თუ თავდაპირველად ასეულის კრებაზე ყველა დამსწრე მოსამართლედ ითვლებოდა, ახლა გამოყოფილ იქნა სპეციალური მოსამართლეების კომისია, რომელიც ასეულის 12 ყველაზე უფრო გავლენიანი პირის „უფროსი ტენებისაგან“ შედგებოდა.

ამგვარად, თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ასეულის კრება, მომხდარმა სოციალურ-ეკონომიურმა ცვლილებამ თორმეტის კომისიით შეცვალა. ამას კიდევ ერთი გარემოება დაემატა. მეფის ხელისუფლების თანდათანობით გაძლიერებასთან ერთად ასეულის მამასახლისი ფაქტიურად მეფის მოხელედ გადაიქცა. ამიერიდან მას დაევალა ადგილზე თვალყურის დევნება სასამართლოზე და იმ ჯარიმების აკრეფა, რომელიც სამეფო ხელისუფლებისათვის იყო განკუთვნილი. შემდეგში მეფის ამ მოხელემ უფრო მეტად გააფართოვა თავის უფლება-მოსილება და ასეულის ყველა საქმეებში იწყო ჩარევა.

ასეული წარმოადგენდა მასზე უფრო მსხვილი გაერთიანების საგრაფოს, ან როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ – შაირის (shire) ნაწილს. შაირი რამდენიმე ასეულს აერთიანებდა. ზოგიერთი ამ საგრაფოთაგანი თავდაპირველად ცალკე სამეფოებსაც კი წარმოადგენდნენ. ასეთი იყვნენ, მაგალითად, კენტისა და ესექსის საგრაფოები, რომლებიც შემდეგში ინგლისის პოლიტიკურ გაერთიანებასთან ერთად თანდათან ჰკარგავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ სამეფოს პროვინციებად იქცეოდნენ.

საგრაფოს სათავეში ადრევე ელდორმენები (ealdurman) იმყოფებოდნენ. ისინი ხშირად იმ მეფეთა შთამომავალნი იყვნენ, რომელნიც დამოუკიდებელ საგრაფოებს განაგებდნენ, ისინი ისტორიულად დაკავშირებულნი იყვნენ საგრაფოს მოსახლეობასთან და ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ელდორმენი მოსახლეობის თავისებური წარმომადგენელი იყო საგრაფოში. სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად ელდორმენის გავლენა ხალხში ისევე დაეცა, როგორც ასეულის მამასახლისისა. სამეფო ხელისუფლებამ თვითეულ საგრაფოში თავისი მოხელე შერიფი დანიშნა.

შერიფი თავდაპირველად განსაზღვრული უფლება-მოვალეობით იყო აღჭურვილი. მას ევალებოდა სამეფო ხელისუფლებისადმი განკუთვნილი ჯარიმების ერთი მესამედი აეკრიფა და გარდა ამისა ერთგვარი ხელმძღვანელობა გაეწია მეფის იმ მამულებისათვის, რომელნიც საგრაფოში მდებარეობდნენ. ოლქის სასამართლო და ადმინისტრაციული საკითხები კი ელდორმენს ეხებოდა. და, მაშასადამე, შერიფი პირველ ხანებში საგოაფოს მართვა-გამგებლობის გარეშე იმყოფებოდა. დროთა განმავლობაში შერიფმა ხელში ჩაიგდო ოლქის შეიარაღებული ძალებია ხელმძღვანელობა, შემდეგ კი ადმინისტრაციული და სამოსამართლო ფუნქციებიც.

ამიერიდან შერიფის მიერ საგრაფოს კრება იწვეოდა წელიწადში ორჯერ. ეს იყო თავისებური ხარკის მიცემა ძველი ტრადიციებისათვის, რადგან ფაქტიურად ამ კრებას მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელები და ე. წ. საპატიო პირები ესწრებოდნენ. ბოლოს სახალხო კრება ისე, როგორც ასეულები, აქაც 12 უფროსი ტენის საბჭომ შეცვალა, რომელიც მოქმედებდა შერიფთან, ან გრაფთან ერთად. ამგვარად ტაციტუსის დროინდელი სახალხო დემოკრატია თანდათან შეიზღუდა და სახალხო უფლებები გადავიდა მეფისა და მისგან დამოკიდებულ მოხელეთა ხელში.

როგორც ჰეპტარქიის ხანაში, ისე ანგლო-საქსების სამეფოს გაერთიანების დროსაც სამეფოს მასშტაბით სახალხო კრებები აღარ იწვევოდა. მის ნაცვლად შექმნილი იყო ეგრეთ წოდებული

უიტენაგემოტი, ანუ „ბრძენთა საბჭო". იგი შედგებოდა ეპისკოპოსებისაგან, აბატებისაგან, საგრაფოების ედლორმენებისაგან, მეფის მოლაშქრეებისაგან და ტენებისაგან. უიტენაგემოტი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უიტენაგემოტს არ შეთანხმებოდა. მეფე როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის მქონე კანონებსა და ბრძანებულებებს მას უთანხმებდა და მხოლოდ მისი თანხმობისა და რჩევის შემდეგ ანხორციელებდა. ასევე იქცეოდა მეფე იმ შემთხვევაშიც, თუ ომის წამოწყებას, ან ზავის დადებას ფიქრობდა. გადასახადების მოსახლეობაზე გაწერაც უნდა მომხდარიყო უიტენაგემოტის თანხმობით. ეპისკოპოსების, ელდორმენების და სხვა დიდ თანამდებობათა მქონე პირების მოხსნა, ან დანიშვნა ასევე უიტანებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

ამგვარად უიტენაგემოტი განსაზღვრავდა მეფის საქმიანობას. უფრო მეტიც, უიტენაგემოტი ახდენდა მეფეების გადაყენებასა და ახლების არჩევას. ჩვეულებრივ მეფეებს ირჩევდნენ რომელიმე სამეფო საგვარეულოდან. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ეს წესი ყოველთვის ცხოვრებაში არ ტარდებოდა. მეფის უფლებათა შეზღუდულობაც, გარკვეული გაგებით, დამოკიდებული იყო მეფის პიროვნებაზე. ძლიერი მეფეები ახერხებდნენ თავიანთი ნება-სურვილის დაჟინებით გატარებას. უიტანების უმრავლესობას ისინი მოსყიდვით, ან დაშინებით გადმოიყვანდნენ ხოლმე თავიანთ მხარეზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანგლო-საქსებში ისე როგორც სხვა ძველ გერმანელ ტომებში შემოღებული იყო ვერგელდი საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის სხვადასხვა რაოდენობით. ვიდრე სამეფო ხელისუფლება განმტკიცდებოდა მეფეთათვისაც არსებობდა გარკვეული სიდიდის ვერგელდი. ასე მაგალითად, მეფის მოკვლის შემთხვევაში მკვლელის გვარეულობას მოკლულის გვარეულობისათვის უნდა მიეცა ვერგელდი 7200 შილინგის რაოდენობით. ასეთი ვერგელდი 36 ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო ანგლო-საქსის ვერგელდი (200 შილინგი), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მეფისა და არქიეპისკოპოსის ვერგელდი თანაბარი იყო. მეცხრე საუკუნეში მდგომარეობა ამ მხრივ შეიცვალა. ეკლესიის გავლენით მეფე აღიარებული იქნა ღვთის მოადგილედ და ამიტომ მისი მოკვლაც ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლებოდა. ამიერიდან მეფისათვის ვერგელდი აღარ არსებობდა. მისი მკვლელი, უთუოდ სიკვდილითვე უნდა ყოფილიყო დასჯილი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამხედრო ორგანიზაციის საქმეშიც. დიდი ხნის მანძილზე სამხედრო ვალდებულება ყველა

თავისუფალ ანგლო-საქსს ეხებოდა. მეფეთათვის მაშინ ძირითადი დასაყრდენი სახალხო შეიარაღება იყო. ეს გასაგებიცაა. მეფეებს მაშინ უფრო მეტად ბრძოლა უხდებოდათ გარეშე მტერთან და რამდენადაც მეტი რაოდენობის შეიარაღებული ძალები ეყოლებოდათ, იმდენად ეს ხელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ დროთა ვითარებამ სახალხო შეიარაღების მატერიალური შესაძლებლობა შეკვეცა და პოლიტიკური სიტუაციაც საფუძვლიანად შეცვალა.

ჟიდრე თავისუფალ თემის წევრებს—კერლებს შორის მოხდებოდა სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაცია, ყველა მათგანს თვითეული ჰაიდი მიწა გააჩნდა და შეეძლო თავისი ხარჯით მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ლაშქრობაში, ხოლო მას შემდეგ, როდესაც თემში ჰაიდის პატრონის გვერდით გაჩნდნენ უფრო მცირე მიწის პატრონები, მათ მატერიალურად აღარ შეეძლოთ სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, კლასების წარმოშობასთან ერთად დაიწყო კლასობრივი ბრძოლებიც. ასეთ ვითარებაში სახალხო შეიარაღება არც მეფისათვის და არც მიწათმფლობელთათვის მისაღები აღარ იყო. სახალხო შეიარაღების პირობებში გაბატონებული კლასი ვერ შესძლებდა დაბალი ფენების დამორჩილებას.

ყველაფერი ეს ისტორიულად აუცილებელს ხდიდა სახალხო შეიარაღებიდან პროფესიონალურ რაზმების შემოღებაზე გადასვლას. ასეთი შეიარაღებული რაზმები გაიჩინეს არა მარტო მეფეებმა, არამედ ერლებმა, ელდორმენებმა და მაღალ თანამდებობათა მქონე სასულიერო წოდების წარმომადგენლებმაც კი. მაგრამ ამ შეიარაღებულ ძალების შენახვა და მათი შეჭურვა მოითხოვდა უზარმაზარ მატერიალურ სახსრებს, პირველყოველისა მიწების დიდ ფონდს, საიდანაც უნდა მომხდარიყო მოლაშქრეთა დასაჩუქრება. ასეთი დიდი ხარჯების გაღება შეუძლებელი იყო არა მარტო ზემოთ დასახელებულ მაგნატებისათვის, არამედ თვით მეფისათვისაც კი. ეს ხარჯები ისევ და ისევ ხალხს უნდა დასწოლოდა მძიმე ტვირთად.

როდესაც ანგლო-საქსებში არ იყო რაიმე სახელმწიფო გადასახადი, მეფის ძირითად შემოსავლის წყაროს მისი საკუთარი მამულები წარმოადგენდა. გარდა ამისა მეფე ღებულობდა სხვადასხვა დანაშაულობისათვის აკრეფილ ჯარიმების გარკვეულ ნაწილს. სამეფო შემოსავლის ერთგვარ წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე „ფორმის“ უფლება. ეს მდგომარეობდა იმაში, რომ ძველად, როდესაც მეფე თავისი ამალით გადადიოდა ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე, მოსახლეობა ვალდებული იყო მოსული „სტუმრები“ გამოეკვება. შემ-

დეგ ხანებში ეს გარემოება თავისებურ წესად გადაიქცა და რომ მეფე არც მოსულიყო რომელიმე ადგილზე, ამ ადგილის მოსახლეობას მაინც უნდა გაეგზავნა მეფისათვის „გამოსაკვები" ნატურის სახით.

ნამდვილი სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება ანგლოსაქსებში იწყება დანიელების შემოსევებთან დაკავშირებით. ამ გადასახადს „დანიელების ფული" (Danegeld) ეწოდებოდა, რადგან მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადით ხდებოდა დანილებისაგან გამოსყიდვა. ეს გადასახადი მიწაზე იყო დაწესებული და განისაზღვრებოდა 1-იდან 4 შილინგამდე თვითეულ ჰაიდზე. „დანიელთა ფულის" ასეთი გაღება 921 წლიდან 1014 წლამდე მოხდა შვიდჯერ, რამაც, მორტონის თქმით, 158 ათასი გირვანქა ვერცხლი შეადგინა. დანიელების შემოსევათა შეწყვეტის შემდეგ დანეგელდის გადასახადი შემდეგშიაც ძალაში იყო დატოვებული სტიუარტების ეპოქამდე.

ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაცია. დანეგელდის შემოღებამ უფრო მეტად გაამწვავა უშუალო მწარმოებელთა ეკონომიური მდგომარეობა. გაიზარდა გლეხთა ექსპლუატაცია და ამასთან ერთად დაჩქარდა მათი დაუმევების პროცესი. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ დანიელების შემოსევების მნიშვნელობაზე ქვეყნის შემდგომ ფეოდალიზაციასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემოსევებმა ორგვარი გავლენა მოახდინა ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესზე. იმ ოლქში, სადაც გავრცელებული იყო დანიელების წესები და ზნე-ჩვეულებანი, სადაც ბოქმედებდა დანიელების სამართალი—დანიელთა შემოსევამ გლეხთა დაუმევების პროცესი შეანელა, ხოლო ინგლისის საქსონურ ნაწილში პირიქით—ხელი შეუწყო[1].

მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული მსხვილ მიწათმფლობელთა კლასში მნიშვნელოვანი დიფერენცირება ხდება. თანდათანობით მატულობს წვრილ მემამულეთა რიცხვი. ძველი გვაროვნული არისტოკრატიის სახელწოდება ერლი ახლა გადადის ყველა იმ პირზე, რომელსაც 40-ზე მეტი ჰაიდი გააჩნია, ხოლო წვრილ მემამულეებს ტენებს უწოდებდნენ. გაბატონებულ კლასში ამ ორი ჯგუფის ერთმანეთისაგან გამიჯვნამ მათში გამოიწვია, ბრძოლები, რომელნიც ნორმანდიელების შემოსევის შემდეგ ინგლისის ისტორიაში იქცევიან ბრძოლებად წვრილ მემამულე-რაინდებსა და მსხვილ მემამულე-ბარონებს შორის.

---

[1] А. Л. Мортон, История Англии, გვ. 53.

მსხვილი მიწათმფლობელები და კათოლიკური ეკლესია განუწყვეტლივ ცდილობდნენ გლეხების მიწების ხელში ჩაგდებას და უშუალო მწარმოებელთა საბოლოო დამორჩილებას; „ეტელრედის კანონები“ მოგვითხრობენ იმაზე, რომ ეკლესია, მეათე საუკუნის ბოლოსა და შეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ჰკრეფდა თავის სასარგებლოდ ჯარიმებს არა მარტო ფულის სახით, არამედ მიწებისა და მოძრავი ქონების ჩამორთმევითაც. ამ მხრივ არა ნაკლებ საგულისხმოა „კნუდის კანონები“. კანონმდებელს გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მეურნე გლეხის უმემკვიდროდ გარდაცვალების, ანდა ანდერძის უქონლობის შემთხვევაში, გარდაცვლილის მემკვიდრეობას მთლიანად ფეოდალები იტაცებდნენ, და რომ არ მომხდარიყო გარდაცვლილის ოჯახის წევრების, ან მისი მახლობლების სრული ეკონომიური გაჩანაგება, დაუდგენია—ფეოდალებმა უნდა მიიღონ მათდამი დამოკიდებულ პირისაგან მხოლოდ იმდენი, რამდენიც ეს წესით იყო გათვალისწინებული.

ფეოდალების მიერ მდაბიოების გაძარცვას ანგლო-საქსონთა პერიოდის დასასრულისათვის იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ ვილიამ მელმსბერიელი ქამთაღმწერელი, მეთერამეტე საუკუნის პირველ ნახევრის დროინდელ ინგლისის ვითარებას შემდეგნაირად აღწერდა: „უმწეო ადამიანები მსხვერპლი შეიქნა ყველაზე ძლიერი ადამიანებისა, რომელნიც სიმდიდრეს აგროვებდნენ ადამიანთა ქონების დატაცებით და მათი სხვა ქვეყნებში მონებად გაყიდვის საშუალებით“ [1]. ყოველივე ამის შედეგად „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ შედგენის დროისათვის ინგლისში კერლების ხსენება თითქმის გაჰქრა და მათ ნაცვლად წარმოიქმნენ „სერვები“, „ვილანები“, „ბორდარიები“ და „კოტერები“. ფეოდალური წარმოების წესის ძირითად დასაყრდენად ვილანობა გადაიქცა [2].

ქვეყნის ფეოდალიზაცია სხვა მხრივაც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ჯერ კიდევ ადრე, როცა სამეფო ხელისუფლება ახლად ფეხს იკიდებდა, ხოლო მეორე მხრივ ოემი თანდათან ჰკარგავდა ძალას, ინგლისში ურთიერთ თავდასხმები და ძარცვა-რბევა იმდენად ართულებდა ცხოვრებას, რომ თავისუფალ გლეხს არ შეეძლო დამოუკიდებლად ყოფნა-არსებობა, ამიტომ იგი იძუ-

---

[1] Л. Я. Гуревич, Имущественное расслоение общинников в Англии, გვ. 43.

[2] М. А. Барг, Нормандское завоевание и становление крепостничества в Англии (იხ. Вопросы истории, 1957 г., № 7, გვ. 88).

ლებული იყო ვინმე დამცველი მოენახა, თავი შეეფარებინა უფრო ძლიერთან, მოენახა თავისთვის, როგორც იტყვიან—პატრონი, ინგლისური გამოთქმით გლაფორდი. პირველ ხანებში ეს იყო კერძოობითი „მფარველობა“, გლაფორდი კისრულობდა, რომ „თავის კაცს“ იგი დაიცავდა სხვის ხელყოფისაგან, ხოლო სამაგიეროდ მფარველობის მაძიებელს თავის გლაფორდისათვის გარკვეული რაოდენობის ღალა უნდა მიეცა, ან მის სასარგებლოდ უფასოდ ემუშავნა, სხვა შემთხვევაში კი, ორივე ვალდებულება ერთდროულად შეესრულებინა.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში, კერძო პირები მაგნატების სახით ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ადამიანთა მეტი რაოდენობით მფარველობაში აყვანას. ამ მხრივ თავისებური კონკურენციაც კი დაიწყო მრავალ მაგნატებს შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო აპარატის საქმეში ჩარევა გახდა საჭირო. მეფე ატელსტანის სამართალი (დაახლოებით 930 წ.) კრძალავს ისეთი პირის მფარველობის ქვეშ აყვანას, რომელიც სხვა გლაფორდის მფარველობაში იმყოფება. სახელმწიფოს ამ საქმეში ჩარევა, რა თქმა უნდა, ნაკარნახევი იყო ფეოდალური კლასის ინტერესებით და კიდევ იმით, რომ კომენდაცია (მფარველობა) მის საქმიანობას ამსუბუქებდა.

ამავე ატელსტანის სამართლის 66-ე მუხლით კომენდაცია უკვე საყოველთაო სავალდებულო მოვლენად გამოცხადდა. ამ მუხლში ნათქვამია: „იმ პირების შესახებ, რომელთაც გალფორდები არა ჰყავთ, რომელთა მიმართაც კანონის შეფარდება შეუძლებელია, ჩვენ ვადგენთ, რომ ასეთი პიროვნების ნათესავებს ებრძანოთ მისთვის ლორდის მონახვა“. თავის მხრივ ედმუნდის კანონი (დაახლოებით 943 წ.) აუცილებლად სთვლის გააფრთხილოს ყველა გლაფორდი, რომ ის პასუხისმგებელია მის მიერ მფარველობის ქვეშ აყვანილი პიროვნების ყოფაქცევაზე[1].

გარდა ამისა ანგლო-საქსების მეფეები უხვად გაიღებდნენ წყალობას საერო და სასულიერო ფეოდალების სასარგებლოდ ეგრეთ წოდებულ „სოკას“ მინიჭებით. ამ შემთხვევაში ზემო აღნიშნულ პირებს მეფეებისაგან ეძლეოდათ სამოსამართლო უფლებები იმ სოფლებზე და ადგილებზე, რომელთა მცხოვრებლებიც მანამდე არაფრით არ ექვემდებარებოდნენ მათ და ამგვარად თავისუფლად ითვლებოდნენ. „სოკას“ მიღების შემდეგ, ასეთი სოფლების მცხოვ-

---

[1] Д. М. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, გვ. 251.

რებნი უნდა დამორჩილებოდნენ ფეოდალების სასამართლოს. გლეხი, რომელიც ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდებოდა, სოკმენი ეწოდებოდა. იგი თავდაპირველად მაინც თავისუფლად ითვლებოდა. მას ჰქონდა უფლება თავისი მიწის გაყიდვისა და კიდეც შეეძლო წასულიყო სოკის ტერიტორიიდან, მაგრამ იგი, მიუხედავად ამისა, ფეოდალის სასამართლოს ექვემდებარებოდა.

ანგლო-საქსებში თანდათან ვრცელდებოდა იმუნიტეტი, ანუ შეუვალობა. ფეოდალები ამა თუ იმ ტერიტორიაზე სოკას უფლების მიღების შემდეგ ხელთ იგდებდნენ აგრეთვე პოლიტიკურ უფლებებსაც. ამას ემატებოდა გადასახადების აკრეფის უფლება და მთელი რიგი სხვა პრეროგატივა, რომელიც აღარ იძლეოდა რაიმე საბაბს მეფის მოხელეების ამ ტერიტორიის შინაგან საქმეებში ჩარევისათვის.

ასე მიმდინარეობდა ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც საბოლოოდ დამთავრდა მხოლოდ ნორმანდიელების მიერ ბრიტანეთის დაპყრობით. მეთერთმეტე საუკუნეში ანგლო-საქსთა საზოგადოებრიობის საფუძველს წარმოადგენდა არა თავისუფალი კერლების მიერ დასახლებული სოფელი, არამედ ეგრეთ წოდებული მანორი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთ ნაწილზე, ისე როგორც ფრანკთა მონარქიაში, გაშენებული იყო ფეოდალის საკუთარი მამული, ხოლო მეორე—ყმებით დასახლებულ სოფელს წარმოადგენდა.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი ერთგვარად დაკავშირებული აღმოჩნდა ფრანკთა მონარქიაში უფრო ადრე დაწყებულ ფეოდალურ ურთიერთობის წარმოქმნის პროცესებთან და ამდენად ბათი გარკვეული გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა.

თავი მეოთხე

პირველი ფეოდალური სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში

თავი XVIII

მეროვინგების ფრანკთა მონარქია

ფრანკთა ტომები სახელმწიფოს დაარსებამდე. (დასავლეთ რომის ემპერიის ტერიტორიაზე დაარსებული ფეოდალური სახელმწიფო, რომელშიაც ფეოდალურმა წარმოების წესმა ძირითადად დასრულებული სახე მიიღო და რომელშიაც ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესები ყველაზე ადრე განვითარდა, ეს იყო ფრანკთა მონარქია. მაგრამ ფრანკთა საზოგადოების ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგში მომხდარი რადიკალური ცვლილებები შემდეგში გასცილდა მათ მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ფარგლებს და თითქმის მთელ ევროპაში საყოველთაო მოვლენად გადაიქცა.) ფრანკთა ფეოდალურ სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძირითადად წილად ხვდა ფრანკების ტომებს, რომელთა ყოფა-ცხოვრებას ქვემოთ შევეხებით.

(ძველი ფრანკების ტომები დასავლეთის იმ გერმანელთა შტოს ეკუთვნოდნენ, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში განლაგებულნი იყვნენ მდინარე რაინის ქვემო წელში. მესამე საუკუნის დასაწყისამდე ფრანკების შემადგენელი ტომები ცალკ-ცალკე ცხოვრობდნენ და ამიტომ ცალკ-ცალკე სახელწოდებით ცნობილნი იყვნენ ანტიკური მწერლებისათვის როგორც ბატავები, კანინეფატები, სუგამბრები, ამპსივარიები, ხატები, ხამავები და სხვ.) რომელთა უმრავლესობა ძველი ისტვეონების დაჯგუფებაში შედიოდა.

(დროთა მსვლელობაში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად მათში იქმნებოდნენ უფრო მსხვილი ტომობრივი გაერთიანებანი. ამასთან ცალკეული ტომების სახელწოდებაც ისპობოდა და ამ სახელწოდებათა ნაცვლად იქმნებოდა ერთი სა-

ერთო სახელწოდება „ფრანკები“. ასეთი კრებადი მნიშვნელობის მქონე ეს სახელწოდება წყაროებში პირველად მოხსენებულია 258 წელს. უკვე მესამე საუკუნეში იწყება ფრანკების თავდასხმა გალიაზე, და საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, ფრანკები ორ ძირითად დაჯგუფებად იყოფოდნენ:

ა) სალიკური ანუ ზღვისპირეთის ფრანკები, ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე რაინის შესართავიდან დაწყებული მდინარე შელდამდე. მათი სახელწოდება წარმომდგარია სიტყვიდან — sala, რომელიც ადრევე ჰოლანდიის ერთ-ერთი მდინარის, ეისელის სახელწოდება იყო; და ბ) რიპუარის ფრანკები, რომლებიც ცხოვრობდნენ სალიკური ფრანკების მეზობლად სამხრეთით.

მეოთხე საუკუნის დასასრულსა და მეხუთე საუკუნის დასაწყისში ფრანკებმა გალიის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დაიკავეს და იქ დასახლდნენ. ამ შემთხვევაში სალიკურ ფრანკებს წილად ხვდათ ტოსკანდრია (თანამედროვე ჩრდილოეთი ბრაბანტი). აქ მათი სვლა იმპერატორმა იულიანემ შეაჩერა და ისინი აიძულა იმპერიის ფედერატების საფუძველზე საზღვრებს შიგნით დასახლებულიყვნენ. შემდეგში სალიკური ფრანკები აქედან მიწევენ სამხრეთისაკენ და დასავლეთისაკენ. მათ ამ მხარეებში დასახლებულ ადგილებიდან განდევნეს მორინები, ნერვიები და მენაპიები და მათი ადგილები მდინარე სომამდე თვითონ დაიკავეს. ამავე ხანებში რიპუარის ფრანკებმა ხელში ჩაიგდეს ის ადგილები, რომელნიც მდინარე რაინსა და მაასის შორის მდებარეობდნენ.

ამ ხანებში ფრანკები არა მარტო ბრძოლებს აწარმოებდნენ რომის იმპერიის წინააღმდეგ, არამედ ზოგ შემთხვევებში მის მოკავშირეებადაც გამოდიოდნენ. ისინი დამხმარე ჯარებს აძლევდნენ რომს უკანასკნელის მიერ წამოწყებულ სხვადასხვა ბრძოლებში. 451 წელს, როდესაც აეციუსსა და ატილას შორის კატალაუნის მინდვრებზე სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა, ფრანკები რომაელებს ეხმარებოდნენ. ფრანკების ცალკეული წარმომადგენელნი არა ერთხელ დაწინაურდნენ რომაელების სამსახურში და დიდი თანამდებობანი დაიკავეს. ზოგიერთ შემთხვევაში ფრანკები იმპერატორებსაც კი დაუმოყვრდებოდნენ ხოლმე. უფრო გვიან, ფრანკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხილდერიხი, რომლის წარმოშობა ფრანკთა ცნობილ მეროვინგების გვარს მიეკუთვნებოდა, და რომელიც ტურნეში „ეფედ“ იყო გამოცხადებული, ნაცვლის ეგიდიუსის მოკავშირედ ითვლებოდა.

ხლოდვიგის მიერ გალიაში წარმოებული დაპყრობანი და ფრანკთა სამეფოს დაარსება. ხილდერიხის გარდაცვალების შემდეგ სალიკური ფრანკების მეფედ არჩეულ იქნა ხილდერიხის შვილი ხლოდვიგი, ან ხლოდოვეხი (481—511). თავისი მეფობის ხუთი წლისთავზე (486 წ.) მან ფრანკების სხვა მეფესთან რაგნახერთან კავშირი დაამყარა და გაერთიანებული ძალებით განაგრძო რომის იმპერიის ტერიტორიის დაპყრობა. მოკავშირეებმა პირველი იერიშები სუასონზე მიიტანეს, სადაც რომაელთაგან ნახევრად დამოუკიდებელ მმართველად სიაგრიუსის შვილი მსხვილი მაგნატი ეგიდიუსი იმყოფებოდა. სუასონის ბრძოლაში, ეს უკანასკნელი სასტიკად დამარცხდა და გრიგოლ ტურელის (ცხოვრ. დაახ. 540—594 წწ.) თქმით იძულებული გახდა ტულუზაში გაქცეულიყო და ვესტგუთების მეფის ალარიხის სასახლეში თავშესაფარი ეპოვა.

ალარიხმა, რომელიც ცდილობდა ფრანკებთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა, სიაგრიუსი შეიპყრო და ხლოდვიგს გადასცა. სიაგრიუსის სამეფოს მთლიანი დაპყრობისა და უდიდესი სიმდიდრის ხელში ჩაგდების შემდეგ, ხლოდვიგმა ის სიკვდილით დასაჯა. ფრანკების ამ წარმატებებს ერთგვარად ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მათ მხარეზე გალებისა და რომაელების გავლენიანი სასულიერო წოდება გადავიდა. ხლოდვიგმა თავისი ძალაუფლება განამტკიცა იმითაც, რომ ცოლად ბურგუნდების მეფის ქალიშვილი, კათოლიკური სარწმუნოების მატარებელი კლოტილდა შეირთო, თუმცა შემდეგში ხლოდვიგის ამ დამოყვრებამ მას ხელი არ შეუშალა თვით ბურგუნდებთან ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ხლოდვიგის აგრესიული პოლიტიკა შემდეგში უფრო მეტად ფართოედებოდა; როგორც გრიგოლ ტურელი გადმოგვცემს, „მან ბევრჯერ წამოიწყო ომი და ხშირადაც იმარჯვებდა. თავისი მმართველობის ათი წლის თავზე მან ტიურინგების წინააღმდეგ გაილაშქრა და ისინიც თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია". 496 წელს მან სასტიკად დაამარცხა ალემანები, რომელნიც გალიიდან განდევნის შემდეგ იძულებულნი გახდნენ ოსტგუთების მეფის თეოდორიხის მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ. ამგვარად ხლოდვიგს ბრძოლები უხდებოდა არა მარტო რომაელების წინააღმდეგ, არამედ სხვა გერმანული ტომების წინააღმდეგაც, რომელთა ერთი ნაწილი ისევ წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა, ხოლო მეორე არიოზულ ქრისტიანობას.

მომავალი ომების უკეთ წარმოებისათვის და თავისი ძალაუფლების უფრო მეტად განმტკიცებისათვის, ხლოდვიგმა გადა-

სწყვიტა კათოლიკური ქრისტიანობის მიღება. კათოლიკური ეკლესია ჯერ კიდევ ადრე ამჩნევდა, რომ ფრანკების წინააღმდეგ გამკლავება შეუძლებელი იყო და რომ თავისი ქონება არ დაეკარგა, იგი თავის მხრივ ცდილობდა ხლოდვიგთან დაახლოებას. რეიმსის ეპისკოპოსმა რემიგიუსმა ხლოდვიგის ცოლის კლოტილდას დახმარებით შესძლო ადრევე ხლოდვიგთან დაახლოებულიყო. 496 წელს ხლოდვიგმა თავისი მხლებლებით (3000 კაცამდე) კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ამგვარად, ხლოდვიგის მიერ კათოლიკური ქრისტიანობის მიღება წმინდა პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა.

კათოლიკურ ეკლესიასთან მჭიდრო დაკავშირებამ ხლოდვიგს დიდი სამსახური გაუწია. ეს ჩანს თუნდაც შემდეგიდან—გრიგოლ ტურელის გადმოცემით ვესტგუთებთან ომის დაწყების წინ ხლოდვიგს განუცხადებია: „მე ძალიან არა სასიამოვნოდ მიეჩანია ის, რომ ეს არიოზელები გალიის ნაწილს ჰფლობენ. ღვთის ძალით მათ წინააღმდეგ გავილაშქროთ და მათი დაძლევის შემდეგ ეს მიწა ჩვენ ძალაუფლებას დაუქვემდებაროთ“. აქედანაც აშკარად ჩანს, თუ რატომ დასჭირდა ხლოდვიგს არიოზელობის საწინააღმდეგო მიმართულების მქონე კათოლიკური ქრისტიანობის მიღება. ხლოდვიგის მიერ კათოლიკური სარწმუნოების სხვაგვარი ახსნა ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

ვესტგუთებთან ომის დროს (507—510 წწ) აკვიტანიის კათოლიკური სამღვდელოება ფრანკების მხარეზე გადადიოდა. ამიტომ იყო, რომ ქალაქების უმრავლესობა კარს უღებდა დამპყრობლებს და მათ უერთდებოდა. სხვათა შორის ასევე იქცეოდნენ თვით ვესტგუთების დაბალი ფენები, რომელნიც მნიშვნელოვნად განაწამები აღმოჩნდნენ ვესტგუთების სამეფოში ამ დროისათვის შექმნილი სოციალურ-ეკონომიური ვითარებით. საქმე ისაა, რომ გალიის მოსახლეობის დაბალი ფენებიც ფრანკებში ხედავდნენ თავიანთ მხსნელებს. სალიკური სამართლის შესავალში ფრანკების შესახებ ნათქვამია: „...ეს არის მამაცი და ძლიერი ტომი, რომელმაც რომაელების უმძიმესი უღელი გადააგდო“. ეტყობა, რომ ფრანკების დაპყრობებს თან სდევდა გლეხობისათვის ერთგვარი შეღავათის შექმნა.

მეორე მხრივ იგივე გარემოება გალებისა და რომაელების ზედა ფენებს აიძულებდა გამძაფრებული წინააღმდეგობა გაეწია ფრანკებისათვის. გრიგოლ ტურელი ბრძოლების აღწერის დროს აღნიშნავს, რომ ფრანკებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოვერნის მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლებმა. „იქ ბევრი ოვერ-

ნიელნი და მოწინავე სენატორები დაიხოცნენ, რომელთაც აპოლინარიუსი ახლდათ თან".

სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა პუატიესთან ვენის მინდორზე. თავის „ფრანკების ისტორიაში" გრიგოლ ტურელი მოგვითხრობს, რომ ფრანკები ხელშუბებით იბრძოდნენ, ხოლო ვესტგუთები მახვილებით იცავდნენ თავს. ვესტგუთების ბეფე ალარიხი მოკლულ იქნა. ფრანკებმა დაიკავეს ქალაქები ალბიონი, როდე, ოვერნი და სხვა ყველა დანარჩენი, რომელნიც ვესტგუთების საბფლობელოდან დაწყებული ბურგუნუდების საზღვრამდე მდებარეობდნენ. ხლოდვიგმა ტულუზაში არსებული ალარიხის ბთელი საუნჯე ხელთ იგდო და ანგულებისაკენ გასწია. ეს უკანასკნელი წინააღმდეგობის გარეშე მტერს ჩაბარდა. ბაგრამ, მიუხედავად ამისა, გალიის სამხრეთი ნაწილი (პროვანსი, სეპტიმანია) კვლავ ოსტგუთებსა და ვესტგუთებს შერჩათ.

(ფრანკების ამგვარმა წარმატებებმა ხლოდვიგის ავტორიტეტი გაზარდეს, როგორც ფრანკების სხვადასხვა ტომებს შიგნით, ისე იმდროინდელი (საერთაშორისო თვალსაზრისითაც), მალე ბან აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბესვეურისაგან (ანასტასიისაგან) მიიღო კონსულობის წოდება და სამეფო გვირგვინი დაიდგა. ამის შემდეგ მან დასტოვა ქალაქი ტური, წავიდა პარიზში და ეს უკანასკნელი გახადა თავის რეზიდენციად.)

თავის ძალაუფლების განმტკიცებაში და საერთოდ ფრანკთა ტომების გაერთიანების საქმეში ხლოდვიგი ყოველგვარ გაიძვერულ და თაღლითურ საშუალებებს იყენებდა. იგი ამ შემთხვევაში არ ინდობდა არც თავის მახლობელ ნათესავებს და არც „გუშინდელ მოკავშირეებს", რომელთა დახმარებითაც ასეთ წარმატებებს მიაღწია. გრიგოლ ტურელი ამის შესახებ მოგვითხრობს: როდესაც ხლოდვიგმა ბრძოლები წარმატებით დაამთავრა და პარიზში იმყოფებოდა, მან აქედან საიდუმლოდ კაცი მიუგზავნა თავის მოკავშირეს სიგებერტის (რიპუარების ფრანკების ბეფე) შვილს ხლოდერიკს წინადადებით—„მამაშენი მოხუცებულია და ამასთან კოჭლობს. თუ ის მოკვდება, მისი სამეფო და ჩვენი მეგობრობა სამართლიანად შენზე გადმოვაო".

ამით წაქეზებულმა ხლოდერიკმა საკუთარი მამა მოაკვლევინა, რათა მეფედ თვითონ გაეხდარიყო. ხლოდოვიგმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და იმის მიზეზით, რომ თითქოს მამისმკვლელი უნდოდა დაესაჯა, მის წინააღმდეგ გაილაშქრა. სიგებერტის სამეფო მთლიანად ხლოდვიგს დაემორჩილა. ხლოდერიკი მოკლულ

იქნა. ასევე მოიქცა ხლოდვიგი სალიკური ფრანკების ერთ-ერთი მეფის — ხარარიკის მიმართაც. ხარარიკი თავისი შვილით ხლოდვიგმა მოტყუებით ხელში ჩაიგდო. პირველად ისინი ბერად აღკვეცა, ხოლო შემდეგ ორივეს თავი მოჰკვეთა. ასევე ფერაგულად მოექცა ხლოდვიგი თავის ყოფილ მოკავშირეს რაგნახარს, რომელიც სალიკური ფრანკების ერთ-ერთი ტომის მეფე იყო და რომელიც კამბერს მართავდა. მის წინააღმდეგ მოულოდნელი ომის წამოწყებით რაგნახარი და მისი ძმა რიხარი ტყვედ ჩაიგდო, შემდეგ ისინიც სიკვდილით დასაჯა და მათი ქვეშევრდომი ტომიც ოვითონ დაიმორჩილა.

ხლოდვიგის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ფრანკთა მეფეების და კიდევ სხვების უმოწყალო განადგურებით მან მთელი გალია ხელში ჩაიგდო და იქ მეროვინგების დინასტიის ბატონობას საფუძველი ჩაუყარა. მიუხედავად ამისა, იგივე გრიგოლ ტურელი ხლოდვიგის შესახებ ამბობდა: „ღმერთმა მისი მტრები მის წინაშე დამარცხა, რადგან ის ღვთის წინაშე გულმართალი იყო და აკეთებდა იმას, რაც ღვთისათვის სასიამოვნო იქნებოდა". ქალაქ ტურის ეპისკოპოს გრიგოლ ტურელს ერთჰორწმუნე მეფის შესახებ ასე უნდა ეთქვა, მით უფრო, რომ ხლოდვიგი უსვამდ ასაჩუქრებდა ეკლესიას და მას პრივილეგიურ მდგომარეობას უქმნიდა ახლად ჩამოყალიბებულ ფრანკების სახელმწიფოში.

ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილების დროს ფრანკების სახელმწიფო ტერიტორიულად კიდევ უფრო გაფართოვდა. 534 წელს ფრანკებმა ბურგუნდია დაიპყრეს. გარდა ამისა, 536 წელს ოსტგუთებმა იმისათვის, რომ ფრანკები დაეხმარნენ მათ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფრანკებს პროვანსი დაუთმეს. ამავე ხანებში დამთავრდა ფრანკების მიერ ალემანებისა და ტიურინგიის საბოლოო დამორჩილება; ბავარებმაც მორჩილება გამოაცხადეს, მხოლოდ ნაწილობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს თავიანთი ჰერცოგების მმართველობით. საქსები, რომელნიც ერთ ხანს დიდ წინააღმდეგობას იჩენდნენ, ფრანკების მოსარკედ გადაიქცნენ. უკანასკნელთა სასარგებლოდ ისინი ყოველწლიურად ხარკს 500-მდე ძროხას აძლევდნენ.

თემი. გვაროვნული წყობილება. ვიდრე შეუდგებოდეთ ფრანკების თემური ორგანიზაციისა და მისი რღვევის შესწავლას ფეოდალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით, საჭირო იქნება იმის წარმოდგენა, თუ თეორიულად რა საფესურებს გაიარ-

ელი თემი თავის განვითარებაში[1]. ამ შემთხვევაში მარქსი თემის განვითარების სამ საფეხურზე მიგვითითებს: 1. ყველაზე ადრინდელი თემი, რომელიც მისი წევრების სისხლითი ნათესაობის პრინციპს ეფუძნება. ეს ტიპის თემი გაბატონებული იყო ჯერ კიდევ იულიუს ცეზარის ხანაში, 2. თემი, რომელსაც მარქსი „მიწათმოქმედი თემის" სახელწოდებით მოიხსენიებდა და რომელსაც ტაციტუსი აღვიწერდა თავის შრომებში, 3. სამიწათმოქმედო თემის გვიანდელი სტადია, რომელსაც ენგელსმა „მარკა" უწოდა.

ამგვარად არქაული თემის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ თემის ყველა წევრი ერთმანეთის მონათესავენი იყვნენ, მათ ჰქონდათ საერთო სახელი, ისინი კოლექტიურად ახდენენ მიწების დამუშავებას. შემოსავალს ინაწილებენ სულადობის მიხედვით, აქასთან შემოსავლის ერთი წილი ხელახალი წარმოების წამოწყებისათვის გადადება. საბანკო-სათესი მიწების დანაწილება თემის წევრთა შორის და ბით უფრო მათი გასხვისება არ ხდება. ცეზარის დროს მიწების გადანაწილება ხდებოდა მხოლოდ გვარებს შორის.

სამიწათმოქმედო თემი ისით განსხვავდება პირველისაგან, რომ სახლი და მისი დანამატი კარ-მიდამო მიწათმოქმედის კერძო საკუთრებაშია, მაგრამ პერიოდულად ხდება მიწების გადანაწილება თემის წევრებს, ოჯახებს შორის და, მაშასადამე, მიწების დამუშავება კოლექტიურად კი არა, ინდივიდუალური წესით წარმოებს. ბოსაელის მითვისებაც ამ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ამგვარად, სამიწათმოქმედო თემში, განსხვავებით არქაულისაგან, თემის წევრთა შორის ხდება წარმოებითი საშუალებების და არა პროდუქტების განაწილება.

„მარკის" დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ა) მიწების ხელახალი გადანაწილება თემის წევრებს შორის აღარ წარმოებს. ოვითეული წევრისათვის წინათ მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადის. ამგვარად, წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული ალოდი, რომელიც კერძო საკუთრებად ხდება, ბ) მიუხედავად ამისა მარკაში ტყე, საძოვარი ადგილები და სხვ. საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და გ) თემი —

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. А. И. Неусыхин. Структура общины в южной и юго-западной Германии в VIII—XI вв. (Средние века, т. IV, зз. 33—35) და М. Н. Соколова. Свободная община и закрепощение крестьян в Кенте и Эссексе. (Средние века, т. VI. зз. 39).

მარკა კვლავ ერევა წევრების საქმიანობაში, აწესებს იძულებითი თესლბრუნვას, კონტროლს უწევს იმას, რომ ჭირნახულის აკრეფის შემდეგ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები არ იქნას შემოლობილი მათი მეპატრონეების მიერ, რათა ყველას შესაძლებლობა მიეცეს ამ მიწებზე აძოვოს თავისი საქონელი. კერძო საკუთრების წარმოშობისა და მისი გაძლიერების შედეგად იქმნება პირობები თემის საბოლოო რღვევისათვის. ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ფრანკთა სამეფოს დასავლეთ ნაწილში, ვიდრე საქსონიაში და ფრისლანდიაში. ასეთი იყო თემის განვითარების ცალკეული საფეხურები.

მიუხედავად იმისა, რომ გალიის დაპყრობამდე ფრანკების ტოტების საერთო განვითარების დონე ჩამორჩებოდა ვესტგუთების, ოსტგუთების, ვანდალების და სხვ. საერთო განვითარებას, ფრანკებში სისხლითი ნათესაობის პრინციპზე დამყარებული თემი უკვე დაშლის პროცესში იმყოფებოდა, თუმცა სისხლითი ნათესაობა კვლავ ინარჩუნებდა გარკვეულ მნიშვნელობას თემის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაში. სალიკური სამართლის (V საუკ. ბოლო და VI საუკუნის დასაწყისი) XII თავის მიხედვით ფრანკის მოკლის შემთხვევაში ვერგელდის ნახევარს მოკლულის ვაჟიშვილები ღებულობდნენ, ხოლო მეორე ნახევარს იყოფენ ახლო ნათესავები, როგორც დედის, ისე მამის მხრივ. ფრანკებში ნათესაობრივი კავშირი ბევრსე თაობით თავდება. ამ ნათესაური კავშირის წევრები თანმიმდევრობით ღებულობენ მონაწილეობას ხან ვერგელდის მიღებაში, ხან მის გაცემაში, ხან საერთოდ მენკვიდრეობის მიღებაში, ხან მოწმედ, ფიცის დამდებლად სასამართლოში და ა. შ.

ყველაფერი ეს თვალსაჩინოდ არის ასახული სალიკური სამართლის LVIII თავში—„მუქა მიწის შესახებ", რომელშიაც ნათქვამია: „§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს კაცს და, მთელი ქონების გაღების მიუხედავად, ვერ შესძლებს კანონით კუთვნილის გადახდას, მან უნდა წარმოადგინოს 12 თანამოფიცარი, რომ არც მიწაზე არც მიწის ქვეშ მას არა აქვს იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გაიღო და შემდეგ იგი უნდა შევიდეს თავის სახლში, 4 კუთხიდან მუქად შეაგროვოს მიწა, დადგეს ზღურბლზე, შიგ სახლისკენ პირშებრუნებული, და ეს მიწა, მარცხენა ხელით თავის მხრებზე გადატანით, ესროლოს იმას, ვისაც იგი თვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა ესროლოს თავისიანებს, ე. ი. სამ უახლოეს დედისეულ და სამისეულ ნათესავს. მერე, პერანგით, უქამროდ, უფეხსაცმელოდ,

სარით ხელში, უნდა გადახტეს ღობეზე, ხოლო ამ სამმა (დედისეულმა ნათესავმა) უნდა გადაიხადოს იმის ნახევარი, რამდენიც კანონით კუთვნილი კომპოზიციიდან (ვერგელდიდან გ. ტ.) არ არის გადახდილი. ასევე უნდა მოიქცნენ სამნი დანარჩენნიც, მამისეული ნათესავნი. ხოლო თუ რომელიმე მათგანი ძალიან ღარიბი აღმოჩნდება, რომ თავისი წილი გადაიხადოს, მან თავის მხრივ მეტა მიწა უნდა ესროლოს რომელიმე უფრო შეძლებულს, რათა მან სულ გადაიხადოს კანონის მიხედვით. უკეთუ მასაც არ ექნება, რომ მთლად გადაიხადოს, მაშინ იმან, ვინც მკვლელის თავდებობა იკისრა, წარადგინოს იგი სასამართლო სხდომაზე, და იქ შემდეგ ოთხი სხდომის განმავლობაში თავდებად დაუდგეს მას. უკეთუ არავინ ითავდებებს კომპოზიციის გადახდას, ე. ი. იმის ანაზღაურებას, რაც მას არ გადაუხდია, მაშინ კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა გადაიხადოს[1].

აქ სისხლითი ნათესაობის პრინციპის ნაწილობრივი შერბილება იმაში ვამოიხატება, რომ სისხლის აღება შეცვლილია მისი გამოსყიდვით—ვერგელდით (მკვლელს მოკლულის გვარის სასარგებლოდ უნდა მიეცა: ძროხა, ცხენი, ცხვარი და სხვ.), მაგრამ სისხლითი ნათესაობის კავშირის უფრო მეტად შესუსტება ჩანს სალიკური სამართლის IX. თავიდან — „ვისაც სურს ხელი აიღოს ნათესაობაზე". აქ ნათქვამია, რომ ის პირი, რომელსაც აღარ სურს მონაწილეობის მიღება მემკვიდრეობის საკითხში, ვერგელდის მიღება ან გაცემაში, თავდებად ყოფნაში და საერთოდ ნათესაობაზე ხელს იღებს, უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ტუნგინის წინაშე. იქ მან თავზე უნდა გადაიმტვრიოს სამი ჯოხი, მიყარმოყაროს ოთხ მხარეს და განაცხადოს თავის სურვილის შესახებ. ამის შემდეგ იგი ჰკარგავს გვაროვნულ კავშირიდან გამომდინარე როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებას.

სისხლითი ნათესაური კავშირი სხვა მხრივაც შესუსტებულია. ცნობილია, რომ ცეზარისა და ტაციტუსის ხანაშიც გვარის მიერ საცხოვრებლად დაკავებულ ადგილზე სხვა გვარის წევრის დასახლება ყოვლად შეუძლებელი იყო. სალიკური სამართლის XIV თავში—„გადასახლებულთა შესახებ", § 3. ნათქვამია: „უკეთუ გადასახლებულს 12 თვის განმავლობაში არაეითარი პროტესტი (თემის წევრებისაგან გ. ტ.) არ წარედგინება, იგი ხელუხლებელი უნდა

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, გვ. 45—46. გამოც. 1950 წ.

დარჩეს, ისე როგორც სხვა მეზობელი". მაშასადამე. ამიერიდან გვარის მიერ დასახლებულ ადგილზე უცხო პირის ცხოვრებაც შეიძლებოდა.

მიუხედავად ამისა თემი, თემური მიწათმფლობელობა კვლავ ძალაში იყო. სალიკური სამართლის ამავე თავში (§ 1) ნათქვამი იყო, რომ „უკეთუ ვინმე მოისურვებს გადასახლდეს სხვის ვილაში და თუ ვილას ერთი ან რამდენიმე მცხოვრები მოისურვებს მის შიღებას, მაგრამ აღმოჩნდება ოუნდაც ერთი, ვინც წინააღუდგება გადასახლებას, მას უფლება არ ეძნება იქ დასახლდეს". აქედან ჩანს, რომ უცხო პირის დასახლება ვილაში უნდა მომხდარიყო მთელი თემის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ამრიგად, თემი კვლავ რჩება როგორც უმაღლესი უფლებების მატარებელი თემური მიწების ხელმძღვანელობის საქმეში, მაგრამ აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს სამიწათმოქმედო თემთან, რომელიც თავის განვითარებით გადადის „მარკაში".

სალიკური სამართლის მიხედვით მიწები დანაწილებულია თემის წევრებს შორის მსხვილი ოჯახების მისედვით. გლეხის ნადელს ლათინურად sors ი ეწოდებოდა, ხოლო ფრანგული ტერმინით — hlut, რაც წილს ნიშნავს. XII საუკუნის შუალედიდან იგი ატარებს mansus სახელწოდებას[1]. გლეხის მიწის ნაკვეთების ხელახალი გადანაწილება აქ ადარ ხდებოდა და იგი მემკვიდრეობით გადადიოდა. მამიდან შვილზე. ამის შესახებ სალიკური სამართლის LIX თავში „ალოდების შესახებ" (§ 5) ნათქვამია: „ხოლო ადგილ-მამული არაეითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ქალის მემკვიდრეობად, არამედ მთელი მიწა გადავიდეს მამაკაცების, ე. ი. ძმების ხელში".

სალიკური სამართლიდან ჩანს, რომ კერძო საკუთრება მიწაზე ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი, მეურნის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას მემკვიდრედ ვაჟიშვილი არ დარჩებოდა, მისი მიწა თემს უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, რომ გლეხის კარ-მიდამო უკვე კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა. გლეხური მეურნეობის შემადგენელი მიწის ნაკვეთები როგორც ყანები, ვენახები და ბოსტნები გაფანტულად იყო მოცემული, ამიტომ სვნათესვაში, მოსავლის აკრეფაში და სხვ. თვითეული მეურნე თემის რეგლამენტაციას უნდა დაჰორჩილებოდა. თემის მიერ იძულებითი თესლ-ბრუნვა იყო შემოღებული, ხოლო ჭირნახულის აკრეფა თა-

---

[1] Д. М. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, გვ. 319.

ვისებური „რთველი“ ხდებოდა. ყანებიდან პირნახულის აკრეფის შემდეგ ღობეები უნდა აყრილიყო და ამ ადგილებზე ყველას საქონლის ძოვების უფლება ეძლეოდა.

თემის გახკარგულებაში იყო აგრეთვე განუყოფელი მიწების ფონდი ე. წ. ალმენდა. მიწის თვნურ საკუთრებაზე გველაპარაკება სალიკური სანარილის XXVII თავი, რომლის მიხედვითაც თემის—მარკის წევრები თანაბრად სარგებლობენ საერთო ტყით. ისინი წინასწარ ნიშნავდნენ ტყეში ხეებს, რომელნიც შემდეგში უნდა მოეჭრათ. აღნიშნული თავის 19-ე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ ვინმე გაბედავს ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ნიშანდასმული ხის წაღებას, ამამი არავითარი ბრალი არ არის“. მაშასადამე, ფრანკებში ტყე საერთო სარგებლობაში იმყოფებოდა, თუნცა ამ შემთხვევაშიაც თემს გარკვეული წესები ჰქონდა შემოღებული, რაც თემის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო.

ალმენდაში შედიოდა აგრეთვე მდინარეებით, ან ტბებით საერთო სარგებლობა და აგრეთვე საერთო საძოვარი ადგილები. ამის მნიშვნელოვნად დადასტურებას იძლევა სალიკური სამართლის მესამე თავი, რომლითაც გარკვეული სასჯელია განკუთვნილი იმ ბოროტმოქმედზე, რომელიც იპარავს რამდენიმე სოფლის ნახირისათვის ერთ განკუთვნილ ბუღა-ხარს. აღნიშნული თავის მეხუთე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ ეს ბუღა მომსახურეობას უწევდა სამი ვილის (willa) ძროხებს, ქურდი იდის სამჯერ 45 სოლიდს“ ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რამდენიმე მეზობლად მდებარე სოფელს საერთო საძოვარი გააჩნდა. მაშასადამე, თემი—მარკა ამ ხანებში რამდენიმე სოფელს შეიცავდა, ხოლო დროთა განმავლობაში ასეთი თემი დანაწილდა და სასოფლო თემად გადაიქცა.

ენგელსის აზრით მდინარე რაინის აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ოლქებში, როდესაც ამ ადგილების დაპყრობა ხდებოდა ფრანკების მიერ, საოლქო თემები არსებობდა... „ნარკის — თემის სიმძიმის ცენტრი, ეტყობა, რომ ოლქში იმყოფებოდა; უნდა ითქვას, რომ ოლქი თემს—მარკას მოიცავდა[1]“. საოლქო თემის—მარკის შემდეგში სასოფლო თემებად დანაწილების დროს, როცა ჯერ კიდევ რამდენიმე სოფლის ცალკე თემებად—მარკებად გამიჯვნა საბოლოოდ არ იყო დამთავრებული, დარჩა ადგილ-მამულები, რომელნიც რამდენიმე სოფლის საერთო სარგებლობაში

---

[1] Ф. Энгельс, Крестьянская война в Германии. Приложение I. Марка, გვ. 115.

იმყოფებოდა. ასე, მაგალითად, სოფელი ნოიენგეიმი, რომელიც განდშუსგეიმიდან სამხრეთით 2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა, VIII საუკუნის 80-იან წლებში განდშუსგეიმის თემში შემაველად ითვლებოდა[1].

მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობა და ფრანკთა ხაზოგადოებრიობის სოციალური დიფერენციაცია. როგორც აღვნიშნეთ, მიწები უკვე გამოყოფილი იყო ინდივიდუალურ სარგებლობაში, ხოლო კარ-მიდამო კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა, მაგრამ კერძო საკუთრება მიწაზე სალიკური სამართლით ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი და მეურნის გარდაცვალებისას ვაჟიშვილის არ ყოლების შემთხვევაში მიწა თემს უბრუნდებოდა. სალიკური სამართლის ის მუხლი, რომლითაც მიწის მემკვიდრეობით გადაცემა ხდებოდა მხოლოდ მამაკაცებზე, ფრანკების მეფე ხილპერიკმა (561—584) სპეციალური ედიქტით შეცვალა. ამ ედიქტში ნათქვამი იყო, რომ გარდაცვალების შემთხვევაში მეურნეს თუ ვაჟიშვილი არ დარჩება, მიწა ქალიშვილს უნდა გადაეცეს.

ასეთივე დადგენა მოცემულია მარკულფის ფორმულაში, სადაც ნათქვამია: „ჩემს უტკბეს ქალიშვილს ამას და ამას მე ესა და ეს. ძველთაძველი, მაგრამ უღვთო ადათი არსებობს ჩვენს შორის, რომ დებს მამისეულ მიწის (მემკვიდრეობაში) არ ჰქონდეთ წილი ძმების თანაბრად; მე კი, ამ უღვთო ადათის მოფიქრებული განსჯის შემდეგ (გადავწყვიტე), რომ ყველა თქვენგანზე თანაბრად ვრცელდებოდეს ჩემი სიყვარული და რომ თქვენ ყველამ... თანაბრად ისარგებლოთ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ქონებით. ამიტომ ამ სიგელით მე გხდი შენ, ...შენი ძმების, ჩემი ვაჟების, კანონიერ და თანასწორუფლებიან მონაწილედ მთელი ჩემი მემკვიდრეობისა, რათა როგორც მამის ალოდური, ისე შეძენილი მიწა, ...ჩემი შვილების თანაბრად გაიყო და არასგზით არ მიიღო მათთან შედარებით ნაკლები წილი...“[2].

ალოდის მემკვიდრეობით ქალიშვილზე გადაცემა და საერთოდ მიწის ანდერძით გასხვისება უკვე წარმოადგენდა მის კერძო საკუთრებად გადაქცევას. ეკზოგამიის არსებობის პირობებში ქალის გათხოვება გვარის შიგნით აკრძალული იყო, იგი სხვა გვარში თხოვდებოდა და თუ მას მემკვიდრეობით გადაეცემოდა მიწა, ეს

---

[1] А. И. Данилов, Немецкая деревня второй половины VIII—начала IX в. в бассейне нижнего течения Неккара (იხ. Средние века т. VIII, გვ. III).

[2] Н. Грацианский, Западная Европа в средние века. გვ. 24. იხ. აგრეთვე ი. დოლიძის აღნიშნული შრომა.

ეკანასკნელი სხვა გვარის საკუთრებად გადაიქცეოდა. რიპუარულ სამართალში, რომლის ნაწილი (1—31 მუხლამდე) შედგენილია VI საუკ. მეორე ნახევარში, ხოლო მეორე—VII საუკ. 30-იან წლებში, ალოდის გაყიდვა უკვე დაშვებულია. ამრიგად, ალოდი თემისაგან სრულიად დამოუკიდებელი გახდა და თავისუფლად გასხვისების ობიექტად გადაიქცა. მაგრამ „იმ დროიდან, რაც ალოდი წარმოიშვა როგორც თავისუფლად გასხვისების მიწის საკუთრება, მიწის საკუთრება როგორც საქონელი, მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობა მხოლოდ დროის საკითხად გადაიქცა[1].

იმავე, მეექვსე საუკუნის ფრანკების ნეფეების მიერ გამოცემულ ბრძანებულებებში, რომელნიც ავსებდნენ და ნაწილობრივ ცვლიდნენ სალიკურ სამართალსა და მის ცალკეულ მუხლებს, გვხვდება ტერმინები: „minoflidi“, რაც მცირე მიწის პატრონს ნიშნავს და „meliores“ — მსხვილი მიწათმფლობელი, რომელსაც მიწები სხვადასხვა ადგილას გააჩნია. გარდა ამისა ამავე დოკუმენტებში მოიხსენებიან ისეთი პირებიც, რომელთაც არ შეუძლიათ ჯარიმების გადახდა, რომელნიც ტყეებში დაწანწალებენ და რომელნიც ადგილობრივ ხელისუფალთათვის საეჭვო და მიუღებელ პირებად გადაქცეულან.

აქედან გამოდის, რომ თავისუფალი თემის წევრთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელსაც კერძო საკუთრების გაჩენამდე ჰქონდა თავისი ნეურნეობა, ალოდის წარმოშობის შემდეგ ეს დაჰკარგა და გაჩანაგების გზას დაადგა. ამრიგად, თავისუფალ გლეხების გაჩანაგების ძირითადი მიზეზი კერძო საკუთრება იყო. ამ პროცესის დამატებითი მიზეზი იყო: მძიმე სანხედრო ვალდებულება, რომელიც გლეხებს სოფლის მეურნეობისაგან სწყვეტდა, აუტანელი და მძიმე ჯარიმები. რომელნიც მათ კომპოზიციის ანუ ვერგელდის სახით უნდა გაეღოთ. შინმილი და ეპიდემია, რასაც საწარმოო ძალთა ნაკლებად განვითარების გამო იმ ეპოქაში ხშირად ჰქონდა ადგილი და ბოლოს გადასახადები, რომელიც VII საუკუნის დასაწყისში თვით ფრანკებსაც დააკისრეს.

ეკონომიურად გაპირვებული გლეხი იძულებული ხდებოდა თავისთავი გაეყიდნა და ბოსად გადაქცეულიყო. ის პირები, რომელნიც დავალიანებული აღმოჩნდებოდნენ, ანდა ძალა არ შეუწევდათ ჯარიმების გადასახდელად, დაუყოვნებლივ სატუსაღოში აღმოჩნდებოდნენ. მათი ტუსაღობიდან განთავისუფლება შესაძლებელი

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, гл. 392.

იყო იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათ დაეალიანებას, ან კუთვნილ ჯარიმას გაიღებდა. მსხვილი მიწათმფლობელები, განსაკუთრებით კი ეკლესია, რომელთაც ჭირდებოდათ საბუშაო ძალა, ძალიან დაინტერესებული იყვნენ სატუსალოებით, რადგან ეს სატუსალოები ბუშასელის ერთგვარ ბაზარს წარმოადგენდნენ. შუა საუკუნეების აგიოგრაფიები ხშირად მოგვითხრობენ იმაზე, თუ სასულიერო წოდების წარმომადგენელნი როგორ დადიოდნენ ამ ადგილებში ტუსაღების გამოსასყიდად, ხოლო შემდეგ გამოსყიდულ გლეხებს საეკლესიო მიწებზე ამუშავებდნენ.

მონობის წარმოშობის არანაკლებ მნიშვნელოვან წყაროს ის ბრძოლები და თავდასხმები წარმოადგენდა, რომელიც ფართოდ გაიშალა გალიის ტერიტორიაზე. რაზმეულების უფროსებს უსვად მოჰყავდათ ტყვეები, რომელთაც მონებად აქცევდნენ. სალიკური სამართლიდან ჩანს, რომ ფრანკებში მონობა ფართოდ იყო გავრცელებული. იქ ჩამოთვლილია მონათა მთელი რიგი პროფესიისა: ხელზე მოსანსახურეები, მეკედლები, ბელორეები, ვენახში მომუშავეები, ოქრომჭედლები, ცხენების მომვლელები და სხვ. მონების გარდა სალიკური სამართალი ასახელებს ლიტებსაც, რომელნიც ნახევრად თავისუფალნი იყვნენ და განთავისუფლებულებსაც. ყველა ესენი ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს და მათ სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ფრანკებში მონათმფლობელური წარმოების წესი ყოველიყოს დაშყარებული. ფრანკების მონები ისეთივე მონებს წარმოადგენდნენ, როგორც მონები ტაციტუსის დროინდელ გერმანელებში. მონებს ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა, ოჯახები და ქონებაც, თუმცა ძალზე შეზღუდული. სალიკური სამართალი სერეს მონას წარმოიდგენს როგორც ბატონის კუთვნილ საგანს და ითელ რიგ შემთხვევებში მას ათანაბრებს ცხოველთან, მაგრამ მისი (სამართლის) XII თავის პირველი მუხლით, თუ მონა მოიპარავს რამეს, მან უკან უნდა დააბრუნოს მოპარული და კიდეც გადაიხადოს ჯარიმა. ამავე თავის მეორე მუხლით მონა თუ მოიპარავს 40 დენარზე მეტი ღირებულების რამეს, ჯარიმაში 6 სოლიდს იხდის. მაშასადამე, თავისთავად იგულისხმება, რომ მონას გააჩნია ქონება, საიდანაც მან უნდა გადაიხადოს ეს ჯარიმები [1].

---

[1] А. И. Данилов, К критике доминиканской концепции раннесреднепсковой вотчины (იხ. Средние века. 1957 г., გვ. 59.)

მიუხედავად ფრანკებში დაწყებულ სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაციისა, ამ საზოგადოებრიობის ძირითად ფენას ჯერ კიდევ თავისუფალი გლეხობა წარმოადგენდა, რომელიც გაერთიანებული იყო თემ-მარკაში და სოფლის მეურნეობის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. გალიის დაპყრობის დროს, ფრანკების მოსვლით გამრავლდა თავისუფალ გლეხთა საერთო რაოდენობა. თავდაპირველად მსხვილი მიწათმფლობელობა დაიშალა ფრანკთა სახელმწიფოს იმ ოლქებშიაც კი, სადაც გალიელებისა და რომაელების მოსახლეობა ჭარბობდა და სადაც მსხვილმა მიწათმფლობელობამ რომაული ბატონობის უკანასკნელ ხანაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

მეროვინგების ბატონობის ხანაში არც სალიკურ და არც რიპუარულ ფრანკებს გვაროვნული არისტოკრატია აღარ ჰყავდათ. თავდაპირველად გვაროვნულმა არისტოკრატიამ დაჰკარგა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და შემდეგ ტომთა გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლაში მეროვინგებმა მისი წევრების უმრავლესობა ფიზიკურად მოსპეს. მაგრამ მალე წარმოიშვა ფრანკების ახალი ეგრეთ წოდებული მსახურეული არისტოკრატია. მსხვილი მესაკუთრეები, რომლებმაც უხვად მიიღეს მიწები პირველყოველისა მეფისაგან, იყვნენ მეფის მახლობლები, მისი ამალის წევრები, რაზმეულების ხელმძღვანელები—ანტრუსტიონები, მისი მოხელეები—გრაფები, საცებარონები და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ ზემოთჩამოთვლილ ფრანკთა საზოგადოების სხვადასხვა ფენები, რომელთა ეკონომიური პირობები სხვადასხვანაირი იყო, უფლებრივადაც ერთი-მეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. სალიკური სამართლის მიხედვით ყველაზე უფრო მეტად ანტრუსტიონების სიცოცხლე და ინტერესები იყო დაცული. თვითეულ ანტრუსტიონის მოკვლის შემთხვევაში მკვლელს სამმაგი ვერგელდი, ე. ი. 600 სოლიდი უნდა გადაეხადა. თავისუფალი ფრანკის მოკვლის შემთხვევაში დაწესებული იყო ვერგელდი 200 სოლიდის რაოდენობით, ლიტისა—100 სოლიდი, გაზატებულზე—83—100 სოლიდამდე, ხოლო მონებზე—ჩვეულებრივი ჯარიმა—30-დან 36 სოლიდამდე.

ფრანკების სახელმწიფოში ახალი მსახურეული არისტოკრატია შედგებოდა არა მარტო ფრანკული წარმოშობის მქონე პირებისაგან, არამედ გალო-რომაული მოსახლეობისაგანაც. ამ წრიდან მეფისადმი დაახლოებულ პირებს სალიკური სამართალი იხსენიებს როგორც „Romano conviva rege"-ს. გასაგებია, რომ გალიის დაპყრობისას თავდაპირველად მონებისა, ლიტებისა და ეგრეთ წო-

დებულ გააზატებულ პირთა უმრავლესობა აგრეთვე გალო-რომაული მოსახლეებისაგან შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ როგორც ფრანკული, ისე გალო-რომაული წარმოშობის მქონე ამ ორ ფენაში (არისტოკრატია და „მდაბიოები") ვერგელდი ერთი და იგივე იყო, ე. ი. რომაელი და ფრანკი ანტრუსტიონის ვერგელდი, როგორც აღვნიშნეთ, 600 სოლიდს უდრიდა და ასევე ვერგელდში ერთი მეორისაგან არ განსხვავდებოდნენ მონები, ლიტები და გააზატებულნი როგორი წარმოშობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

სახელმწიფოებრივი წყობილება და სამეფო ხელისუფლება. ფრანკების მიერ წარმოებულ პირველ დაპყრობათა დროს ფრანკთა ყოფა-ცხოვრება თემური წყობილებით განისაზღვრებოდა. ყოველ მნიშვნელოვან საკითხს სახალხო კრება წყვეტდა, ბრძოლების წარმოებისათვის კი ფრანკების ცალკეულ ტომებს თავიანთი სამხედრო ბელადები ჰყავდათ გამოყოფილი. როგორც ტაციტუსი გადმოგვცემს სხვა ძველი გერმანელი ტომების შესახებ, ფრანკების სამხედრო ბელადებიც ბრძოლების დროს დიდი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ მათი უფლებები უქმდებოდა. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს გრიგოლ ტურელი, როცა ის მოგვითხრობს ხლოდვიგის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე.

გრიგოლ ტურელის გადმოცემით ხლოდვიგის ჯარებმა დაარბიეს და გაძარცვეს მრავალი ეკლესია და მონასტერი, რადგან მაშინ ხლოდვიგი ჯერ კიდევ წარმართობას მისდევდა. და, აი, ერთხელ ფრანკებმა ხელთ იგდეს ერთ-ერთი ეკლესიის ქონება, რომელშიაც ულამაზესი ფიალაც იყო. ეპისკოპოსმა რემიგიუსმა ხლოდვიგს კაცი მიუგზავნა თხოვნით, რათა ეს ფიალა მაინც დაებრუნებიათ უკან. ხლოდვიგმა მოითხოვა, რომ ეს კაცი მას სუასონში გაჰყოლოდა, სადაც ნადავლის განაწილება უნდა მოხდარიყო. ამასთან ისიც დაუმატა, რომ „თუ ეს ჭურჭელი, რომელსაც წმინდა მამა მოითხოვს, მას წილად შეხვდებოდა, შეასრულებდა მის თხოვნას". ხლოდვიგმა სუასონში თავის მოლაშქრეებს თხოვა ფიალა მისთვის წილისყრის გარეშე დაეთმოთ. ამის საპასუხოდ ერთ-ერთმა რიგითმა მოლაშქრემ ფიალას ჩუგლუგი დაარტყა და ის ნამსხვრევებად აქცია.

ხლოდვიგმა მაშინ მოწინააღმდეგეს ვერაფერი უთხრა, რადგან თარეში უკვე დამთავრებული იყო და თანახმად არსებული წესჩვეულებისა, მას როგორც სამხედრო ბელადს, ლაშქრობის წევრთა დასჯის უფლება აღარ ჰქონდა. ერთი წლის შემდეგო,—განაგრძობს.

გრიგოლ ტურელი, ხლოდვიგმა გადასწყვიტა ახალი ლაშქრობის წამოწყება. მან მარტის მინდორზე ლაშქარი მოიწვია და მისი ბრძოლისათვის მზად ყოფნის შემოწმება დაიწყო. როცა იგი მიუახლოვდა იმ პიროვნებას, რომელმაც სუასონში მას აწყევინა, ხლოდვიგმა მას დაუწუნა იარაღი და ამ საბაბით იგი იქვე მოჰკლა.

ბრძოლების ხანგრძლიობის მიხედვით სამხედრო ბელადის დიდი უფლებებიც ხანგრძლივდებოდა. მეორე მხრივ კი იგივე ბრძოლები თემებისა და საერთოდ ხალხის გვაროვნულ ორგანიზაციებს ძირს უთხრიდნენ და გადაგვარების გზაზე აყენებდნენ. დაპყრობილ ადგილების საბოლოო დამორჩილებასა და ამ ადგილების მოვლა-ხელმძღვანელობას თემური წყობილების ორგანიზაციები ვეღარ უპასუხებდნენ. კლასობრივი საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის სახალხო კრება აღარ გამოდგებოდა. ასეთ შემთხვევაში ერთადერთ გამოსავალს სამხედრო ბელადი წარმოადგენდა, რომელიც „დამპყრობელი — ხალხის ყველაზე მახლობელი წარმომადგენელი იყო“ და რომელსაც შეეძლო დაპყრობილი ოლქის, როგორც შინაგანი, ისე გარეშე დაცვა, თუკი მისი ძალაუფლება უფრო მეტად განმტკიცდებოდა. „დადგა მომენტი მხედართმთავრის ძალაუფლების გადაქცევისა სამეფო ძალაუფლებად, და ეს გარდაქმნა აღსრულდა“ [1].

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება, პირველ ყოვლისა, დაიწყო მისი ეკონომიური საფუძვლების გაძლიერებით. ფრანკების ტომებმა თავიანთი მოთხოვნილება მიწაზე დააკმაყოფილეს ჯერ კიდევ ვაშინ, ვიდრე ისინი მდინარე სომამდე მიაღწევდნენ, ამიტომ გალიის დაპყრობისას ფრანკების მეფემ აღარ მოახდინა მიწების ვანაწილება დაპყრობილებსა და დამპყრობელებს შორის. ყველა ის ადგილ-მამული, რომელნიც გალიის დაპყრობისას ხლოდვიგს ჩაუვარდა ხელში — მან თავის საკუთრებად გამოაცხადა. „უბრალო ვთავარსარდლიდან ნამდვილ მეფედ ქცეულმა ფრანკების მეფემ, უწინარეს ყოვლისა, საუფლისწულო ქონებად აქცია ეს სახალხო საკუთრება, ხალხს მოპარა იგი და თავის ამალას აჩუქა და დაუმკვიდრა... ყველა მათ (ლაპარაკია მთავარსარდლის ამალის წევრებზე—გ. ტ) თავდაპირველად საჩუქრად მიეკათ სახალხო მიწის ნაკვეთები, შემდეგ ბენეფიციუმის სახით ეს მათ დაემკვიდრათ

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 154.

მეფის სიკვდილამდე; ამ გზით ხალხის ხარჯზე საფუძველი ჩაეყარა ახალ თავადაზნაურობას" [1].

უამრავი მაჰალების გარდა სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან შემოსავალ წყაროს წარმოადგენდა ის სასამართლო ჯარიმები, რომლის $^1/_3$ ნაწილი სახელმწიფოსათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, ყოველგვარი საბაჟოების შემოსავალი და „განდგომილთა" ქონების კონფისკაცია ტარდებოდა სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ. ფრანკების მეფეებიც ხშირად სარგებლობდნენ „გამოკვების" უფლებებით, ისე როგორც ანგლო-საქსების მეფეები „ფირმის" უფლებით. მაგრამ სამეფო შემოსავლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროს, მაინც პირდაპირი გადასახადები წარმოადგენდა. თავდაპირველად გადასახადები მხოლოდ დაპყრობილ მოსახლეობაზე იყო გაწერილი, თვით ფრანკებში კი იგი მიუღებელი ხდებოდა როგორც „თავისუფალთათვის შეუფერებელი".

მეროვინგთა დინასტიის პირველი წარმომადგენელნი დაჟინებით ცდილობდნენ პირდაპირი გადასახადების გაზრდას არა მარტო დაპყრობილ მოსახლეობაში, არამედ ფრანკების დაბეგვრასაც. ამ ცდებმა ფრანკულ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ფრანკთა მონარქიის აღმოსავლეთი ნაწილის მეფის თეოდებერტის გარდაცვალების (548 წ.) შემდეგ მის სამეფოში დაიწყო მღელვარება გადასახადების გაწერის წინააღმდეგ. აჯანყება მოხდა ქალაქ ტრირში. გრიგოლ ტურელის გადმოცემით აჯანყების მონაწილეებმა ეპისკოპოსების მიერ გადამალული თეოდებერტის მრჩეველი (გადასახადების საკითხში) პართენიონი მონახეს და ქვებით ჩაქოლეს.

ამავე მიზეზით გამოწვეულ ლიმოჟის აჯანყებაზე (579 წ.) გრიგოლ ტურელი გადმოგვცემს შემდეგს: მეფე ხილპერიკმა გასცა ბრძანებულება იმის შესახებ, რომ მის სამეფოში ყველგან ახალი და მძიმე გადასახადები დაეწესებინათ. ამიერიდან ყველა მიწის მფლობელი ვალდებული ხდებოდა დამატებით შემოსავლის ათი პროცენტი გაეღო. უამისოდაც მანამდე არსებული გადასახადები დიდი რაოდენობით იყო გაწერილი და ამიტომ ხალხში დიდი უკმაყოფილება შეიქნა. ბევრმა მიანება თავი დასახლებულ ადგილს და სხვა სამეფოებში წავიდა. ლიმოჟის მცხოვრებნი აჯანყდნენ. მათ უნდოდათ გადასახადების ამკრეფი მარკუსი მოეკლათ, მაგრამ

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. გვ. 155.

ის ეპისკოპოსმა ფერეოლმა გადაარჩინა. მაშინ აჯანყებულებმა ხელში ჩაიკდეს საგადასახადო სიები და დასწვეს.

ხილპერიკმა ლიმოჟის აჯანყება შეიარაღებული ძალით ჩააქრო. აჯანყებულთა ერთი ნაწილი დიდად დააჯარიმა, ზოგიერთნი კი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ როგორც იყო ხილპერიკმა მოახერხა ხალხის უფრო მეტი გადასახადებით დაბეგვრა, მაგრამ მომდევნო წლების მოუსავლიანობამ, შიმშილმა და სხვ. სტიქიურმა უბედურებამ ხალხი კვლავ აღაშფოთა ახალი გადასახადების წინააღმდეგ. ხილპერიკის სამეფოში მდგომარეობა იმდენად გართულდა და იმდენად საშიში შეიქნა, რომ ხილპერიკი იძულებული გახდა დამატებითი გადასახადების აკრეფა შეეწყვიტა[1].

როგორც აკრეფილ გადასახადებს, ჯარიმების შემოსავალს, სხვადასხვა კონფისკაციაქნილ ქონებას, უზარმაზარ საჰეფო ბაშულებს და თვით სასელოწიფოსაც კი მეფე თავის საკუთრებად მიიჩნევდა და ამიტომ იყო, რომ ფრანკებში ძველად არსებული წესი მეფის არჩევისა ხლოდვიგის მეფობით შესწყდა. ახლა უკვე მეფობა მემკვიდრეობით გადადიოდა როგორც გარდაცვლილი მამის კერძო საკუთრება — შვილზე და თუ მემკვიდრე რამდენიმე დარჩებოდა, მამის სამეფო თანაბრად უნდა გახაწილებულიყო მეფისწულებს შორის.

ახლად წარმოქმნილ სამეფოს მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მის მესვეურს (მეფეს) არ გააჩნდა თავისთვის მუდმივი რეზიდენცია — სატახტო ქალაქი და იგი თავის ოჯახითა და ამალით ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. ასე, მაგალითად, ხლოდვიგის უკანასკნელი შვილი ხლოტარი ბერნიდან ატინიონში გადადიოდა. ამ ადგილზე ის ერთ ხანს დაჰყოფდა, შემდეგ კი მიდიოდა ხან კომპიენში, ხან ვერბერიში და ა. შ. ნატურალურ თვითკმარ მეურნეობის პირობებში და იმ დროინდელ ტრანსპორტის ჩამორჩენილობის გამო, ალბათ, ძნელი ეგოდა ერთ ადგილზე მეფის ოჯახისა და მისი ამალის დიდი ხნით „გამოკვება“.

მეროვინგების ფრანკთა მონარქიაში თვით სამართალიც კი კერძოობითი ხასიათის მატარებელი იყო. თვითეული პიროვნების აქმე მისი ტომობრივი სამართლის მიხედვით განიხილებოდა მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩადენილი ყოფილიყო, თუნდაც იმ ადგილას, რომლის მოსახლეობა სხვა ტომის, ან მოდგმის ყოფილიყო. ამის შესაბამისად ფრანკთა მონარქიაში სხვადასხვა ტომობრივი სამართალი იყო გამოყენებული: სალიკური სამართალი

---

[1] Огюстен Тьерри, Избранные сочинения, 1937 г., гз. 396

(Lex Salica), რიპუარული სამართალი (Lex Ribuaria), ალემანების სამართალი (Lex Alamannorum), ბავარიელების სამართალი (Lex Baiuvariorum), საქსონელთა სამართალი (Lex Saxonum), ანგლებისა და ტიურინგების სამართალი (Lex Angliorum et Werionorum) და სხვ.

მეფის ამალა, მის მოხელეთა პერსონალი შედგებოდა მისი თავდაპირველი მოსამსახურეებისაგან, ანუ მინისტერიალებისაგან. წარმოშობით ესენი ეკუთვნოდნენ როგორც ფრანკებს, ისე გალო-რომაელებს. შეიძლება ითქვას, რომ მათში დიდგვაროვანი შთამომავლობისა თითქმის არავინ იყო. თავდაპირველად ისინი ან მეფის მონებს, ანდა გააზატებულებს წარმოადგენდნენ, რასაც მოწმობს მათ მიერ დაკავებულ თანამდებობათა სახელწოდება. თავდაპირველ სასახლის მმართველ მოხელეს სენეშალი (senescalus—უფროსი მონა) ეწოდებოდა. შემდეგ კი ეს სახელწოდება შეიცვალა მაიორდომით (major domus—მმართველი); მეფის მეორე მოხელე, რომელიც თავდაპირველად მეჯინიბეთა უხუცესი იყო, მარშალის (mariscalcus—მონა მეჯინიბე) სახელწოდებას ატარებდა. ასეთივე თავდაპირვანდელ წარმოშობისა იყვნენ სასახლის სხვა მოხელეები: რეფერენდარიები (კანცელარიის მოხელენი), ფალცგრაფები, რომელნიც სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებდნენ სასახლესთან არსებულ ტრიბუნალში და სხვ.

ფრანკთა მონარქია დაყოფილი იყო ოლქებად და ასეულებად ისე, როგორც მას ადგილი ჰქონდა ფრანკებში გალიის დაპყრობამდე, იმ განსხვავებით, რომ თუ მაშინ დაყოფა გვაროვნულ-ტომობრივ საფუძველს ემყარებოდა, ახლა იგი ტერიტორიული ხასიათისა იყო. თვითეულ ოლქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე გრაფი განაგებდა, ასეულს კი, ტუნინგი. დრო და დრო როგორც საგრაფოებში, ისე ასეულებში მეფის მიერ იგზავნებოდა სპეციალური აგენტი, რომელსაც საცებარონი ეწოდებოდა და რომელსაც დავალებული ჰქონდა მოხელეთა საქმიანობის შემოწმება ადგილებზე.

ძველად არსებული თვითმმართველობანი თითქმის მთლიანად მოისპო. მხოლოდ ასეულებში შემორჩა სახალხო კრება (mallus), ეს კრება ტარდებოდა ან გრაფის, ან ტუნგინის თავმჯდომარეობით, სადაც იხილებოდა სასამართლო საქმეები. როგორც ვიცით ტაციტუსის დროს ასეთ კრებებზე ყველა დამსწრე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და მოსამართლედაც ითვლებოდა. მეროვინგების დროს ამ მხრივაც გარკვეული ცვლილება მოხდა. ახლა კრებაზე აქტიურობას იჩენდნენ მხოლოდ მძლავრი და გავლენიანი

პირები „რახინბურგები“. ფრანკთა სამეფოს მმართველობის ყველაზე დაბალ რგოლს თემი — მარკა წარმოადგენდა, რომლის კრებაზედაც იხილებოდა ადგილობრივი საკითხები.

ვიდრე მეროვინგთა მონარქიაში შენარჩუნებული იყო სახალხო შეიარაღება, ძველი სახალხო კრების ძოწვევის ნაცვლად მეფეები გაზაფხულზე იწვევდნენ საერთო კრებას, რომელსაც მარტის ნინდორი (campi Martii) ეწოდებოდა. აქ წარმოებდა მხოლოდ შეიარაღებული ხალხის მზადყოფნის შემოწმება მეფის მიერ და მეფის ბრძანებულებათა გამოცხადება. შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყო შემოდგომის კრება, როელზედაც ესწრებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები—მაგნატები. ამ კრებაზე მეფე დამსწრეთ უზიარებდა თავის გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე და კიდეეაც ღებულობდა მათგან რჩევა-დარიგებას.

მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნის გზები. როგორც აღნიშნული იყო, ალოდის კერძო საკუთრებად გადაქცევა ჰქმნიდა პირობებს მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნისათვის, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ხლოდვიგის დროს უკვე დაწყებული იყო მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის პროცესი. იგი პირველყოველისა ხლოდვიგის მიერ თავისი მოლაშქრეების და მოხელეების მიწებით უხვად დასაჩუქრებაში გამოიხატა. ენგელსის თქმით, რომ ამ გასაჩუქრებულთა დიდი უმრავლესობა გაცემული იყო თავისუფალ, სამეკვიდრეო და გასასხვისებელ საკუთრებაში, ცნობილმა მკვლევარმა როტმა საბოლოოდ დაანტკიცა[1]. მხოლოდ კარლოს მარტელის დროს მოხდა ზოგიერთი ცვლილება ამ საქმეში, მაგრამ როგორც ხლოდვიგი, ისე მისი შთამომავლობა მამულებით უხვად ასაჩუქრებდნენ არა მარტო საერო პირებს, არამედ ეკლესიასაც.

ჯერ კიდევ რომაულ ხანაში ეკლესიას მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა გალიაში, მაგრამ გალიის ეკლესიისათვის „ოქროს ხანა“ დადგა ფრანკების მიერ ქრისტიანობის მიღებით. ხლოდვიგიდან დაწყებული ფრანკების მეფეები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ უფრო მეტ შეწირულობას გაიღებდა ეკლესიებისა და მონასტრებისათვის. როგორც ენგელსი აღნიშნავს მღვდლების ფავორიტის და „ყურმოკრილ მონის“ მეფე გუნტრამის დროს ამ გარემოებას საზღვარი აღარ უჩანდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გრიგოლ ტურელის თქმით მეფე ხილპერიკი უკვე ჩიოდა: „აი ჩვენი

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, стр. 393.

ხაზინა დაღარიბდა! აი ჩვენი ქონება უკვე ეკლესიებს მიაქვთ! ქალაქებში არსებითად აღარავინ მეფობს, გარდა ეპისკოპოსებისა“ [1].

ეკლესიას სწირავდნენ არა მარტო მეფეები, არამედ მსხვილი მიწათმფლობელები და წვრილი მესაკუთრენიც კი [2]. VI—VII საუკუნეების განმავლობაში, ენგელსის თქმით, გალიაში არ ტარდებოდა არც ერთი საეკლესიო კრება, რომელზედაც უმაღლესი სამღვდელოება ეკლესიისაგან განკვეთით არ დამუქრებოდა ყველა იმ პირს, რომელიც გაბედავდა შეწირულებათა წინააღმდეგ გამოსვლას.

იმისათვის, რომ რაც შეიძლებოდა მეტად ამოეჭაჩნათ მოსახლეობისაგან სიმდიდრე, იქნებოდა ის მოძრავი თუ უძრავი ქონება, ეკლესიის მესვეურნი ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდნენ. ისინი ხშირად ანდერძებისა და დოკუმენტების გაყალბებასაც არ თაკილობდნენ. ბრეკინის მიერ მონახულ მეროვინგების დროინდელ 560 დოკუმენტიდან, 130 საეჭვებით ყალბი აღმოჩნდა. თვით პაპი იოანე VIII-ც კი ყალბი დოკუმენტით ცდილობდა პარიზთან ახლო მყოფ სენ-დენის მონასტრის მამულების ხელში ჩაგდებას. ამგვარი და სხვ. საშუალებების გამოყენებით ეკლესიამ მიაღწია იმას, რომ მეშვიდე საუკუნის დამლევისათვის მთელი გალიის მიწის ფართობის $^1/_3$ მის ხელში აღმოჩნდა.

ეკლესია სხვა მხრივაც აქეზებდა მიწების მისთვის გადაცემას. ეკლესიისათვის მიწის გადამცემი, ეკლესიისაგან უკან ღებულობდა ორჯერ მეტ ფართობს დროებით მფლობელობაში. როცა ის გარდაიცვლებოდა, მიწა მთლიანად ეკლესიის საკუთრებაში გადადიოდა. ეს გარემოება საბოლოოდ „პრეკარიის“ სისტემაში ჩამოყალიბდა. არსებობდა პრეკარიის სამგვარი სახეობა: I—„პრეკარია დატა“ (precaria data), როდესაც უშუალო მწარმოებელს არ გააჩნდა თავისათვის მიწა და იგი მიმართავდა თხოვნით მსხვილ მიწათმფლობელს ან ეკლესიას. უკანასკნელთაგან მიწას მიიღებდა სასიცოცხლოდ და ეხდიდა გარკვეულ ღალას. გარდაცვალების შემდეგ მიწა მეპატრონეს უბრუნდებოდა; II—„პრეკარია ობლატა (precaria oblata), როდესაც გლეხს ჰქონდა თავისათვის მიწის ნაკვეთი, მაგრამ რადგან ის არ ყოფნიდა ოჯახის სარჩენად, მიწას

---

[1] Огюстен Тьерри, Избранные сочинения, გვ. 340.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ წმ. გერმანის მონასტრის აბატის გერმინონის პოლიტიკა (Социальная история средневековья. т. I, გვ. 113—118)

გადასცემდა ეკლესიის საკუთრებაში და ამ მიწას ხელახლად იბრუნებდა დამატებითი ფართობით დროებით მფლობელობაში გარდაცვალების შემდეგ როგორც გლეხის. ისე ეკლესიის მიწა კვლავ ეკლესიას უბრუნდებოდა, და III — „პრეკარია რემუნერა ტორია" (precaria remuneratoria), როდესაც გლეხს საკმარისი მიწა ჰქონდა, მაგრამ იმდროინდელ ანარქიულობაში, ვერ ხედავდა რა ის ამ მეურნეობის საბოლოო შენარჩუნების გარანტიას, თავის მიწას ეკლესიის საკუთრებად აცხადებდა და შემდეგ მას ღებულობდა დროებით მფლობელობაში.

ეკლესიის ასეთი გამოცდილება რადგან ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებისათვის, ამიტომ ის საერო მემამულეებნაც დაუყოვნებლივ გადმოიღეს თავიანთ პრაქტიკაში. სარგებლობდნენ რა თემური წყობილების რღვევით და გლეხების გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობით, პრეკარიის ყოველ სახეობას ავრცელებდნენ მათში და ამით გლეხთა ექსპროპრიაციას ახდენდნენ. მაგრამ, როცა ვეხებით საერო და საეკლესიო მახვილ მიწათმფლობელობის ზრდას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკთა მონარქიაში ის ყველგან თანაბრად არ ვითარდებოდა. ზოგან უფრო მეტად განვითარებული იყო საერო მსხვილი მიწათმფლობელობა, ზოგან კი, საეკლესიო.

ფრანკთა სახელმწიფოს დაქუცმაცება ხლოდვიგის შემდეგ და ბრძოლა ცალკე საუფლისწულოებს შორის. ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ ფრანკების სამეფო საუფლისწულოებად დაიყო მის შვილებს შორის, ხოლო უკანასკნელი მათგანის, ხლოტარის გარდაცვალების შემდეგ, იგი ხელახლად დანაწილდა მის შვილიშვილებს შორის. ხარიბერტს წილად ხვდა მიწა-წყალი — დაწყებული პარიზიდან და გაგრძელებული სამხრეთისაკენ, რომელიც მოიცავდა სანლის, მელენს, შარტრს, ტურს, პუატიეს, სენტს, ბორდოსა და პირინეის ქალაქებს. გონტრამნს შეხვდა ორლეანის მხარე და ბურგუნდების მიერ დასახლებული მთელი ტერიტარია ვდინარე სენიდან და ვოგეზებიდან დაწყებული, ვიდრე ალპებამდე და პროვანსის ზღვის ნაპირამდე. ხილპერიკს გადაეცა სუანსის მხარე, რომლის საზღვარი ჩრდილოეთიდან შელდაზე მიიმართებოდა, ხოლო სამხრეთით მდინარე ლუარაზე. სიგებერტის სამფლობელო მოიცავდა ოვერნს, გალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს მთლიანად და იმ ციდამოებს, რომელნიც საქსებსა და სლავებს ემიჯნებოდა.

ფრანკთა სამეფოს მეორედ განაწილების დროისათვის მის ძირითად სამ ნაწილს განკერძოებულობაც დაეტყო: ნეისტრია, რო-

მელიც მოიცავდა გალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს პარიზთან ერთად, უფრო გალო-რომაული ელემენტებით იყო დასახლებული და მისი სოციალურ-ეკონომიური განვითარება თავისებურად წარიმართა, ავსტრაზია დასახლებული აღმოჩნდა უმთავრესად აღმოსავლური ფრანკებით და მათდამი დაქვემდებარებული გერმანული ტომებით და ასევე ცალკე გამოირჩეოდა ბურგუნდია, რომელიც ადრე დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა. უფრო გვიან ერთგვარ დამოუკიდებლობას პოულობს აკვიტანია.

ნეისტრიაში სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო ადრე წარმოიქმნა მსხვილი მიწათმფლობელობა როგორც საერო, ისე საეკლესიო. ამ უკანასკნელის უფრო მეტად გაძლიერება ერთგვარ წინააღმდეგობას იწვევდა საერო მსხვილი მიწათმფლობელების მხრივ. ამ ორ დაჯგუფებათა ქიშპობაში ნეისტრიის მეფეები საერო მსხვილ მიწათმფლობელებს მხარს უჭერდნენ. ჯერ კიდევ ადრე ხლოტარ I (511—561) შეეცადა მოეხდინა ეკლესიის მიწების სეკულარიზაცია, მაგრამ მან ეს შიშის გამო ვერ განახორციელა. ხლოტარის შვილის ხილპერიკის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ეკლესიის მიერ მიწების მიტაცების წინააღმდეგი იყო. მან დაიწყო ეკლესიის მიწების ჩამორთმევა და საეკლესიო საქმეებში ჩარევა. იგი საეპისკოპოსო კათედრებითაც ვაჭრობდა. ერთხანს იმასაც შეეცადა, რომ ქრისტიანულ დოგმატებში ზოგიერთი ცვლილება შეეტანა. ამიტომაც საეკლესიო მწერლები მას თავის დროის ნერონად ან ირროდად იხსენიებდნენ.

საკუთარი დოვლათის დაგროვებით გატაცებული ხილპერიკი ცდილობდა ხელი მოეთბო არა მარტო ეკლესიის ხარჯზე, არამედ მოსახლეობაში გადასახადების გაზრდითაც. როგორც ვიცით ამან ლიმოჟის აჯანყება გამოიწვია. ხილპერიკი განუწყვეტლივ ბრძოლებს ეწეოდა თავის ძმებთან: პირველობის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის. თავისი ძმის სიგებერტის წაბაძვით ვესტგუთების მეფის ქალიშვილი გალესვინტა ითხოვა ცოლად. ცოლის მზითევში მან მიიღო რიგი ქალაქებისა, საიდანაც მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. შემდეგში გალესვინტას დაშორდა, იგი მოკლა და ცოლად თავისი მოსამსახურე ქალი ფრედეგონდა შეირთო. იწყება მეროვინგების ისტორიაში ცნობილი ორი დედოფლის: ფრედეგონდასა და ავსტრაზიელი ბრუნგილდას (მოკლულ გალესვინტას და, სიგბერტის ცოლი) გაშმაგებული ბრძოლა, რომელიც მთელი რიგი ვერაგული მკვლელობით აღინიშნა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამ ბრძოლების მიზეზად წარმოგვიდგენს იმ გარემოებას, თითქოს ავსტრაზიელი დედოფალი

ბრუნგილდა მოითხოვდა მეუღლის, ავსტრაზიის მეფე სიგებერტისაგან შურისძიებას თავის დის, გალესვინტას მკვლელზე ნეისტრიის მეფე ხილპერიკზე. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ საბაბი, ნამდვილი მიზეზი კი ამ ორი ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიურ და სოციალურ სისტემაში მდგომარეობდა.

ავსტრაზია, ნეისტრიისაგან განსხვავებით, დიდი ხნის მანძილზე თავის პრიმიტიულ საზოგადოებრივ წყობილებას ინარჩუნებდა. ამ მხარეში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდნენ თავისუფალი წვრილი და საშუალო მესაკუთრე გლეხები, რომლებიც ზეიარაღებულნი თავს იყრიდნენ „მარტის მინდორზე“ და რომელნიც მეფისათვის სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ განდგომილ მაგნატების წინააღმდეგ ბრძოლაში. ავსტრაზიაში საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული დიდი მნიშვნელობა. ყოველივე ამან განაპირობა ავსტრაზიის მეფეთა სოციალური პოლიტიკა, ხოლო ბრუნგილდა ასეთი პოლიტიკის სულისჩამდგმელად გამოდიოდა. ავსტრაზიის მსხვილი მიწათმფლობელები კავშირს ამყარებდნენ ნეისტრიის კლასობრივ მოძმეებთან და მათ ბელად ხილპერიკთან იმ მიზნით, რომ უკანასკნელთა დახმარებით თავიანთი პოზიციები განემტკიცებინათ ავსტრაზიაში. ბრუნგილდა, პირიქით, ემყარებოდა რა ავსტრაზიისა და ბურგუნდიის „მდაბიოებს“, ე. ი. წვრილ მიწათმფლობელებს, ხილპერიკისა და მისი ცოლის ფრედეგონდას წინააღმდეგ ილაშქრებდა.

ბურგუნდია თავისი ეკონომიური განვითარებითა და სოციალური წყობილებით უფრო მეტად ავსტრაზიას წააგავდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბურგუნდიაში საეკლესიო მსხვილი მიწათმფლობელობა გაცილებით უფრო ძლიერ იყო. აქაურ ეკლესიას დიდ მფარველობასა და წყალობას, როგორც აღნიშნული იყო, მღვდლების ფავორიტი და „ყურპოკრილი მონა“ მეფე გუნტრამნი უწევდა. ამავე დროს იგივე გუნტრამნი ეკლესიაზე და წვრილ მესაკუთრე გლეხობაზე დაყრდნობით საერო მაგნატების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რომ იგი ბრუნგილდას და მისი მცირეწლოვანი შვილის ხილდებერტის ბუნებრივი მოკავშირე იქნებოდა.

587 წელს ავსტრაზიის მაგნატებმა შეთქმულება მოახდინეს და ბრუნგილდასა და ხილდებერტის წინააღმდეგ გაილაშქრნენ. ამით ავსტრაზიაში სამეფო ხელისუფლებას დიდი საშიშროება შეექმნა. ხილდებერტმა დედის თანხმობით გუნტრამნთან დასდო ანდელოტის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: 1. მუდმივი მეგობრობის დამყარება და ურთიერთმემკვიდრეობა იმ

შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს შვილები არ დარჩებოდა, 2. ერთი-მეორისადმი ურჩი რაზმეულების (ლეგიონების) გადაცემა და მოპირდაპირე მხარის გაქცეულ პირთათვის თავშესაფარის მიუცემლობა. დადგენილ იქნა აგრეთვე საერთო საზღვრები. ამ კავშირის შედეგად ხილდებერტმა სძლია ავსტრაზიის მაგნატებს, ხოლო გუნტრამნის გარდაცვალების შემდეგ ავსტრაზიას ბურგუნდიაც შემოუერთდა[1].

ხილდებერტის შვილებსა და შვილიშვილების დროსაც სამეფოს ფაქტიურ მმართველად კვლავ ბრუნგილდა გამოდიოდა, რომელიც განაგრძობდა უარყოფით დამოკიდებულებას საერო მაგნატებისადმი, ხოლო ეკლესიას დიდ მფარველობას უწევდა და რომის პაპთან ურთიერთობას ამყარებდა. მან მთელი რიგი ღონისძიებისა ჩაატარა ტრანსპორტის მოგვარებისა და ვაჭრობისათვის ხელის შეწყობის საქმეში. მისი დამოკიდებულება ნეისტრიასთან კვლავ მტრული იყო. ხილპერიკის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ფრედეგონდამ და შვილმა ხლოტარ მეორემ ავსტრაზიასთან ურთიერთობა უფრო მეტად გაამწვავეს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ბურგუნდელთა დ-დებულების ღალატის შედეგად ბრუნგილდა დამარცხდა და მტერს ჩაუვარდა ხელში. 613 წელს 80 წლის მოხუცი დედოფალი ცხენების კუდზე მოაბეს და ნაწილებად დახლიჩეს. ამის შემდეგ ფრანკთა სახელმწიფო პოლიტიკურად კვლავ გაერთიანდა.

მსხვილი მიწათმფლობელი მაგნატების უფრო მეტად გაძლიერება და მაიორდომების ლტოლვა სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. ამგვარად ხლოტარ მეორის გამაოგნებელი ფაქტიურად მსხვილმიწათმფლობელთა არისტოკრატიის გამარჯვება იყო. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 614 წელს მან საერო და საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელთა მოთხოვნით გამოაქვეყნა ედიქტი, რომელიც მათ დიდ დათმობებს უკეთებდა. ამ ედიქტით მსხვილ მიწათმფლობელებზე მეფეების მიერ ძველად ნაბოძარი მამულები ხელახლა მტკიცდებოდა.) გარდა ამისა, ეტყობა, რომ არისტოკრატიამ სხვა პრივილეგიაც მოიპოვა. ამიერიდან მეფე კისრულობდა გრაფებად ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელნი დაენიშნა. ედიქტში ნათქვამი იყო, რომ ეპისკოპოსთა არჩევა უნდა მომხდარიყო თავისუფლად მეფის ჩარევის გარეშე და რომ ეკლესიის ქონების რაიმე სეკულარიზაცია არ უნდა ჩაეტარებინათ.

---

[1] История средних веков, т. I, М., 1941 г., гз. 81.

ამავე დროს ხლოტარ მეორე ქვრივების მეურვეობაზე ხელს-ილებდა[1].

მიუხედავად ხლოტარ მეორის მიერ ფრანკთა სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანებისა მისმა სამივე ნაშილმა თავიანთი მაიორდომების მეთაურობით ერთგვარი დამოუკიდებლობა მაინც შემოინარჩუნეს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ავსტრაზიას დაეტყო. ამ მხარის მაგნატებმა ისიც კი მოითხოვეს, რომ მათთვის საკუთარი მეფე დაენიშნათ ხლოტარ მეორის შვილის დაგობერტის სახით. როგორც „ფრედეგარის ქრონიკებიდან" ჩანს, ხლოტარ მეორემ თავისი ცხოვრების 39-ე წელს (ნ 2 ნ) თანამმართველად და ავსტრაზიის მეფედ დაგობერტი დანიშნა, ხოლო თავის მმართველობაში დასტოვა ნეისტრია და ბურგუნდია და მათში შემავალი სხვა ნაწილები არდენებამდე და ვოგეზებამდე.

(დაგობერტი თავიდანვე ავსტრაზიას მართავდა მეცის ეპისკოპოსის არნულფისა და მაიორდომ პიპინის მეშვეობით. ეს ორკანასკნელნი ფაქტიურად ადგილობრივი მაგნატების წარმომადგენელნი იყვნენ. 629 წელს, ხლოტარის გარდაცვალების შემდეგ დაგობერტი კვლავ გაერთიანებულ ფრანკთა სახელმწიფოს მეფე გახდა (629—639). დაგობერტმა გადაწყვიტა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება და საერო მსხვილ მიწათმფლობელთა მხარდაჭერით დაარღვია 614 წლის ედიქტი. სამეფო მიწების აღწერა ჩაატარა და ძველად ეკლესიებზე და სხვებზე გაცემული სამეფო მიწების ერთი ნაწილი უკან ჩამოართვა. ასევე მოიქცა ის იმ კერძო პირების ბიწების მიმართ, რომელნიც ეკლესიებისათვის შეწირული იყო.

(დაგობერტი აქტიურად ერეოდა ვესტგუთებისა და ლანგობარდების შინაურ საქმეებში. მან „მარადიული მშვიდობაც" კი დაამყარა ბიზანტიასთან იმ პირობით, რომ დუნაის მახლობლად მყოფ ტომების წინააღმდეგ ერთობლივად ემოქმედნათ. როგორც „ფრედეგარის ქრონიკებშია" გადმოცემული, დაგობერტმა გადაწყვიტა ბოჰემიისა და მორავიის სლავების დამორჩილება, რომელთაც ამ ხანებში სამო მართავდა.) ფრანკების შეიარაღებული ძალები სამოს სამფლობელოში სამი მიმართულებით შეიჭრნენ, მაგრამ ვოგატისბურგის ალყის შემორტყმის დროს წარმოებულ ბრძოლებში ავსტრა-

---

[1] მანამდე, მეფის მიერ მამულით დასაჩუქრებული პიროვნება თუ გარდაიცვლებოდა და მისი ქვეყანი მოიკურვებდა ხელახლად გათხოვებას, სასიძოს კანდიდატურა მეფესთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

ზიელების ჯარები სასტიკად დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ უკან გაქცეულიყვნენ.

დაგობერტის მარცხმა საგარეო პოლიტიკაში მსხვილი მაგნატები უფრო მეტად გაათამამა. ისინი ახლა უფრო მეტად უახლოვდებოდნენ მაიორდომებს, რომელნიც მათ პრივილეგიებს იცავდნენ ყოველგვარ ხელყოფისაგან. ბუნებრივია, რომ მაიორდომის როლი ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეში მაგნატების მხარდაჭერით, უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო. თუ ადრე მაიორდომის მოვალეობას მხოლოდ სახლთუხუცესობა წარმოადგენდა, ახლა მის განკარგულებაში გადავიდა ისეთი ნნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც იყო: მეფის მამულების გამგებლობა, გადასახადების აკრეფა, ომში მთავარსარდლობა და სხვ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენლებს მხოლოდ სამეფო გვირგვინიღა შერჩათ. დაგობერტის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები უკვე მაიორდომების მეურვეობით მეფობდნენ. მეფეებმა მოსახლეობაში იმდენად დაჰკარგეს თავიანთი ავტორიტეტი, რომ მათ „ზარმაცი“ მეფეები უწოდეს.

ეინგარდი[1] „კარლოს დიდის ცხოვრებაში“ შემდეგნაირად აღწერდა მეროვინგების დინასტიის წარმომადგენელთა ვითარებას: „მეროვინგების გვარის წარმომადგენელს მეფე ხილდერიკს—დიდი ხანია, რაც ცხოველმყოფელური ძალა წაერთვა და ის გარდა ცარიელი მეფის ტიტულისა არაფრით არა ბრწყინავდა, ვინაიდან სახელმწიფოებრივი ხაზინა და სამეფო ძალაუფლება სასახლის უფროსების, ეგრეთ წოდებულ მაიორდომების ხელში იმყოფებოდა, რომელთაც ფაქტიურად მთელი ძალა მიეკუთვნებოდათ სახელმწიფოში. მეფეს ისღა დარჩენოდა დაკმაყოფილებულიყო ტიტულით, ტახტზე მჯდარიყო გრძელი თმებითა და ჩამოშვებული წვერით, თავისი თავი მეფედ წარმოედგინა, მოესმინა სხვადასხვა მხრიდან მოსული ელჩებისათვის და მათთან გამოთხოვებისას, ვითომც თავისი სახელით, გაეცა მათთვის პასუხები წინასწარ შესწავლილი და სხვის მიერ ნაკარნახევი. უსარგებლო ტიტულსა და მცირე ულუფის გარდა, რომელიც მეფისათვის გამოიყოფოდა სასახლის უფროსების მიერ, მას ჰქონდა მხოლოდ ერთი საკუთარი მამული მცირე შემოსავლითა და მცირერიცხოვან მომსახურე პირებით. ყველგან, სადაც კი მეფე წავიდოდა, უნდა ემოგზაურა ურმით,

---

[1] ეინგარდი (770—840) კარლოს დიდის დროინდელ მოღვაწეთა უმცროს თაობას ეკუთვნოდა. იგი სასახლის აკადემიის წევრი იყო, რომელმაც დაწერა „კარლოს დიდის ცხოვრება“.

რომელშიაც სოფლური ჩვეულებისამებრ უღელა-ხარი იყო შებმული. ასე მოგზაურობდა ის სასახლეში, სახალხო კრებაზე, რომელიც სახელმწიფო საქიროებისათვის ყოველწლიურად იწვეოდა, და ასევე უკან ბრუნდებოდა ის თავის ბინაზე. სახელმწიფოს მართვა კი, და ყოველივე ის, რაც უნდა გაკეთებულიყო ან წამოწყებულიყო საშინაო და საგარეო საქმეებში, მაიორდომს უნდა შეესრულებინა[1].

ფრანკთა სამეფოში არსებულ საუფლისწულოებს ჩვეულებრივ სამი მაიორდომი განაგებდა. თვითეული მათგანი განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდა პირველობისათვის. ერთ ხანად (VII საუკ. მეორე ნახევარი) ნეისტრიის მაიორდომმა ებროინმა გალიის ყველა საუფლისწულოთა მაიორდომების ფუნქციათა გაერთიანება შეაძლო. მაგრამ როცა მან სცადა მაგნატების ხარჯზე თავისი ძალაუფლების განმტკიცება, ბურგუნდიაში მის წინააღმდეგ მსხვილი მაგნატის ეპისკოპოს ლეოდეგარის ხელმძღვანელობით ისეთი მძლავრი აჯანყება დაიწყო, რომ ებროინი იძულებული გახდა გაქცეულიყო.

მსხვილი მაგნატების მაიორდომებთან დამოკიდებულების შესახებ ენგელსი აღნიშნავდა: „მაგნატების კლასი, რომელიც სამეფო ვეირგვინის ხარჯზე მეროვინგების ეპოქაში წარმოიშვა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების დამხობას, მაგრამ არა იმიტომ, რომ დამორჩილებოდა მაიორდომებს, ადამიანებს რომელნიც მისი წოდებისანი იყვნენ[1].

687 წელს ტერტრისთან ბრძოლა მოხდა ნეისტრიის მაიორდომ ბერტერისა და ავსტრიაზიის მაიორდომ პიპინ გერისტალიელს შორის. ბრძოლაში უკანასკნელმა გაიმარჯვა და კიდეც გააერთიანა მთელი სამეფო. ამის შემდეგ პიპინ გერისტალიელმა წარმატებით ჩაატარა ომები ფრიზებთან, ალემანებთან და ბავარებთან, და რომ მათი მორჩილება უფრო მეტად განმტკიცებულიყო, პიპინმა მათში ქრისტიანობა გაავრცელა. იგი ხელს უწყობდა კათოლიკურ მისიონერებს და მფარველობდა ეკლესიას, როგორც საუკეთესო იარაღს თავისი ძალაუფლების განმტკიცების საქმეში.

პიპინ გერისტალიელის წარმატებები ნეისტრიის და სხვ. მაიორდომების წინააღმდეგ, მარტო ზემონათქვამით არ უნდა აიხსნას. საქმე ისაა, რომ ნეისტრიაში მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, გვ 393.

და ფეოდალიზაციის პროცესი უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა. აქაური მსხვილი მაგნატები, როგორც ჩვენ ეს დავინახეთ ლეოდეგარის მაგალითიდან, ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვას ცდილობდნენ და კიდეც წარმატებით აღწევდნენ თავიანთ მიზანს. ავსტრიაზიაში კი ჯერ კიდევ ბლომად იყო შემონარჩუნებული თავისუფალი გლეხობა და საერთოდ წვრილი მემამულეები. ეს უკანასკნელები თავიანთი სისუსტის გამო ვერ ახერხებდნენ გლეხების დამორჩილებას და ამიტომ საჭიროებდნენ ცენტრალური ხელისუფლების დახმარებას. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოების ეს ფენა ავსტრიაზიის მაიორდომების სოციალურ დაიაყოდენად უნდა ქცეულიყო.

თავი XIX

კარლინგების ფრანკთა მონარქია

კარლოს მარტელი (ურო) და მის მიერ ჩატარებულ ლონისძიებათა მნიშვნელობა. ფრანკთა მონარქიაში ფეოდალიზაციის შემდგომი განვითარების გამო საერო და სასულიერო მაგნატებმა უფრო მეტად აიშვეს თავი. პიპინ გერისტალიელის გარდაცვალების შემდეგ მთელ რიგ შემთხვევებში მათ სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც მიაღწიეს. აკვიტანიაში ოდონის დამოუკიდებელი საჰერცოგო წარმოიქმნა; განდგომა წამოიწყეს გერმანელი ტომების ჰერცოგებმაც. ფრიზეთშიაც დაიწყო ძლიერი მოძრაობა. რადბოდმა დაიკავა ფრიზეთის მთელი რიგი ადგილებისა და იწყო ამ ადგილებიდან მღვდლების განდევნა. ეკლესიებისა და მონასტრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაანგრიეს და კვლავ ძველ წარმოშობას დაუბრუნდნენ. ყოველივე ეს იყო სიმბოლო ფრიზების დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

რაც დრო გადიოდა ფრანკთა სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა უფრო მეტად რთულდებოდა. მალე საქსების შემოსევები დაიწყო ფრანკების რაინისპირა ოლქებში, მეორე მხრივ კი, ამ ადგილებზე და განსაკუთრებით ბავარიაზე ავარები აწყობდნენ თავდასხმას. სამხრეთიდან იწყება არაბების შემოსევები. ისინი არბევენ აკვიტანიას და მიილტვიან ლუარისაკენ. ერთხანს ეტყობოდა, რომ არაბების წინმსვლელობას ვერაფერი შეაჩერებდა მით უფრო, რომ ამას ფრანკთა სამეფოს საშინაო გართულებული მდგომარეობა ხელს უწყობდა.

პიპინ გერისტალიელის გარდაცვალების შემდეგ, ავსტრაზიაში პიპინის შვილიშვილების სახელით ძალაუფლება პიპინის ცოლმა პლეკტრუდამ ჩაიგდო ხელში. რადგან იგი თავის ხელისუფლებისათვის საშიშრად თვლიდა პიპინის „უკანონო“ შვილს კარლოსს,

ამიტომ იგი დაატუსაღა. ავსტრაზიაში შექმნილი მდგომარეობით შეეცადნენ ესარგებლათ ნეისტრიის მაგნატებს, რომელთაც ამ დროისათვის თავიანთთვის მაიორდომად რაგანფრედი აერჩიათ, და იწყეს ბრძოლა ავსტრაზიის წინააღმდეგ.

კარლოსმა მალე მოახერხა სატუსაღოდან გაქცევა. მან შემოიკრიბა დიდი რაოდენობით ავსტრაზიელი ლევდები, ბრძოლებში დაამარცხა ფრიზები და ნეისტრიელები. 715 წლიდან მან მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და ამით საბოლოოდ განამტკიცა პიპინიდების მაიორდომობა, ხოლო შემდეგში საფუძველი ჩაეყარა პიპინიდების ანუ კაროლინგების გვარის სამეფო დინასტიად გადაქცევას. კარლოს მარტელმა იმდენად განამტკიცა თავისი ხელისუფლება, რომ მაიორდომად გახდომის შემდეგ, გადაგვარების გზაზე დამდგარ მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენლებს ნებისმიერად ნიშნავდა და ხსნიდა სამეფო ტახტიდან. 737 წელს კი გადასწყვიტა ეს „მეფეები“ სულაც აღარ დაენიშნა და ისე ემართა ქვეყანა.

კარლოს მარტელმა რამდენიმე გალაშქრება მოაწყო ბავარიაში, ალემანია კვლავ დაიმორჩილა, ფრიზეთში გაანადგურა წარმართობა და ისევ ქრისტიანობა გააბატონა; ამასთანავე ხელახლა დაიპყრო საქსები. პარალელურად მან დაუცხრომელი ბრძოლები აწარმოვა განდგომილი დიდებულების წინააღმდეგ. ზოგი სიკვდილით დასაჯა და ქონება ჩამოართვა, ზოგი კი დაიმორჩილა. მან განაგრძო ბრძოლები აკვიტანიის წინააღმდეგ და საბოლოოდ ისიც შემოიერთა. ამგვარად მოხერხდა სამეფოს ‘მიგნით ერთგვარი სტაბილური მდგომარეობის შექმნა, მაგრამ მთავარი საშიშროება, რომელიც საჰრეთით ვითარდებოდა, ჯერ კიდევ თავიდან აუცილებელი ოჩებოდა.

როგორც ვიცით 711 წელს არაბებმა დაიპყრეს ესპანეთი. აქ განმტკიცების შემდეგ იწყეს შეტევების წარმოება და მალე ფრანკთა სამეფოს საზღვრებსაც მიუახლოვდნენ. ფრანკთა მონარქიაში დაწყებული შინაგანი არეულობა ხელსაყრელი პირობა გახდა არაბთა ექსპანსიისათვის. ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომილი ფრანკი დიდებულები არაბებს ეპატიჟებოდნენ თავიანთ ქვეყანაში. ასე მოიქცა, მაგალითად, აკვიტანიის ჰორცოგი ოდონი მას შემდეგ, რაც იგი კარლოს მარტელმა დაამარცხა და მოუწოდა მორჩილებისაკენ. ოდონი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა არაბებს და ეს უკანასკნელნი აბდურახმანის ხელმძღვანელობით დაიძვრნენ ფრანკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

არაბებმა მალე გადალახეს მდინარე გარონა და ბორდოს დარ-ბევის შემდეგ პუატიემდე მიაღწიეს. 732 წელს პუატიესთან არა-ბებს კარგად ორგანიზებული ფრანკების ჯარი დახვდათ, რომელ-საც თვითონ კარლოს მარტელი ხელმძღვანელობდა. ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ფრანკებმა გაიმარჯვეს. არაბები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ფრანკებმა დაამარცხეს აგრეთვე არაბთა ის შეიარა-ღებული ნაწილები, რომელთაც ომარ-ინ-ხალედი ხელმძღვანელობ-და. ფრანკებისა და ლანგობარდების გაერთიანებული ძალებით არაბები სასტიკად დამარცხებულ იქნენ აგრეთვე პროვანსშიაც. ლანგობარდებმა ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს იმის გამო, რომ მათ ეშინოდათ არაბები არ შეჭრილიყვნენ იტალიაში.

არაბების წინააღმდეგ კარლოს მარტელის ბრძოლა შემდეგში-აც გრძელდებოდა. ახლა არაბების მხარეზე ბურგუნდების მაგნა-ტები გადადიოდნენ, რომელნიც არაბებს სამხრეთში ციხე-სი-მაგრეებსა და ქალაქებს გადასცემდნენ ხოლმე; აწყობდნენ აჯანყებებსა და თავდასხმებს. კარლოს მარტელმა მათი აჯანყება სასტიკად ჩაახშო. ბევრი ბურგუნდელი მაგნატი სიკვდილით დასა-ჯა და მათი უამრავი მამულების კონფისკაცია მოახდინა. ბოლოს როგორც იქნა არაბების შემოსევები შეწყდა იმის გამო, რომ თვით არაბულ ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი. ამგვარად, კარ-ლოს მარტელმა მოახერხა, როგორც საშინაო მდგომარეობის გან-მტკიცება, ისე გარეშე მტრების შემოსევების უკუგდება.

კარლოს მარტელის მიერ მოპოვებული ეს მნიშვნელოვანი გა მარჯვებანი მარტო გაბედული ომების წამოწყებითა და დიპლომა-ტიური ღონისძიებებით არ უნდა აიხსნას. ეს გამარჯვებანი თავის მხრივ არანაკლებად გაპირობებული იყო იმ ღონისძიებებით, რომელ-ნიც კარლოს მარტელმა ვაატარა სოციალურ და ეკონომიურ სფე-როში. მიწათმფლობელობაში მომხდარი ეს გადატრიალება ენგელსს მიაჩნდა როგორც კაროლინგების დინასტიის მიერ ჩატარებული ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეფის ანტრუსტიონებისათვის და სხვა მო-ხელეთათვის გასამრჯელოს გაღება უთუოდ ნატურის სახით უნ-და მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში ძირითად ობიექტს მხო-ლოდ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა, რადგან მოხელეებისათვის პროდუქტების მიცემა, ჯერ ერთი დაკავშირებული იყო ტექნიკურ სიძნელეებთან და გარდა ამისა, ყოველ შემთხვევაში, ფრანკთა სამეფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე არსებული პირდაპირი გადასახადები საკმარისი არ იყო ამ მოთხოვნილების დასაკმაყო-

ფილებლად, მით უფრო, რომ გადასახადები გაწერილი იყო მხოლოდ დაპყრობილ მოსახლეობაზე. მეორე მხრივ გალიის დაპყრობის პირველ ხანაში ხლოდვიგისა და მისი შვილების ხელში თავი მოიყარა მიწის ნაკვეთების დიდმა რაოდენობამ და ამიტომ მეროვინგთა დინასტიის პირველ წარმომადგენლებს შეეძლოთ, როგორც იტყვიან, ხელგაშლით მიწების დარიგება.

კარლოს მარტელამდე, როგორც ვიცით, სამეფო მიწები გაიცემოდა კერძო საკუთრებაში. მიწის მიმღები შემდეგში მოხელეობიდან რომ გადამდგარიყო კიდეც, მიღებულ მიწას სახელმწიფოს უკან აღარ უბრუნებდა. მის ადგილზე ახლად დანიშნულ პირს კვლავ უნდა მისცემოდა მიწის ახალი ფართობი. ასეთ შემთხვევაში სამეფო მიწის ფონდი, რაგინდ დიდიც არ უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, უნდა შემცირებულიყო, მაგრამ საქმე სწორდებოდა იმით, რომ დრო და დრო წარმოებდა ურჩი მემამულეების მიწების კონფისკაცია და ამით ნაწილობრივ ხელახლა ივსებოდა სამეფო მიწის ფონდი. გარდა ამისა მხედველობაში ისიც უნდა იქნეს მიღებული, რომ მეროვინგების დროს მოხელეთა რაოდენობა არც ისე დიდი იყო. სახელმწიფო აპარატი ჯერ კიდევ სახალხო შეიარაღებას ემყარებოდა და ჯარის დაქირავების სისტემა არ იყო შემოღებული.

ალოდის კერძო საკუთრებად გადაქცევის შემდეგ, როგორც ვიცით, თემის თავისუფალი წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაჰკარგა თავისი მიწა, ან ნაწილობრივად, ან მთლიანად. ასეთ ვითარებაში გლეხს თავისი ხარჯით აღარ შეეძლო მონაწილეობის მიღება იმ საძეხედრო ოპერაციებში, რომელიც შორეულ ადგილებში უნდა ჩატარებულიყო და რომელიც მეომრისაგან მოითხოვდა სურსათ-სანოვაგის იმდენი რაოდენობით წაღებას, რაც მას დასჭირდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში. ამგვარად, დროთა მსვლელობაში სახალხო შეიარაღებული ძალის გამოყენება თანდათან შეუძლებელი გახდა, მით უფრო რომ შემდეგი დროის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო, გაბატონებული კლასისათვის სახალხო შეიარაღების შენარჩუნება ძველ ფორმებში, არც სანდო იყო და არც ხელსაყრელი.

კარლოს მარტელის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისას სამეფო მიწის ფონდი გაცარიელებული აღმოჩნდა. განდგომილ მსხვილ მაგნატებთან ბრძოლის წარმოებისათვის და იმ ბრძოლებისათვის, რომელიც ფრანკთა სამეფოს მოუხდა გარეშე მტრებთან, სამეფოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ზრდა გარდაუვალი იყო. გარდა ამისა, არაბებთან წარმოებულ ბრძოლებში ცხენოსანთა

რაზმების უპირატესობაც გამოირკვა. ამრიგად, აშკარა გახდა, რომ სახალხო შეიარაღების ძველ ფორმებში დატოვება შეუძლებელი იყო, რომ ძირითად დასაყრდენად დაქირავებული ცხენოსანი რაზმები უნდა გამხდარიყვნენ. მაგრამ შეიარაღებული ძალების ასეთი რეფორმების ჩატარება თავის მხრივ მოითხოვდა სათანადო მატერიალურ შემოსავლის დამატებით წყაროს.

კარლოს მარტელმა გაითვალისწინა ისიც, რომ საჭირო იყო მაგნატების უფრო მეტად დაქვემდებარება ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ამიტომ ჩამოართვა რა მათ მამულები, მართალია, ისევ უკან დაუბრუნა, მაგრამ არა კერძო საკუთრებაში, არამედ დროებით და პირობით მფლობელობაში. ასეთ დასაჩუქრებას ბენეფიციუმი ეწოდებოდა. ბენეფიციუმის მიმღები ვალდებული იყო თავისი შეიარაღებული რაზმით, თავის ხარჯზე, გამოცხადებულიყო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. თუ ის ამ პირობას დაარღვევდა, მას ჩამოერთმეოდა მამული (ბენეფიციუმი) და სახელმწიფოს უკან დაუბრუნდებოდა. აშაში იყო ბენეფიციუმის პირობითობა. რაც შეეხება მის მეორე დამახასიათებელ ნიშანს — დროებითობას, ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ბენეფიციუმის გამცემის, ან ამისი მიმღების სიკვდილის შემთხვევაში ბენეფიციუმის ძალა იკარგებოდა. თუ ბენეფიციუმის გამცემი მოკვდებოდა, ბენეფიციუმის ახალ პატრონს (იქნებოდა ეს მეფე, ეპისკოპოსი თუ სხვა) ბენეფიციუმის მფლობელისათვის ხელახლა უნდა გაეცა სიგელი. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციუმის მფლობელი მოკვდებოდა, ბენეფიციუმი მის შვილს არ გადაეცემოდა ბენეფიციუმის პატრონის თანხმობის გარეშე.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ბენეფიციუმი არ იყო კერძო საკუთრება, ისე როგორც არ იყო წმინდა კერძო საკუთრება პრეკარია. ერთიცა და მეორეც რამდენიმე პიროვნებას მიეკუთვნებოდა: ერთს, როგორც კერძო საკუთრება, მეორეს, როგორც დროებითი მფლობელობა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ბენეფიციუმი გაიცემოდა სამხედრო მოვალეობის შესასრულებლად, ხოლო პრეკარია ეძლეოდა გლეხს ღალის გაღებისათვის და ბეგარის მოხდისათვის. ერთიცა და მეორეც უკვე ფეოდალური საკუთრება იყო, თუმცა ბენეფიციუმი ჯერ კიდევ ფეოდად (ლენად) არ იყო გადაქცეული და იგი მხოლოდ ფეოდის ჩანასახს წარმოადგენდა.

ამრიგად, კარლოს მარტელმა საერო მსხვილ მიწათმფლობელების მნიშვნელოვან ნაწილს კერძო მიწათმფლობელობა მოუსპო და ეს ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული გა-

ხადა. ზაგრამ სასულიერო მაგნატების მიმართ მან პირდაპირ ამის ვაკეთება ვერ გაბედა. ენგელსის თქმით მეამბოხე და განდგომილ ეპისკოპოსებს კარლოსი მხოლოდ ხსნიდა თავიანთი თანამდებობიდან და მათ ნაცვლად ნიშნავდა ისეთ პირებს, რომლებიც თავისიანები და ამასთან უფრო გამგონენი იქნებოდნენ. ასე, მაგალითად, მისმა მახლობელმა ნათესავმა გუგონმა სამი საეპისკოპოსო და სამი სააბატო მიიღო; მისმა მახლობელმა თანამებრძოლმა მილონმა ტრირისა და რეიმსის საეპისკოპოსოები ჩაიბარა. ერთი სიტყვით კარლოსის მიერ ეპისკოპოსებად დანიშნულ პირთაგან „უმრავლესობას არაფერი სასულიერო არ გააჩნდა გარდა ტონზურისა (sola tonsura clericus)".

როდესაც კარლოსმა ძირითადად ძველი ეპისკოპოსები შესცვალა თავისიანებით, მაშინ მოახდინა საეკლესიო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის კონფისკაციაც. ამიერიდან ეპისკოპოსებიც საეკლესიო მიწას ღებულობდნენ კარლოსისაგან, როგორც ბენეფიციუმებს და ისინიც ვალდებულნი იყვნენ სამხედრო სამსახური გაეწიათ ბენეფიციუმის პატრონისათვის. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში გრიგოლ ტურელი აღშფოთებაში მოდიოდა იმის გაძო, რომ ორმა ძმამ, ორივე ეპისკოპოსებმა სალონიუსმა და საგიტარიუსმა პირადი მონაწილეობა მიიღეს ერთ-ერთ ბრძოლაში. მეშვიდე საუკუნეში ეპისკოპოსებს უკვე ჰყავდათ თავიანთი რაზმები, რომელთაც ისინი ომში აგზავნიდნენ. მერვე საუკუნის დასაწყისისათვის ეპისკოპოსები თვითონ ხელმძღვანელობდნენ თავიანთ რაზმებს [1].

საქმე ისაა, რომ ეკლესიაც კარლოსის მიერ ჩატარებულ ღონისძიების მაგალითს უნდა გაჰყოლოდა. „მან არა მარტო დაიწყო აგრეთვე ბენეფიციუმების გასაჩუქრება, არამედ ეს გასაჩუქრების ფორმა იმდენად გაბატონდა, რომ უკვე ადრე არსებული პრეკარიებიც შეუმჩნეველად ბენეფიციუმების ხასიათს ღებულობდნენ, სამისდღემშიონი ხდებოდნენ, ვიდრე IX საუკუნეში ისინი თითქმის მთლიანად ბენეფიციებად არ გადაიქცნენ" [2].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბენეფიციების სისტემა იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ ბენეფიციუმის მიმღებს მისი გადაცემის დამოკიდებულებაში აქცევდა. ბენეფიციუმის გამცემს — სენიორი, ხოლო მიმღებს ვასალი ეწოდებოდა. სენიორისა და ვასალის ეს პირადი დამოკიდებულება დადებული ერთგულების ფიცით იყო განმტკიცებული. და თუ ეპისკოპოსები ცდილობდნენ ჰყოლე-

---

[1] Ганс Дельбрюк, История военного искусства, т. II, 1937 წ., გვ. 350.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI ч. I, გვ. 400.

ბოდათ უფრო მეტი ვასალები, ბუნებრივია, რომ ამისაკენ მიილტვოდნენ საერო ხასიათის მქონე მსხვილი მიწათმფლობელებიც. ამრიგად, ხდებოდა გაბატონებული კლასის ცალკეულ წევრების ერთი-მეორესთან დაკავშირება, მათი რიგების შემჭიდროვება. ფეოდალური კერძო საკუთრების საფუძველზე იქმნებოდა ფეოდალური ურთიერთობა.

ასეთი მნიშვნელობისა იყო მიწათმფლობელობაში კარლოს მარტელის მიერ წამოწყებული და მისი შვილის პიპინისა და შვილიშვილის კარლოს დიდის მიერ დამთავრებული გადატრიალება. მაგრამ, თუ ბენეფიციუმის ეს სისტემა მოწოდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად, მასშივე იყო მოცემული შესაძლებლობა ცალკეული მაგნატების გაძლიერებისა და მათი დეცენტრალიზმისაკენ ლტოლვისა. ამ ტენდენციამ განსაკუთრებით ბწვავე ხასიათი მიიღო კარლოს დიდის გარდაცვალების შემდეგ, როცა საკუთარი ლაშქრის, საკუთარი სასამართლოს და იმუნიტეტის მქონე დიდებულებმა უფრო ხშირად იწყეს სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომა და ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება.

პიპინ მოკლეს გამეფება და კაროლინგების დინასტიის დასაწყისი. კარლოს მარტელის გარდაცვალების შემდეგ ფრანკთა მონარქია ხელახლად დაიყო, მაგრამ ამჯერად ეს დაყოფა მოხდა არა მეფისწულებს შორის, არამედ მაიორდომის შვილებს შორის. კარლომანმა ძიიღო: ავსტრაზია, ალემანია და ტიურინგია, ხოლო პიპინმა (თავისი დაბალი ტანის გამო „მოკლედ" წოდებულმა): ნეისტრია, ბურგუნდია და პროვანსი. სამეფოს ამ დაყოფას, ძმათა შორის არ გამოუწვევია რაიმე შეჯახება, ისე როგორც მას ადგილი ჰქონდა წინა შემთხვევებში. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ შორის უთანხმოების გაღვივებისათვის საკმაო დრო არ ყოფილა.

სამეფოს დაყოფისთანავე დაიწყო აჯანყებები მაიორდომების წინააღმდეგ. პირველად აჯანყება გრიპონმა წამოიწყო, რომელიც კარლოს მარტელის შვილი იყო მეორე ცოლისაგან და რომელიც მოტყუებული დარჩა ძმების მიერ სამეფოს გაყოფის დროს. აჯანყდნენ აგრეთვე ტომთა მეთაური ჰერცოგები: ალემანიისა, ბავარიისა და აკვიტანიისა. ასეთ შემთხვევაში ძმებმა მაიორდომებმა ერთხანს მიიკიწყეს მათთვის ჩვეულებრივი კინკლაობა და ერთობლივად იწყეს ენერგიული ბრძოლა აჯანყებათა ჩახშობისათვის. მათ კიდევაც მოახერხეს ამ აჯანყებათა ჩახშობა, მაგრამ თავიანთი დაცემული პრესტიჟის აღდგენისათვის მიზანშეწონილად ჩათ-

ვალეს ძველი ჩვეულების გამოყენება და 743 წელს სამეფო ტახტზე მეროვინგთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ხილპერიკ III გაიყვანეს.

თავისი ძალაუფლების უფრო მეტად განმტკიცების მიზნით მაიორდომებმა შესცვალეს თავიანთი მამის კარლოსის პოლიტიკა ეკლესიის მიმართ. ადრე, კარლოსის მიერ ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევამ სასულიერო წოდების ზოგიერთ ფენაში უკმაყოფილება გამოიწვია. კარლოსის ასეთი დამოკიდებულებით ეკლესიის მიმართ არც რომის პაპი რჩებოდა კმაყოფილი, მით უფრო, რომ მიუხედავად პაპის ორგზის თხოვნისა, კარლოს მარტელმა მას დახმარება არ გაუწია ლანგობარდების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში პიპინისა და კარლომანის მიერ ეკლესიის თავის მხარეზე გადაბირება არც თუ ისე ადვილი იყო.

ეკლესიისათვის იმ მიწების უკან დაბრუნება, რომელიც ჩამოერთვა მას კარლოს მარტელის დროს და ბენეფიციუმის სახით დარიგებულ იქნა სამხედროთა შორის, ახლა, ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ მაიორდომებმა დაადგინეს, რომ ეს დანაკლისი ეკლესიისათვის აენაზღაურებინათ საეკლესიო გადასახადის ეგრეთ წოდებული „მეათედის" გაორკეცებით. ეს ღონისძიება დიდად მნიშვნელოვანი იყო იმ გაგებით, რომ ამიერიდან ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის უფრო მჭიდრო კავშირი მყარდებოდა. ახლა რაკი ხელისუფლება ადგენდა ამ საეკლესიო გადასახადს, თვითონვე იძლეოდა ამ გადასახადის აკრეფის გარანტიასაც. ეკლესიის ხელისუფლებასთან უთანხმოების შემთხვევაში, პირველი დაჰკარგავდა ასეთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს და ამიტომ ის განხეთქილებაზე აღარ წავიდოდა.

მიუხედავად ამისა საეკლესიო რეფორმის გატარების პირველ ხანებში ოპოზიციური მიმართულება ძლიერდებოდა განსაკუთრებით ამ რეფორმის ინიციატორის კარლომანის წინააღმდეგ. მის სამფლობელოში არაერთხელ ჰქონდა ადგილი მაიორდომის წინააღმდეგ დიდ თანამდებობის მქონე სასულიერო პირთა გამოსვლას. ამ მხრივ მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ 747 წელს კარლომანი იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო და იტალიის ერთ-ერთ მონასტერში დაემთავრებია თავისი სიცოცხლე.

კარლომანის ბერად აღკვეცის შემდეგ გაერთიანებული სამეფოს ძალაუფლება მთლიანად პიპინის ხელში გადავიდა. მართალია, ახლაც ადგილი ჰქონდა გრიპონის გამოსვლებს, რომელსაც ხან ბავარები, — ხან აკვიტანელები და ხან ლანგობარდები ეხმარებოდნენ, მაგრამ პიპინმა შესძლო ამ გამოსვლების ჩახშობა და შინაგანი მდგო-

მარეობის განმტკიცება. ამასთან ლანგობარდების გამოსელამ გრიპონის მხარეზე პიპინი საბოლოოდ დაანახა ის, რომ ლანგობარდები უეჭველად დაიპყრობდნენ ბავარიას, თუ დროზე არ იქნებოდა მიღებული საჭირო ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდებოდა სათანადო მოკავშირის მონახვა.

როგორც ვიცით, ლანგობარდები ადრევე ცდილობდნენ იტალიის ისეთი ქალაქების დაპყრობას როგორიც იყო რავენა, რომი და სხვ. ლანგობარდებისაგან არაერთხელ შეეიწროვებული რომის პაპი იძულებული იყო კარლოს მარტელისადმი რამდენიმეჯერ მიემართა დახმარებისათვის. ამგვარად პიპინის დროს ლანგობარდების საშიშროება ორივე მხარეს ემუქრებოდა და ბუნებრივია, რომ საერთო ენაც უნდა გამონახულიყო. ამას დაემატა კიდევ ერთი გარემოება — ფრანკთა სამეფოს გაერთიანების შემდეგ მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე ხილპერიკ III პიპინისათვის ზედმეტი გახდა. საჭირო იყო მისი თავიდან მოცილება, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო რომელიმე ავტორიტეტის მხარდაჭერით.

„ფრანკების სამეფოს ანალებში“ აღნიშნულია, რომ „ეეისენბერგის ეპისკოპოსი ბურხარდი და კაპელანი ფოლრადი გაიგზავნენ პაპ ზაქარიასთან, რათა მისთვის ეკითხათ საფრანგეთის მეფეების შესახებ, რომელთაც მაშინ (ნამდვილი) სამეფო ხელისუფლება არ გააჩნდათ, კარგია თუ არა ეს. და პაპმა ზაქარიამ უბრძანა პიპინისათვის გადაეცათ, რომ უკეთესია მეფე ეწოდოს მას, ვისაც ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე იმას, ვინც სამეფო ხელისუფლების უქონლად ცხოვრობს. და რომ წესრიგი არ დაირღვეს (თავისი) სამოციქულო უფლებით ბრძანა, რომ პიპინი გახდეს მეფედ“.

პაპისაგან ასეთი დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, 751 წლის შემოდგომაზე სუასონში პიპინმა მოიწვია ფრანკების დიდებულები და თავისი ვასალები, რომელთა კრებაზედაც „ყველა ფრანკის არჩევით, ეპისკოპოსების კურთხევითა და დიდებულთა მიერ ფიცის დადებით“ იგი დასვეს სამეფო ტახტზე. მეროვინგების მეფე ხილპერიკი და მისი შვილი ბერად აღკვეცის შემდეგ გაგზავნეს მონასტერში. ამასთან დაკავშირებით მეფე პიპინმა ეკლესია დიდის წყალობით დაასაჩუქრა, მაგრამ ეტყობა, რომ პაპი თავის გასამრჯელოში მოითხოვდა უფრო მეტს — შეიარაღებულ დახმარებას ლანგობარდების წინააღმდეგ.

ლანგობარდების მეფე აისტულფმა ბიზანტიელები განდევნა რავენადან და იგი თვითონ დაიკავა. ამის შემდეგ მან თავისი ჯარები დასძრა რომისა და პაპის წინააღმდეგ. როგორც მარქსი აღნიშნავს 753 წ. აისტულფმა მუქარის წერილები გაუგზავნა პაპა სტე-

ფანეს და თავისი ჯარები კიდევაც მიაყენა რომს. პაპმა დახმარებით პიპინს მიმართა. მან პიპინი და მისი ორივე შვილი მეფედ აკურთხა და პიპინს რომაელი პატრიციის ტიტული მიანიჭა. ამის შემდეგ 754 წელს ბრიენში გადაწყდა ლაშქრობის წამოწყება ლანგობარდების წინააღმდეგ, თუ აისტულფი სამშვიდობო წინადადებებს არ მიიღებდა. პიპინის ლაშქარმა ალპები გადალახა და იტალიაში შეიჭრა. აისტულფი იძულებული გახდა ზავი დაედო, მაგრამ წავიდა თუ არა პიპინი იტალიიდან, მან კვლავ წამოიწყო ბრძოლა რომის წინააღმდეგ.

პიპინის მხრივ საჭირო გახდა მეორე ლაშქრობის წამოწყება აისტულფის წინააღმდეგ. 756 წელს საკმაო დიდი ძალებით ფრანკებმა ლანგობარდები დაამარცხეს და აისტულფი აიძულეს გადაეცა პაპისათვის რავენის ეკზარხატის ქალაქები და რომის ოლქი. ასე ჩაეყარა საფუძველი პაპების საერო ხელისუფლებას. ამგვარად VIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში შეიქმნა პაპის საეკლესიო სამეფო, რომელიც შემდეგში მთელი შუასაუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობაში. მართალია, პაპის სამეფოს ტერიტორია ბოლო ხანებში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ეგრეთწოდებულ „ვატიკანის“ სახელწოდებით ის დღესაც განაგრძობს თავის არსებობას.

პიპინის მიერ რავენის ეკზარხატის და რომის ოლქის პაპისადმი გადაცემა აბჯერად გაფორმებულ იქნა სათანადო აქტით, მაგრამ ჩანს, რომ ეს გარემოება პაპებისათვის არც თუ ისე ხელსაყრელი იყო, რადგან სხვა მხრივ, იგი პაპების დაქვემდებარებას გულისხმობდა კაროლინგების მიმართ. რომ პაპებს უფრო დამოუკიდებლად ეგრძნოთ თავი და მათ მიერ მიღებული საერო ხელისუფლება უფრო „კანონიერად“ გაეხადნათ, ამიტომ იწყეს მისი თეორიული დასაბუთებაც. ამ ნიადაგზე შეიქმნა სრულიად ყალბი დოკუმენტი. ეგრეთწოდებული „კონსტანტინეს ნაბოძები“. ამ დოკუმენტის სიყალბე საკვლევად დაამტკიცა ლორენცო ვალამ (1407 — 1457).

„კონსტანტინეს ნაბოძების“ მიხედვით, თითქოს იმპერატორი კონსტანტინე პაპა სილვესტრმა მონათლა და იგი განკურნა საშინელი სნეულებისაგან. სამაგიეროდ იმპერატორმა პაპს უბოძა საიმპერატორო ნიშნები, „ქალაქი რომი, იტალიისა და მთელი დასავლეთის ქვეყნები და ქალაქები“, ხოლო თვითონ დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადავიდა. გამოდიოდა ისე, რომ პიპინმა პაპებს მხოლოდ დაუბრუნა ის, რაც მათ კანონიერად დამკვიდრებული ჰქონდათ ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ. ეს „თეორია“ ცნობილი იყო თვით პიპინისათვის, მაგრამ ამის საწინააღმდეგო

მას ჯერჯერობით არაფერი ჰქონდა, რადგან რომის პაპისა და ეკლესიის მბარდაკერა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ამრიგად, პიპინმა მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ძალაუფლება. მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფრანკებმა მოიპოვეს ბრძოლებში მთელი რიგი გამარჯვებები. 759 წელს არაბებს წაართვეს ნარბონა და სეპტიმანია. 760 — 768 წლებში დაიმორჩილეს აკვიტანია და ბოლოს საქსებისა და ბავარიელების წინააღმდეგ წარმატებით ჩატარებულმა ბრძოლებმა განამტკიცეს ახალი კაროლინგური მონარქიის გავლენა გერმანიაში. იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში ფრანკთა მონარქიამ მოწინავე პოზიციები დაიკავა. ბიზანტიის იმპერატორი ცდილობდა პიპინთან დამოყვრებას. ბაღდადის ხალიფა ცდილობდა მასთან კავშირის დაწყარებას ესპანეთის არაბების წინააღმდეგ. ხშირად რომის პაპები პიპინისაგან მოითხოვდნენ ამა თუ იმ დახმარებას და ფრანკთა ეპისკოპოსების მეშვეობით მართავდნენ ახლად ჩაწოყალიბებულ პაპების სამეფოს.

ფრანკთა მონარქიის პოლიტიკური ვითარება 768 — 814 წლებში. პაპინმა გარდაცვალების წინ ფრანკთა მონარქია თავის შვილებს შორის გაანაწილა. უფროს შვილს, კარლოსს (კარლოს დიდი), სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გადაეცა. ამრიგად, კარლოსის სამფლობელოში შეევიდა: ავსტრაზია, ჩრდილოეთის ნეისტრია და აკვიტანიის დიდი ნაწილი. პიპინის მეორე შვილს, კარლომანს, წილად ხვდა სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა: სამხრეთ-ნეისტრიას, ბურგუნდიას, პროვანსს, ელზასსა და ალემანიას, ტიურინგიას, ჰესენსა და ზოგიერთ სხვა მხარეს.

პიპინის შვილების მმართველობა თავიდანვე წინააღმდეგობის შემცველი აღმოჩნდა. ძმათა შორის უთანხმოება გამომჟღავნდა ჯერ კიდევ 769 წელს. ამ დროს ვინმე გუნალდის ხელმძღვანელობით აკვიტანიაში მოხდა აჯანყება, რომელიც მიმართული იყო კარლოსის მმართველობის წინააღმდეგ. კარლოსმა დახმარებისათვის ძმას მიმართა თხოვნით, მაგრამ კარლომანმა იმის მობიზეზებით, რომ ეს აჯანყება არ ყოფილა მის ტერიტორიაზე, ძმას უარი უთხრა დახმარებაზე. კარლოსი იძულებული გახდა მარტო საკუთარი ძალებით ჩაეხშო ეს აჯანყება. მაგრამ ძმათა შორის უთანხმოება უფრო მეტად თავს იჩენდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ლანგობარდებისა და პაპებისადმი დამოკიდებულების საკითხში თავი იჩინა განხეთქილებამ. კარლომანის სასახლეში უფრო ძლიერ დაჯგუფებას წარმოადგენდა ის, რომელიც ფრანკების კავ-

შირს ლანგობარდებთან არჩევდა, ხოლო კარლოსის სასახლეში უმრავლესობა პაპებთან მეგობრობის დამყარებას მოითხოვდა. ამ საკითხის გარშემო ურთიერთობა ძმათა შორის იმდენად გაიწვავდა, რომ დედის, ბერტრადას, საქმეში ჩარევა აუცილებელი გახდა. რადგან ბერტრადაც ლანგობარდების მოკავშირედ გამოდიოდა, ამიტომ კარლოსი თავდაპირველად დათმობაზე წავიდა და კიდეც იქორწინა ლანგობარდების მეფის დეზიდერიის ქალიშვილზე დეზიდერატაზე.

771 წელს გარდაიცვალა კარლომანი, რომელსაც მცირეწლოვანი შვილები დარჩა. კარლოსი შეიარაღებული ძალებით შეიჭრა ძმის სამფლობელოში და მისი დიდებულები აიძულა გაფართოებულ კრებაზე აერჩიათ იგი ერთად ერთ მეფედ. კარლომანის ქვრივი თავისი ბავშვებითა და ზოგიერთი თანმხლებლებით გაიქცა იტალიაში და თავი დეზიდერიის სასახლეში შეაფარა. დეზიდერიომ ისინი მიიღო მფარველობაში იმიტომ, რომ მანამდე კარლოსმა მის ქალიშვილს თავი გაანება და ცოლად ალემანელი ქალი ხილდეგარდი შეირთო [1]. დეზიდერიომ რომის პაპ ადრიანეს მოთხოვა კარლომანის შვილების მეფედ კურთხევა და როცა ამაზე უარი მიიღო, შეიჭრა საეკზარხოში. პაპმა დახმარებისათვის მიმართა კარლოსს.

773 წელს კარლოსმა იწყო გალაშქრება ლანგობარდების წინააღმდეგ. დეზიდერიომ პიემონტის ველზე ჯარებს დიდი რაოდენობით მოუყარა თავი, მაგრამ პაპის ინტრიგების წყალობით ლანგობარდებში პანიკა შეიქმნა. დეზიდერი პავიაში ჩაიკეტა. ფრანკებმა მას ალყა შემოარტყეს, კარლოსმა კი რომისაკენ გასწია. იქ მას მიესალმნენ როგორც ფრანკებისა და ლანგობარდების მეფეს და ფიცი დასდეს მის წინაშე, როგორც პატრიციის წინაშე. ამის საპასუხოდ კარლოსმა პიპინის მიერ პაპზე გაცემული საჩუქარი ხელახლად დაამტკიცა.

დეზიდერი იძულებული გახდა პავიაში კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ის ოჯახით გაგზავნილ იქნა ფრანკთა სამეფოში და იქ ერთ-ერთ მონასტერში მოათავსეს. იტალიიდან ფრანკების ჯარის გასვლის შემდეგ ლანგობარდების ჰერცოგებმა, კერძოდ სპოლეტის, ფრიულის და ბენევენტისამ დაიწყეს ფრანკების წინააღმდეგ აჯანყება. საჭირო გახდა კარლოს დიდის ახალი გალაშქრება იტალიაში. ლანგობარდების ჰერცოგების დამარცხების შემდეგ კარლოსი თავს დაესხა ბავარიას, მოსპო იქ ჰერცოგობა და გრაფი დანიშნა მის მმართველად. მალე ლანგობარდიის მეფედ კარ-

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, кн. 30, гам. 1938 г.

ლოსმა თავისი შვილი პიპინი დანიშნა, რომელსაც ჯერ კიდევ ოთხი წელი არ შესრულებოდა.

ლანგობარდებთან ომის დამთავრების შემდეგ კარლოს დიდი იწყებს ახალ ომს საქსებთან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კარლოსი თავისი 46 წლის მეფობის განმავლობაში (768 — 814) უდიდეს დროს ომებში ატარებდა. იგი დიდი მხედართმთავარი და დამპყრობელი იყო. მან 50 ზე მეტჯერ პირადი მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ლაშქრობებში. მის დროს ფეოდალიზაციის ფორმირებაში მყოფი ფრანკთა მონარქია ყველაზე უფრო აგრესიული პოლიტიკის მატარებელი იყო. ფრანკთა სამეფოს შეუჩერებელი ეს აგრესიულობა ფრანკების საშუალო და წვრილ მესაკუთრეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებით იყო გამოწვეული, რადგან ფრანკთა შეიარაღებულ ძალას ძირითადად ისინი წარმოადგენდნენ. კარლოს მარტელის მიერ სამხედრო რეფორმის ჩატარების შემდეგ მოლაშქრეები ბენეფიციუმის სახით მიწის ნაკვეთებს ღებულობდნენ. კარლოს დიდის დროს აღმოჩნდა, რომ ფრანკთა სამეფოს ძირითადი ოლქების მიწები უკვე გაცემული იყო. საეკლესიო მიწების ფონდი, რომლიდანაც ბენეფიციუმები ვასალებს ეძლეოდათ, ასევე ამოწურული აღმოჩნდა. ახალ ბენეფიციუმებისათვის ახალი მიწების მიცემა მხოლოდ დაპყრობებს შეეძლო.

საქსები, რომელთა მიმართ ფრანკთა სამეფოს ეს აგრესია იყო ახლა წარმართული, ცხოვრობდნენ ქვემო რაინის აღმოსავლეთ მიდამოებიდან მდინარე ეიდერამდე — ჩრდილოეთით. მეხუთე საუკუნის ბოლოს და მეექვსე საუკუნის დასაწყისში საქსების ერთი ნაწილი ანგლებთან და იუტებთან ეოთად, ბრიტანეთში გადასახლდა. კონტინენტზე დარჩენილი საქსების ყოფა-ცხოვრება დიდი ხნის განმავლობაში გვაროვნულ-თემური წყობილებით განისაზღვრებოდა. ამ წყობილების რღვევა და ფეოდალიზაციის პროცესი ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა. მათში მერვე საუკუნისათვის კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი. ეს ჩანს, თუნდაც იქიდან, რომ საქსების სამართლის XI მუხლის ძალით მემკვიდრეობა გადადიოდა ვაჟზე და არა ქალიშვილზე.

საქსთა საზოგადოებრიობაში კლასები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული და ცხადია, რომ მათ სახელმწიფო არ ჰქონიათ. გვაროებსა და ტომებს მართავდნენ სახალხო კრებები და არჩეული უხუცესები. ჰყავდათ სამხედრო ბელადებიც, როცა იწყებოდა ბრძოლები. ბრძოლების დროს ტომთა სამხედრო გაერთიანებაც ხდებოდა. საქსებში სოციალური დიფერენციაცია მერვე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე დაიწყო. თანდათან იქმნე-

ბოდა საგვარეულო არისტოკრატია ედელინგების სახით. ჩნდებოდნენ აგრეთვე ნახევრად თავისუფალნი. ლასები (ანუ ლაცები). საქსთა ძირითადი ფენები, რომელნიც დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, იყვნენ ფრილინგები.

საქსები იყოფოდნენ ოთხ შტოდ: ვესტფალები, ოსტფალები, ანგრარიები და ნორდალბინგები. თვითეული მათგანის სათაეში ტომობრივი ჰერცოგები იდგნენ. ყველა ამ შტოთაგანი წარმართული რელიგიის მიმდევარი იყო. საქსები უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და ამასთან, როგორც დამატებითი წყარო, მიწათმოქმედებასაც. მსგავსად ტაციტუსის დროინდელ გერმანელებისა, საქსები არაერთხელ ესხმოდნენ თავს მეზობელ ხალხებსა და ფრანკთა სამეფოს საზღვრებს.

როგორც ეინგარდი აღნიშნავს, ლანგობარდების დამარცხების შეედეგ „ხელახლა დაიწყო საქსონური ომი, რომელიც თითქოს დროებით იყო შეჩერებული“. და მართლაც კარლოს დიდმა პირველი ლაშქრობა საქსებში დაიწყო ჯერ კიდევ 772 წელს. ეს ბრძოლა თავიდანვე ანგარიების წინააღმდეგ წარიმართა. ფრანკებმა მალე დაიკავეს საქსების გამაგრებული ადგილი—ერესბურგი. ანგარიები ბრძოლებში რამდენიმეჯერ დაამარცხეს, ნადავლის ხელში ჩაგდებისა და მათგან მძევლების მიღების შემდეგ ისინი უკან დაბრუნდნენ. ამის საპასუხოდ 774 წელს საქსები თავს დაესხნენ ჰესენს, გაძარცვეს იგი და შემდეგ ფრიზეთი დაარბიეს.

ეინგარდის მიერ აღწერილი ფრანკების ბრძოლები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული საქსების საბოლოო დაპყრობა, იწყება მხოლოდ 775 წლიდან. ეინგარდის თქმით: „ფრანკების ხალხს არ უწარმოებია არცერთი ომი, რომელიც ასე ხანგრძლივი, ასეთი მძაფრი და ასეთ სიძნელეებთან ყოფილიყო დაკავშირებული...“ ამჯერად საქსების სამი განშტოება (ვესტფალები, ოსტფალები და ანგარიები) ჩაება ომში. ფრანკების მათზე შეტევა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ დამარცხებული საქსების ბელადები იძულებული გახდნენ კარლოსისათვის ზავი ეთხოვათ. ფრანკებმა დაიკავეს საქსების გამაგრებული ადგილები: ერესბურგი, სიგიბურგი და კარლშტატი. კარლოსმა მძევლების გარდა საქსებისაგან მოითხოვა გაქრისტიანება. 777 წელს საქსების ზედაფენის წარმომადგენლებმა პადებორნში კარლოსისადმი ერთგულების ფიცი დასდეს, რის გამოც ისინი კარლოსმა უხვად დააჯილდოვა.

ამრიგად, კარლოსმა საქსების ზედა ფენის მოსყიდვის შედეგად ერთხანს შესძლო საქსებში ქრისტიანული სარწმუნოების გაე-

რცელება და მათი დამორჩილება. რა თქმა უნდა, საქსების ზედაფენა ამით თავის საქმესაც აკეთებდა. როგორც აღნიშნული იყო საქსებში თემების რღვევა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც საქსების შეძლებულ ნაწილს თემების თავისუფალი წევრების დამორჩილება უძნელდებოდა. ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ფრანკთა სამეფოში საქსების მოქცევა მათშიაც დააჩქარებდა ფეოდალიზაციის პროცესს.

რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოება საქსების დაბალი ფენებისათვისაც ნათელი იყო. ფართო მასები წინაღუდგნენ დამპყრობლებსა და თავიანთ მოღალატე წარჩინებულებს. ზოგ შემთხვევაში ზეპირ აღწერილსა და მომავალ ბრძოლებს კლასობრივი ხასიათი მიეცა. მასების ერთობლივმა გამოსვლებმა ზოგიერთი წარჩინებული საქსი აიძულა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მალე მთელ რიგ აჯანყებათა ხელმძღვანელად ვიდიკუნდი გახდა. ეს აჯანყებანი დიდხანს გრძელდებოდა (778 — 785). აჯანყებულებს ფრიზების ნაწილიც შეუერთდა. ვერდენთან კარლოსმა აჯანყებულები სასტიკად დაამარცხა. 785 წელს ვიდიკუნდიც კარლოსის მხარეზე გადავიდა და ქრისტიანობა მიიღო [1]. მისმა ნათლიამ კარლოსმა იგი დიდად დაასაჩუქრა.

კარლოსმა საქსების დაკავებულ ადგილებში მკაცრი რეჟიმი დააწესა. ყოველივე წვრილმან დანაშაულისთვისაც კი სიკვდილით სასჯელი იყო გათვალისწინებული. კარლოს დიდის დროს საქსებისათვის შედგენილ სამართალში ხშირად გვხვდება ასეთი მაგალითები: „ვინც ოთახიდან მოიპარავს რამეს, სიკვდილით დაისჯება“ (XXXIII), „ვინც ღამით შეთხრის ან შეამტვრევს სხვის სახლს და მოიპარავს ორი სოლიდის რამეს, სიკვდილით დაისჯება...“ (XXXII), „ვინც შემოღობილიდან სკას მოიპარავს, სიკვდილით დაისჯება“ (XXX), „ვინც სიბოროტეს განიზრახავს ფრანკთა სამეფოს წინააღმდეგ, ან მეფის, ან მისი შვილების მკვლელობას, სიკვდილით დაისჯება“ (XXIV), „ვინც ეკლესიაში მოკლავს კაცს ან იქ მოიპარავს რაიმეს, ან გატეხს მას, ან შეგნებულად მისცემს ცრუ ფიცს, სიკვდილით დაისჯება“ (XXI) და სხვ.

ყოველივე ეს მიმართული იყო იმისაკენ, რომ არავის გაებედნა ფრანკების ბატონობის წინააღმდეგ წასვლა და ქრისტიანობის ხელყოფა. ასეთ მკაცრ ღონისძიებათა მიღებით ფრანკებმა საქსების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიმორჩილეს. ფრანკების შემდგომი

---

[1] ამ მოღალატეს ფაშისტი მკვლევარები გერმანელი ხალხის გმირად ასაღებდნენ.

ბრძოლები მხოლოდ ნორდალპინგებისაკენ წარიმართა. ეს ბრძოლები 12 წლის მანძილზე გრძელდებოდა (793 — 804). ისინი არანაკლებ მკაცრი ხასიათის მატარებელნი იყვნენ. როგორც ეინგარდი აღნიშნავს: „ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ის (კარლოსი გ. ტ.) გაუსწორდა ყველა იმათ, ვინც შეჩვეული იყო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. მან 10 ათასი კაცი თავიანთი ცოლებითა და შვილებით აჰყარა, იმათგან, რომელნიც ელბის ორივე ნაპირას ცხოვრობდნენ, და ნაწილ-ნაწილ დაასახლა ისინი გალიაში და გერმანიაში“.

იმ დროს, როცა განუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა საქსების წინააღმდეგ, კარლოს დიდმა მოულოდნელი ლაშქრობა მოაწყო პირინეებზე. კარლოს მარტელის დროს არაბებთან დაწყებული ბრძოლა ჯერ კიდეკ არ იყო დამთავრებული. 778 წელს კარლოს დიდის მოულოდნელი ლაშქრობა არაბების წინააღმდეგ აიხსნება იმით, რომ ამ დროისათვის ესპანეთში დაიწყო შინაგანი ბრძოლები ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილის მმართველებსა და კორდოვოს ემირას შორის. კარლოს დიდმა თავისი ჯარებით სწრაფად გადალახა პირინეის მთაგრეხილი და მალე დაიკავა რიგი ქალაქებისა, საგრამ სარაგოსასთვის ბრძოლა მისთვის წარუმატებლად დამთავრდა.

როცა კარლოს დიდი თავისი ჯარებით უკან ბრუნდებოდა, რონსილეანიის ტყეში მის არიერგარდულ ჯარის ნაწილებს თაკს დაესხნენ გასკონელები (ბასკები), რომლებმაც ის გაანადგურეს. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ: ეგიგარდი, ანსელმი, პფალცგრაფი და სხვათა შორის კარლოს დიდის უახლოესი ნათესავი როლანდი. უკანასკნელის დაღუპვასთან დაკავშირებით შემდეგში შეიქმნა ეპიკური ნაწარმოები „სიმღერა როლანდზე“. ეინგარდის აზრით ფრანკების აქ დამარცხება აიხსნებოდა იმით, რომ ბასკებს მსუბუქი, ხოლო ფრანკებს მძიმე შეიარაღება ჰქონდათ და რადგან ადგილმდებარეობა, რომელზედაც ბრძოლა გაიშალა, ხელს არ უწყობდა მძიმედ შეიარაღებულთა მოქმედებას, ამიტომ ბასკებმა გაიმარჯვეს.

ამის შემდეგ კორდოვოს ემირმა „საღმრთო ომი“ გამოაცხადა ფრანკთა მონარქიის მიმართ. 788 წ. არაბები აკვიტანიაში შეიჭრნენ, მაგრამ კარლოსის შვილმა ლუდოვიკომ, რომელიც ამ მხარის მესვეურად ითვლებოდა, შესძლო არაბების შეჩერება. 796 წელს მან კვლავ წამოიწყო ომი არაბების წინააღმდეგ. ამჯერად ომი წარმატებით დამთავრდა. ფრანკებმა ესპანეთის ტერიტორიის ერთი ნა-

წილი (ებრომდე) დაიპყრეს და კარლოს დიდმა აქ „ესპანეთის მარკა“ ჩამოაყალიბა.

მერვე საუკუნის 90-იან წლებში კარლოს დიდმა ჩამოაყალიბა კიდევ ერთი მარკა, რომელსაც პანონიის, ანუ აღმოსავლეთის მარკა ეწოდებოდა. საქსონიის დაპყრობამ და ბავარიის შემოერთებამ ფრანკთა სამეფო სხვა ხალხების მეზობელიც გახადა. მდინარე ელბის მიდამოებში და ამ მდინარის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ სლავების სხვადასხვა ტომები, ხოლო თანამედროვე უნგრეთის ველებზე, პანონიაში ნახევრად მომთაბარე ავარები იმყოფებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სლავთა ტომები ფრანკთა საძეფოს მიმართ იჩენდნენ ერთგვარ მეგობრულ დამოკიდებულებას და ერთხანს ისინი ფრანკებს ეხმარებოდნენ კიდეც საქსებთან ბრძოლებში, კარლოს დიდი თავს დაესხა ლუჟიცების ტომებს (789), მათი ქვეყანა ააოხრა და აიძულა ისინი ეცნოთ კარლოსის ძალაუფლება.

კარლოსის ლაშქრობის ძირითადი სიმძიმე გადატანილი იყო პანონიაზე. ეინგრადის თქმით ამ ლაშქრობას უშუალოდ კარლოს დიდი ხელმძღვანელობდა. „და თუმცა ომი მის მიერ ფრიად გადამწყვეტად ტარდებოდა, მხოლოდ რვა წლის განმავლობაში ძლივს დამთავრდა“. ეს ომი ფრანკებმა 791 წელს ორი მიმართულებით წამოიწყეს: ბავარიიდან და იტალიიდან. ბრძოლებში ავარების თითქმის ყველა წარჩინებული დაიხოცა. ფრანკებმა პანონიაში ხელთ იგდეს უდიდესი სიმდიდრე, ხოლო დაპყრობილ ადგილებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პანონიის, ანუ აღმოსავლური მარკა ჩამოაყალიბეს.

როგორც აღნიშნული იყო, ფრანკთა მონარქიის ასეთი მძლავრი ექსპანსია უმთავრესად ნაკარნახევი იყო ახალი მიწების ხელში ჩაგდებით. ბენეფიციუმების გაცემა ითხოვდა სულ ახალ და ახალ მიწებს და ისიც დიდი რაოდენობით. ეს მიწები ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა შეეძინა უკვე დაპყრობილ მიწების შემონარჩუნებით და ახალ დაპყრობათა წარმოებით. პირველი ამოცანა წარმატებით გადაწყვიტეს კარლოს მარტელმა და პიპინ მოკლემ, ხოლო მეორის გადაწყვეტა მთლიანად კარლოს დიდს ხვდა წილად. მან მთელი თავისი მეფობა ამ საქმეს მოანდომა. ეინგარდის თქმით, კარლოს დიდის დროს ფრანკთა მონარქიის ტერიტორია ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე პიპინ მოკლეს ხანაში, მართალია, იგი აკარებებს სინამდვილეს, მაგრამ ის მაინც ფაქტია,

რომ კარლოს დიდმა მამისაგან მიღებული მემკვიდრეობა ერთნა-ხევარზე მეტად გაზარდა [1].

ფრანკთა სახელმწიფომ ამ დროის საერთაშორისო ურთიერთობაში მოწინავე ადგილი დაიკავა. მას ექიშპებოდა მხოლოდ ბიზანტია. კარლოს დიდმა გადაწყვიტა ბიზანტიის შემოერთებაც. ეს გეგმა სისრულეში უნდა მოყვანილიყო კარლოსის ირინეზე დაქორწინებით, რომელმაც თავის შვილს, კონსტანტინე VI თვალები დათხარა და თვითონ იწყო მეფობა მის მაგივრად. ბევრნი იმპერატორის ტახტს ამ გარემოების გამო ვაკანტურად თვლიდნენ. მაგრამ ირინე მალე ტახტიდან გადმოაგდეს და ამიტომ კარლოსის ეს გეგმაც განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, კარლოსის ავტორიტეტი დიდად გაიზარდა. კარლოსთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად აახენში მიიმართებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები. მასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ასტურიის მეფე ალფონს II, შოტლანდიის მეფეები, ირლანდიის ტომების ხელმძღვანელები და სხვ.

კარლოსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა აღმოსავლეთზეც. პალესტინაში ეგრეთწოდებული „წმინდა ადგილები", რომელნიც ადრე ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდნენ, ახლა კარლოსს გადაეცა. მაგრამ იმის მტკიცება თითქოს ჰარუნ-არ-რაშიდი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდა კარლოსთან, სინამდვილეს არ შეეფერება. და სპილო, რომლის სიკვდილი აღნიშნა ფრანკების ეამთაღმწერლობამ, ჰარუნ-არ-რაშიდის მიერ კი არ იყო გამოგზავნილი, არამედ მოყვანილ იქნა აღმოსავლეთის ვაჭრების მიერ [2]. ეტყობა, რომ ფრანკთა მონარქიის საგაჭრო ურთიერთობა აღმოსავლურ ქვეყნებთან ერთგვარად მნიშვნელოვანი გახდა.

კარლოსს დიდთან უფრო ახლო ურთიერთობაში რომის პაპები აღმოჩნდნენ. ახალი პაპი ლეონ მესამე, რომელიც 795 წელს ეკურთხა, არ სარგებლობდა რომის წარჩინებულთა მხარდაჭერით. მის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ერთხელ მას ქუჩაშიაც კი სცემეს. პაპმა დახმარებისათვის მიმართა კარლოსს და პადებორნიდან უკანასკნელმა ის შეიარაღებული მცველებით რომში დააბრუნა. 800 წელს კარლოსი თვითონაც გამოცხადდა რომში და იმპერატორის ტიტული მიიღო. ამ გარემოებათა გამო ისტორიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება წარმოიშვა.

---

[1] А. П. Левандовский. Об этническом составе империи Каролингов (Вопросы истории № 7, 1952 წ., გვ. 116.).

[2] История дипломатии, т. I, М., 1941 წ., გვ. გვ. 110—111.

ცხადია, იმპერატორის ტიტულის მიღებას კარლოსი ადრევე ცდილობდა, რადგან ეს გარემოება მის ავტორიტეტსა და გავლენას უფრო მეტად გაზრდიდა. მეორე მხრივ, პაპებისათვის ეს არ უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი, რადგან ჯერ კიდევ პაპი ადრიანე იმპერატორის ტიტულზე პრეტენზიებს თითონ აცხადებდა. მაგრამ ლეონ მესამისათვის აშკარა გახდა, რომ ასეთი რამ მხოლოდ ფანტაზიას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც შეეცადა, რომ კარლოსისათვის ამ ტიტულის მინიჭება მომხდარიყო მისი ინიციატივით. ისარგებლა რა კარლოსის რომში ყოფნით, ერთ დღეს, როცა კარლოსი წმ. პეტრეს ტაძარში სალოცავად იმყოფებოდა, პაპმა მოულოდნელად მას თავზე გვირგვინი დაადგა. კარლოსი ამით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ იმპერატორის ტიტული მაინც მიიღო.

პაპის საქციელით გამოწვეული კარლოსის უკმაყოფილება უსაფუძვლო არ იყო, რადგან შემდეგში ეს არგუმენტი პაპებმა არაერთხელ გამოიყენეს საერთო ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ისინი ყოველთვის ასეთ შემთხვევაში მოხერხებულად სვამდნენ კითხვას: „განა საიმპერატორო გვირგვინი ნაბოძები არ იყო პაპის მიერ, და განა ის ვინც უბოძებს უფრო მაღლა არა დგას იმაზე, ვინც ნაბოძებს მიიღებს?“

კარლოსმა ახლად მიღებული საიმპერატორო ტიტულის განმტკიცების მიზნით დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოვა ბიზანტიასთან, მაგრამ ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ნიკიფორემ ეს არა სცნო, რის გამოც ურთიერთობა ფრანკთა მონარქიასა და ბიზანტიას შორის რამდენიმე წლის მანძილზე შეწყდა. მაგრამ იმ დროს, როცა ბიზანტია დიდ სირთულეებს განიცდიდა არაბების შემოსევისაგან, ან ბულგარელთა ბრძოლებისაგან და თანდათან სუსტდებოდა, ფრანკთა მონარქია ძლიერდებოდა. ამიტომ იყო, რომ კარლოს დიდის გარდაცვალების წინა წლებში ბიზანტია იძულებული გახდა კარლოსისათვის „ბაზილევსის“ ტიტული მაინც მიენიჭებინა.

კარლოს დიდის იმპერიის ფეოდალური ხასიათი. ახლად შექმნილ იმპერიაში, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია ჰქონდა, ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით არ იყო ერთფეროვანი. იმპერიის სხვადასხვა ნაწილში ფეოდალიზაციის პროცესი სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდა. ნეისტრიაში, როგორც აღნიშნული იყო, მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება ადრევე დაიწყო და VIII საუკუნის ბოლოსათვის ფეოდალიზაციამ საკმაოდ მაღალი განვითარე-

ბის საფეხურს მიაღწია. ავსტრაზია ამ მხრივ შედარებით დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. აქ წვრილი მიწათმფლობელობა თავისუფალი გლეხობით უფრო მეტად იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება საქსონიას და ზოგიერთ სხვა ადგილებს, ფეოდალიზაციის პროცესი ახლად იყო დაწყებული და თავისუფალ გლეხთა დაყმევება უმნიშვნელო რაოდენობით ხდებოდა.

კარლოს დიდის დაპყრობებმა მნიშვნელოვნად დააჩქარეს ფეოდალიზაციის პროცესები არა მარტო ნეისტრიაში, არამედ სხვა ნაწილებშიაც, რადგან ფრანკთა სახელმწიფოებრივი აპარატი ახლად წარმოქმნილი ფეოდალური კლასის იარაღს წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ დაპყრობილ ადგილებშიაც მისი პოლიტიკა ფეოდალური კლასის ინტერესებით უნდა წარმართულიყო. დაპყრობილ ადგილებში ყველგან ხდებოდა მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა ფრანკი ფეოდალებისათვის. განსაკუთრებით ეს ითქმის საქსონიაზე, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კარლოსმა დასახელებულ ადგილებიდან აჰყარა და გადაასახლა იმპერიის სხვადასხვა ნაწილში.

ბენეფიციუმების გაცემა, ვასალიტეტის განვითარება, იმუნიტეტის მინიჭება, თავისუფალ გლეხთა მასობრივ დაყმევებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფოებრივი აპარატის დაუცხრომელი ბრძოლა უშუალო მწარმოებელთა მიმაგრების საქმეში და სხვ. აი, ყველაფერი, ის, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური იმპერიისათვის. კარლოს დიდი თავის მიერ გაცემულ უამრავ კაპიტულარებში დაუცხრომლად ზრუნავდა გაქცეულ სერვების თავიანთ ბატონებთან უკან დაბრუნებაზე.

ამრიგად, კარლოს დიდის იმპერია, თავისი არსებით, მთლიანად ფეოდალურ დაწესებულებას წარმოადგენდა. ამ მხრივ დამახასიათებელი ხდება კიდევ ერთი გარემოება. 802 წელს კარლოსისადმი, როგორც იმპერატორისადმი დადებულ ფიცში მოცემულია პირობა ერთგულებისა, ისე როგორც „რომელიმე კაცი (homo) ვალდებულია თავის ბატონის მიმართ". ამ შემთხვევაში გამოდის, რომ იმპერიის ქვეშევრდომის ერთგულება გათანაბრებულია იმ ერთგულებისადმი, რომელიც უნდა არსებობდეს ვასალში თავისი სენიორის მიმართ, ეს კი თავის მხრივ მოწმობს იმას, თუ ამ დროს, რამდენად იყო გავრცელებული ვასალ-სენიორალური დამოკიდებულება.

---

[1] А. И. Данилов, К критике допшиановской концепции раннесредневековой вотчины (Средние века, т. IX, вз. 65).

იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიის მართვა-გამგებლობა მოითხოვდა ადმინისტრატიული აპარატის რეორგანიზაციას. მეროვინგების დროინდელი სახელმწიფოებრივი აპარატი მისი რაზმეულებითა და მინისტერიალებით ვეღარ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნილებას. ამასთან საჭირო იყო მმართველობის უფრო მეტი ცენტრალიზაცია. კარლოს დიდის დროს მმართველობის ცენტრი იყო სამეფო სასახლე პალაციუმი. აქ იმყოფებოდნენ: პალატის გრაფი (უმაღლესი მოსამართლე და იმპერატორის მოადგილე იმპერატორის არ ყოფნის დროს), არქიკანცლერი (იმპერატორის კანცელარიის უფროსი), კამერარიუსი (სამეფო ხაზინის უფროსი), კონეტაბლი (სამეფო ცხენოსანთა რაზმების გამგებელი) და სხვ.

იმპერია, როგორც მეროვინგების დროს, დაყოფილი იყო ცალკე საგრაფოებად. მეცხრე საუკუნის დასაწყისისათვის სულ 98 საგრაფო ითვლებოდა. თვითეულ საგრაფოს ხელმძღვანელად გრაფი (comites) იყო დანიშნული. გრაფების მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა: საგრაფოში სასამართლოების ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება, გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფა, ჯარების გაყვანა ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად და სხვ. გრაფს ჰყავდა თავისი მოადგილე (ვიცე-გრაფი) ანუ ვიკარიუსი.

გარდა ამისა ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით არსებობდნენ აგრეთვე ეგრეთწოდებული მარკები უმთავრესად საზღვრების მახლობლად მდებარე ადგილებში. მათ ხელმძღვანელებად დანიშნული იყვნენ მარკ-გრაფები, რომლებიც უფრო მეტი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი ვიდრე ჩვეულებრივი გრაფები. პირველთ უფრო მეტი დამოუკიდებლობა ენიჭებოდათ ცენტრიდან. მტრის თავდასხმის შემთხვევაში ისინი ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ წამოეწყოთ ბრძოლები და მარკის თავდაცვითი ღონისძიებანი ჩაეტარებინათ. კარლოს დიდის დროს იმპერიაში ექვსი ასეთი მარკა იყო დაარსებული: ესპანეთის მარკა, ბრეტანის მარკა, ფრიულის მარკა, პანონიის ანუ ბავარიის მარკა, დანიისა და სორაბის მარკა.

როგორც მარკ-გრაფი, ისე გრაფი გასამრჯელოში საგრაფოდან სახელმწიფო შემოსავლის ერთ მესამედს ღებულობდნენ და გარდა ამისა სამეფო ხელისუფლების სამსახურში ყოფნის დროს მათ მეფისგან მიწები ეძლეოდათ ბენეფიციუმების სახით, რისთვისაც ვასალური ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ იმპერატორის წინაშე. თვითეული საგრაფო თავის მხრივ ასეულებად იყო დაყოფილი. მათ ხელმძღვანელებად გრაფების მიერ ტუნინგები ინიშნებოდნენ. ეს

უკანასკნელნიც გასამრჯელოში ბენეფიციუმებს ღებულობდნენ ოღონდ შედარებით უფრო ნაკლები მიწის ფართობით.

გრაფები, გარდა იმისა, რომ მეფისაგან ბოძებულ ბენეფიციუმებს ფლობდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ გამდიდრებულიყვნენ საგრაფოს მოსახლეობის ხარჯზე, ისინი ეკონომიური და ადმინისტრაციული საშუალებებით აიძულებდნენ ცალკეულ პირებს საკუთარი მიწები მათთვის დაეთმოთ და თვითონ მათ ყმებად გადაქცეულიყვნენ. ამ საშუალებებით ეკონომიურად გაძლიერებული გრაფები ცდილობდნენ სამეფო ბენეფიციუმების სამემკვიდრეო მფლობელობად ანუ ფეოდად (ლენად) გადაექციათ. უფრო მეტიც მათ ჯერ კიდევ ადრე, კარლოს დიდის დროს მიაღწიეს თავიანთი თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევას და უკვე 877 წლის კერის კაპიტალურის მიხედვით, როგორც წესი, გრაფობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა.

ამრიგად, თვით საგრაფო, ბოლოს ფეოდალურ სამფლობელოდ გადაიქცა. საგრაფოების ფეოდალიზაცია სხვა მხრივაც გამომქღავნდა. საგრაფოებისა და ასეულების კრებებზე ახლა სკაბინების (შეფენების) ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. რომლებმაც შესცვალეს მეროვინგების დროის ეგრეთ წოდებული რახინბურგები. თუ ადრე რახინბურგები უმთავრესად მიწათმფლობელების წარმომადგენელნი იყვნენ და „არჩევის“ წესით მონაწილეობდნენ ამ კრებებზე, ახლა მათი ფუნქციები თანამდებობებად გადაიქცა. მეფის „წარგზავნილების“ მიერ ამ თანამდებობებზე სკაბინები ინიშნებოდნენ, რა თქმა უნდა, კვლავ შეძლებულთა ფენიდან. სკაბინობა ისე, როგორც გრაფობა, სამემკვიდრეო გახდა და მამიდან შვილზე გადადიოდა.

იმპერიაში სამოსამართლო და ადმინისტრაციული ხაზით მნიშვნელოვან როლს აგრეთვე ეპისკოპოსები ასრულებდნენ, რომელნიც პირადად მეფის მიერ იყვნენ დანიშნულნი. ეპისკოპოსების დანიშვნაში რომის პიპებს აღარ შეეძლოთ ჩარევა, ადგილობრივი მმართველობაზე კონტროლის გაწევის მიზნით მეფე გამოჰყოფდა თავის „წარგზავნილებს“, ანუ missi dominici. ჩვეულებისამებრ ერთად ორი კაცი იგზავნებოდა ადგილებზე მუშაობის შესამოწმებლად. ერთი მათგანი უთუოდ უმაღლეს სამღვდელოების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე—საერო ხასიათის მოხელე. მეფის „წარგზავნილები“ ერთ-ერთი საშუალება იყო ცენტრალურ ხელისუფლების პერიფერიებთან დაკავშირებისა და მეფის ბრძანებულებათა, ანუ კაპიტულარების ცხოვრებაში სწორად გატარების

შემოწმებისა. ჩვენამდე, კარლოს დიდის მიერ გაცემულ კაპიტულარებიდან 250-დე მოაღწია.

კაროლინგების ფრანკთა მონარქიის შემდგომი ფეოდალიზაცია. კარლოს მარტელისა და პიპინ მიკლეს მიერ მიწათმფლობელობაში ჩატარებულმა ღონისძიებებმა (საერო პირების მიწების კონფისკაცია, საეკლესიო მიწების დიდი ნაწილის ჩამორთმევა) ერთხანად მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა თითქოს ნაწილობრივად შეაჩერეს. მაგრამ, როგორც ენგელსი აღნიშნავს, ეკლესიამ მალე შესძლო მდგომარეობის გამოსწორება. შეწირულებებმა კვლავ დენა იწყეს ტაძრებში და მონასტრებში, წვრილი თავისუფალი გლეხები, ეროსა და გრდემლს შორის მოქცეულნი, კვლავ იმყოფებოდნენ ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორშიაც ისინი იყვნენ 200 წლის წინათ; კარლოს დიდისა და მისი მემკვიდრეების დროს მათი ცხოვრება უფრო გაუარესდა, და ბევრი მათგანი მთელი თავისი მეურნეობით ეპისკოპოსის კეერთხის მფარველობის ქვეშ გადადიოდა [1].

774 წელს ვეისენბურგის მონასტერს მსხვილმა მემამულემ რიგბალდმა ელზასისა და შპეიერის ოლქების 19 დასახლებულ პუნქტში შეწირა მიწის ნაკვეთები თავიანთი არათავისუფალი მოსახლეობით. მემამულე მონასტრისადმი გაცემულ სიგელში აღნიშნავდა, რომ ამ მოსახლეთა ბეგარა კვირაში სამი დღით განისაზღვრება და თუ საჭიროა, დასძენდა ის, ისინი დამატებით 40 ღამესაც იმუშავებენ მონასტრის სასარგებლოდო. 775 წელს ლორშის მონასტერს წვრილი ფეოდალების წარმომადგენელმა ქალმა Dietnanth-მა გადასცა 10 მორგენი მიწა ორ არა თავისუფალ პირთან ერთად, „რომელნიც კვირაში სამ დღეს თავიანთთვის მუშაობენ, ხოლო სამს — წმ. ნაზარის სასარგებლოდ". 779 წელს თვით კარლოს დიდმა ფულდის მონასტერს მაინცში სხვა ობიექტებთან ერთად 25 მანსი, 66 არა თავისუფალი პირი (mancipia), 16 ლიტი და ვენახები გადასცა. ფულდის მონასტერმა ამავე წელს, გარდა ზემოხსენებულისა, მაინცში მიიღო რამდენიმე კარ-მიდამო და მარკაში 200 მორგენი, ერთი ვენახი და 30 არა თავისუფალი პირი [2] და სხვ.

ბურჟუაზიული მკვლევარის როტის თქმით ჭეშმარიტად საეჭვოა ეს საშუალებანი, რომელთაც ეკლესია იყენებდა იმ მიზნით,

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. I, გვ. 398—399.

[2] А. И. Данилов, К критике доншпанской концепции раннесредневековой вотчины (Средние века, т. IX, გვ. 35).

რათა მოსახლეობა აეძულებინა შეწირულებათა გაღებაზე. თუ მოსახლეობაზე ციური ნეტარება და ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება აღარ ახდენდა შთაბეჭდილებას, მაშინ შორეულ ადგილებიდან წმინდანთა ნეშთებს ეზიდებოდნენ, ისინი ეროი ეკლესიიდან გადაჰქონდათ მეორეში (translationes) და ახალ ეკლესიებს აშენებდნენ; IX საუკუნეში ეს იყო წარმოების მთელი დარგი.

შემდეგ იგი მოგვითხრობს: როცა სუასონის მონასტრის სენ-მედარის წარმომადგენლებმა დიდის ვაი-ვაგლახით და თხოვნა-მუდარით შესძლეს რომში წმ. სებასტიანეს ნეშთის მიღება და ამასთან რომიდან წამოსვლისას თან გამოაყოლეს მოპარული წმ. გიორგის ნეშთის ნაწილები, ამ ამბავმა ხალხში უდიდესი გამოძახილი ჰპოვა. მონასტრის მიდამოებს ხალხი კალიასავით მოედო. დახმარების მიღების მაძიებლები „განიკურნებოდნენ" არა ცალკ-ცალკე, არამედ ჯგუფებად. ამის გამო ბერები შემოწირული თანხების დათვლას ვეღარ აუვიდნენ და იწყეს მათი გამოანგარიშება საწყაებით, რომელნიც მათ 85-მდე გააჩნდათ და მათმა ოქროს მარაგმა 900 გირვანქამდე მიაღწია.

შემოწირულებათა მეშვეობით, თუ რამდენად მოახდინა ეკლესიამ მიწების თავის ხელში კონცენტრაცია, ეს თვალსაჩინოდ ჩანს ენგელსის მიერ განხილული მაგალითებიდან. სენ-ჟერმენ დე პრეს მონასტერი, ამჟამად პარიზის ფარგლებში მოქცეული, IX საუკუნის დასაწყისში ჰფლობდა 8000 მანსს, ანუ ჰუფს. ეს უდრიდა დაახლოებით 429987 ჰექტარ მიწას. წლიური შემოსავალი ერთ მილიონ ფრანკს, ანუ 800000 მარკას უდრიდა, დაახლოებით ამავე ხანებში ტურში არსებული სენ-დენის, ლიუკსეილის და სენ-მარტენის მონასტრები ჰფლობდნენ 45000 მანსს, რაც დაახლოებით 810000 ჰექტარ მიწას შეადგენდა და რომელთა წლიური შემოსავალი, აგრეთვე თანხაზე გადატანით, მილიონ ნახევარ მარკას აღწევდა.

მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის და განვითარების შესახებ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მსხვილი მიწათმფლობელობა სულაც აღარ წააგავდა რომაულ ლატიფუნდიური მეურნეობას. პირველი მეორისაგან საფუძვლიანად განსხვავდებოდა ძირითად პრინციპებში. მის დასაყრდენს ფეოდალური კერძო საკუთრება წარმოადგენდა. მეფის ან რომელიმე მსხვილი მაგნატის მიერ გაცემული დიდი ბენეფიციუმები თავიანთი ვასალებისადმი, ამ უკანასკნელთა მიერ უფრო წვრილ ბენეფიციუმებად ნაწილდებოდა და ეძლეოდა უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ვასალებს. ამრიგად იქმნებოდა, ფეოდალური იერარქიული კიბუ-

რი, რომლის სათავეში მეფე იდგა. მეფის უშუალო ვასალებად მსსვილი მაგნატები: გრაფები, ეპისკოპოსები და სხვ. ითვლებოდნენ, ამ უკანასკნელთა ვასალები, ბარონები იყვნენ, ხოლო მათ ვასალებად ითვლებოდნენ უფრო წვრილი ფეოდალები — რაინდები. ამგვარად, ერთი და იგივე პიროვნება, ერთსა და იმავე დროს ვასალიც იყო და სენიორიც.

ვასალსა და სენიორს შორის მიწის ფეოდალურ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ურთიერთობა ერთი შეხედვით თავისუფალ და ორმხრივ ნებაყოფლობით შეთანხმებაზე იყო დამყარებული. ორივე მხარე გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა ერთი მეორის მიმართ. ვასალი კომენდაციაში შედიოდა, მიენდობოდა თავის სენიორს, ეფიცებოდა მას ერთგულებაში და აძლევდა პირობას, რომ გაჰყვებოდა ყოველგვარ ბრძოლებში. სენიორი ღებულობდა მისგან ერთგულების ფიცს და თავის მხრივ პირდებოდა მისთვის მზრუნველობის გაწევას. თუ სენიორი თავის პირობას დაარღვევდა, შეეცდებოდა თავის ვასალის მოკვლას, ან მისი ცოლისა და ქალიშვილის გაუპატიურებას, ან ჩამოართმევდა მას სამემკვიდრეო ქონებას და სხვ. ვასალს ჰქონდა უფლება თავი მიენებებინა თავისი სენიორისათვის და სხვის მფარველობაში გადასულიყო.

ასეთ შემთხვევაში სხვის მფარველობაში გადასული ვასალი თავისი ბენეფიციუმით ერთად ახალ სენიორზე იყო დამოკიდებული. უფრო გვიან ხანებში, როცა ბენეფიციუმი ფეოდად გადაიქცა, წესად იქნა შემოღებული ის, რომ რომელიმე სენიორისაგან წასული ვასალი თავისი ფეოდით ერთად თავისი ყოფილი სენიორის სენიორზე, ანუ სიუზერენზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი სენიორის ღალატისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XIII საუკუნის დასაწყისში. 1200 წელს ინგლისის მეფემ იოანე „უმიწაწყლომ“ თავის ვასალს გრაფს დე ლა-მარშს საპატარძლო მოსტაცა და მასზე იქორწინა. ამ „ერთგულების“ დარღვევამ „აკვიტანიის საჰერცოგოს ვასალები ააჯანყა, რის შედეგადაც მათ თავიანთი ვასალური დამოკიდებულება მეფე ფილიპე-ავგუსტუსზე (საფრანგეთის მეფე) გადაიტანეს, რადგან ის თავის მხრივ იოანეს სიუზერენად ითვლებოდა იმ მიწებზე, რომელნიც იოანეს მიღებული ჰქონდა საფრანგეთში. იმავე ინგლისის მეფის მიერ თავისი ვასალისადმი ბრეტანის გრაფის არტურისადმი მიყენებულმა შეურაცხყოფამ, ფილიპე — ავგუსტუსს მისცა საბაბი საქმეში ჩარეულიყო და თვითონ ჩაეგდო ხელში ანეუის ლენები[1]. ამ-

[1] Щепкин, Е. Феод и сеньерия (Книга для чтения по истории средних веков, под редак. П. Г. Виноградова, выпуск второй, 1918 г., стр. 63.

რიგად, ბენეფიციუმის, ან ლენის კონფისკაცია ხდებოდა არა მარტო ვასალის მიერ პირობების დარღვევის შემთხვევაში, არამედ სენიორის ღალატის დროსაც, თუმცა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ეს გარემოება უფრო ხშირად დამოკიდებული იყო არა-არსებულ წესებზე, არამედ უხეშ ძალაზე.

სენიორისა და ვასალის ასეთი ურთიერთობა, ანუ ვასალიტეტი თავდაპირველად არ იყო რაიმე წერილობითი დოკუმენტით, ან სათანადო კანონებით ფიქსირებული. უფრო მეტიც, იგი კერძო აქტს წარმოადგენდა და ცალკეული პიროვნების სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგში, როცა კაროლინგების დროს სამხედრო ვასალიტეტი ფრანკთა საზოგადოებრიობის ძირითად ორგანიზაციად გადაიქცა, ვასალსენიორალური დამოკიდებულებაც ღებულობს აუცილებლობის ხასიათს. უკვე კარლოს დიდის შვილიშვილმა კარლოს „მელოტმა“ 847 წლის ბრძანებულებაში მოითხოვა: „რათა ჩვენს სამეფოში ყველა თავისუფალმა კაცმა თავისთვის სენიორი გაიჩინოს, ვისაც ის მოისურვებს, იქნება ეს ჩვენი სახით, თუ ჩვენი ვასალების სახით“.

ვასალიტეტის არსებობა, პირველ ხანებში, მნიშვნელოვნად უადვილებდა სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის მმართვა-გამგებლობის საქმეს, რადგან სენიორი პასუხისმგებელი იყო თავისი ვასალების მოქმედებაში და, რაც მთავარია, შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციას ახდენდა. ვასალები უშუალოდ თავიანთ სენიორებს ემორჩილებოდნენ და სხვას არა ჰქონდა უფლება სენიორის გარეშე მისი ვასალები თვითონ მოემსახურებინა. აქედან შეიქმნა ფეოდალური დევიზი — „ჩემი ვასალის ვასალი, არაა ჩემი ვასალი“.

ვასალიტეტის ეკონომიური საფუძველი ფეოდალური კერძო საკუთრების შემდგომი განვითარების შედეგად წარმოიქმნებოდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბენეფიციუმი ფეოდის, ანუ ლენის ჩანასახს წარმოადგენდა. ფეოდი იმით განსხვავდებოდა ბენეფიციუმისაგან, რომ პირველი სამემკვიდრეო მფლობელობას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ბენეფიციუმების პატრონებმა ბრძოლა აწარმოეს ბენეფიციუმის ფეოდად გადაქცევისათვის. კარლოს დიდის გამეფებამდე, თუ ეს პროცესი ახლად იყო დაწყებული, უკვე XI საუკუნეში სიტყვა ბენეფიციუმი აღარ გვხვდება. იგი მთლიანად „ფეოდმა“ შესცვალა. ამ სახელწოდებიდან წარმოსდგა თვით ფეოდალიზმის მცნებაც. მაგრამ ფეოდის საბოლოო გაბატონება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს მოხდა: საფრანგეთში 9 — 10 ს. ს., გერმანიაში 11 — 12 საუკ. და ა. შ.

იმ მიწებს შორის, რომელნიც ფეოდების სახით სენიორის მიერ სამხედრო და სხვ. მომსახურეობისათვის გაიცემოდნენ, ორგვარი სახეობა შეინიშნეოდა: ჩვეულებრივი ფეოდი და სენიორია. სენიორია ისეთ ფეოდს ეწოდებოდა, რომლის მიღებაც გარდა სამხედრო მოვალეობისა დაკავშირებული იყო აგრეთვე ადმინისტრატიულ, სახელმწიფოებრივ, ან პოლიტიკურ საქმიანობასთან. ასეთი ფეოდის პატრონი მეფის რომელიმე დიდი მოხელის ვალდებულებასაც ასრულებდა.

სხვადასხვა დამსახურებისათვის გავლენიან ფეოდალებს მეფისაგან ეგრეთწოდებული იმუნიტეტი, ანუ შეუვალობა ენიჭებოდათ. ფეოდალის მამულში, რომელსაც იმუნიტეტი ჰქონდა მინიჭებული, მეფის მოხელეების შესვლა და მათ მიერ იქ რაიმე საქმეების წარმოება იმუნისტის დაუკითხავად აკრძალული იყო. სენიორ მემამულეს თავისი საკუთარი სასამართლო ჰქონდა. მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა, სამხედრო მოვალეობის მოხდა და სხვ., ფეოდალის უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა. ამგვარად, იმუნიტეტის მქონე მსხვილი მიწათმფლობელის კერძოობითი უფლება ღებულობს სახელმწიფოებრივ ხასიათის, ხოლო მისი მამული იქცევა შემოფარგლულ პატარა სამეფოდ, რაც შემდეგში ფეოდალური საზოგადოების ძირითად უჯრედად გადაიქცა.

როგორც სენ-ერმენის, რეიმსის და სხვა პოლიპტიკებიდან (მამულების აღწერილობანი) ჩანს, ფეოდალის მამული კაროლინგების დროს ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: საბატონო კარმიდამოსა და საბატონო მიწისაგან ერთი მხრით და მეორე მხრით სოფლისაგან, რომელზედაც ყმების ნადელები იმყოფებოდა.

მამულის საბატონო ნაწილი შედგებოდა მემამულის სახლისაგან და სამეურნეო შენობებისაგან, რომელთა შორის სახელოსნოებიც იყო. აქ მუშაობდნენ მამაკაცები და ქალები მემამულისა და მისი ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მამულის ამ ნაწილში გაშენებული იყო წისქვილები და გარდა ამისა მემამულის საკუთარი, ანუ კარის ეკლესია. ცალკე იყო აგებული შენობები ცხოველებისა და ფრინველებისათვის. მემამულის კარ-მიდამოს ჰქონდა ბაღი, ბოსტანი და ვენახები, სადაც ვაზი ხარობდა. საბატონო მეურნეობა სხვადასხვა მიწის ნაკვეთებზე იყო განლაგებული. ეს მიწის ნაკვეთები გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. მიწადაქსაქსულობის ასეთ პირობებში თესლბრუნვა იძულებით ხასიათს ღებულობდა. საბატონო მიწის ნაკვეთები მუშავდებოდა ბეგარის წესით და ყმების საწარმოო საშუალებებით.

როგორც აღვნიშნეთ მამულის მეორე ნაწილი საბატონო სოფლისაგან შედგებოდა. გლეხების მიწები ნადელებად იყო დაყოფილი. ამ ნადელს საფრანგეთში მანზა, ხოლო გერმანიაში ჰუფი ეწოდებოდა. გლეხური მიწების, ანუ ნადელების ფართობი სხვადასხვა იყო დაწყებული პატარა სახნავი მიწის ნაკვეთით, ან ვენახით და დამთავრებული მიწის 15 ჰექტარის ფართობით. ასეთ დიდ ნადელებზე უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე გლეხური ოჯახი იყო დასახლებული, რაც მოწმობს იმას, რომ ერთ დროს არსებული დიდი ოჯახი, შემდეგში რამდენიმე ნაწილად გაიყო.

გლეხური მანზების მიწის ნაკვეთები ასევე გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას, ამიტომ თემის — მარკის მიერ წინასწარ გადაწყვეტილი იყო ის, თუ ვის, რომელ ნაკვეთზე რა უნდა დაეთესნა. დადგენილი იყო ისიც, თუ რა დროს და რა ადგილებზე უნდა მომხდარიყო ჭირნახულის აღება. თემის გადაწყვეტილებებს ამ საკითხში ყველა უნდა დამორჩილებოდა მემამულის ჩათვლით. გლეხები საერთოდ სარგებლობდნენ აგრეთვე ალმენდის (თემის) განუყოფელი საძოვრებითა და ტყის ნაკვეთებით. ამრიგად, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად თემი — მარკა თავისი იძულებითი თესლბრუნვითა და ადგილმამულებით კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ახლა ის დამოკიდებულ გლეხების ერთგვარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც უფრო მემამულის დამხმარე ხასიათის მატარებელი იყო. თემი სახალხო კრებებზე იხილავდა არა მარტო სამეურნეო საკითხებს, არამედ ღალის აკრეფისა და ბეგარის შესრულების საკითხებსაც.

გლეხთა მდგომარეობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა. ყველა, მანზების მფლობელნი, დაწყებული სერვებიდან და გათავებული კოლონებით, ვალდებულნი იყვნენ ღალა გაეღოთ ფეოდალის სასარგებლოდ და შეესრულებინათ გარკვეული ბეგარა. ბეგარა მთელ რიგ შემთხვევაში კვირაში სამი დღით განისაზღვრებოდა. ზოგჯერ ბეგარა განუსაზღვრელი იყო. ფრანკთა მონარქიის ზოგიერთ ოლქში გლეხებს თავიანთ მეურნეობაში სამუშაოდ რჩებოდათ მხოლოდ კვირა დღე და მთვარიანი ღამეები. გლეხები ვალდებულნი იყვნენ ბატონისათვის შეშა მიეზიდნათ, მისთვის ხორბალი დაეფქვათ წისქვილში, თევზი დაეჭირნათ, სოკოები მოეკრიფნათ და რაც მთავარია, დომენში მოეხნათ და დაეთესნათ ყანები, მოემკათ ყანა და მოეთიბნათ თივა, გაეტანათ სასუქი ყანებში და სხვ.

გლეხობის უმძიმეს ხვედრს წარმოადგენდა ღალა, რომელიც მემამულის სასარგებლოდ გაიღებოდა უმთავრესად ნატურის სახით. სენ-გალენის კარტულარიებში, რომელნიც მერვე საუკუნის მეორე ნახევარის 66 სიგელს მოიცავს ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის ნატურალური ღალა უნდა გაეღო გლეხობას მონასტრის სასარგებლოდ. აქედან ვტყობილობთ, რომ გლეხებს უნდა მიეცათ: გოშები, ლუდი, ხორბალი, ასლი, შვრია, გამომცხვარი პური, ღვინო, სანთელი, სხვადასხვა ფრინველი (განსაკუთრებით ქათმები), ცხვრები, სხვა ოთხფეხა ცხოველი, ტანსაცმელი, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაზედაც ბატონის ოჯახი, მისი მოსამსახურენი, მისი სტუმრები და სხვ. აყენებდნენ მოთხოვნილებას. მართალია, გლეხს ფულადი ღალაც უნდა გაეღო, მაგრამ იგი უმნიშვნელო იყო (2 — 4 დენარამდე).

ზემო აღნიშნული აშკარად მოწმობს იმას, რომ ფეოდალური მამული ნატურალური, კარჩაკეტილი და თვითკმარი იყო. ნატურალურ მეურნეობის პირობებში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შრომის დანაწილება, ჯერ კიდევ ხელოსნობა არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობისაგან, არ არსებობდა მნიშვნელოვანი ბაზარი და თვითეული მეურნეობა კმაყოფილდებოდა რა თავის შიგნით დამზადებული ნაწარმოებით, სხვა მეურნეობებთან არ ამყარებდა ეკონომიურ კავშირს და მოწყვეტილი იყო გარეშე სამყაროსაგან. მართალია, „კაპიტულარი დე ვილის“-ში 32-ე მუხლით უკეთესი ხარისხის სათესლე მასალის შეძენა იყო გათვალისწინებული, მაგრამ ეს დაშვებული იყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და სულაც არ ნიშნავდა ფართო აღებ-მიცემის არსებობას.

ფრანკთა მონარქიაში, როგორც აღვნიშნეთ, უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა. ეს გარემოება იწვევდა კლასობრივი ბრძოლების უფრო მეტად გამწვავებას. უშუალო მწარმოებელთა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა მათი დასახლებულ ადგილებიდან გაქცევაში გამოიხატებოდა. კაროლინგების კაპიტულარები საესეა ცნობებით იმის შესახებ, რომ გლეხები გარბიან დასახლებულ ადგილებიდან და რომ ისინი ხეტიალობენ სხვადასხვა კუთხეში. კარლოს დიდის ერთ-ერთ კაპიტულარში (მანტუანის მეორე კაპიტულარი), რომელიც 787 წლითაა დათარიღებული, ნათქვამია: „ვერ გაუძლეს რა ჩაგვრას, ბევრნი გაექცნენ თავიანთ ბატონსა და პატრონს და მათი მიწები გაუკაცრიელდა“. უამრავი ბრძანებულებანი იცემოდა როგორც კარლოს დიდის, ისე მისი მომდევნო მეფეებისა გაქცეულთა უკან დაბრუნებისა და მათი სასტიკად დასჯის შესახებ.

ბაგრამ ფეოდალურ სახელმწიფოსათვის უფრო მეტ საშიშროებას შეიცავდა კლასობრივი ბრძოლის ის ფორმა, რომელიც გლეხთა შეთქმულებებს, მათ ფარულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას და მათ შეიარაღებულ გამოსვლებს გულისხმობდა. თუმცა წყაროები ასეთი ცნობებით შედარებით უფრო ნაკლებია, მაგრამ ამ ბრძოლებს ხშირად ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება კარლოს დიდმა ჩაახშო სოფელ სელტში, რომელიც რეიმსის ეკლესიას მიეკუთვნებოდა. ასეთივე აჯანყებანი მაინცის საეპისკოპოსოში ორჯერ იქნა ჩახშობილი. პირველად 848 წელს, ხოლო მეორედ 866 წელს. ლუდოვიკო „ღვთისმოსავი" თავისი 821 წლის კაპიტულარში იტყობინებოდა, რომ უკანონო შეთქმულებები და კავშირები ეწყობა ფლანდრიაში და მენაპიკეში.

ყველაზე უფრო მწვავე ხასიათის მატარებელი იყო გლეხთა აჯანყება საქსონიაში. 841 — 842 წლებში, როცა ურთიერთ ბრძოლა წარმოებდა ლუდოვიკო „ღვთისმოსავის" შვილებს შორის, საქსონიაში დაიწყო დამოკიდებულ გლეხთა ფართო აჯანყება. ეს აჯანყება მიმართული იყო ადგილობრივ მემამულეთა წინააღმდეგ, რომელთაც ფრანკების ადმინისტრაცია ეხმარებოდა გლეხთა დაყმევებისა და საბოლოო დამორჩილების საქმეში. აჯანყებულმა გლეხებმა მიიღეს „სტელინგის" (ძველი გერმანული სიტყვა, რომელიც საიდუმლო კავშირს ნიშნავდა) სახელწოდება, განდევნეს თავიანთი ბატონები და „იწყეს ძველებურად ცხოვრება". ეს აჯანყება შემდეგში როგორც იქნა ლუდოვიკო გერმანელმა ჩაახშო და ბოლოს, გლეხთა კლასობრივი ბრძოლები იმაშიაც გამოვლინდა, რომ როცა ფრანკთა მონარქიაში დაიწყო ნორმანების მასობრივი შემოსევები, გაჩანაგების გზაზე დამდგარი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნორმანების მხარეზე გადადიოდა.

კარლოს დიდის იმპერიის შინაგანი შესუსტება და მისი დაშლა. ფრანკთა მონარქიაში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება ასუსტებდა ფეოდალურ სახელმწიფოს პოლიტიკურ ძლიერებას. ამ სახელმწიფოს არა ნაკლები საშიშროება მოელოდა იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ კარლოს დიდის სიცოცხლეში განდიდებული ფეოდალები ცდილობდნენ თვითონ გადაქცეულიყვნენ მეფეებად. იმუნიტეტის მქონე პირები თანდათანობით წყვეტდნენ ყოველგვარ დამაკავშირებელ ძაფებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. 811 წელს კარლოს დიდს მისი თანამშრომლები უკვე ატყობინებდნენ: „შენი წარგზავნილნი ვეღარ ხედებიან მორჩილებას, შენი ბრძანებულებანი საგრაფოებში აღარ ხორციელდებიან". მაგრამ კარლოს დი-

დის იმპერიის უძლურება ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ მას ერთი მთლიანი ეკონომიური ბაზა არ გააჩნდა და რომ მასში ხელოვნურად გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ტომები და სხვადასხვა ხალხები.

„მე აქ მხედველობაში მაქვს, ამბობს ი. სტალინი, არა მონობისა და შუა საუკუნეების პერიოდების იმპერიები, ვთქვათ, კიროსისა და ალექსანდრე დიდის იმპერია, ან კეისრისა და კარლოს დიდის იმპერია, რომელთაც არა ჰქონიათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და წარმოადგენდნენ დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს. ამ იმპერიებს არათუ არა ჰქონიათ, არამედ არც შეიძლებოდა ჰქონოდათ იმპერიისათვის ერთიანი და იმპერიის ყველა წევრისათვის გასაგები ენა. ისინი წარმოადგენდნენ ტომებისა და ხალხების კონგლომერატს, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ თავიანთი ენები. მაშასადამე, მე ‘ხედველობაში მაქვს არა ეს და მათი მსგავსი იმპერიები, არამედ ის ტომები და ხალხები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ჰქონდათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და ჰქონდათ თავიანთი დიდი ხნიდან ჩამოყალიბებული ენები“ [1].

ჯერ კიდევ კარლოს დიდის გამეფებამდე ფრანკთა სახელმწიფო მრავალი ტომებისაგან შედგებოდა. 768 წელს ამ სახელმწიფოში ფრანკების გარდა გაერთიანებულნი იყვნენ გალო-რომაული ხალხი და რიგი გერმანელი ტომებისა: ფრიზები, ტიურინგები, ალემანები, ბურგუნდები და ნაწილობრივ ბავარები და ვესტგუთები. კარლოს დიდმა თავისი დაპყრობებით სახელმწიფოს ეთნიკური შემადგენლობა უფრო მეტად გაზარდა. მან დაიმორჩილა საქსები და ფრანკთა მონარქიას შემოუერთა: ჩრდილოეთ და შუა იტალიის ხალხები, ლანგობარდები და ოსტგუთების ნაწილი, სამხრეთ გალიის ბასკები, აღმოსავლეთ-ბრეტონის ბრიტები და სხვ.

როგორც ზემოთ გაეხილულ ციტატიდან დავინახეთ თითქმის ყველა მათგანს თავისი საკუთარი ეკონომიური ბაზა გააჩნდა, დიდი ხნის მანძილზე ისინი ცხოვრობდნენ თავიანთი ზნე-ჩვეულებებითა და ჰქონდათ საკუთარი ენა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა საერთო ენის მათთან გამონახვას და მათში განსხვავებათა წაშლას, ეს ცდა ეფექტიურ შედეგს არ იღებდა და საბოლოო ანგარიშში მარცხით თავდებოდა. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ის გარემოება, რომ კარლოს დიდის დროს კვლავ

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 10.

ძალაში რჩებოდა სხვადასხვა ტომის ეგრეთ წოდებული ბარბაროსთა სამართალი. რა კი ფრანკთა სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი იმყოფებოდა, ამიტომ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში კარლოს დიდმა ლათინური ენა დააწესა. როგორც აღვნიშნეთ, მოხელეთა სახელწოდება ლათინური იყო. მიმოწერა ხდებოდა აგრეთვე ლათინურ ენაზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დიდი უმრავლესობისათვის ეს ენა მაინც გაუგებარი რჩებოდა. ეს გარემოება აშკარად გამომჟღავნდა „სტრასბურგის ფიცის" დადების დროს (842 წ). ეს ფიცი, როგორც ცნობილია ორ ენაზე დაიწერა: „რომანულსა" (რომლიდანაც შემდეგ ფრანგული ენა ჩამოყალიბდა) და გერმანულზე.

სეპარატიული ძალები კარლოს დიდის გარდაცვალების (814 წ.) შემდეგ ფრანკთა მონარქიაში უფრო მეტად გაიზარდა. კარლოსის შემდეგ სამეფო ტახტზე მისი შვილი ლუდოვიკო „ღვთისმოსავი" ავიდა (814 — 840). ასეთი სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ იგი ეკლესიას დიდ პრივილეგიებს უქონიდა, უფრო მეტიც, იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ლუდოვიკო ხშირად უმაღლესი სამღვდელოების მითითებით მოქმედებდა. მის დროს მოხდა დანიაში ქრისტიანობის გავრცელება და ამავე მიზნით ფრანკების გალაშქრება მოეწყო რამდენიმეჯერ სლავების წინააღმდეგ მდინარე ელბის მიდამოებში.

ლუდოვიკოს მმართველობაში, ეკლესიაზე დაყრდნობით ერთხანს შესაძლებელი გახდა ცენტრალიზაციის ნაწილობრივი გაძლიერება, მაგრამ ქვეყნის შემდგომ ფეოდალიზაციასთან დაკავშირებით ადგილობრივი სენიორების ძალაუფლება იზრდებოდა, რაც გარდაუვლად ხდიდა სამეფოს დაშლას. ჯერ კიდევ თავის მეფობის დროს ლუდოვიკო იძულებული იყო სამეფო 817 წელს თავის შვილებს შორის დაეყო. მის შვილს პიპინს შუა და სამხრეთ გალიის აკვიტანური ნიწები ხვდა წილად; ლუდოვიკოს, რომელსაც შემდეგში გერმანელი ეწოდა, მიეცა ბავარია და მისი მომიჯნავე მარკები; ხოლო უფროსი შვილი ლოტარი მამის თანამართველად გამოცხადდა. ამგვარად ორივე ძმა მმართველობაში მას უნდა დამორჩილებოდნენ.

ზემოთქმულის მიხედვით გამოდის, რომ მიუხედავად სამეფოს ძმათა შორის დანაწილებისა იმპერიას მაინც უნდა შეენარჩუნებინა თავისი მთლიანობა, მაგრამ სინამდვილეში მან სულ სხვა შედეგი გაძოიღო. ამ გარემოებამ სეპარატისტული ძალები გააააქტიურა. 833 წელს ამას მოჰყვა სამეფოს ხელახალი გადანაწილება. დაიწყო

ძმათა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები. ლოტარის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ბრძოლა წამოიწყეს მისმა ძმებმა ლუდოვიკო გერმანელმა და კარლოს „მელოტმა". ბრძოლა გაიმართა ქ. ფონტენუასთან 841 წელს. ლოტარი ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ შემდეგში იგი იკრეფდა ძალას სამაგიეროს გადახდისათვის. 842 წელს სტრასბურგის მახლობლად მოხდა შეთანხმება ლუდოვიკოსა და კარლოს შორის ლოტარის წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ახალი ბრძოლის წამოწყების თაობაზე. ეს კავშირი მათ ურთიერთისადმი მიცემულ „სტრასბურგის ფიცით" განამტკიცეს. ამ კავშირმა ლოტარი აიძულა დათმობაზე წასულიყო და დათანხმდა ძმებს სამეფოს ხელახლად გადანაწილებაზე.

ხელახალი გადანაწილება კარლოს დიდის შვილიშვილებს შორის მოხდა თანახმად ვერდენში 843 წელს დადებული ხელშეკრულებისა. ამ ხელშეკრულებით კარლოს დიდის იმპერია ხელახლად სამ ნაწილად გაიყო. უფროს ძმას ლოტარს იმპერატორის ტიტული ღა დარჩა. ამასთან მას ძმებზე აღარ ენიჭებოდა რაიმე გავლენა, ძმები ცხადდებოდნენ დამოუკიდებელ მეფეებად. ლოტარს წილად ხვდა იტალია და რაინსსა, მაასსა და შელდას შორის მდებარე მიწები ბურგუნდიის ჩათვლით. რაინისაგან აღმოსავლეთით მდებარე მიწები შეხვდა ლუდოვიკო გერმანელს, ხოლო ლოტარის სამფლობელოს დასავლეთით მდებარე მიწები — კარლოს მელოტს.

ამრიგად, ფრანკთა მონარქია დაიყო ისეთ ნაწილებად, რომელნიც ასე თუ ისე, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ისე ეკონომიური განვითარების დონით ერთფეროვანი აღმოჩნდნენ. ამით საფუძველი ჩაეყარა შემდგომში სრულად სხვადასხვა სამი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნას. ესენი იყვნენ: საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I

ძირითადი ლიტერატურული წყაროების მოკლე მიმოხილვა . 3—14
გაიუს იულიუს ცეზარი (კეისარი). სტრაბონი. გაიუს ველეუს პატერკულუსი. გაიუს პლინიუს უფროსი, ტაციტუსი. პლუტარკე. ლუციუს ანეუს ფლორუსი. აპიანე. დიონ კასიუსი. ამიანე მარცელინე. „ბარბაროსთა სამართლები"

თ ა ვ ი II

„გერმანისტული" და „რომანისტული" სკოლების შეხედულებანი ფეოდალიზმის გენეზისის საკითხზე და მათი კრიტიკა 17—26
რომანტიზმი. ფიუსტელ დე კულანჟი. „გერმანისტების სკოლა". გეორგ მაურერი. მარქსისტული შეხედულება ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში.

თ ა ვ ი III

მონათმფლობელური ხაზოგადოების რღვევა და ფეოდალური ელემენტების ჩასახვა მის წიაღში . . 27—46
ლატიფუნდიალური მეურნეობა. ლატიფუნდიალურ მეურნეობიდან კოლონატზე გადასვლა. ეკონომიური კრიზისი. პოლიტიკური კრიზისი. ქრისტიანული მოძრაობა რომის იმპერიაში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. გაბატონება ქრისტიანულ ეკლესიებში.

თ ა ვ ი IV

აგონისტიკების მოძრაობა აფრიკაში . . . 47—53
აფრიკის პროვინციის სოციალურ-ეკონომიური ვითარება. დონატისტები. აგონისტიკოსები. მოძრაობის ჩახშობა.

თ ა ვ ი V

ბაგაუდების აჯანყებანი გალიაში . . . . 54—63
გალიის სოციალურ-ეკონომიური ვითარება. ბაგაუდების მოძრაობის დასაწყისი. ბაგაუდების აჯანყება. ბაგაუდების ახალი გამოსვლები. გალია V საუკუნეში.

თ ა ვ ი VI

დასავლეთ ევროპის ეთნიკური ვითარება ძველი გერმანელი ტომების შემოსევამდე . . . . . 65—69

დასავლეთ-ევროპა „ბარბაროსთა დიდ გადასახლებამდე". ბრიტანეთის კელტური მოსახლეობა. კულტური კულტურის აღორძინება.

თ ა ვ ი VII

პირველყოფილი—თემური წყობილების განვითარების საფეხურები ხაერთოდ . . . . . 70—73

პირველყოფილი—თემური წყობილების განვითარების სქემა ენგელსის მიხედვით. პირველყოფილ—თემური წყობილების განვითარების განსაზღვრა ახალი მეცნიერული მონაცემების მიხედვით.

თ ა ვ ი VIII

ძველი გერმანელი ტომები დასავლეთ-ევროპაში (მეორე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩ. წ. ათრიცხვით) . . 74—83

გერმანელი ტომების წარმოშობის საკითხისათვის. ძველი გერმანელი ტომების განლაგება. გერმანელი ტომების ნაშვიდობიანი ურთიერთობა რომთან. გერმანული ელემენტების შეჭრა მონათმფლობელურ საზოგადოებაში და მ თი გამარევოლუციონერებელი როლი.

თ ა ვ ი IX

კიმვრება და ტევტონები . . . . . 84—89

ზოგიერთ შეხედულებათა კრიტიკა გერმანელების განვითარების დონის საკითხში. კიმვრებისა და ტევტონების ყოფა-ცხოვრება.

თ ა ვ ი X

ცეზარის დროინდელი ძველი გერმანელი ტომების ყოფა-ცხოვრება 90—95

გერმანელი ტომების ეკონომიური ვითარება. მატრიარქატის ნაშთები გერმანელების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

თ ა ვ ი XI

ძველი გერმანელი ტომები ტაციტუსის ცნობებისა და შემდეგდროინდელი ისტორიული წყაროების მიხედვით . . . 96—101

ცვლილება სისხლითი ნათესაობის პრინციპში. მეუღლეობის შემდგომი განვითარება და სოციალური ცვლილებები. ცვლილებები საზოგადოების მართვა-გამგებლობის სფეროში. კერძო საკუთრების წარმოშობა და მისი უანგლოესი შედეგები.

თ ა ვ ი XII

ვესტგუთების სამეფო . . . . . 102—127

გუთების მოძრაობა სამხრეთისაკენ. გუთების სოციალურ-ეკონომიური ვითარება შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე. ვესტგუ-

თები მეზიაში. მათი პირველი აჯანყება რომის წინააღმდეგ. აჯანყების მიზეზები და შედეგები. ვესტგუთები ილირიაში. მათი მეორე აჯანყება, ალარიხის ლაშქრობა იტალიაში. ვესტგუთთა ტულუზის სამეფო. ვესტგუთების შემდეგი დაპყრობანი. ვესტგუთების დამოკიდებულება რომელ ბუნვილ მიწათმფლობელებთან. ვესტგუთებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები. ახალი კლასების ფორმირება ვესტგუთების სამეფოში და ქვეყნის ფეოდალიზაციის დასაწყისი. სისხლითი ნათესაობის პრინციპის მთლიანად უარყოფა და სხვადასხვა წარმოშობის მქონე კლასების შერწყმა. ვესტგუთების სამეფოს პოლიტიკური არსი და მისი დაცემა.

თ ა ვ ი XIII

ვანდალებისა და ალანების სამეფო ჩრდილო-აფრიკაში . . . 128—133

ალანები და ვანდალები ესპანეთში. ვანდალებისა და ალანების გადასვლა ჩრდილო-აფრიკაში და იქ თავიანთი სამეფოს დაარსება. ვანდალებისა და ალანების დამოკიდებულება ადგილობრივ გაბატონებულ კლასთან. ვანდალებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები და მათი სამეფო დაცემა.

თ ა ვ ი XIV

ბურგუნდების სამეფო . . . . 134—138

ბურგუნდების წარმოშობა სამხრეთ-გალიაში და სამეფოს დაარსება. დამპყრობლების დამოკიდებულება დაპყრობილებთან. ბურგუნდებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი. წინააღმდეგობათა ზრდა ბურგუნდების სამეფოში და მისი დაცემა.

თ ა ვ ი XV

ოსტგუთების სამეფო . 139—158

დასავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური ვითარება მეზუთე საუკუნის მეორე ნახევარში. ოსტგუთები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ოსტგუთების ლაშქრობა იტალიაში. ოსტგუთების სახოგადოებრიობა იტალიაში მისვლამდე. ოსტგუთებში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები და თეოდორიხის პროგრამული პოლიტიკა. ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გაგება. ოპოზიციელ არისტოკრატიასთან დაახლოების ცდები. წინააღმდეგობათა გაძლიერება. კლასობრივი ბრძოლების გაძლიერება ოსტგუთების სამეფოში. ამალასუნტას მმართველობა. ოსტგუთებსა და ბიზანტიელებს შორის წამოწყებული ბრძოლების პირველი პერიოდი. ბრძოლების მომდგომი ეტაპი და ტოტილას მიერ ჩატარებული ღონისძიებანი. ბრძოლების უკანასკნელი ეტაპი. ოსტგუთების სამეფოს დაცემა.

თ ა ვ ი XVI

ლანგობარდები იტალიაში . . . . 159—170

ლანგობარდების დამკვიდრება იტალიაში. ლანგობარდების ეკონომიური განვითარების პირველადელი ფონე და მათი დაპყრობების ხასიათი.

ლანგობარდების სამეფოს სოციალური მხარე ფეოდალიზაციის დასაწყისი. ლანგობარდების სამეფოს პოლიტიკური ვითარება VIII საუკუნის მეორე ნახევარში.

თ ა ვ ი XVII

ანგლო-საქსები ბრიტანეთში 171—194

ანგლო საქსების დაპყრობათა თავისებურებანი. ანგლო-საქსების საზოგადოებრივი წყობილება ადრინდელ ხანაში. ანგლო-საქსთა სამეფოები. ჰეპტარქია. დამპყრობელთა შორის მოსახლეობა ეკონომიური და სოციალური ცვლილებები. სამეფო ხელისუფლების როლი საზოგადოების ზედაფენების ბატონობის განმტკიცების საქმეში. კათოლიკური ეკლესია და მისი როლი ქვეყნის ფეოდალიზაციის საქმეში. ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაცია.

თ ა ვ ი XVIII

მეროვინგების ფრანკთა მონარქია . . . . . 195—224

ფრანკთა ტომები სახელმწიფოს დაარსებამდე. ხლოდვიგის მიერ გალიაში წარმოებული დაპყრობანი და ფრანკთა სამეფოს დაარსება. თემი. გვაროვნული წყობილება. მიწახე კერძო საკუთრების წარმოშობა და ფრანკთა საზოგადოებრიობის სოციალური დიფერენციაცია. სახელმწიფოებრივი წყობილება და სამეფო ხელისუფლება. მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნის გზები. ფრანკთა სახელმწიფოს დაქუცმაცება ხლოდვიგის შემდეგ და ბრძოლა ცალკე საუფლისწულოებს ზორის. მსხვილი მიწათმფლობელი მაგნატების უფრო მეტად გაძლიერება და მაიორდომების ლტოლვა სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

თ ა ვ ი XIX

კაროლინგების ფრანკთა მონარქია . . . . . 225—257

კარლოს მარტელი (ურო) და მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა. პიპინ მოკლეს გამეფება და კაროლინგების დინასტიის დასაწყისი. ფრანკთა მონარქიის პოლიტიკური ვითარება 768—814 წლებში. კარლოს დიდის იმპერიის ფეოდალური ხასიათი. კაროლინგების ფრანკთა მონარქიის შემდგომი ფეოდალიზაცია. გლეხთა მდგომარეობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა. კარლოს დიდის იმპერიის შინაგანი შესუსტება და მისი დაშლა.

ს ა რ ჩ ე ვ ი . . 259—262

რედაქტორი ნ. ლომოური

* * *

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ცერცვაძე
ტექნიკური რედაქტორი შ. დოლიძე
კორექტორი მ. თადუმაძე